დაფნე დიუ მორიე

ლურჯი ლინზები

ინგლისურიდან თარგმნა
მაია ჯიჯეიშვილმა

თბილისი
1998

დაფნე დიუ მორიე დაიბადა 1907 წელს. მისი მამა – სერ ჯერალდ მორიე თავისი დროის გამოჩენილი მსახიობი და რეჟისორი ყოფილა.

დაფნე დიუ მორიემ დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდეგ კი სწავლა პარიზში განაგრძო.

1928 წლიდან იწყებს პატარა მოთხრობებისა და სტატიების წერას. 1931 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი რომანი „მოსიყვარულე სული", (The Loving Spirit), ამას მოჰყვა კიდევ ორი რომანი: „პორტრეტი", (A Portrait), და „იამაიკის პატარა სასტუმრო", (Jamaica Inn). 1938 წელს გამოქვეყნდა რომანი „რებეკა" (Rebecca), და დაფნე დიუ მორიემ თავისდა გასაოცრად აღმაჩინა, რომ ყველაზე პოპულარული მწერლის სახელი მოეხვეჭა თავის თანამედროვეებში. რომანი „რებეკა", ითარგმნა ოცზე მეტ ენაზე.

მისი სხვა რომანებია:

„მინამბერი", (The Glass-Blowers), – 1963 წ. „შევარდენის გაფრენა", (The Flight of the Falcon), – 1965 წ, „სახლი სანაპიროზე", (The House on the Strand), – 1969 წ. და სხვა.

რომანებს გარდა დაფნე დიუ მორიე ავტორია უამრავი პიესისა და პატარა მოთხრობის, მასვე ეკუთვნის მონოგრაფია „მორიეები" – საკუთარი გვარის ისტორია.

მორიე დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ლიტერატურულ წრეებში, ასევე მკითხველებში.

ლ უ რ ჯ ი ლ ი ნ ზ ე ბ ი

იმ დღეს სახვევები უნდა მოეხსნათ და ლურჯი ლინზები მოერგოთ. მარდა უესტმა თვალებზე ხელი მოისვა და ბამბადაფენილი, ფენა-ფენად დაკეცილი კრეპის სახვევი იგრძნო ხელით. ქალის მოთმინება, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაჯილდოებულიყო. ოპერაციის შემდეგ ერთმანეთს მისდევდა დღეები, კვირები, ის კი იწვა გაწამებული არა ფიზიკური ტკივილებით, არამედ ღამეთა იდუმალებითა და იმის შეგრძნებით, რომ ქვეყანა მის გარეშე არსებობდა. პირველ დღეებში ტკივილები აწუხებდა, მაგრამ უწამლეს და თანდათანობით დაუამდა, მერე საშინელი დაღლილობის გრძნობა დაეუფლა, რასაც შოკის შემდგომ რეაქციას მიაწერდნენ. რაც შეეხება ოპერაციას, კარგად ჩაიარა. ექიმები უეჭველ წარმატებას ჰპირდებოდნენ.

– თქვენ დაინახავთ, ეუბნებოდა ქირურგი, - ადრე რომ ხედავდით, იმაზე უკეთ დაინახავთ.

- მართლა? - მუდარით ეკითხებოდა ქალი და ცდილობდა მყარად ჩაბღაუჭებოდა საკუთარი რწმენის ძაფს.

- ჯერ კიდევ ნარკოზიანს გაგისინჯეთ თვალები, - პასუხობდა ექიმი, - მერე შევამოწმეთ კიდეც, არ გატყუებთ, მისის უესტ!

ასე არწმუნებდნენ ქალს დღეში ორჯერ თუ სამჯერ. კვირას კვირა მისდევდა. ქალი ცდილობდა მოთმინება გამოეწრთო და მოვლენათა მსვლელობას მიენდო, თუმცა დღე-ღამის განმავლობაში ერთხელ მაინც აიტანდა ხოლმე სურვილი, მოულოდნელად გამოეტეხა სამედიცინო პერსონალიდან რომელიმე.

- ვარდები არ გადაყაროთ, ძალიან მინდა დავინახო, - იტყოდა იგი, მომვლელს კი უკვირდა, - კი, მაგრამ, ვიდრე თქვენ მათ დანახვას შეძლებთ, მანამდე ხომ დაჭკნებიან?! - ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ კვირაშიც არ აუხსნიდნენ თვალებს.

ნიშანდობლივად არავინ ასახელებდა დღეს, არავინ ამბობდა,

რომ, ვთქვათ, აი, ამ თვის თოთხმეტ რიცხვში დაგიბრუნდება სინათლეო. ალბათ რაღაცას თვალთმაქცობდნენ. ქალი თავს იკატუნებდა, ვითომ ამაზე აღარც ფიქრობდა, ვითომ თანახმა იყო, მთელი საუკუნე ეცადა. მისი ქმარი ჯიმიც უკვე „მათ" ე.ი. საავადმყოფოს პერსონალს ემხრობოდა. ამიტომ ცოლი აღარც მას ენდობოდა.

აქამდე ყველა ეჭვსა თუ ცუდ წინათგრძნობას ერთად ებრძოდა ან იზიარებდა ცოლ-ქმარი. ეს ოპერაციის წინ იყო. მერე კი ტკივილითა და მის ირგვლივ მოჯარული წყვდიადით დამფრთხალი უმწეოდ ჩაეკრა ქმარს და ჰკითხა, - რა მეშველება ვერასოდეს რომ ვეღარ დავინახოო, - და თავი საცოდავ ხეიბრად წარმოიდგინა. ჯიმმა, რომელიც მასზე ნაკლებ არ ღელავდა, უპასუხა, – რაც მოხდება, ყველაფერი ერთად უნდა ავიტანოთო.

გარსშემოხვეული წყვდიადის გარდა ქალს სხვა მიზეზმაც გაუმახვილა მგრძნობიარობა. ქმართან საკუთარ თვალებზე ლაპარაკს ერიდებოდა. ძველებურად თბილი იყო ქმრის შეხებაც, მისი კოცნაც და ხმაც, მაგრამ ამ მოლოდინით სავსე დღეებში მარდას მაინც ღრღნიდა ეჭვი, ეჩვენებოდა, რომ ჯიმიც იმავე მიზეზით ექცეოდა ასე კეთილად, რა მიზეზითაც საავადმყოფოს პერსონალი და რომ ეს იყო სიბრალულით გამოწვეული სიკეთე, რომ ამ ადამიანებმა მის შესახებ ისეთი რამ იცოდნენ რაც თვითონ მას არ უნდა სცოდნოდა.

ერთ საღამოს ქირურგმა ბოლოს და ბოლოს უთხრა, - ხვალ ლინზებს ჩაგისვამო. ქალს უფრო გაუკვირდა, ვიდრე გაეხარდა. ხმაც კი ვერ ამოიღო, ექიმი მანამდე გავიდა პალატიდან, ვიდრე მარდა მადლობის თქმას მოახერხებდა. ეს უკვე აღარ იყო ტყუილი. ხანგრძლივი აგონია დასრულდა. სანამ დღის მომვლელი ცვლას დაამთავრებდა, მარდამ კიდევ ერთხელ სცადა გამოეცადა იგი:

– პირველად ალბათ ცოტა მეტკინება, არა? - ისე დაუ-დევრად იკითხა, ვითომ ეჭვის ნატამალიც კი გაჰქრობოდა. მომვლელმა, მთელი ამ დამქანცველი დღეების განმავლობაში

ასე გულმოდგინედ რომ უვლიდა, მშვიდად უპასუხა:

– ვერც კი გაიგებთ, ისე ჩაგისვამენ ლინზებს, მისის უესტ.

მშვიდი, ნუგეშით სავსე ხმა, ბალიშის გასწორებისა თუ პაციენტის ტუჩებთან ჭიქის მიტანის ჩვეული მოძრაობა, ძლივს საგრძნობი სუნი ფრანგული გვიმრის საპნისა, რომლითაც იგი ავადმყოფს ბანდა, – ეს ყველაფერი იმედით ავსებდა მარდა უესტს და იმაზე მეტყველებდა, რომ მომვლელი არ ტყუოდა.

– ხვალ დაგინახავთ, – თქვა მარდა უესტმა და მომვლელმაც იმ ხალისიანი სიცილით უპასუხა, ზოგჯერ ქვემოდან, დერეფნიდან რომ მოისმოდა ხოლმე, – დიახ, მე ვიქნები თქვენი პირველი ელდა!

ბუნდოვნად ახსოვდა საავადმყოფოში მოსვლის პირველი დღე. მომსახურე პერსონალი, რომელმაც იგი მიიღო, უფორმო ჩრდილებად ეჩვენებოდა, ხოლო მისთვის განკუთვნილი ოთახი, სადაც ახლა იწვა, ხაფანგსა თუ მის გამოსამწყვდევად გამიზნულ ხის ყუთს ჰგავდა. თვით ეს ნუგეშიანი და მარჯვე ქირურგიც ორჯერ სახელდახელოდ რომ გასინჯა და ორჯერვე სასწრაფო ოპერაცია ურჩია, კაცი, რომლის განკარგულებები უსიტყვოდ სრულდებოდა და რომელიც მას ასე დარწმუნებით ჰპირდებოდა სასწაულს, ახლა ქალისათვის ნამდვილად არსებული პიროვნება კი არა, მარტოოდენ ხმა იყო.

– ღელავთ არა? – გაისმა ღამის მომვლელის ნაზი, რბილი ხმა. მან სხვებზე უკეთ იცოდა, რა განცდებს უძლებდა ქალი. დღის მომვლელ ბრენდს თითქოს დღის ელვარება შემოჰქონდა პალატაში. იგი მზის შუქიც იყო, ახალ ყვავილებთან ურთიერთობის საშუალებაც და სტუმრების მიმღებიც. ამინდსაც განსაკუთრებულად აღწერდა ხოლმე:

– ნამდვილი პაპანაქებაა, – იტყოდა და ფართოდ გააღებდა ფანჯრებს. ასეთ წუთებში მისი ავადმყოფი წარმოიდგენდა ‚გრილ ხალათსა და გახამებულ ქუდს, უცნაურად რომ ანელებდნენ თაკარა სიცხეს. ხოლო წვიმის წვეთების რაკა-რუკზე ღრუბლიანი ამინდისათვის დამახასიათებელ მსუბუქ სიგრილეს გრძნობდა

მარდა. – ეს წვიმაო, – ამბობდა მომვლელი, – მეტად გაახარებს მებაღეებს, მაგრამ მდინარეზე გამართულ მატრონების[1] დღესასწაულს კი ხელს შეუშლის.

უგემური საჭმელიც კი, განსკუთრებით ის, მეორე საუზმეზე რომ მოჰქონდათ, მომვლელის ენამზეობის წყალობით დელიკატესად იქცეოდა ხოლმე.

– ცხიმიან კამბალას ნაჭერს ხომ არ ინებებთ? – სთავაზობდა ქალს ხალისიანად და დაკარგულ მადას უღვიძებდა. მარდა იძულებით ჭამდა ამ უგემურ თევზს, მისი მაქებარი რომ არ გაენაწყენებინა.

– აი, ვაშლის მაჭკატიც, დარწმუნებული ვარ, ორ ცალს შეჭამთ, – და ქალი უკვე გრძნობდა დაშაქრული და ფანტელებივით სიფრიფანა მაჭკატის გემოს, რომელიც სინამდვილეში უცნაურად გამხმარი მასა იყო და სხვა არაფერი. მომვლელის ხალისიანი ოპტიმიზმი წინ ეღობებოდა უკმაყოფილების ყოველგვარ გამოვლინებას.

მარადაც ვეღარ ბედავდა ჩივილს.

– არაფერი მინდა, ასე ვიწვები, – მხოლოდ ამასღა ახერხებდა.

ღამე ერთად მოჰგვრიდა ხოლმე შვებასა და მომვლელ ენსელს. მისგან ქალი გამხნევებას სულაც არ მოითხოვდა. პირველად, დიდი ტკივილებისას, სწორედ მომვლელი ენსელი აძლევდა წამლებს, ის უსწორებდა ბალიშს და პაციენტის გამშრალ ტუჩებთანაც მას მიჰქონდა ჭიქა. შემდეგ, მომდევნო კვირეების განმავლობაში მუდმივად ესმოდა ქალს მისი ნაზი ხმა და წყნარი ნუგეში:

– ნუ გეშინიათ, მალე გაგივლით, ყველაფერზე ცუდი ლოდინია!

ღამით ავადმყოფი მხოლოდ ზარს უნდა მიწვდომოდა და მომვლელი ენსელი უმალ გაჩნდებოდა მის საწოლთან: – ვერ იძინებთ? ვიცი, როგორ გიჭირთ, მე ახლა ორნახევარ აბს

1 მატრონობის დღესასწაული - ქალთა დღესასწაული. სათაევეს იღებს ძველი რომიდან აქ იგულისხმება საავადმყოფოს ქალთა პერსონალისთვის გამართული დღე.

მოგცემთ და ღამეც ასე უსასრულო აღარ მოგეჩვენებათ. რა სალბუნივით ედებოდა. ეს წყნარი და ხავერდოვანი ხმა. ამ იძულებითი დასვენებისა და უსაქმურობის ჟამს ქალის წარმოსახვამ ათასნაირ ფანტაზიას მოუხმო მომვლელ ენსელთან დაკავშირებით. წარმოიდგინა, ვითომ საავადმყოფოში კი არა, საზღვარგარეთ ისვენებდნენ სამნი, თვითონ, ენსელი და ჯიმი. ჯიმი გოლფს ეთამაშებოდა ვიღაც მამაკაცს მარდა და ენსელი კი სეირნობდნენ.

მომვლელი მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა. ის არასოდეს გაღიზიანებულა. მას და ავადმყოფს ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებდათ ღამეული ზიარი ინტიმურობა, რაც დღის დადგომისთანავე ქრებოდა, ხოლო დილით, რვას რომ ხუთი წუთი დააკლდებოდა, მომვლელი მორიგეობას დაამთავრებდა და ჩუმად იტყოდა, – ამ საღამომდე. ავადმყოფმა უკვე იცოდა, რომ ეს ჩურჩული საღამოს მათი ხელახალი შეხვედრის საწინდარი იყო.

მომვლელ ენსელს კარგად ესმოდა ავადმყოფის წუხილი. მარდა უესტი დაღლილად რომ იტყოდა, – რა გრძელი იყოო დღე –, ენსელი პასუხობდა, – ჰოო! – რაც იმას ნიშნავდა, რომ მასაც ძალიან გაუჭირდა ამ დღის გადათრევა, საერთო საცხოვრებელში თვალიც ვერ მოხუჭა და ახლაც როგორმე უნდა გაეძლო უძინარს.

ენსელი განსაუკთრებული, იდუმალი, სითბოთი აღსავსე ხმით აუწყებდა ხოლმე საღამოს სტუმრის მოსვლას:

– ძალზე რომ გაგიხარდებათ, ისეთი ვინმე გეწვიათ, ჩვეულებრივზე ადრე მოსულა, – ამას ისე ამბობდა, გეგონება, გამიჯნურებული ტრუბადურის მოსვლას ახარებდა, რომელსაც ჯადოსნურ ბაღში დაკრეფილი ყვავილების თაიგული მის აივანთან მიეტანა, და არა ქმრისა, რომელთანაც აგერ უკვე ათი წელია ცხოვრობდა.

– რა დიდებული შროშანებია! – წამოიძახებდა სუნთქვაშეკრული მომვლელი. მარდა უესტიც წარმოიდგენდა სამოთხის ბაღში გაზრდილ უზარმაზარ ფოთლებიან მშვენიერ მცენარეებს

და მათ წინაშე პატარა მლოცველივით მუხლმოყრილ მომვლელ ენსელს. შემდეგ მორცხვი ხმა წაილუღლუღებდა, – საღამო მშვიდობისა, მისტერ უესტ, მისის უესტი გელოდებათ. – და მარდას ესმოდა, რა სიფრთხილით იხურებოდა კარი, როგორ გადიოდა გარეთ ფეხის წვერებზე შემდგარი მომვლელი ენსელი შროშანებით ხელში, შემდეგ როგორ უხმაუროდ ბრუნდებოდა და როგორ იჟღინთებოდა ოთახი ყვავილების სურნელით.

ასე, მეხუთე კვირის თავზე მარდა უესტმა სცადა და შესთავაზა მომვლელ ენსელს, მერე კი ქმარს, რომ შინ დაბრუნებულს ენსელი ერთი კვირით მაინც თან წაეყვანა. ეს მომვლელის შვებულებას დაემთხვეოდა. მხოლოდ ერთი კვირა! მანამ, სანამ მარდა უესტი კვლავ შეძლებდა საქმისათვის მოეკიდა ხელი.

– ჩემი წამოსვლა გნებავთ? – თავდაჭერილობა და დაპირება გაისმა მომვლელის ხმაში.

– ძალიან! პირველად ისე ძნელი იქნება... – ავადმყოფმა თვითონაც არ იცოდა, რას გულისხმობდა სიძნელეში, ერთი კი იყო, ახალი ლინზების მიუხედავად, თავი ისევე უმწეოდ წარმოედგინა, როგორც ახლა იყო. ეგონა, მერეც დასჭირდებოდა ზრუნვა და რწმენა, რითაც მხოლოდ მომვლელი ენსელი აღავსებდა დღემდე.

– ჯიმ, შენ რას იტყვი? – შეეკითხა მარდა ქმარს.

ქმრის პასუხი ერთნაირად გამოხატავდა გაკვირვებასა და თანხმობას. გაკვირვებას იმიტომ, რომ მისი ცოლი მომვლელს, ადამიანს, თავის საკუთრებად მიიჩნევდა, ხოლო თანხმობას იმიტომ, რომ ეს იყო ავადმყოფი ქალის კაპრიზი. ყოველ შემთხვევაში, მარდა უესტი ასე იოლად უყურებდა ამ ამბავს. მერე კი, მოგვიანებით, როცა საღამოს ვიზიტი დამთავრდა და ქმარი შინ წავიდა, მან ღამის მომვლელს უთხრა:

– მე მაინც ვერ გავიგე, ჩემს ქმარს მოეწონა თუ არა ეს აზრი.

პასუხი წყნარი და გამამხნევებელი იყო.

– ნუ ნაღვლობთ, მისტერ უესტი შეგუებულია ყველაფერს.

მაინც რას არის შეგუებული? ოჯახური ცხოვრების წესში ცვლილებას? სამ ადამიანს მაგიდასთან, საუბრებს, სტუმრის უჩვეულო მდგომარეობას, რომელსაც დიასახლისის ერთგულებისათვის ფული უნდა გადაუხადონ! (ეს უკანასკნელი კი რა სახსენებელია, მაგრამ ხომ ჩასრიალდება ფული კონვერტში კვირის ბოლოს).

– ხომ არ ღელავთ? – იქვე, თავთან მდგარი მომვლელი ენსელი ხელით შეეხო სახვევებს და სწორედ ამ ხმის სითბო და დამაჯერებლობა იყო, სულ რამდენიმე საათში რომ გაუნათებდა სამყაროს, ჩაახშობდა წარმატებისადმი ამ მტანჯველ ეჭვს. ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ხვალ ისევ დაინახავდა.

– თითქოს მეორედ უნდა დავიბადო, – უპასუხა მარდა უესტმა, – დამავიწყდა კიდეც, როგორია სამყარო!

– სამყარო მშვენიერია, – ჩაილაპარაკა მომვლელმა ენსელმა, – და თქვენც როგორი მომთმენი იყავით ამდენ ხანს.

თანაგრძნობით გამთბმარი ხელი თითქოს პროტესტი იყო ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც მთელი ამ ხნის მანძილზე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ სახვევები არ უნდა მოეხსნათ ქალისათვის. თითქოს მომვლელი ენსელის ნება რომ ყოფილიყო, იმავე წუთს მოაცილებდა დოლბანდს და ავადმყოფ ქალს შვებას მოჰგვრიდა.

– უცნაურია, – მიმართა მარდამ მომვლელს, – ხვალ თქვენ ჩემთვის მხოლოდ ხმა კია არა, ადამიანიც იქნებით.

– ახლა არა ვარ ადამიანი?

მოჩვენებითი საყვედური და კეთილად გაჯავრება, რაც მათ ურთიერთობას ახასიათებდა, საოცრად ამშვიდებდა ავადმყოფს.

– დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც სხვანაირად იქნება ყველაფერი.

– არ მესმის, რატომ.

მარდა უესტმა მართალია იცოდა, ენსელი პატარა ტანისა და შავგვრემანი რომ იყო (მომვლელმა თვითონ აღუწერა ასე საკუთარი თავი), იგი მაინც მზად უნდა ყოფილიყო პირველი მოულოდნელობისათვის, იქნებ უცნაურად დახრილი თავი, ან

უცნაურად ირიბი თვალები, შესაძლოა სახის მოულოდნელი ფორმა ჰქონდა, ანდა ძალიან დიდი პირი უჩვეულოდ, ბევრი კბილებით.

– აი, შეიგრძენით.

და მომვლელმა ენსელმა უკვე მერამდენედ აიღო პაციენტის ხელი და სახეზე მოისვა. ენსელს თითები ოდნავ უკანკალებდა, ალბათ იმიტომ, რომ ქალი დატყვევებულივით ემორჩილებოდა. მარდამ ხელი გმოსტაცა და სიცილით უთხრა:

– ასე ვერაფერს ვგრძნობ.

– მაშინ დაიძინეთ, ხვალინდელი დღე ისე უცებ მოვა. – ამას მოჰყვა ნაცნობი საქმიანობა, იქვე, მისაწვდომად ახლოს ზარის დადება, უკანასკნელად წამლის დალევა და ბოლოს ნაზი: „ღამე მშვიდობისა, თუ დაგჭირდეთ, ზარი დარეკეთ“.

– გმადლობთ, ღამე მშვიდობისა.

მარდას ყოველთვის დანაკარგის შეურაცხმყოფელი გრძნობა ეუფლებოდა ხოლმე, როცა კარი მიიხურებოდა და მომვლელი ჯავიდოდა. დაეჭვდებოდა კიდეც, ვაითუ ენსელი სხვა პაციენტებსაც ასე თბილად თანაუგრძნობს და ტკივილების დროს ისინიც ასევე ურეკავენ ზარსო. შუაღამისას, უცებ რომ გაელვიძებოდა, და ეს ხშირად ხდებოდა, მარდა უესტი ჯიმს კი აღარ წარმოიდგენდა შინ, თავის ბალიშზე მწოლიარეს, არამედ მომვლელი ენსელი წარმოუდგებოდა თვალწინ სხვა ავადმყოფის საწოლთან სანუგეშოდ დახრილი. მარდა მხოლოდ ამის გამო მისწვდებოდა ხოლმე ზარს, მიაჭერდა ცერს და როცა ენსელი შემოვიდოდა, ჰკითხავდა, – ხომ არ გეძინათო.

– მე მორიგეობისას არასოდეს ვიძინებ, – იყო პასუხი.

ენსელი ალბათ თავის მყუდრო ოთახში იჯდა დერეფნის შუაგულში. იქნებ ჩაისაც სვამდა, ან დავთარს ჩაჰკირკიტებდა, ან შესაძლოა, რომელიმე ავადმყოფთან იდგა ისევე, მარდა უესტთან რომ იდგა ხოლმე.

– ცხვირსახოცი ვეღარ ვიპოვე! – მოიმიზეზებდა ქალი.

– აი, აქ არის, თქვენი ბალიშის ქვეშ დევს, – უპასუხებდა ენსელი, მხარზე მოეფერებოდა (ეს სინაზის ერთგვარი გამოხა-

ტულელება იყო), მერე რამდენიმე წუთის საუბარი მათ ურთიერთობას ცოტათი გააცანგრძლივებდა და ბოლოს მომველელი წავიდოდა, რომ სხვა ზარებსა და თხოვნებს გაპასუხებოდა.

***

– ამინდს ვერ დავემდურებით, – უკვე მოდღეევდა, მომველელი ბრენდი დილის სიოსავით შემოფოფინდა პალატაში და ამინდზე ბარომეტრივით შექმნა წარმოდგენა. – ყველაფერი მზად არის დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის? – იკითხა მან, – უნდა ავჩქარდეთ. ეცადეთ, ყველაზე ლამაზ ღამის პერანგში შეხვდეთ თქვენს მეუღლეს.

ესეც ოპერაცია იყო, ოღონდ უკუპროცესით. მარდა იმავე საოპერაციოში იმყოფებოდა, ამჯერად მაგიდაზე აღარ დააწვინეს. ქირურგის მარჯვე ხელები სწრაფად მოძრაობდნენ, მომველელი ბრენდი ეხმარებოდა. პირველად კრეპი მოხსნეს, მერე სახვევები და ძენძები მოაცილეს, მერე ნემსის უმნიშვნელო ჩხვლეტა იგრძნო და მოითენთა. შემდეგ ქირურგი მის ქუთუთოებს შეეხო. ტკივილს არ გრძნობდა, რასაც ქირურგი აკეთებდა, ყველაფერი ცივი და ყინულივით სრიალა ეჩვენებოდა, მაგრამ მარდა მაინც საოცარ სიმშვიდეს გრძნობდა.

– აბა, იმედი არ გაგიცრუვდეთ, – უთხრა ექიმმა, – ნახევარი საათის განმავლობაში არაფერი შეიცვლება. ჯერ მხოლოდ ჩრდილებს დაინახავთ, თანდათანობით დაგეწმინდებათ მზერა. მთელი ეს ხანი წყნარად უნდა იწვეთ.

– გასაგებია, არ გავინძრევი.

დიდი ხნის ნანატრი წუთი რომ არც ისე მალე მოვიდოდა, ამას თვითონაც ხვდებოდა. ახლად ჩადგმული ლინზები დროებითი იყო, რამდენიმე დღეში ისევ გამოცვლიდნენ და სხვანაირებს ჩაუდგამდნენ.

– რის დანახვას შევძლებ? – როგორც იქნა, გაბედა ეკითხა.

– ყველაფრის, მაგრამ ფერებში მაშინვე ვერ დაინახავთ. ისეთი გრძნობა გექნებათ, თითქოს მზის სათვალე გეკეთოთ

მზიან ამინდში, საკმაოდ სასიამოვნო გრძნობაა.

ექიმის ხალისიანმა სიცილმა სიმხნევე შემატა ავადმყოფს. ქირურგი და მომვლელი ბრენდი რომ გავიდნენ, ქალი უკან გადაწვა და დაელოდა, როდის დაეწმინდებოდა თვალები, როდის დაინახავდა ლინზებისაგან რამდენადმე გაფერმკთალებულ ზაფხულის დღეს.

ნისლი ნელა შეთხელდა. პირველი საგანი, რომელიც დაინახა, კუთხოვანი იყო, ეს გახლდათ კარადა. მერე სკამიც დაინახა. ქალმა თავი მოაბრუნა, თანდათან გამოიკვეთა ფანჯრის კონტურები, რაფაზე დადგმული ლარნაკები, ჯიმის მოტანილი ყვავილები. გარედან შემოსული ხმები ამ საგნების კონტურებს შეერწყა და ადრე თუ უხეშად ეღერდა, ახლა სრულ ჰარმონიას ქმნიდა მათთან. – ნეტავ ტირილი თუ შემიძლია? – გაიფიქრა ქალმა, – ნეტავ ლინზები თუ შეაკავებენ ცრემლს? – მაგრამ მალე იგრძნო, როგორ ჩამოუგორდა თვალის ჩინის აღდგენის სიხარულით გამოწვეული ცრემლები. ამ ცრემლების სულაც არ რცხვენოდა. ორიოდე კურცხალი სწრაფად მოიწმინდა. ახლა ყველაფერი თავისი ნამდვილი ფორმით აღდგა: ყვავილები, პირსაბანი თასი, ჭიქა, შიგ ჩადებული თერმომეტრი, საშინაო ხალათი. გაოცება და შვება იმდენად დიდი იყო, რომ მარდამ ფიქრის უნარიც კი დაკარგა.

– არ მატყუებდნენ, – გაიფიქრა ქალმა, – ყველაფერი ამიხდა, გამართლდა.

შალის საბანს, რომელსაც ხშირად მხოლოდ გრძნობდა, ახლა უკვე ხედავდა კიდევაც. ფერს ჯერ არ ჰქონდა მნიშვნელობა. ლინზებით ჩამუქებული შუქი საგნებს მომხიბვლელობასა და სინაზეს მატებდა. ამ ფორმებისა და კონტურების დანახვით ისე იყო გახარებული, რომ ფერს აღარ დაგიდევდათ. ფერების დანახვის დროც დადგებოდა. ახლა იყო მნიშვნელობანი, მხედველობის ლურჯი სიმეტრია, დანახვისა და შეგრძნების, – ამ ორი მომენტის ერთმანეთთან შერწყმა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ხელახლა დაბადებას ნიშნავდა. ეს იყო დიდი ხნის დაკარგული სამყაროს აღმოჩენა. რა ეჩქარებოდა, ბედნიერება

ახლა ამ პატარა ოთახის ცქერა იყო, მისი ყოველი კუთხე-კუნჭულის დათვალიერება, მით უფრო, რომ ეს ბედნიერება უნდა გაგრძელებულიყო. საათები გადიოდა, მარდა კი კვლავ ათვალიერებდა ოთახს და მზერით მოგზაურობდა მოპირდაპირე სახლების ფანჯრებამდე.

საკანში დამწყვდეული უსინათლო პატიმარიც კი რაოდენ შვებას იგრძნობდა, მისთვის თვალი რომ აეხილათ, – ფიქრობდა ქალი.

მარდას მომვლელი ბრენდის ხმა მოესმა გარედან და თავი მიაბრუნა, რომ გაღებული კარისთვის შეეხედა.

– აბა, ისევ ბედნიერები ვართ?

მომღიმარმა მარდამ დაინახა თეთრხალათიანი ფიგურა, რომელსაც სინზე დადგმული რძით სავსე ჭიქა მოჰქონდა. საოცარი და მოულოდნელი ის იყო, რომ მომვლელის თეთრქუდიანი თავი სრულიადაც არ იყო ქალისა. ავადმყოფისაკენ დახრილიყო არსება ქალის ტანითა და ძროხის თავით. პეწიანი ქუდი ფართო რქებზე წამოსკუპებოდა, დიდი და ალერსიანი თვალებიც ძროხისა ჰქონდა, ნესტოები ფართო და ნოტიო, დგომის მანერაც, სუნთქვაც, სულ ძროხას მიუგავდა, თითქოს საძოვარზე იყო მიშვებული და ყველაფერს მორჩილი კმაყოფილებით უცქერდა.

– ცოტა უცნაურად ხომ არ გრძნობთ თავს? – ჰკითხა მომვლელმა.

სიცილი ქალისა ჰქონდა, ბრენდისათვის ესოდენ დამახასიათებელი. მან სინი ბუფეტზე დადგა, საწოლის წინ. პაციენტმა არაფერი უპასუხა, თვალები დახუჭა, მერე ისევ გაახილა, მასთან კვლავ მომვლელის ხალათიანი ძროხა იდგა.

– გამოტყდით, – უთხრა მომვლელმა ბრენდმა, – ფერი რომ არა, ვერც კი იგრძნობდით ლინზების არსებობას.

ავადმყოფს პასუხის გაცემამდე დრო უნდა მოეგო. ჭიქა აიღო და ნელ-ნელა შეუდგა რძის წრუპვას. ეს ალბათ ნიღაბია, – ფიქრობდა ქალი, იქნებ ლინზების გამოსაცდელი ერთგვარი ექსპერიმენტიც არის, მაგრამ რა აუცილებელიც უნდა იყოს

მათი ტარება, მაინც დიდად სარისკო საქმეა. მარდაზე სუსტი ნერვების ადამიანებისათვის ასეთი გამოცდა ხომ ნამდვილი ბოროტება იქნებოდა.

– მშვენივრად ვხედავ, – როგორც იქნა, ხმა ამოიღო ქალმა, – ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია.

მომვლელი ბრენდი გულხელდაკრეფილი იდგა და მას შეჰყურებდა. განიერი, ხალათიანი ფიგურა უფრო დიდი იყო, ვიდრე მარდა უესტს წარმოედგინა, ძროხას თავი დაეხარა და რქებზე სასაცილოდ წამოესკუპებინა ქუდი... თუკი ეს ნამდვილად ნიღაბი იყო, მაშ სადღა უერთდებოდა თავი ტანს?

– თქვენ არც თუ დარწმუნებული ლაპარაკობთ, მაინც იმედგაცრუებული ხართ ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენთვის ვიღონეთ?

მისთვის ჩვეული ხალისით იცინოდა, მაგრამ ყბებს ისე იქნევდა აქეთ-იქით, თითქოს ბალახს იცოხნებაო.

– მე საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ, – უპასუხა ავადმყოფმა, – მაგრამ, აი, თქვენში კი მთლად არა, ეს რა, ოინია?

– რა არის ოინი?

– ის... თქვენი გარეგნობა... სახე.

ლურჯი ლინზების მიღმა დანახული სამყარო არც ისე ბუნდოვანი იყო, რომ ავადმყოფს ვერ გაერჩია, როგორ შეეცვალა მომვლელს გამომეტყველება. ძროხას ყბა ჩამოუვარდა.

– მართლა, მისი უესტ? – სიცილი აღარ იყო გულწრფელი, აშკარად ეტყობოდა გაოცება, – მე ისეთი ვარ, როგორიც მაღალმა ღმერთმა შემქმნა, გავბედავ და ვიტყვი, უკეთესის შექმნა კი შეეძლო.

ძროხა ფანჯრისაკენ გაემართა, მკვეთრი მოძრაობით გადასწია შტორები, დიდმა შუქმა მთლიანად გაავსო ოთახი. ნიღბის შეერთების ადგილი არ ჩანდა, თავი მიერთებული იყო ტანთან. მარდამ წარმოიდგინა, საფრთხის შემთხვევაში როგორ დახრიდა ძროხა რქებს თავის დასაცავად.

– არ მინდა გაწყენინოთ, – უთხრა ქალმა მომვლელს, –

მაგრამ ეს ყველაფერი ცოტა უცნაურად გამოიყურება, თქვენ იცით რა...

მაგრამ განმარტება აღარ ადსჭირდა, რადგან კარი გაიღო და პალატაში ქირურგი შემოვიდა. მარდამ იგი ხმით იცნო, – გამარჯობა, როგორ მიდის საქმეო, რომ წამოიძახა. ტანსაცმელიც ენიშნა, მუქი ზედატანი და ზოლიანი შარვალი ეცვა, სწორედ ისეთი, ასეთ ბრწყინვალე ქირურგს რომ უნდა სცმოდა... მაგრამ... ეს ტერიერის თავი, წაწვეტებული ყურები, ცნობისმოყვარე, მეძებარი ძაღლის გამოხედვა რაღას ნიშნავდა? რამდენიმე წუთში ალბათ დაიყეფებდა და კუდს სწრაფად ააქიცინებდა.

ახლა კი გაიცინა ავადმყოფმა. ეფექტი მეტად სასაცილო იყო, ეს ყველაფერი ხუმრობას უფრო ჰგავდა, ხუმრობა გახლდათ, მაგრამ რა საჭირო იყო ამ ფასად ასეთი წვალება? განა რას მიაღწევდნენ ასეთი თვალთმაქცობით? ქალმა უცებ შეწყვიტა სიცილი, რადგან დაინახა, როგორ მიუბრუნდა ტერიერი ძროხას, როგორ შეესიტყვნენ უხმოდ ერთმანეთს ეს ორნი. მერე ძროხამ ფართო მხრები აიჩეჩა:

– მისის უესტი მგონი გვეხუმრება, – თქვა მან. მომვლელის ხმა აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავდა.

– მეც ასე მგონია, – უპასუხა ქირურგმა, – ძალიან ცუდი იქნება, თუ შეგვიძულა, ხომ ასეა?

იგი მიუახლოვდა ავადმყოფს, დაიხარა და ხელით შეეხო, თვალები უნდა გაესინჯა. ქალი გაუნძრევლად იწვა. ექიმს არავითარი ნიღაბი არ ეკეთა, ყურები დაცქვეტოდა, წვეტიანი ცხვირით კი თითქოს რაღაცას ყნოსავდა. იგი ნიშაც კი იყო, ერთი ყური შავი ჰქონდა, მეორე-თეთრი. მარდამ ნათლად წარმოიდგინა, როგორ დაყნოსავდა ჰაერს მელიის სოროს შესასვლელთან, შემდეგ კი, სუნის აღებისთანავე, ეს გაწვრთნილი ძაღლი რა გულმოდგინებით შეძვრებოდა სოროში.

– თქვენ ჯეკ რასელი უნდა გერქვათ, – წარმოთქვა ქალმა ხმამაღლა.

– რა ბრძანეთ?

ექიმი წელში გასწორდა, მაგრამ ისევ საწოლთან დარჩა.

გამჭვალავი, ნათელი თვალები ჰქონდა, ცალი ყური აეცქვიტა.

– მინდოდა მეთქვა, – შეცბუნებულმა მარდა უესტმა სიტყვებს დაუწყო ძებნა, – ეს სახელი უფრო შეგეფერებათ, ვიდრე თქვენი საკუთარი-მეთქი.

ქალი აირია, გაახსენდა, ჰარლი სტრიტზე, ექიმის კარის აბრაზე რომ მისტერი ედმუნდ გრივზი ეზერა, რას იფიქრებდა ახლა ქირურგი მასზე?

– მე ვიცნობ ერთ ჯეიმზ რასელს, – თქვა ქირურგმა, – ის ორთოპედიის ქირურგია და ძვლებს ამტვრევს, ჩემგან რაიმე ამის მსგავსი გიგრძნიათ?

ექიმი ხალისიანად ლაპარაკობდა, მაგრამ მის ხმაში, ისევე როგორც მომვლელი ბრენდის ხმაში, ცოტა გაკვირვებაც გამოსჭვიოდა. მარდა მათი ხელოვნებისაგან უნდა ყოფილიყო დავალებული, მაგრამ ამ მადლიერების გრძნობას ვერ ამჟღავნებდა.

– არა, რა თქმა უნდა, არა, – თქვა პაციენტმა ნაჩქარევად, – არაფერიც არა მაქვს გატეხილი და არც რაიმე ტკივილს ვგრძნობ. გარკვევითაც ვხედავ, თითქმის სრულიად გარკვევით.

– ასეც უნდა იყოს, – თქვა ქირურგმა და სიცილი, რომელიც ნათქვამს მოადევნა, მოკლე, გამყინავ ყეფას უფრო ჰგავდა.

– მომვლელო, – გააგრძელა მან, – ავადმყოფს ახლა ყველაფრის გაკეთება შეუძლია, მაგრამ ფრთხილად უნდა იყოს, არავითარ შემთხვევაში არ შეეხოს ლინზებს, ალბათ, უკვე გააფრთხილეთ!

– ის-ის იყო ვაპირებდი, სერ, და თქვენც. შემოხვედით.

მისტერ გრივზმა თავისი წვეტიანი ცხვირი მარდა უესტისაკენ მიაბრუნა:

– მე ხუთშაბათს მოვალ, ლინზებს გამოგიცვლით. ამ ხნის განმავლობაში არ დაგავიწყდეთ დღეში სამჯერ ხსნარით თვალების მობანვა. ამ პროცედურას ესენი ჩაგიტარებენ, თქვენ თვითონ ნუ შეეხებით და ნურც აწვალებთ ლინზებს. ერთმა ავადმყოფმა არ დამიჯერა და მხედველობა დაკარგა, აღარც

არაფერი ეშველა.

მარდას მუქარად ჩაესმოდა ქირურგის სიტყვები, ეჩვენებოდა, თითქოს ტერიერი ღრენით ეუბნებოდა, – შენც თუ ასე მოიქცევი, უარესი დაგემართება, ფრთხილად იყავი, თორემ ხომ იცი, რა ბასრი კბილები მაქვსო.

– გასაგებია, – თქვა ავადმყოფმა ნელა, მაგრამ ამავე დროს ხელსაყრელი შემთხვევა გაუშვა ხელიდან. მას ახლა აღარ შეეძლო ახსნა-განმარტება მოეთხოვა. ალღო უკარნახებდა, რომ ექიმი მაინც ვერ გაუგებდა. ტერიერი რაღაცას ეუბნებოდა ძროხას, მითითებებს აძლევდა. მომვლელი პასუხს წივანა ხმითა და თავის სულელური კანტურით აძლევდა. ამ ძროხას ალბათ ძალიან აწუხებდნენ ბუზები სიცხეში, თუმცა, შესაძლოა, სწორედ ეს კოპწია ქუდი იცავდა მწერების შემოსევისაგან.

ისინი კარისკენ წავიდნენ, ავადმყოფმა უკანასკნელად სცადა ბედი:

– მუდმივი ლინზებიც ასეთივე იქნება? – იკითხა მან.

– ზუსტად ასეთი, – დაიყეფა ქირურგმა, – მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მუდმივი ლინზები შეფერადებული არ იქნება, თქვენ ბუნებრივ ფერებს დაინახავთ. აბა, ხუთშაბათამდე.

ქირურგი გავიდა, მომვლელი გაჰყვა. მარდას გარედან ჩურჩული მოესმა. რა მოხდა ახლა? თუ ეს ყველაფერი რაღაც ტესტი იყო, ალბათ ნიღბებს უკვე მოიხსნიდნენ. მარდა უესტისათვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო ამის გაგება. ეს ორი კეთილსინდისიერებით არ გამოირჩეოდა და მხოლოდ ნდობის ბოროტად გამოყენება იყო. ქალი ფრთხილად გადმოვიდა საწოლიდან და კარისაკენ გაემართა. ქირურგის ნათქვამი გაიგონა, – ერთნახევარი აბი. იგი ცოტა გაღიზიანებულია, ეს რეაქციის ბრალია.

ქალმა გაბედულად, ფართოდ გამოაღო კარი. ისინი იქვე, შესასვლელთან იდგნენ. ნიღბები ისევ ეკეთათ. ორივე მისკენ შემობრუნდა. ტერიერის გამჭვალავი, ნათელი მზერა და ძროხის დრმა თვალები ქალს ისეთი საყვედურით მიაჩერდა თითქოს ავადმყოფმა მათ წინაშე ეთიკეტი დაარღვია და ამით დანაშაული

ჩაიდინაო.

– გნებავთ რამე, მისის უესტ? – შეეკითხა მომვლელი ბრენდი.

მარდა უესტმა მათ მიღმა, დერეფენში გაიხედა. მთელი სართული თვალთმაქცობდა. დამლაგებელს, მეორე პალატიდან აქანდაზი და ჯაგრისი რომ გამოიტანა, პატარა ტანზე სინდიოფალას თავი ჰქონდა მიბმული. მეორე მხრიდან მომავალ მომვლელს კი პატარა პრანჭია კნუტის თავი ება და ქუდიც კეკლუცად ეხურა ხვეულ ბალანზე. მას რომ ექიმი მოსდევდა, ამაყი ლომი იყო, თვით მეკარესაც, სწორედ იმ წუთას რომ გამოვიდა ლიფტიდან, ტახის თავი ედგა მხრებზე და ბარგის აღებისას დაიღრუტუნა კიდევაც.

მარდა უესტმა შიშის პირველი, ბასრი ჩხვლეტა იგრძნო. ნუთუ ყველამ წინასწარ იცოდა, რომ სწორედ იმ დროს გამოაღებდა მარდა კარს? ან ასე ერთდროულად როგორ შეინიღბნენ დანარჩენი მომვლელები, ექიმი, მეორე ოთახიდან გამოსული დამლაგებელი და მეკარე? ქალს, ეტყობა, შიში გამოეხატა სახეზე, რადგან მომვლელმა ბრენდმა, ძროხამ, ხელი მოჰკიდა და პალატაში შეაბრუნა.

– კარგად გრძნობთ თავს, მისის უესტ? – ჰკითხა შეწუხებულმა.

მარდა უესტი ნელ-ნელა მიწვა საწოლზე. თუ ეს შეთქმულება იყო, რა მიზანი უნდა ჰქონოდა? ნეტავ სხვა პაციენტებსაც ასე ატყუებდნენ?

– ძალიან დავიღალე, – თქვა ქალმა, მეძინება.

– მართლაც, ცოტა აღელვებული ხართ, – უთხრა მომვლელმა ბრენდმა. მან რაღაც წამალი გახსნა ჭიქაში. მარდამ ჭიქა ჩამოართვა, მაგრამ უცებ ხელი აუკანკალდა, განა შეეძლო ძროხას წამლის გახსნა, უცებ შეცდომა რომ მოსვლოდა?

– რას მაძლევთ? – იკითხა მან.

– დამამშვიდებელს, – უპასუხა ძროხამ.

„ბაიას და ზიზილას, წვნიან მწვანე ბალახსო“, – თითქოს ამას ეუბნებოდა მომვლელი. წარმოსახვა იმდენად ძლიერი

იყო, რომ მარდას წამლის დალევა გაუჭირდა, გააჟრჟოლა, ბალიშზე მიწვა. ბრენდმა ფარდები მჭიდროდ ჩამოაფარა.

– აბა, ახლა დაისვენეთ, – უთხრა მან, – რომ გაიღვიძებთ, კარგად იქნებით. – მძიმე თავმა წინ წამოიწია, მარდას მოეჩვენა. საცაა ძროხა ყბას დააღებს და დაიბღავლებსო.

დამამშვიდებელმა წამალმა სწრაფად იმოქმედა. ავადმყოფი მოდუნდა. მალე მშვიდი სიბნელეც ჩამოდგა, მაგრამ ქალი მალევე გამოფხიზლდა, იმიტომ კი არა, რომ დამშვიდდა, არამედ იმიტომ, რომ მეორე საუზმე მას კნუტმა შემოუტანა. მომვლელ ბრენდს მორიგეობა უკვე დაემთავრებინა.

– რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ეს? – იკითხა მარდამ. იგი უკვე შეგუებოდა ამ ოინს. უსიზმრო ძილმა ენერგია და ცოტაოდენი რწმენა აღუდგინა. ჯანდაბას, თუ მისი თვალებისათვის ასეა საჭირო, ან სხვა რამ მიზეზის გამო იქცევიან ასე, რაც უნდათ, ის ქნან.

– რას გულისხმობთ, მისის უესტ? – ჰკითხა კნუტმა ღიმილით. ეს ქარაფშუტა არსება ლაპარაკის დროს პირს უცნაურად პრანჭავდა და თან ქუდზე ხშირ-ხშირად იკიდებდა ხელს.

– რას და, ამ გამოცდას ჩემს თვალებზე, – უპასუხა ავადმყოფმა და თეფშზე დადებულ მოხარშულ წიწილს სახურავი ახადა. – ვერავითარ აზრს ვერ ვხედავ ყოველივე ამაში, სასაცილოდ იხდით თავს, რა მიზანი გაქვთ? კნუტი სერიოზულად, თუ საერთოდ შეიძლება კნუტი სერიოზული იყოს, უცქერდა მას.

– მაპატიეთ, მისი უესტ, – თქვა მან, – ვერაფერი გავიგე, მომვლელ ბრენდს უთხარით, რომ ჯერ კიდევ ვერ ხედავთ კარგად?

– ვინ გითხრათ, რომ ვერ ვხედავ? – უპასუხა მარდა უესტმა, – ძალიანაც კარგად ვხედავ. აი, ეს სკამია, ეს მაგიდა. მე ახლა უნდა ´ ვჭამო მოხარშული წიწილი, მაგრამ აი, თქვენ, რატომ ჰგავხართ კნუტს, თანაც მეტიჩარა კნუტს?

იქნებ ძალზე მკაცრადაც უთხრა, მაგრამ გაუჭირდა ხმის სიმტკიცე შეენარჩუნებინა. მარდამ ხმით იცნო ეს მომვლელი,

იგი გვარად სვიიტინგი იყო და ეს გვარი კიდევაც შეეფერებოდა. მომვლელი კორგოლაჭებიან მაგიდას მოსცილდა.

– მაპატიეთ, თუ ჯერ არ ვიფხაჭნები, ჩემთვის არასოდეს დაუძახიათ კატა, – თქვა მან.

ფხაჭნა კარგი მოიგონა, ბრჭყალებიც ხომ ჰქონდა! მას შეეძლო ლომთან ეკრუტუნა დერეფანში, მაგრამ მარდა უესტი ნებას არ მისცემდა, მასთანაც იგივე ჩაედინა.

– მე არაფერს ვიგონებ, – თქვა ავადმყოფმა, – მე ვხედავ იმას, რაც ჩანს. თქვენ კატა ხართ, მომვლელი ბრენდი კი ძროხაა.

შეურაცხყოფა ახლა წინასწარგანზრახულივით ჟღერდა. მომვლელ სვიიტინგს მშვენიერი ულვაში აეჯაგრა.

– გეთაყვა, მისის უესტ, – ამოღერღა მან, – მიირთვით წიწილი და მეორე კერძს რომ მოისურვებთ, ზარი დამირეკეთ.

იგი ოთახიდან გაიძურწა. „კუდი რომ ჰქონდეს, მისტერ გრივზივით კი არ ააქიცინებდა, სიბრაზისაგან დაეკრუნჩხებოდა“, – გაიფიქრა მარდა უესტმა.

არა, მათ ნიღბები არ ეკეთათ. კნუტის გაოცება და გულისწყრომა სამართლიანი იყო. საავადმყოფოს მომსახურე პერსონალიც მხოლოდ ერთი პაციენტის – მარდა უესტის გულისათვის არ ჩაიდენდა ამას. ეს დიდ ხარჯში ჩააგდებდათ. ყველაფერი ლინზების ბრალი იყო. ეს ლინზები მათთვის დამახასიათებელი რაღაც თვისებებით სახეს უცვლიდნენ ადამიანებს.

უეცარმა აზრმა გაუელვა, გოროლაჭებიანი მაგიდა გვერდზე მიაგორა, საწოლიდან გადმოვიდა და ტუალეტის მაგიდისაკენ გაემართა. სარკიდან საკუთარი სახე შემოაცქერდა. მართალია, მუქი ლინზები თვალებს უფარავდა, მაგრამ სახე ხომ მისი იყო.

– ამისათვისაც მადლობა ღმერთს! – ჩაილაპარაკა, მაგრამ უცებ ისევ თვალთმაქცობაზე ჩაფიქრდა.

ის, რომ მისი სახე ლინზებითაც უცვლელი ჩანდა, უთუოდ შეთქმულებას ნიშნავდა და თავდაპირველი აზრიც ნიღბებზე

ნამდვილად სწორი იყო. რად დასჭირდათ ეს ყოველივე? ნუთუ შეთქმულება ქალის ჭკუაზე შესაშლელად იყო გამიზნული? ამგვარი აზრი მალევე უარყო, ყველაფერი ძალზე უცნაურად გამოიყურებოდა. ეს გახლდათ ლონდონის ფრიად რესპექტაბელური საავადმყოფო, მედპერსონალსაც კარგად იცნობდა. ქირურგი მაღალ საზოგადოებას ემსახურებოდა, გარდა ამისა, თუ ვინმეს მართლაც უნდოდა მისი ჭკუაზე შეშლა ან მოკვლა, წამლების საშუალებით ხომ უფრო მოახერხებდა ამას, ან სულაც ნარკოზის დიდ დოზას მისცემდნენ ოპერაციის დროს და გამოასალმებდნენ კიდეც სიცოცხლეს. საამისოდ ცხოველების ნიღბებს არავინ გამოიყენებდა.

ახლა სხვა რამ სცადა. ფანჯარასთან დადგა, ფარდას ამოეფარა და გამვლელებს დაელოდა. ცოტა ხანს არავინ ჩანდა ქუჩაში, მეორე საუზმის დრო იყო და ტრანსპორტიც შემცირებულიყო. მალე ქუჩის ბოლოში ტაქსმა ჩაიარა, მაგრამ სიშორის გამო ქალმა მძღოლის თავი ვერ დაინახა, დაელოდა, საავადმყოფოდან მეკარე გამოვიდა და კიბის საფეხურზე გაჩერდა. მისი ტახის თავი გარკვევით მოჩანდა, აქეთ-იქეთ იყურებოდა და ისე იქცეოდა, ვითომ არაფერიც არ მომხდარიყო, ნამდვილად კი ისიც შეთქმულების მონაწილე გახლდათ. მასთან ახლოს საბარგო მანქანა გაჩერდა, ქალი დააცქერდა, ჯერ ვერ დაინახა მძღოლი, მაგრამ... მანქანიდან რომ გადმოვიდა და საავადმყოფოსაკენ ნელა გამოემართა, მარდამ ნათლად დაინახა მამაკაცის ფიგურა მხრებში ჩამძვრალი ბაყაყის თავითა და გადმოკარკლული თვალებით.

ქალმა გულში მწვავე ტკივილი იგრძნო, ფანჯარა მიატოვა და საწოლს დაუბრუნდა. მადა არ ჰქონდა, თეფში გასწია და დარჩენილი წიწილისთვის პირი არ დაუკარებია. ზარი არ დაურეკავს, ისე შემოვიდა ვიღაც. ეს არ იყო კნუტი, ეს იყო პატარა დამლაგებელი სინდიოფალას თავით.

– ქლიავის ტორტს მიირთმევთ თუ ნაყინს, ქალბატონო?– ჰკითხა მარდას.

მარდა უესტს თვალები ნახევრად მოეხუჭა. მან თავი

გაიქნია. სინდიოფალამ გაუბედავი მოძრაობით აკრიფა ჭურჭელი და მორცხვად თქვა:

– მაშინ ყველს და ყავას მოგიტანთ.

სინდიოფალას თავი პირდაპირ უერთდებოდა კისერს. ეს ან საერთოდ არ იყო ნიღაბი, ანდა გენიალური ხელოვანის მიერ შექმნილ საოცრებას წარმოადგენდა, რადგან უბრალო ნიღაბი ასე ვერ შეეხორცებოდა კანს, სხეულს.

– მხოლოდ ყავა, – წარმოთქვა მარდა უესტმა.

სინდიოფალა გაუჩინარდა. მალე კვლავ გაისმა კარზე კაკუნი და ისევ გამოჩნდა კნუტი, მას ზურგი თაღივით ამობურცვოდა და ბეწვი აშლოდა, ხმისამოუღებლად დადგა ყავიანი ფინჯანი მაგიდაზე. მარდა უესტი გაღიზიანდა, რადგან თუ ვინმე მართლა უნდა გამწყრალიყო, ეს თვითონ მარდა უესტი იყო და მან ენამწარედ მიმართა კნუტს: ცოტაოდენი რძე ხომ არ დაგისხათ ლამბაქზეო.

კნუტი შემობრუნდა:

– ხუმრობა ხუმრობაა, მისის უესტ, მეც შემიძლია სიცილი, მაგრამ უხეშობას ვერ ავიტან.

– მიაუ! – გამოაჯავრა მარდამ.

კნუტი ოთახიდან გავიდა. არავინ, თვით სინდიოფალაც კი აღარ მოსულა ყავის ჭურჭლის წასაღებად. მარდა მათ ცუდად მოექცა, მაგრამ ამას არ დაგიდევდათ. თუ მომსახურე პერსონალს ეგონა, რომ ბრძოლას მოიგებდა, ძალიან ცდებოდა. ქალი ისევ ფანჯარასთან მივიდა და გადაიხედა. ორ ჯოხზე დაყრდნობილ ხნიერ ვირთევზას ტახისთავიანი მეკარე მანქანაში ჩაჯდომას შველოდა. არა, ეს არ შეიძლება შეთქმულება ყოფილიყო, რადგან ქვემოთ მყოფებს არ შეეძლოთ სცოდნოდათ ის, რომ მარდა მათ უკალთაკალებდა. იგი ტელეფონთან მივიდა და კომუტატორს სთხოვა, ქმრის სამსახურთან დაეკავშირებინა. უცებ გაახსენდა, რომ ქმარი შეიძლება სასაუზმოდ ..ფილიყო გასული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც აკრიფა ნომერი და ჯიმიც, საბედნიეროდ, ადგილზე აღმოჩნდა.

– ჯიმ, ჯიმ, ძვირფასო.

– გისმენ!

რა შვება იყო საყვარელი, ნაცნობი ხმის გაგონება. ქალი გულაღმა იწვა ლოგინზე და ყურმილი ისე ეკავა.

– ძვირფასო, როდის მოხვალ?

– ვშიშობ, საღამომდე ვერ მოვალ, ჯოჯოხეთური დღეა, ერთ საქმეს მეორე მოსდევს. ჰო, მართლა, შენ როგორა ხარ? ყველაფერი რიგზეა?

– ყველაფერი არა.

– რას გულისხმობ, ვერ ხედავ? გრიეზმა ხომ არაფერი აურია?

როგორ უნდა აეხსნა, რა დაემართა. ტელეფონით ისე სულელურად ჟღერდა ყველაფერი.

– ვხედავ, ძალიან კარგად ვხედავ, მხოლოდ ერთი რამაა... ყველა მომვლელი ცხოველს ჰგავს და გრიეზიც ასევე. ის ფოქსტერიერია, ერთ-ერთი იმ პატარა ჯეკ რასელთაგანი, მელიებს რომ მიუქსევენ ხოლმე სოროსთან.

– რაებს ლაპარაკობ?

ჯიმი იმავე დროს თავის მდივანს ეუბნებოდა რაღაცას და ქალი მისი ხმის კილოზე მიხვდა, რომ ქმარი დაკავებული იყო, ძალიან დაკავებული და დასარეკად ცუდი დრო აირჩია.

– რა ჯეკ რასელიო, რას ამბობდი?

მარდა მიხვდა, აზრი არ ჰქონდა ახლა ამ თემაზე ლაპარაკს. ქმრის მოსვლამდე უნდა მოეცადა, მერე კი ყველაფერს აუხსნიდა და ქმარიც შეეცდებოდა მდგომარეობაში გარკვეულიყო.

– არაფერს, – უპასუხა მარდამ, – მერე გეტყვი.

– მაპატიე, – უთხრა ქმარმა, – ნამდვილად არა მცალია, თუ ლინზები არ გშველის, ვინმეს უთხარი, მომვლელებს ან მნეს.

– კარგი, – უპასუხა ქალმა, – კარგი.

მარდამ ყურმილი დაკიდა, ტელეფონის აპარატი გადადგა და ჯიმს რომ დარჩა, ის გაზეთი აიღო. მარდამ სიხარულით აღმოაჩინა, რომ კითხვა თვალებს არ უზიანებდა. ლურჯი ლინზებიც სწორად აჩვენებდნენ, რადგან ქალებისა და მამა-

კაცების ფოტოები ნორმალურად გამოიყურებოდა, მექორწინე წყვილები, სოციალური მოვლენები, დებიუტანტები, ყველაფერი ჩვეულებრივი იყო. მხოლოდ აქ, საავადმყოფოში და გარეთ, ქუჩაში ჩანდნენ ადამიანები სხვანაირი.

შუადღე კარგახანს გადასული იყო, მნე რომ შემოვიდა. ის რომ მნე იყო, მარდა მისი ტანსაცმლით მიხვდა. ქალს ახლა საკვებით ბუნებრივად მოეჩვენა ის, რომ შემოსულს ცხვრის თავი ება.

– იმედი მაქვს, საკმაოდ დამშვიდებული ბრძანდებით, მისის უესტ.

ფრთხილი დაკითხვის კილო გაისმა მის ხმაში – დაეჭვებულ ბღავილში.

– დიახ, გმადლობთ.

მარდა უესტიც ფრთხილად ლაპარაკობდა. არ იყო საჭირო შეშფოთება. რაოდენ დიდი შეთქმულებაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც აჯობებდა, თუ არ გააღიზიანებდა ცხვარს.

– ლინზებს კარგად ხმარობთ?

– ძალიან კარგად.

– ძალზე მოხარული ვარ, მეტად რთული ოპერაცია იყო და თქვენც ასე კარგად გაუძელით ლოდინს.

„აჰაა, მეპირფერება, – გაიფიქრა ავადმყოფმა, – ეჭვი არ არის, ეს პირფერობაც იმ თამაშის ნაწილია“.

– მისტერ გრივზმა თქვა, რამდენიმე დღეში მუდმივ ლინზებს ჩავუსვამო.

– მეც ასე მითხრა.

– ალბათ გული გწყდებათ, ფერს რომ ვერ არჩევთ, არა?

– რასაც ვხედავ, ისიც დიდ შვებას მანიჭებს.

ეს რეპლიკა მანამდე წამოსცდა სანამ გაიაზრებდა რამეს. მნემ კაბა შეისწორა. „რომ იცოდე, რას ჰგავხარ, თანაც ზონარი რომ შეგიბამს მაგ ცხვრის კისერზე, მაშინ მიხვდებოდი, რასაც ვგულისხმობ, – გაიფიქრა ქალმა.

– მისის უესტ, – მნე ეტყობა უხერხულობას გრძნობდა, ამიტომ მიიბრუნა ცხვრის თავი, – მისის უესტ, იმედი მაქვს,

არ გეწყინებათ, რის თქმასაც ახლა ვაპირებ. ჩვენი მომვლელები ძალიან კარგად მუშაობენ და ჩვენც ძალიან ვამაყობთ მათით. ისინი, როგორც თვითონვე მოგეხსენებათ, ბევრს შრომობენ და ნამდვილად უხერხულია მათი დაცინვა. მე მაინც მგონია, რომ თქვენ მხოლოდ ეხუმრეთ მათ.

ბეე... ბეე... ბღავილად ისმოდა მისი ხმა. მარდამ მაგრად მოკუმა ტუჩები.

– ამას იმიტომ მეუბნებით, მომვლელ სვიიტინგს კნუტი რომ ვუწოდე?

– მე არ ვიცი, რა უწოდეთ, მისის უესტ, ერთი კია, იგი საკმაოდ ნაწყენი და ატირებული მოვიდა ჩემთან.

„უნდა გეთქვა აკნავლებულიო, – გაიფიქრა მარდამ, კნავილითა და ფხაჭნით მოვიდოდა, მისი პატარა მარჯვე თათები ხომ ნამდვილი ბრჭყალებია“.

– ეს აღარ განმეორდება.

მარდამ გადაწყვიტა აღარაფერი ეთქვა, მისი ბრალი სულაც არ იყო, რომ გამრუდებული ლინზები ჩაუსვეს, არც ამგვარი ოინბაზობის ატანის სურვილი ჰქონია.

– ალბათ ძალზე ძვირი ჯდება ასეთი საავადმყოფოს შენახვა, – გააგრძელა ქალმა.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა მნემ, ანუ ცხვარმა, – მაგრამ საქმეს დიდად გვიიოლებს ჩვენი მომსახურე პერსონალისა და ავადმყოფების შესანიშნავი ურთიერთდამოკიდებულება.

ეს შენიშვნა მარდას გულში მოსახვედრად იყო გამიზნული. ცხვარიც კი თავს ესხმოდა.

– მნევ, – მიმართა მარდა უესტმა, – მოდით, გულახდილნი ვიყოთ ერთმანეთთან, რა მიზანი აქვს ყოველივე ამას?

– რას, მისის უესტ?

– ამ ოინბაზობას, ამ ნიღბებს, – როგორც იქნა, თქვა სათქმელი. თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად მარდამ მნეს ქუდზე მიუთითა, – აი, თუნდაც, ეს, რატომ იკეთებთ ნიღბებზე ასეთ წვრილმანებს? ეს ხომ სასაცილოც არ არის?

სიჩუმე ჩამოვარდა, მნემ, რომელიც საუბრის გაგრძელებას

აპირებდა, აზრი შეიცვალა, წამოდგა და ნელა გაემართა კარისაკენ.

– ჩვენ, წმინდა ჰილდას პანსიონში აღზრდილები, ძალზე ვამაყობთ ჩვენი ემბლემებით, – თქვა მან, – მისის უესტ, იმედი მაქვს, აქედან რომ წაბრძანდებით რამდენიმე დღეში, უკან გაცილებით დიდი მადლიერების გრძნობით მოიხედავთ.

იგი ოთახიდან გავიდა. მარდა უესტმა ის გაზეთი აიღო, წელან რომ მოისროლა. ისევ გაურკვეველი დარჩა ყველაფერი. ქალმა თვალები დახუჭა, მერე გაახილა, მერე ისევ დახუჭა. სკამი რომ სოკოდ გადაქცეულიყო, ანდა მაგიდა თივის ზვინად, მაშინ ლინზებს დაბრალდებოდა ყველაფერი. მხოლოდ ადამიანები რატომ იცვლებოდნენ? რა დაემართათ? ჩაი რომ შემოუტანეს, თვალი არ გაუხელია. არც მაშინ გაახილა, ვიღაცის ხმამ ტკბილად რომ ამცნო, ყვავილები მოგართვესო. დზელოდა, როდის დატოვებდა ოთახს ხმის პატრონი. წითელი მიხაკები მოეტანათ, ჩვეულებრივი წითელი მიხაკები, სუნიც მშვენიერი ჰქონდა. პონისთავიანი მომვლელი ყვავილების წყალში ჩასადებად შემოვიდა. მარდა არ გაუღიზიანებია მის გარეგნობას. ბოლოს და ბოლოს ეს იყო პატარა წესიერი პონი, შუბლზე თეთრი ვარსკვლავით. რინგზე რომ გამოსულიყო, ნამდვილად გაიმარჯვებდა.

– გმადლობთ, – გაიღიმა მარდა უესტმა.

ეს უცნაური დღე უსასრულოდ გაგრძელდა და ქალი ახლა მოუთმენლად ელოდა რვა საათის შესრულებას. დაიბანა, ღამის პერანგი გამოიცვალა და თმა დაივარცხნა. მერე ფარდები დაუშვა და მაგიდის ნათურა აანთო. უცნაური მოუსვენრობა დაეუფლა. ამ მშოფთვარე დღეს რამდენჯერმე გაახსენდა მომვლელი ენსელი, ძკირფასი, ნუგეშისმცემელი, მომაჯადოებელი მომვლელი ენსელი, რომელიც იმ ღამეს სამორიგეოდ უნდა მოსულიყო. მასაც თუ ეკეთებოდა ნიღაბი, მარდა მივიდოდა მასთან, ხელებს მხრებზე დააწყობდა, მერე მის ნიღაბს ორივე ხელში მოიქცევდა და ეტყოდა, – აბა, ახლავე მოიცილეთ ეს საძაგლობა, ვერ მომატყუებთ. მაგრამ თუ ლინზების ბრალი

იყო ყოველივე, მაშინ როგორღა აუხსნიდა თავის მდგომარეობას?

მარდა ტუალეტის მაგიდასთან იჯდა და რაღაც საცხს ისვამდა სახეზე. კარი ისე გაიღო, არ გაუგია, მხოლოდ კარგად ნაცნობი ნაზი და შემპარავი ხმა შემოესმა, – ადრე მინდოდა მოსვლა, მაგრამ ვერ გავბედე, არ მინდოდა, არასერიოზულად ჩაგეთვალეთ, – და სარკეში აირეკლა გველის მოგრძო თავი, მოქანავე კისერი და წვეტიანი ენა, რომელსაც დროდადრო ასავსავებდა. გველი მის ზურგს უკან იდგა.

მარდა უესტი არ განძრეულა. ანგარიშმიუცემლად განაგრძო ლოყაზე საცხის წასმა. გველი მოუსვენრად იყო, ბრუნავდა, იკლაკნებოდა, თითქოსდა ამოწშებდა საცხის ქილებს, სუნამოსა და ფხვნილებს.

– როგორი გრძნობაა საკუთარი თავის ხელახლა დანახვა?

მომვლელი ენსელის ხმა, ამ თავიდან რომ გამოდიოდა, გროტესკულიც იყო და საშინელიც, ლაპარაკის დროს მისი მოძრავი ენა შემაძრწუნებლად სავსავებდა. მარდა უესტმა გულისრევა იგრძნო, ყელში რაღაც მოაწვა და უეცრად მართლა აერია გული. შებარბაცდა, მომვლელის მტკიცე ხელებმა ძლიერად ჩაბღუჯეს. ქალი გაჭირვებით გაემართა ლოგინისაკენ. იწვა და თვალები დაეხუჭა, გული აღარ ერეოდა.

საბრალოვ, რა დაგალევინეს, ხომ დამამშვიდებელი წამალი იყო? თქვენი ავადმყოფობის ისტორიაში ვნახე.

ეს სიკეთით სავსე ხმა, ასე მშვიდი და წყნარი შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ მას, ვისაც კარგად ესმოდა მარდასი. ავადმყოფი თვალს არ ახელდა, ვერ ბედავდა, იწვა საწოლზე და იცდიდა.

– ძალიან გადაიღალეთ, დღეს პირველი დღეა და უფრო მშვიდად უნდა ჰყოლოდით. მნახველები გყავდათ?

– არა.

– მითუმეტეს, კარგად უნდა დაგესვენათ. ძალზე ფერმკრთალი ხართ. მისტერ უესტმა ასეთ მდგომარეობაში არ უნდა გნახოთ, ლამის დავურეკო და ვთხოვო, დღეს არ მოვიდეს.

არა! ძალიან გთხოვთ... მე მისი ნახვა მინდა, უნდა

ვნახო!

შიშმა ისევ გაახელინა თვალი, მაგრამ იმავ წამს ისევ დაეუფლა გულისრევის გრძნობა, რადგან გველის თავი ადრინდელზე მეტად ამოზიდულიყო მომვლელის საყელოდან. მარდამ პირველად ახლა დაინახა მისი ქინძისთავისოდენა ბოროტი თვალები და ხრახნივით დახვეული კისერი. კივილი რომ ჩაეხშო, სასოწარეკვეთილმა ქალმა სწრაფად აიფარა პირზე ხელი.

მომვლელი ენსელის შეწუხებული ხმა ჩაესმა:

– რაღაცამ ძალიან გაწყინათ, ეს დამამშვიდებლის ბრალი არ უნდა იყოს, ადრეც ხომ ბევრჯერ დაგილევიათ. სადილად რა გქონდათ დღეს?

– შებოლილი თევზი, არ მშიოდა.

– ნეტავ ახალი თუ იყო, ვნახავ, სხვასაც ხომ არავის აწყინა? წყნარად იწექით, ძვირფასო, და ნურაფერზე იღელვებთ.

კარი ფრთხილად გაიღო და ისევ დაიხურა. მარდა უესტი არ დაემორჩილა მომვლელის დარიგებას და საწოლიდან გადმოვიდა. პირველივე იარაღი, რაც ხელთ მოხვდა, ფრჩხილების მაკრატელი იყო, აიღო, მერე ისევ დაწვა და მაკრატელი ზეწრის ქვეშ დამალა. გული აჩქარებით უცემდა, ელვის უსწრაფესად შეეცვალა გრძნობები. ახლა სრულიად დარწმუნდა, რომ ყველაფერი, რაც ხდებოდა, სინამდვილე იყო. ბოროტ ძალას მოეცვა საავადმყოფო და მისი მკვიდრნი: მომვლელები, მნე, ექიმები, მისი ქირურგი, ყოველი მათგანი გარეული იყო ამ ამბავში, ყველანი მონაწილენი იყვნენ რაღაც უდიდესი დანაშაულისა, რომლის მიზანიც გაურკვეველი იყო. აქ, აფფერ ვოლტინგ სტრიტზე საძაგელი შეთქმულება მზადდებოდა და მარდა უესტი ამ თამაშში ერთ-ერთი პაიკი იყო. თუ დასჭირდებოდათ, იარაღადაც კი გამოიყენებდნენ.

ერთი რამ ნამდვილად იცოდა, არავის უნდა გაეგო ქალის ეჭვის შესახებ. მომვლელ ენსელსაც ძველებურად უნდა მოქცეოდა. ფეხის ერთი დასხლტომა და, წასული იყო მისი საქმე. თავი ისე უნდა მოეჩვენებინა, ვითომ უკეთ იყო. გულისრევას არ

უნდა დაეძლია, თორემ მომვლელი ენსელი მისკენ დაიხ-
რებოდა თავისი გველის თავითა და საესავა ენით.

კარი გაიღო, ენსელი დაბრუნდა. მარდა უესტმა საბნის ქვეშ ხელები მომუშტა, მერე თავს ძალა დაატანა და გაიღიმა.

– რა ცუდი ვარ, – თქვა მან, – თავბრუ დამეხვა, ახლა უკეთ ვარ.

სრიალა გველს ხელში ბოთლი ეჭირა. იგი პირსაბანთან მივიდა, წამლის ჭიქა აიღო და სამი წვეთი დაასხა.

– ეს ყველაფერს მოაგვარებს, მისის უესტ, – უთხრა მან და ავადმყოფი ისევ შებოჭა შიშმა, რადგან მუქარად ჩაესმა ეს სიტყვები. „ეს ყველაფერს მოაგვარებსო“, რას მოაგვარებს? იქნებ მის სიკვდილს? ხსნარს ფერი არ ჰქონდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა. მარდამ გამოწვდილი წამლიანი ჭიქა გამოართვა და თან იეშმაკა:

– სუფთა ცხვირსახოცს ხომ ვერ მომიძებნით კარადაში?

– რა თქმა უნდა!

გველმა თავი როგორც კი მიაბრუნა, მარდა უესტმა ჭიქაში მდგარი სითხე იატაკზე დააქცია და მოჯადოებულივით მიაცქერდა მოქანავე თავს, კარადაში რომ ეძებდა ცხვირსახოცს. გველი საწოლს მიუახლოვდა. მარდას სუნთქვა შეეკრა, ახლაღა შენიშნა, რომ მისი კისერი ისეთი გლუვი და პრიალა სულაც არ იყო, პირველად რომ მოეჩვენა, კანი ქერცლსა და ზოლებს დაეფარა მთლიანად. უცნაური კი იყო, მაგრამ მომვლელს ქუდი უშნოდ სულაც არ ეხურა, ისე შეუფერებლად არ წამოესკუპებინა თავზე, როგორც კნუტს, ცხვარს ან ძროხას.

ქალმა ცხვირსახოცი გამოართვა.

– მე თქვენ მაშფოთებთ ასეთი დაჟინებული მზერით, – გველის ხმა მოესმა, – ჩემი ფიქრების გამოცნობას ხომ არ ცდილობთ?

მარდა უესტმა არ უპასუხა შეკითხვას, რომელსაც შესაძლოა მახეში გაება იგი.

– მითხარით, – განაგრძო ხმამ, – იმედი ხომ არ გაგიცრუ-ეთ? ისე გამოვიყურები, როგორც გყავდით წარმოდგენილი?

ისევ მახე. მარდა ფრთხილად უნდა ყოფილიყო.

– მგონი კი, – თქვა ქალმა გაუბედავად, – მაგრამ ქუდი მიშლის, თქვენს თმას ვერ ვხედავ.

მომვლელმა ენსელმა გაიცინა იმ ხმადაბალი, რბილი სიცილით, ასე დამატყვევებელი რომ ეჩვენებოდა მარდას თავისი სიბრმავის გრძელი კვირების მანძილზე. მომვლელმა ხელები ასწია და იმავ წუთს მთლიანად გამოჩნდა გველგესლას სამკუთხა თავი.

– მოგწონთ? – იკითხა მან.

მარდა უესტი ბალიშს გაეკრა, კიდევ ერთხელ დაატანა თავს ძალა და გაიღიმა.

– მშვენიერია, – თქვა მან, – ნამდვილად მშვენიერი.

ქუდი თავის ადგილს დაუბრუნდა, კისერი დაეხვა და საყელოში ჩაიმალა. მომვლელმა ავადმყოფს ჭიქა გამოართვა და ისევ პირსაბანზე დადგა. მან ყველაფერი არ იცოდა.

– შინ რომ წამოგყვებით, სამსახურის ფორმას აღარ ჩავიცვამ, თუ თქვენ არ გენდომებათ. იქ თქვენ ჩემი ერთადერთი პაციენტი იქნებით, მე კი თქვენი პირადი მომვლელი მთელი კვირის მანძილზე.

მარდა უესტს უეცრად გააცია. მთელი დღის ღელვაში ეს ამბავი სრულიად დავიწყებოდა. მომვლელი ერთი კვირა მის ოჯახში უნდა ყოფილიყო და ეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ. ახლა მთავარი იყო, შიში არ გამოეხატა. თავი ისე უნდა დაეჭირა, ვითომ ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. და მერე, ჯიმი რომ მოვიდოდა, ქალი მას ყველაფერს უამბობდა. თუ ქმარი გველის თავს ვერ დაინახავდა (სავსებით შესაძლებელი იყო, ასეც მომხდარიყო, რადგან ქალის ასეთი ზემხედველობა შესაძლოა ლინზებით ყოფილიყო გამოწვეული), იმას მაინც უმალ მიხვდებოდა, რატომ აღარ ენდობოდა მარდა მომვლელ ენსელს და რატომ ვერ აიტანდა თავის სახლში მის ყოფნას. ძველი გეგმა უნდა შეცვლილიყო. მარდას აღარ სურდა მომვ-ლელი, მას ქმართან განმარტოება უნდოდა საკუთარ ოჯახში.

წინ, მაგიდაზე ტელეფონმა დარეკა. მარდა ყურმილს ისე

დასწვდა, თითქოს შველას ელოდაო მისგან. ქმარი ურეკავდა.

– მაპატიე დაგვიანებისათვის, – უთხრა ჯიმმა, – ახლავე ჩაეხტები ტაქსში და უმალ შენთან გაეჩნდები. ვექილმა დამაკავა აქამდე.

– ვექილმა?

– კი, ფორბსი და მელვილი თუ გახსოვს, თანხის მინდობილობის შესახებ.

ქალს აღარ ახსოვდა. ოპერაციამდე ბევრს კამათობდნენ ფინანსურ საკითხებზე, ბევრჯერ უთანხმოებაც მოსვლიათ, მერე კი ჯიმმა მთელი ბიზნესი ფორბსის და მელვილის ხალხს ჩაუგდო ხელში.

– კი, მახსოვს, მოაგვარე?

– მგონი კი. მოვალ და ყველაფერს გეტყვი.

ჯიმმა ყურმილი დადო. მარდამ ზემოთ აიხედა, გველი მას მისჩერებოდა. „ეჭვიც არ მეპარება, – გაიფიქრა მარდა უესტმა, – ეჭვიც არ მეპარება, რომ ძალიან გინდა გაიგო, რას ველაპარაკებოდით ერთმანეთს“.

– უნდა დამპირდეთ, რომ ძალიან არ აღელდებით, როცა მისტერ უესტი მოვა, – მომვლელი ენსელი იდგა და ხელი კარის სახელურზე ეკიდა.

– მე არ ვღელავ, უბრალოდ, ძალიან მინდა მისი ნახვა, ეს არის და ეს.

– ძალზე აწითლებული ხართ.

– აქ ცხელა და იმიტომ!

დახვეული კისერი ზევით აიწელა და ფანჯრისაკენ მიბრუნდა. მარდა უესტმა გველს მოუსვენრობა შეატყო. ქვეწარმავალმა ნამდვილად რაღაც იყნოსა, მან იცოდა, არ შეიძლება ვერ მიმხვდარიყო, რომ მასსა და ავადმყოფს შორის ურთიერთობა შეიცვალა.

– ფანჯარას ოდნავ გამოვაღებ.

„შენ რომ ტანიც გველისა გქონდეს, ნამდვილად რამენაირად დაგისხლტებოდი ხელიდან, მაგრამ ყელზე რომ შემომხვეოდი და დაგეხრჩვე?“

გველმა ფანჯარა გამოაღო, მერე ცოტა ხანს შეიცადა, იქნებ ავადმყოფმა ერთი-ორი სამადლობელი სიტყვა მითხრასო, თან კისერს აყელყელავებდა. მერე კისერი ისევ ჩაძვრა საყელოში, ენა უფრო სწრაფად ასავსავდა, მომვლელი ენსელი ოთახიდან გასრიალდა.

მარდა უესტი ქუჩიდან ტაქსის ხმას ელოდა. იქნებ დაეყოლიებინა ჯიმი ღამე საავადმყოფოში დარჩენილიყო. თუ ქალი თავის შიშს, თავის შეშფოთებას აუხსნიდა ქმარს, იგი, რა თქმა უნდა, ყველაფერს მიხვდებოდა. მარდა უმალ შეატყობდა ჯიმს, თუკი ის რაიმე ხიფათს იგრძნობდა. ქალი ზარს დაურეკავდა მომვლელ ენსელს, ვითომ რაღაცის შეკითხვა უნდოდა. მომვლელი რომ შემოვიდოდა, ქმრის გამომეტყველებით, მისი ხმის კილოთი გამოიცნობდა, ხედაედა თუ არა ჯიმი იგივეს, რასაც თვითონ.

ტაქსი, როგორც იქნა, მოვიდა. მარდამ მანქანის კარის ჯახუნი გაიგონა, მალე ჯიმის ნაბიჯების ხმაც გაისმა. ტაქსი წავიდა. ჯიმი ალბათ ლიფტით ამოვიდოდა. გულმა ძალუმად დაუწყო ძგერა. კარს მიაჩერდა. ჯერ ფეხის ხმა გაიგონა, მერე ლაპარაკიც მოესმა, მისი ქმარი, შესაძლოა, გველს ელაპარაკებოდა. მარდა მალე გაიგებდა, ნახა თუ არა ჯიმმა გველის თავი. კაცი ან სანახაობით შეძრწუნებული შემოვიდოდა, ანდა სიცილით გამოაცხადებდა, რომ ეს ყველაფერი ხუმრობა იყო. რატომ არ ჩქარობდა? რატომ აყოვნებდა? ან ჩუმად რატომ საუბრობდნენ?

კარი გაიღო. ჯერ ნაცნობი ქოლგა და ცილინდრი გამოჩნდა, შემდეგ ახოვანი ფიგურა და უცებ... ღმერთო,... არა... ჯიმი მაინც არა! ნუთუ ჯიმიც აიძულეს ნიღაბი გაეკეთებინა, ნუთუ ისიც ჩაითრიეს დემონების, თვალთმაქცების წრეში... ჯიმს სვავის თავი ება. ქალი არ ცდებოდა. სვავს დაბინდული თვალები ჰქონდა, ნისკარტზე სისხლი ეცხო და ზედ ხორცის ნაფლეთები შერჩენოდა. მარდა ხმაჩავარდნილი, ზარდაცემული იწვა. კაცმა ქოლგა კუთხეში მიაყუდა, ქუდი და გადაკეცილი პალტო იქვე დადო.

– მგონი კარგად არ უნდა იყო, – კაცმა სვავის თავი ქალისაკენ მიაბრუნა და მიაჩერდა, – შეუძლოდ ხარ? თავს დიდხანს არ შეგაწყენ. ერთი კარგი ძილი ამაღამ გამოაკეთებს.

ქალს ენა ჩავარდნოდა და ვერაფერს პასუხობდა. ქმარი რომ საწოლთან მივიდა და საკოცნელად დაიხარა, არც განძრეულა. სვავს წვეტიანი ნისკარტი ჰქონდა.

– მომვლელი ენსელი ამბობს, ასეთი რამ ხდება ხოლმეო. ეს არის ხელახლა დანახვის უეცარი ელდა. ადამიანებზე სხვადასხვანაირად მოქმედებს. მომვლელმა თქვა, შინ რომ წავიყვანთ, უკეთესად გახდებაო.

„წამიყვანენ... მომვლელი ენსელი და ჯიმი“, – შეთანხმება ისევ ძალაში რჩებოდა.

– არ ვიცი, – ძლივს გასაგონად თქვა ქალმა, – მინდა კი მომვლელის წამოყვანა?

– როგორ, მომვლელი ენსელი არ გინდა? – შეშფოთდა ქმარი, – შენ თვითონ არ შესთავაზე წამოსვლა? ასე უეცრად გადათქმა არ შეიძლება.

პასუხის დრო აღარ იყო. მარდას ზარი არ დაურეკავს, ისე შემოვიდა ოთახში მომვლელი და ყავას ხომ არ ინებებთ, მისტერ უესტ-ო, იკითხა. ენსელი საღამოობით ყოველთვის სთავაზობდა ხოლმე ჯიმს ყავას, მაგრამ ამ საღამოს ეს შეთავაზება უცნაურად ეღერდა, თითქოს ამ საკითხზე გარეთვე შეთანხმდნენო.

– გმადლობთ, სიამოვნებით, მგონი, აღარ აპირებთ ჩვენთან წამოსვლას, – მიუტრიალდა სვავი გველს. გველის თავი ამოიკლაკნა. მარდა უესტი უყურებდა მის მოძრავ ენას, მამაკაცის მხრებში მოკუნტულ სვავის თავს, და უცებ გაახსენდა, რომ მომვლელის შინ წაყვანა მხოლდო მისი იდეა არ იყო, ახლაღა მოაგონდა, რომ თვითონ მომვლელმა ენსელმა შესთავაზა გაყოლა. ეს კი სწორედ იმ საღამოს მოხდა, ჯიმი რომ მოვიდა- ბევრი იხუმრა და ბევრიც აცინა თვალებშეხვეული, ბედნიერი ცოლი. ახლა, როცა ამ სრიალა გველგესლას ბრტყელ ქუდში ჩამალულ თავს უცქერდა, მან უკვე კარგად იცოდა, რად უნდოდა მომვლელ

ენსელს მათთან წასვლა, ისიც კარგად იცოდა, რატომ არ იყო წინააღმდეგი ჯიმი და მაშინვე რატომ მიიღო და მოიწონა ეს წინადადება.

სვავმა სისხლიანი ნისკარტი დააღო:

– თქვენ ხომ არ იჩხუბეთ?

– რას ბრძანებთ! – გველს კისერი დაეკლაკნა, გვერდულად შეხედა სვავს და დაუმატა, – მისის უესტი ცოტა გადაიღალა ამ საღამოს, დღეს გამოსაცდელი დღე ჰქონდა, ასე არ არის, ძვირფასო?

.როგორ ეპასუხა? არავის უნდა სცოდნოდა რამე, არც სვავს, არც გველს, არც მის ირგვლივ, მის სიახლოვეს მყოფ საშინელ მხეცებს უნდა ეგრძნოთ რამე, არც არასოდეს უნდა გაეგოთ ქალის ფიქრები.

ის ორნი, ერთმანეთისადმი სიმპათიით განმსჭვალულნი, უსიტყვოდ საუბრობდნენ, ეს კი, როგორც მარდა ხედებოდა, ყველაზე საშიში რამ იყო, რამეთუ, ცხოველებს, ფრინველებს და ქვეწარმავლებს სულაც არ სჭირდებოდათ სიტყვების რახარუხი, ისინი მოძრაობებითა და მზერით აგებინებდნენ ერთმანეთს ყველაფერს. იქნებ არც გაემეტებინათ ქალი. საზარელი შიშის მიუხედავად, მარდას მაინც უნდოდა ეცოცხლა.

– ახლა არ შეგაწუხებ ამ საბუთებით, – უთხრა სვავმა, – სულაც არ არის საჩქარო, შინაც შეიძლება მოაწერო ხელი.

– რა საბუთებით?

თვალს თუ არ გაახელდა, აღარც სვავის თავის დანახვა დასჭირდებოდა, ხმა კი ჯიმისა იყო, მყარი და დამაჯერებელი.

– მინდობილობის თანხის ფურცლებია, „ფორბსი და მელვილმა“ მომცა, თანაც საფინანსო ფონდის თანადირექტორობა შემომთავაზეს.

ეს სიტყვები ქალს გულში მოხვდა და მეხსიერების ის ძაფი შეარხია, ოპერაციამდელ დღეებს რომ უკავშირდებოდა; ყოველივე ამას მის თვალებთან ჰქონდა რაღაც კავშირი. თუ ოპერაცია წარმატებით არ დამთავრდებოდა, ამ ქაღალდების დამოწმებაშიც შეეშლებოდა ხელი.

– კი მაგრამ, რატომ? – იკითხა მარდამ გაბზარული ხმით, – ბოლოს და ბოლოს ეს ხომ ჩემი ფულია?

კაცმა გაიცინა, მარდა ამ ხმისაკენ მიტრიალდა და მზერით ღია ნისკარტს წააწყდა. ნისკარტი საოცრად ჰგავდა მახეს, რომელიც უცებ დაიხურა.

– რა თქმა უნდა, შენია, – უპასუხა ქმარმა, – მთავარი ეს არ არის, საქმე ისაა, რომ თუ ავად გახდები, ან სადმე წახვალ, უფლება მექნება შენს მაგიერ მოვაწერო ხელი.

მარდა უესტმა გველს შეხედა. გველი შეგნებულად ჩაიგრაგნა საყელოში და კარისაკენ გასრიალდა.

– დიდხანს ნუ დარჩებით, მისტერ უესტ, – წაილუღლუღა მომვლელმა ენსელმა, ჩვენმა ავადმყოფმა ამაღამ კარგად უნდა დასვენოს.

იგი ოთახიდან გაიკლაკნა და მარდა უესტი მარტო დატოვა თავის სვავ ქმართან.

– არც სადმე წასვლას ვაპირებ და არც ავად გახდომას, – თქვა ქალმა.

– ნამდვილად ასეც იქნება, ახლა ამისი დრო არ არის, უბრალოდ, ეს ყმაწვილები ყოველთვის ფრთხილობენ. მაგრამ მე ახლა ამით არ დაგღლი.

ნუთუ შესაძლებელი იყო, ასე საოცრად შეცვლოდა კაცს ხმა? ხოლო ხელი, პალტოს ჯიბეში რომ ტენიდა საბუთებს, კლანჭებად გადაქცეოდა. შეიძლება უფრო დიდი საშინელებაც მომხდარიყო, სხეულებიც შეცვლოდათ ამ ნახევრად ცხოველებს: ხელ-ფეხი ფრთებად, ბრჭყალებად, ჩლიქებად, ტორებად ქცეოდათ და აღარაფერი დარჩენოდათ ადამიანისა. საბოლოოდ, ადამიანურ ხმასაც რომ დაკარგავდნენ, ქალი ყოველგვარი იმედისაგან დაიცლებოდა. ირგვლივ ყოველივე ჯუნგლებად გადაიქცეოდა, უამრავი ყელიდან ამოსული ათასნაირი ღრიანცელი და ყმუილი გააყრუებდა მიდამოს.

– შენ რა, საბოლოოდ თქვი უარი მომვლელი ენსელის წამოყვანაზე? – ჰკითხა ჯიმმა.

მარდა ჩუმად უცქერდა სვავს, რომელიც ფრჩხილებს იქნიდა.

ჯიმი ქლიბს მუდამ ჯიბით ატარებდა, მარდას არასოდეს მიუქცევია ამისთვის ყურადღება, რადგან ჯიმისათვის ქლიბიც ისეთივე განუყრელი საგანი იყო, როგორიც ავტოკალამი ანდა ჩიბუხი. ახლა უკვე სხვანაირად შეხედა მას ქალმა. სვავს თავისი მსხვერპლის გასაფატრად სჭირდებოდა ბასრი კლანჭები.

– არ ვიცი, – უპასუხა მარდამ, უაზროდ მიმაჩნია მომვლელის შინ წაყვანა ახლა, როცა უკვე ვხედავ.

ქმარმა მაშინვე არ უპასუხა. თავი ღრმად ჩაიძირა მხრებში. სამსახურის შავ სამოსში გამოწყობილი იგი ახლა დაბუდებულ, ბუმბულაშლილ დიდ ფრინველს ჰგავდა.

– შენ მოვალე ხარ, თავიდან ცოტა ლმობიერად მოექცე. მე ვთვლი, რომ არ უნდა გადავუხვიოთ ჩვენს განზრახვას. ბოლოს და ბოლოს, თუ არ გამოგვადგა, ყოველთვის შეგვეძლება უკან დავაბრუნოთ.

– ალბათ, – დაემორჩილა ცოლი.

მარდა ცდილობდა გაეხსენებინა ვინმე, ვისაც შეეძლო ნდობოდა. მისი ოჯახი სხვადასხვა მხარეს გაფანტულიყო. ცოლიანი ძმა სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობდა, მეგობრები-ლონდონში იყვნენ, არავინ იყო ახლოს, რომ თავისი წუხილი გაეზიარებინა, სრულიად არავინ. ვერავინ ეტყოდა, რომ მისი მომვლელი გველად გადაიქცა, ქმარი კი – სვავად. ყოველგვარი იმედისაგან განიძარცვა. დაწყევლილივით ჯოჯოხეთში იწვოდა. მარტოდმარტო, ცივი გონებით სჯიდა, რომ მის ირგვლივ მტრობა და ბოროტება სუფევდა.

– ამ საღამოს რას იზამ? – ჰკითხა ქალმა მშვიდად.

ალბათ კლუბში ვისადილებ, – უპასუხა ქმარმა, – ძალიან ერთფეროვანი ხდება ყველაფერი. ორი-სამი დღეც და, მადლობა ღმერთს, ისევ შინ იქნები.

კი, მაგრამ, გინდ შინ ყოფილა და გინდ ისევ აქ, სვავთან და გველთან ერთად. შინ უფრო მეტად არ მოექცევა მათ ტყვეობაში, ვიდრე აქ არის?

– გრიეზმა ნამდვილად ხუთშაბათი გითხრა? – ჰკითხა ქალმა.

– ამ დილას რომ დამირეკა, ასე მითხრა. მერე სხვა ლინზებს

ჩაგიდგამენ, ისეთებს, ფერსაც რომ დაინახავ.

ისეთებს, სხეულებსაც რომ დაანახვებს ქალს, ამ პირუტყვების სხეულებს. ლურჯი ლინზები კი მხოლოდ თავებს აჩენდნენ, ისინი ქალის გამოცდის პირველი ხერხი იყო. თვითონ ქირურგი გრივზიც, ბუნებრივია, ყოველივე ამაში მონაწილეობდა! უფრო მეტიც, იგი ამ შეთქმულებას ხელმძღვანელობდა, შესაძლოა, მოსყიდულიც იყო. მარდა ცდილობდა გაეხსენებინა, ვინ ურჩია პირველად ოპერაციის გაკეთება. ოჯახის ექიმმა ხომ არა, მას შემდეგ, ჯიმმა და მან რომ ჩუმად ისაუბრეს? ხომ ორივე ერთად მივიდა ქალთან და უთხრა, რომ ოპერაცია იყო მხედველობის გადარჩენის ერთადერთი საშუალება? შეთქმულებას ფესვები წარსულში ჰქონდა გადგმული, თვეების, შესაძლოა წლების მანძილზე მზადდებოდა, მაგრამ, ღმერთო, ძლიერო, რა მიზნით? გახელებული ქალი მთელი არსებით ცდილობდა გაეხსენებინა რაიმე მზერა, ნიშანი ან სიტყვა, რომელიც შეაღწევინებდა მისი პიროვნებისა თუ ფსიქიკის წინააღმდეგ მიმართულ ამ საშინელ შეთქმულებაში.

– საკმაოდ დასუსტებული ჩანხარ, – უთხრა უეცრად ქმარმა, – მომვლელ ენსელს ხომ არ დავუძახო?

– არა!.. – ლამის დაიყვირა ქალმა.

– მგონი ჯობია წავიდე, მომვლელმა მითხრა, დიდხანს ნუ დარჩებიო.

კაცი სკამიდან წამოდგა, მძიმე, ბუმბულაშლილი სხეული აიტანა, ცოლისაკენ რომ დაიხარა საკოცნელად, ქალმა თვალები დახუჭა.

– აბა, კარგად გამოიძინე, ჩემო საყვარელო, საბრალოვ, და მშვიდად იყავი.

მიუხედავად შიშისა, ქალმა იგრძნო, როგორ ჩაებღაუჭა ქმრის ხელს.

– რა მოგვიდა? – ჰკითხა ქმარმა.

მარდას ახლა კარგად ნაცნობი კოცნა უფრო აღუდგენდა ძალას, ვიდრე სვავის გამგმირავი, სასლიანი ნისკარტის ჩხვლეტა.

ქმარი რომ წავიდა, მარდა ბალიშზე დაემხო და აქვითინდა.

– რა ვიღონო? – გმინავდა, – რა ვიღონო?

კარი ისევ გაიღო. ქალმა სწრაფად აიფარა პირზე ხელი. არავის უნდა გაეგო მისი ხმა, არ უნდა ენახა მისი ტირილი. ძალა მოიკრიბა და თავი შეიკავა.

– როგორ ბრძანდებით, მისის უესტ?

საწოლის ბოლოში გველი და მათი ოჯახის ექიმი იდგენენ. მარდას ყოველთვის მოსწონდა ეს სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი. თუმც სხვებივით მასაც ცხოველის თავი ება, ქალს მისი არ შეშინებია. ექიმს აბერდინის-ძაღლის თავი ჰქონდა. იგი ყავისფერი თვალებით ზვერავდა ქალს. დიდი ხნის წინათ, ბავშვობაში მარდას ასეთივე ძაღლი ჰყავდა.

– შეიძლება ცალკე გესაუბროთ? – მიმართა ქალმა.

– რა თქმა უნდა! მომვლელო, გთხოვთ, დაგვტოვოთ, – მან კარისკენ გაიქნია თავი. მომვლელი გავიდა. მარდა უესტი ლოგინზე წამოჯდა და ხელები ერთმანეთს გადააჭდო.

– ალბათ სულელად მოგეჩვენებით, – დაიწყო მარდამ, – მაგრამ ყველაფერი ლინზების ბრალია. ვერაფრით შევეგუე.

სანდო აბერდინი ქალს მიუახლოვდა, თან თავს თანაგრძნობით იქნევდა.

– ძალიან ვწუხვარ, – მიუგო მან, – ხომ არ გტკივათ?

– არა, – უპასუხა მარდამ, – მე მათ ვერც კი ვგრძნობ, ერთია მხოლოდ, ყველას უცნაური სახით ვხედავ.

– სწორედ ეგ დანიშნულება აქვთ ამ ლინზებს. ისინი ფერს არ გაჩვენებენ, – აბერდინის ხმა ხალისიანად, მეგობრულად ჟღერდა, – თვალები ისე დიდხანს გქონდათ ახვეული, რომ ხელახლა დანახვა ერთგვარი ელდაა თქვენთვის. ნუ გავიწყდებათ, რომ მაინცდამაინც არ მოფრთხილებიხართ ლინზებს, თვალისუკანა ნერვები კი ჯერ ისევ ნაზია.

– ნამდვილად, – თქვა ქალმა, – ექიმის ხმამ, მისმა თავმაც კი რაღაცნაირად რწმენა შემატა, – თქვენ თუ იცნობთ ადამიანებს, ასეთივე ოპერაცია რომ აქვთ გადატანილი?

– რამდენსაც გნებავთ. ერთი-ორ დღეში კერკეტი კაკალივით იქნებით, – ექიმი მხარზე მოეფერა ქალს. მეტად კეთილი,

რისკიანი, სიცოცხლით საკუსე ძალლი იყო, – ძალიან ჰგავდა მარდას ძაღლს-ანგუსს, დიდი ხნის წინ რომ მომკვდარიყო.

– უფრო მეტსაც გეტყვით, – განაგრძო მან, – მხედველობა ადრინდელზე მეტად გაგიუმჯობესდებათ. თანდათან უფრო უკეთ დაინახავთ. ერთმა პაციენტმა ისიც კი მითხრა, – ასე მგონია, მთელი ცხოვრება სათვალე მეკეთა და მხოლოდ ოპერაციის შემდეგ დავინახე ჩემი მეგობრები და ოჯახის წევრები ისეთები, როგორებიც სინამდვილეში ყოფილანო.

– როგორებიც სინამდვილეში ყოფილანო, – გაიმეორა მარდამ.

– ზუსტად ასე თქვა. ის ქალი ძალზე ცუდად ხედავდა, ყოველთვის ეგონა, ჩემს ქმარს ყავისფერი თმა აქვსო, მაგრამ წითელი კი ჰქონია, თანაც ღია წითელი. წარმოიდგინეთ, როგორი მოულოდნელობაა, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა.

აბერდინი საწოლს მოსცილდა, სტეტოსკოპი რამდენჯერმე რბილად მიირტყა ჟაკეტზე და თავისივე ნათქვამის დასადასტურებლად თავი დააქნია.

– მისტერ გრიეზმა ნამდვილი სასწაული მოახდინა, დამერწმუნეთ! მან შეძლო გაემაგრებინა ნერვი, რომელიც მკვდარი ეგონა. ეს ნერვი ადრე არაფერში გადგებოდათ, ფუნქცია ჰქონდა დაკარგული. ჰოდა, ვინ იცის, მისის უესტ, თქვენ იქნებ ახალი ფურცელიც კი ჩაწერეთ მედიცინის ისტორიაში. ყველა შემთხვევაში, ახლა კარგად უნდა გამოიძინოთ, ბედნიერებას გისურვებთ! აბა, ხვალ დილამდე, ღამე მშვიდობისა! – იგი სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. მარდამ გაიგონა, როგორ გამოეთხოვა მომვლელ ენსელს და გაუყვა დერეფანს.

დამამშვიდებელმა სიტყვებმა გააღიზიანა. ერთის მხრივ, ამ სიტყვებს შვება უნდა მოეტანა ქალისათვის, რადგან ექიმის განმარტებით, მის წინააღმდეგ არავითარი შეთქმულება არ მზადდებოდა. თუკი მის წინამორბედ ავადმყოფ ქალს ოპერაციის შედეგად ფერის აღქმის გრძნობა გაუმძაფრდა, სამაგიეროდ, მას ზემხედველობა დაეწყო. ქალი ისევ და ისევ იმეორებდა ექიმის ნათქვამს, მარდა უესტს შეეძლო იმ სახით დაენახა ადამიანები, როგორებიც სინამდვილეში იყვნენ. ისინი კი, ვინც მარდას

უყვარდა და ვისაც ენდობოდა, ერთი სვავი იყო, ხოლო მეორე-გველი.

კარი გაიღო, მომვლელმა ენსელმა დამამშვიდებელი აბი შემოიტანა.

– მზად ხართ დასაძინებლად, მისის უესტ?

– დიახ, გმადლობთ.

შესაძლოა არავითარი შეთქმულება არც იყო. ასე რომ ყოფილიყო, ყველა იმედი, ყოველგვარი რწმენა დაეღუპებოდა.

– დამიტოვეთ წამალიცა და წყალიც. მე თვითონ დავლევ მოგვიანებით.

მარდა თვალს აღევნებდა გველს, მან ჭიქა ქალის წინ, მაგიდაზე დადგა და ზეწარი გაუსწორა. მოქანავე კისერი უფრო მიუახლოვდა ავადმყოფს და უცებ, გველის ბოროტმა თვალებმა დაინახეს ბალიშის ქვეშ ნახევრად დამალული ფრჩხილების მაკრატელი.

– რა გაქვთ მანდ? – გველმა ენა აასავსავა და მაკრატელს მიწვდა. – არაფერი გაიჭრათ, უსაფრთხოებისათვის სხვაგან დავდებ მაკრატელს, კარგი?

მომვლელმა ენსელმა, რომელიც მიუხვდა მარდა უესტს განზრახვას, ეს ერთადერთი იარაღი ტუალეტის მაგიდის მაგიერ ჯიბეში ჩაიდო. მას უნდოდა ავადმყოფი სრულიად განიარაღებული დაეტოვებინა.

– აბა, არ დაგავიწყდეთ, თუ რამე დაგჭირდათ, ზარი დამირეკეთ.

– არ დამავიწყდება!

ერთ დროს საოცრად ალერსიანი ხმა ახლა მეტისმეტად ყალბად და შემპარავად ეღერდა. „რა მატყუარაა ყური, როგორ აყალბებსო სიმართლეს“, – გაიფიქრა მარდა უესტმა და ახლა პირველად შეიგრძნო ის იდუმალი ძალა, რომელსაც შეეძლო სიყალბიდან სიმართლე გამოერჩია, ხოლო ბოროტიდან-კეთილი.

– ღამე მშვიდობისა, მისის უესტ.

– ღამე მშვიდობისა.

იწვა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. მის წინ საათი წიკწი-

კებდა, გარეთ, ქუჩიდან ტრანსპორტის ნაცნობი ხმა შემოდიოდა. მარდამ თავისი ჩანაფიქრის განხორციელება გადაწყვიტა. თერთმეტ საათამდე დაიცადა. იცოდა, ერთ საათში ყველა ავადმყოფი დაიძინებდა. მერე შუქი ჩააქრო. ამით მოატყუებდა გველს, თუკი ის ჩუმად შეიჭვრიტებოდა პალატის კარში დატანებული სარკმლიდან. გველი დარწმუნდებოდა, რომ მარდას ეძინა. მარდა ლოგინიდან უხმაუროდ გადმოვიდა, კარადიდან ტანსაცმელი გამოიღო და ჩაცმა დაიწყო. ჩაიცვა პალტო, ფეხსაცმელები და თავზე შარფი მოიხვია. გაემზადა, კართან მივიდა და ფრთხილად – გადაატრიალა სახელური. დერეფანში სიწყნარე იყო. ქალი ერთხანს უძრავად იდგა, მერე ფრთხილადვე გადააბიჯა ზღურბლს და მარცხნივ გაიხედა, მომვლელის სამორიგეოსაკენ. გველი თავის ადგილზე იყო, და წიგნს ჩასცქეროდა. ჭერიდან წამოსული სინათლე პირდაპირ ანათებდა მომვლელს. მარდა არ შემცდარა. მას ეცვა გაქათქათებული ხალათი თეთრი გახამებული გულისპირითა და საყელოთი. საყელოდან კი ამოზრდილიყო გველის დაკლაკნილი კისერი, გრძელი და ბრტყელი ბოროტი თავი.

მარდა მცირე ხნით შეყოვნდა. იგი მზად იყო საათობით ეცადა. მალე მოესმა ხმა, რომელსაც ელოდა. რომელიღაც ავადმყოფმა დარეკა ზარი. გველმა წიგნიდან თავი აიღო და კედელზე წითელი შუქი შეამოწმა, მერე მანჟეტები შეიკრა, დერეფანში, პაციენტის ოთახისაკენ გასრიალდა, კარზე დაუკაკუნა და შევიდა. მარდამ დრო იხელთა, მაშინვე გამოვიდა პალატიდან და კიბისაკენ გაემართა. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. ფრთხილად მიაყურადა და ფეხაკრეფით დაეშვა ქვემოთ. კიბის ოთხი საქცევი, ოთხი სართული ჰქონდა ჩასასვლელი. ბედნიერება ის იყო, რომ ჯიხურიდან, სადაც ღამის მორიგე იჯდა ხოლმე, კიბე არ ჩანდა.

ქვემოთ მთავარ შესასვლელში შუქი მქრქალად ანათებდა. კიბის ბოლო საფეხურთან შედგა, რომ დარწმუნებულიყო, ვინმე ხომ არ უთვალთვალებდა. ღამის დარაჯის ზურგს ჰკიდა თვალი, მერხზე დახრილს თავი არ უჩანდა, მაგრამ როდესაც გასწორდა, ქალმა თეეზის ფართო სახე დაინახა. მარდამ მხრები აიჩეჩა, შიში არც კი გაჰკარებია. გაბედულად გაემართა გასასვლელისაკენ.

თევზი მას უცქერდა.

– გნებავთ რამე, ქალბატონო? – ჰკითხა მან. თევზი ისეთი სულელი აღმოჩნდა, მარდა რომ ელოდა. ქალმა თავი გაიქნია.

– გარეთ გავდივარ, ღამე მშვიდობისა, – უთხრა, გვერდი აუარა დარაჯს და გზა გააგრძელა, მოქანავე კარში გავიდა და ქუჩაში გამავალ კიბეებზე დაეშვა. სწრაფად გაუხვია მარცხნივ, ქუჩის ბოლოში ტაქსი დაინახა და ხელისაწევით დაუძახა. ტაქსმა სვლა შეანელა და დაელოდა. მანქანას რომ მიუახლოვდა, საჭესთან ჯმუხი, შავი მაიმუნის სახიანი მძღოლი დაინახა. მაიმუნმა საზარალოდ გაუცინა. მარდას ალღომ უკარნახა, არ ჩამჯდარიყო მანქანაში.

– მაპატიეთ, – უთხრა ქალმა, – შევცდი.

მაიმუნს ღმეჭა წაეშალა სახიდან.

– ჯერ გადაწყვიტეთ, რა გინდათ, ქალბატონო, – დაუყვირა მარდას, მერე გაზს დააწვა და გვერდზე გაუხვია.

მარდამ გზა გააგრძელა, მან ჯერ მარჯვნივ გაუხვია, მერე მარცხნივ, მერე ისევ მარჯვნივ და შორს განათებული ოქსფორდ-სტრიტი დაინახა. ნაბიჯს აუჩქარა. მაგნიტივით იზიდავდა ტრან-სპორტიც, ერთადერთ მხსნელად რომ ეგულებოდა, შორეული სინათლეებიც, ასევე შორს მყოფი ქალები და კაცებიც. ოქსფორდ სტრიტს რომ მიუახლოვდა,. მოულოდნელად შედგა. წამით დაფიქრდა, სად წასულიყო, ვისთვის ეთხოვა თავშესაფარი და ისევ დაეუფლა მარტოობის გრძნობა, არავინ ჰყავდა, ვერავინ დაეხმარებოდა, ვერც აგერ, მის წინ მიმავალი წყვილი შეიფარე-ბდა – გომბეშოსთავიანი შავი ფიგურა ხელკავით რომ მისდევდა პანტერას, ვერც კუთხეში მდგარი ბაბუინის თავიანი პოლიციელი, რომელსაც კეკლუცი გოჭისთავიანი ქალი ელაპარაკებოდა. ყველას დაჰკარგოდა ადამიანის სახე. ვის მინდობოდა? კაცს ორიოდე ნაბიჯის დაშორებით რომ მოჰყვებოდა, ჯიმივით სვავის თავი ჰქონდა. მოპირდაპირე ტროტუარზეც დადიოდნენ სვავები. მისკენ მომავალი მოცინარი კაცი კი ტურა იყო.

მარდა მოტრიალდა და გაიქცა. მირბოდა ქალი, ეჯახებოდა მათ – ტურებს, აფთრებს, სვავებს, ძაღლებს. მთელი ქვეყანა ამ

ცხოველებს ეკუთვნოდათ, ადამიანისმაგვარი აღარავინ დარჩენილიყო. ქალი გარბოდა, ისინი თვალს აყოლებდნენ, ჩერდებოდნენ და უცქერდნენ, ერთმანეთს ახედებდნენ მისკენ, ღმუოდნენ, ყეფდნენ, მისდევდნენ. ქალს მათი ფეხისხმა ესმოდა, მათგან დევნილი ქუჩის ბოლოსაკენ გარბოდა. ღამე სიბნელითა და ჩრდილებით გავსილიყო, შუქსაც ვეღარსად ხედავდა, სრულიად მარტო იყო ნადირთა გარემოცვაში.

***

– ძალიან წყნარად იწექით, მისის უესტ, მხოლოდ ერთი პატარა ჩხვლეტა, არაფერს გატკენთ.

ქალმა იცნო ქირურგის-მისტერ გრივზის ხმა და გონებაში ბუნდოვნად გაუელვა იმ აზრმა, რომ ისევ „მათ“ ჩაუვარდა ხელში, ისევ საავადმყოფოში დააბრუნეს, მაგრამ ამას უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მარდასთვის ახლა სულერთი იყო, აქ იქნებოდა თუ სხვაგან. ბოლოს და ბოლოს საავადმყოფოს ცხოველთა თავებს იცნობდა მაინც. თვალები ხელახლა შეეხვიათ და დიდად მადლობელი იყო ამისთვის. რა მადლიანად ბნელოდა, ღამეული ბოროტება გამქრალიყო.

– მისის უესტ, ვფიქრობ, თქვენი წამება დამთავრდა. ეს ლინზები არც რამეს გატკენთ და აღარც შეგაცბუნებთ. ქვეყნიერებას ისევ ფერებში იხილავთ.

სახვევები თანდათან თხელდებოდა, ფენა-ფენა აცლიდნენ. და უცებ ყველაფერი განათდა. გათენებულიყო, ზემოდან მისტერ გრივზის სახე დაჰღიმოდა. გრივზს გვერდით ჩასუქებული, ხალისიანი მომვლელი ედგა.

– თქვენი ნიღბები სადღაა? – იკითხა ქალმა.

– ნიღბები არ გვჭირდება ასეთი პატარა სამუშაოსათვის, – უპასუხა ქირურგმა. ჩვენ მხოლოდ დროებითი ლინზები ამოგაცალეთ. ასე უკეთესია, არა?

ქალმა მზერა ფრთხილად მიმოატარა ოთახში. თავს ისევ კარგად გრძნობდა. აგერ, კონტურებიც გამოიკვეთა, იქ იდგა ტანსაცმლის კარადა, ტუალეტის მაგიდა, ყვავილებიანი ლარნაკი.

ყველაფერს ბუნებრივი ფერი ჰქონდა, ბუნდოვანება გამქრალიყო. მას ვერავინ დაარწმუნებდა, რომ რაც გადახდა, ყველაფერი სიზმარი იყო. თავშალი, წუხელ, გაპარვის წინ რომ მოიხვია თავზე, იქვე, სკამზე იდო.

– რაღაც დამემართა, არა? – იკითხა მარდამ, – მგონი გაქცევა ვცადე.

მომვლელმა ქირურგს შეხედა. მან თავი დაუქნია.

– დიახ, ასე იყო, და გულახდილად რომ გითხრათ, ვერც გაგამტყუნებთ. დამნაშავე მე ვარ. ის ლინზები, გუშინ რომ ჩაგიდგით, პატარა ნერვს დასწოლია და ამ დაწოლამ წონასწორობა დაგაკარგვინათ. ახლა ყველაფერი დამთავრდა.

ქირურგი დამაჯერებლად უღიმოდა. უსაზღვრო სითბოთი დასცქეროდა მას დიდი, თბილი თვალები მომვლელი ბრენდისა, რა თქმა უნდა, ნამდვილად მომვლელი ბრენდისა.

– ეს საშინელება იყო, – თქვა ავადმყოფმა, – ვერც კი აგიხსნით, რა საშინელება იყო.

– ნურც ეცდებით, – უპასუხა მისტერ გრივზმა, – პირობას გაძლევთ, ასეთი რამ აღარ განმეორდება.

კარი გაიღო და ოჯახის ახალგაზრდა ექიმი შემოვიდა, ღიმებოდა.

– ავადმყოფი სრულიად განიკურნა? – იკითხა მან.

– ვფიქრობ, რომ ასეა, – უპასუხა ქირურგმა, – თქვენ რას იტყვით მისის უესტ?

მარდა უესტი ყურადღებით ათვალიერებდა სამივეს, მისტერ გრივზს, ოჯახის ექიმსა და მომვლელ ბრენდს და უკვირდა, რომელ დაზიანებულ, მთრთოლვარე ქსოვილს შეეძლო ასე გარდაექმნა ცხოველებად ეს სამი ადამიანი, რომელმა უჯრედმა განაპირობა ამგვარი წარმოსახვა.

– მე თქვენ ძაღლები მეგონეთ, – თქვა ქალმა, – მისტერ გრივზ, თქვენ მონადირე ტერიერი, თქვენ კი – აბერდინი.

ოჯახის ექიმმა სტეტოსკოპი მოისინჯა და გაიცინა:

– ვარ კიდევაც, – უპასუხა მან, – აბერდინი ხომ ჩემი მშობლიური ქალაქია, არ შემცდარხართ, მისის უესტ, გილოცავთ.

მარდა უესტი სიცილში არ აჰყვა.

– თქვენ კიდევ რა გიშავთ, – გააგრძელა ქალმა, – სხვები უარესები მეჩვენნენ. ოგი მომვლელ ბრენდს მიუბრუნდა:

– აი, თქვენ, ბროხა მეგონეთ, კეთილი ბროხა, ოღონდ, მეტისმეტად წაწვეტებული რქები კი გქონდათ.

ახლა უკვე მისტერ გრივზს გაეცინა.

– ხედავთ, მომვლელო, – მიმართა ბრენდს, – მეც ხომ ხშირად გეუბნებით, საძოვარზე უნდა გაგიშვათ კაცმა და ზიზილა მოგაბოვინოთ.

მომვლელ ბრენდს არ სწყენია. მან ავადმყოფს ბალიში გაუსწორა და გაიღიმა.

– ჩვენ დროდადრო სასაცილო სახელებსაც გვარქმევენ ხოლმე, რას იზამ, ესეც ჩვენს საქმიანობაში შედის.

ექიმები სიცილით წავიდნენ კარისაკენ. მარდა უესტმა ნორმალური გარემო იგრძნო, დაძაბულობაც მოეხსნა და იკითხა:

– ვინ მომძებნა? რა მოხდა? უკან ვინ მომიყვანა?

კართან მისული მისტერ გრივზი ქალისაკენ შემობრუნდა.

– კიდევ კარგი, შორს არ წასულხართ, მისის უესტ, თორემ ახლა აქ არ იქნებოდით. კარისკაცი გამოგყვათ უკან.

– ახლა ყველაფერი დამთავრებულია, – უთხრა ოჯახის ექიმმა. – ყოველივე ხუთ წუთში მოხდა. თქვენ მშვიდობიანად დაგაბრუნეს საწოლში მანამდე, სანამ რამე შეგემთხვეოდათ. მეც აქ ვიყავი, ასე იყო ეს. ყველაზე თავზარდაცემული მომვლელი ენსელი იყო, რომელმაც საწოლში ვეღარ გიხილათ.

მომვლელი ენსელი... წუხანდელი მოვლენები არცთუ იოლი დასავიწყებელი იყო.

– ახლა არ გვითხრათ, ჩვენი პატარა ვარსკვლავიც რომელიმე ცხოველად მომეჩვენაო, – გაუღიმა ოჯახის ექიმმა.

მარდა უესტმა იგრძნო, როგორ გაწითლდა. ახლა ტყუილებიც დასჭირდებოდა.

– არა, – თქვა ქალმა, – რა თქმა უნდა, არა.

– მომვლელი ენსელი ახლა აქ არის, – უთხრა ბრენდმა, – ისე ღელავდა, რომ სამუშაოს დამთავრების შემდეგ დასაძინებლად

არ წასულა. ხომ არაფერს ეტყოდით?

უსიამოვნო სიფრთხილემ შებოჭა ავადმყოფი. ნეტავ რა უთხრა ენსელს წუხელ იმ პანიკისა და ნერვული აღგზნებულობის უამს? სანამ მარდა რამის თქმას მოახერხებდა, ოჯახის ექიმმა კარი გამოაღო და დერეფანში ენსელს გასძახა:

– მისის უესტს უნდა დილა მშვიდობისა გისურვოთ, – იგი მთელი სახით იღიმებოდა. მისტერ გრიეზმა ქალს ხელი დაუქნია და გავიდა, მომვლელი ბრენდიც მას გაჰყვა. ოჯახის ექიმმა სტეტოსკოპი დაუქნია გამოსამშვიდობებლად, მერე ხუმრობით თავმოდრეკილი გვერდზე მიდგა და კედელს აეკრა, მომვლელი ენსელი რომ შემოეშვა. მარდა უესტი ენსელს მიაჩერდა, მერე გაუბედავად გაიღიმა და ხელი გაუწოდა:

– ძალიან ვწუხვარ: – მიმართა, – უნდა მაპატიოთ!

როგორ შეეძლო გველად მოსჩვენებოდა ენსელი. მომვლელს თაფლისფერი თვალები და, ღია ზეთისხილისფერი კანი ჰქონდა, გახამებული ქუდის ქვეშ შავი, ლამაზად დავარცხნილი თმა მოუჩანდა, წყნარად და თანამგრძნობად იღიმებოდა.

– გაპატიოთ, მისის უესტ, – ჰკითხა მან, – რა უნდა გაპატიოთ? თქვენ ისეთი განსაცდელი გამოიარეთ!

მომვლელმა და ავადმყოფმა ხელები ჩაჰკიდეს ერთმანეთს და გაუღიმეს. და მარდა უესტმა ღმერთს მადლობა შესწირა ამხელა შვებისათვის და კიდევ იმისათვის, რომ ხელახლა დანახვითა და ახლის შეცნობით მთლად მოსცილდა ეჭვის ტვირთი და სასოწარკვეთა.

– მე მაინც ვერ გამიგია რა მოხდა, – თქვა მარდამ, თან ხელს არ უშვებდა მომვლელს. მისტერ გრიეზი შეეცადა აეხსნა ჩემთვის, რაღაც ნერვის ბრალიაო.

მომვლელმა კარს გახედა.

– მან თვითონაც არ იცის, – წაიჩურჩულა, – და მეტს ვერც ვერაფერს იტყვის, რადგან გაუჭირდება. უბრალოდ ძალიან ღრმად ჩასვა ლინზები, ნერვთან ძალიან ახლოს, ეს არის და ეს. კიდევ კარგი, ცოცხალი რომ გადარჩით.

მომვლელი ზემოდან დასცქეროდა ავადმყოფს, თვალები ული-

მოდა, საოცრად ლამაზი და ალერსიანი იყო.

– ამაზე ნულარ იფიქრებთ, – უთხრა მარდას, ამ წუთიდან ბედნიერი უნდა იყოთ, ხომ მპირდებით?

– გპირდებით, – უპასუხა მარდა უესტმა.

ტელეფონი დაირეკა. მომვლელმა ენსელმა ქალს ხელი გაუშვა და ყურმილი აიღო.

– ხომ ხვდებით, ვინ იქნება, თქვენი საცოდავი მეუღლე. – მან ყურმილი მარდა უესტს გადასცა.

– ჯიმ... ჯიმ, შენა ხარ?

საყვარელი, აღელვებული ხმა მოესმა ყურმილიდან.

– ხომ კარგად ხარ? – ჰკითხა ქმარმა, – ორჯერ მივმართე მნეს შენს შესახებ, შემპირდა, გაგაგებინო. რა ჯანღაბა მოხდა?

მარდა უესტმა გაიღიმა და მომვლელს მიაწოდა ყურმილი.

– თქვენ უთხარით, – სთხოვა ქალმა.

მომვლელმა ენსელმა ყურმილი გამოართვა. მუქი და გლუვკანიანი ხელი ჰქონდა, ფრჩხილებზე ღია ვარდისფერი ლაქი უელავდა.

– თქვენ ბრძანდებით, მისტერ უესტ? – დაელაპარაკა მომვლელი, – ჩვენმა ავადმყოფმა ძალიან შეგვაშინა, არა? – მან გაიღიმა და ლოგინში მწოლიარე ქალს თავი დაუქნია. – ნულარ ინერვიულებთ. მისტერ გრივზმა ლინზები შეუცვალა. ძველები ნერვს ებჯინებოდნენ. ახლა ყველაფერი კარგადაა. მშვენივრად ხედავს. დიახ, მისტერ გრივზი ხვალ შინ წასვლის ნებას გვრთავს.

სიყვარულით შთაგონებული ხმა მუქი თვალების ნაზ ელფერს შეერწყა. მარდა უესტი კიდევ ერთხელ მიწვდა ყურმილს.

– ჯიმ, მე საშინელი ღამე მქონდა, – დაიწყო ქალმა, – მხოლოდ ახლა ვიწყებ ამის გაცნობიერებას, ნერვი ტვინში...

– მესმის შენი, რა საშინელებაა. მადლობა ღმერთს, გაიგეს მიზეზი. იმ გრივზს კარგად ვერ სცოდნია თავისი საქმე.

– ეს აღარ განმეორდება, – უთხრა ქალმა, – ახლა კარგი ლინზები მაქვს, ეს აღარ განმეორდება.

– ჯობდა საერთოდ არ მომხდარიყო, რამე რომ დაგმართოდა, სამართალში მივცემდი. ისე, როგორ გრძნობ თავს?

– მშვენივრად, ოდნავ გაოგნებული ვარ, ისე კი, მშვენივრად.

– კარგი გოგო ხარ, არაფერზე აღელდე. მე გვიან მოვალ.

ჯიმის ხმა მიწყდა. მარდა უესტმა ენსელს მიაწოდა ყურმილი, მან კი ტელეფონის აპარატზე დადო.

– მისტერ გრივზმა ნამდვილად გითხრათ, რომ ხვალ შემიძლია შინ წასვლა? – იკითხა ქალმა.

– ნამდვილად, თუ კარგად მოიქცევით, – მომვლელმა ენსელმა გაიღიმა და ხელზე მოეფერა ავადმყოფს, – დარწმუნებული ხართ, რომ ისევ გინდათ ჩემი წაყვანა.

– როგორ არა, – უპასუხა მარდა უესტმა, – ჩვენ ხომ უკვე შევთანხმდით.

ქალი ლოგინზე წამოჯდა. მზე უხვად შემოიღვარა ფანჯრიდან, შუქი მიმოაფრქვია ვარდებს, შროშანებს და მაღალეროიან ზამბახებს. ქუჩიდან შემოჭრილი ტრანსპორტის ხმაური ახლა საოცრად ახლობლად და სასიამოვნოდ ეჩვენებოდა. ქალი ფიქრობდა თავის ბაღზე, მას რომ ელოდა, თავის საწოლ ოთახზე, თავის სამფლობელოზე და იმ ყოველდღიურ საქმიანობაზე, აღდგენილი მხედველობით რომ შეუდგებოდა. გასული თვეების შიში და მღელვარება სამუდამოდ გამქრალიყო.

– ამქვეყნად ყველაზე დიდი სიმდიდრე მხედველობაა, ახლაღა მივხვდი, – უთხრა ქალმა მომვლელ ენსელს, – წარმოდგენილი მაქვს, რამდენს დავკარგავდი.

გულხელდაკრეფილმა მომვლელმა ენსელმა თანაგრძნობის ნიშნად თავი დაუქნია.

– თქვენ სასწაულებრივად დაიბრუნეთ მხედველობა, ახლა აღარასოდეს დაკარგავთ.

იგი კარისაკენ გაემართა.

– მე ახლა გავიქცევი და ცოტას დავისვენებ, უკვე მშვიდად ვარ, ყველაფერი კარგად რომ არის და დაძინებასაც შევძლებ. რამე ხომ არ გნებავთ?

– მომაწოდეთ ჩემი სახის საცხი და პუდრი, – სთხოვა ავადმყოფმა, – და კიდევ პომადა, ჯაგრისი და სავარცხელი.

მომვლელმა ენსელმა ტუალეტის მაგიდიდან ყველაფერი

აიღო და საწოლთან ახლოს დაუწყო, რომ ადვილად მიწვდომოდა. მერე პატარა სარკე და სუნამოს ბოთლიც მიუტანა, თანაც ახლობლური ღიმილით დაყნოსა საცობი – დიდებულია, – წაილულლუღა, – მისტერ უესტმა რომ მოგიტანათ, ის არის, არა?

„ნამდვილად გამომადგება მომვლელი ენესელი“, – გაიფიქრა მარდა უესტმა. ქალი ოცნებაში ხედავდა, როგორ მორთავდა პატარა სასტუმრო ოთახს ყვავილებით, შეარჩევდა კარგ წიგნებს, ჩართავდა პატარა რადიოს, რომ დაღლილი მომვლელი ენსელი გაერთო.

– რვა საათზე თქვენთან ვიქნები.

ეს ნაცნობი სიტყვები კვირების განმავლობაში ყოველდღე ესმოდა მარდას, მრავალჯერ მოსმენილ საყვარელ მელოდიად ხმიანდებოდა და საბოლოოდ იმ პიროვნებაში ხორციელდებოდა, ვინც მუდამ იღიმებოდა და ვისი თვალებიც მეგობრობასა და ერთგულებას ჰპირდებოდნენ.

– საღამომდე.

კარი დაიხურა. მომვლელი ენსელი წავიდა. კლინიკის ყოველდღიური საქმიანობა, წინა ღამის ნერვული აღგზნებით რომ დარღვეულიყო, კვლავ კალაპოტში ჩადგა. სიბნელე სინათლემ შეცვალა, არარაობა – სიცოცხლემ.

მარდა უესტმა სუნამოს ბოთლს საცობი მოხსნა და ყურს უკან წაისვა. ჰაერი სურნელით გაიჟღინთა და თბილ, ნათელ დღეს შეერწყა. ქალმა სარკე აიღო და შიგ ჩაიხედა. ოთახში არაფერი შეცვლილა. ქუჩის ხმაური ისევ იჭრებოდა გარედან. მალე ოთახის დასასუფთავებლად შემოვიდა პატარა დამლაგებელი, გუშინ რომ სინდიოფალად მოეჩვენა. „დილა მშვიდობისაო“, – თქვა, მაგრამ ავადმყოფმა არ უპასუხა, ალბათ დაღლილობის გამო. დამლაგებელმა დაასუფთავა ოთახი და გავიდა.

მარდა უესტმა აიღო სარკე და კიდევ ერთხელ ჩაიხედა შიგ. არა, იგი არ შემცდარა. სარკიდან სამსხვერპლოდ განწირული შვლის მფრთხალი თვალები შემოჰყურებდნენ, შეშინებული ირმის თავი მოკრძალებით დახრილიყო.

დიდებული ქალბატონი

ევროპის სამხრეთით მდებარე რონდას სამთავრო დიდი ხანია, რაც რესპუბლიკა გახდა. ეს იყო უკანასკნელი ქვეყანა, რომელმაც განსაკუთრებულად სისხლიანი რევოლუციის გზით გადაყარა მონარქიული რეჟიმის ბორკილები. ქვეყნის ერთ-მმართველური ძალაუფლება, რომელიც შვიდი ასეული წელი ერთსა და იმავე გვარს ეპყრა და იმჟამად დიდი ჰერცოგი განაგებდა, უეცრად ერთობ განსწავლული მთავრობის - სახალხო ფრონტის, ანდა, როგორც მას შემოკლებით ეძახდნენ, _ ს.ფ.-ს ხელში გადავიდა. საქმოსნობისა და კომუნიზმის ამ გაერთიანე-ბული ორგანიზაციის უსასტიკესმა ქმედებამ შეძრა მთელი დასავლური სამყარო. იმ ქვეყნებს, რომლებსაც ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ეგრძნოთ წითელი საფრთხე, მიზანდასახულად ჩაესხათ უკანასკნელი მონარქები უზარმაზარ საოკეანო ლაინერში და უსასრულო კრუიზში გაეგზავნათ. ბედნიერად ცხოვრობდნენ იმ გემში დიდებულები, თავს ირთობდნენ პატარ-პატარა ინტრიგებით, ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ და სამტროდაც აღარასოდეს დაღირებიან ევროპის თავისუფალ ხალხებს.

რევოლუცია ელდასავით დაატყდა თავს რონდას, რადგანაც ეს ქვეყანა კარგა ხნის მანძილზე მარტო დემოკრატიული წყობის ასპარეზს კი არ წარმოადგენდა, არამედ ტურისტების საყვარე-ლი გასართობი ადგილიც იყო. ასეთი ლტოლვა აქაურობისაკენ განპირობებული იყო საკმაოდ გასაგები მიზეზებით. ტერიტორიის სიმცირე სწორედაც რომ გამოარჩევდა რონდას სხვა ქვეყნები-საგან. უფრო მეტიც, თუმცაღა ერთი ციცქნა იყო, მაინც, რა უნდა გენატრა, აქ რომ არ მოიძებნებოდა. მისი ერთადერთი მთა-რონდერჰოფი თორმეტი ათასი ფუტის სიმაღლეზე აღმარ-თულიყო და ოთხივე მხრიდან შეიძლებოდა მწვერვალზე ასვლა. მთის ქვედა კალთები მთელს ევროპაში უბადლო იყო სათხილა-მურო სპორტისათვის. ქვეყნის მთავარი სანაოსნო მდინარის-რონდაქვიერის ქვედა განშტოებანი აქა-იქ მიმოფანტული

პაწაწინა კუნძულებით იყო დამშვენებული. ყოველი კუნძული თავს იწონებდა წარმტაცი სანაპიროებითა და კაზინოებით, რომლებიც თბილ სეზონზე უამრავ ტურისტს იზიდავდა. ახლა მის სასწაულებრივ წყაროებს არ იკითხავთ?!

ეს სახელგანთქმული წყაროები ქედაქალაქის უკან, მთაში მოედინებოდა და საუკუნეთა მანძილზე გამეფებული გვარისათვის ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენდა. მათ არაჩვეულებრივი, უნიკალური თვისებები გააჩნდათ. საქმე ისაა, რომ მხოლოდ მონარქისათვის ცნობილ რეცეპტთან შერეული ეს წყლები მარადიული სიჭაბუკის მინიჭების უნარს იძენდნენ. ყოველი დიდი ჰერცოგი მხოლოდ სიკვდილის წინ უმხელდა თავის მემკვიდრეს საიდუმლო რეცეპტის შემადგენლობას. აქაური მონარქები უმალ თავს შეაკლავდნენ მტერს და საიდუმლოს კი არ გაანდობდნენ, მაგრამ ისე რომ მომხდარიყო, ვერ მოესწროთ მემკვიდრისათვის ამ ცოდნის გადაცემა, რონდას წყაროები მაინც იყო საწინდარი იმისა, რომ დიდი მთავრები ყოველგვარი ნაოჭისა და ჭაღარის გარეშე ჩავიდოდნენ საფლავში.

როგორც ვთქვი, რეცეპტი მხოლოდ მმართველმა ჰერცოგმა იცოდა და მხოლოდ თვითონ სარგებლობდა მისი სიკეთით. ბუნებრივი წყაროები კი სამთავროში ჩამოსულ ნებისმიერ სტუმარს შეეძლო დაელია. წყალი მათზე საოცრად მაცოცხლებელ ზეგავლენას ახდენდა. რევოლუციამდე მართლაცდა განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდნენ უცხოელები რონდაში. მსოფლიოს ყოველი მხრიდან ჩამოდიოდნენ ადამიანები, რომელთაც სურდათ, თავისი ერთფეროვანი ყოფის მანძილზე ერთხელ მაინც ზიარებოდნენ სიცოცხლის ელექსირს, ეს წყლები რომ შეიცავდა.

ძნელია, სიტყვებით გამოხატო ის უდიდესი სიკეთე, რაც კი რონდას გაუმეტებია ჩამოსულთათვის. შინ დაბრუნებული უცხოელები სხვებისაგან იოლად გამოირჩეოდნენ, – მზემოკიდებული კანი განსაკუთრებით უბზინავდათ, მეოცნებე თვალები არაამქვეყნიური სხივით უელავდათ, ეხარბებოდნენ იმ ცხოვრებას, ადრე მეტად უხალისოდ რომ ატარებდნენ. „მას, ვინც რონდას სწვევია, თვით ღმერთი უხილავსო“, – ასეთი კარგად ცნობილი გამოთქმაც არსებობდა. ნამდვილად სხვანაირები

ხდებოდნენ ტურისტები, მხრებსაც სხვაგვარად იჩეჩდნენ და უხრუნველადაც ამთქნარებდნენ. მათ, ვისაც ზამთრის ან ზაფხულის შვებულება იქ, „საზღვარგარეთ“ გაეტარებინა, სახეები გაცისკროვნებული ჰქონდათ ჯადოსნური ღიმილით, რაც აშკარად მეტყველებდა „იმ სხვა სამყაროს“ ინტიმურობასა და უთქმელ საიდუმლოზე და რომელიც ასე ძნელი გასაგები იყო შინ დარჩენილთათვის.

დროთა განმავლობაში შთაბეჭდილებები რაღა თქმა უნდა, ფერმკრთალდებოდა, ფაბრიკის დაზგა მუშას ითხოვდა, სამსახურიხელმძღვანელს, ლაბორატორია – ქიმიკოსს; მაგრამ ზოგჯერ, თავისუფალ დროს, რონდაში ნამყოფი ადამიანები ოცნებით ისევ იქ მოგზაურობდნენ, იგონებდნენ მაღალი მთის ყინულივით ცივ წყაროებს, მდინარეში მიმოფანტულ პაწაწინა კუნძულებს, რონდას დედაქალაქის დიდებულ მოედანზე განლაგებულ კაფეებს. ეს მშვენიერი მოედანი იმით გამოირჩეოდა, რომ დიდი მთავრის სასახლის წინ იყო გადაშლილი. დიდებული სასახლე ახლა მუზეუმია, ისეთივე დამყაყებული, როგორც რევოლუციის ყველა სხვა „მონაპოვარი“.

წინათ კი, სასახლეს ლურჯ, მოოქროვილ სამოსში გამოწყობილი დიდებული მხედრიონი დარაჯობდა, სამეფო ალამი ფლაგშტოკში ამაყად ფრიალებდა, მასზე გამოსახული იყო თეთრ მინდორზე მოლივლივე სიცოცხლის წყარო. სამეფო ორკესტრი საამოდ აჟღერებდა დამატყვევებელ რონდულ ხალხურ ჰანგებს, რომლებიც ერთნაირად წააგავდა ბოშურ მელოდიასაც და სასულიერო ჰიმნსაც. ნასადილევს ტურისტები მოედანზე სხდებოდნენ და ელოდნენ დიდი ჰერცოგის გამოჩენის რიტუალს. მონარქი მიმწუხრის ჟამს გამოდიოდა აივანზე. მისთვის, ვისაც დალაშქრული ჰქონდა რონდერჰოფი, ვისაც რონდაქვიეერში ეცურავა, ანდა, მაცოცხლებელი წყარო შეესვა, მთავრის გამოჩენის რიტუალი ერთგვარ განსახიერებას წარმოადგენდა ყველა იმ სიამისა, რაც ამ ქვეყანაში განეცადა. ერთი კია, სტუმარმა უკვე აღარ უწყოდა, ირონიულად შეეხედა ყოველივე ამისათვის თუ აღფრთოვანებულიყო. ღვინით ცოტათი გაბრუებული, (რონდას ყურძნისაგან დაყენებული ღვინო მაგარი იყო და მშრალი), ცოტა ზედმეტად

გამაძღარი რონდაქვიერის თეეზის მსუყე ხორცით, ცოტათი სევდიანი, მოგონებების აღმძერელი ბოშურ-სასულიერო მელოდიის ზეგავლენით რომ იყო გამოწვეული, უცხოელი, როგორი თავდაჭერილიც უნდა ყოფილიყო, მაინც იესებოდა რაღაც ამაღლებულის ხილვის სურვილით. მართალია, სხვაც ბევრი იყო განსაცვიფრებელი რონდაში, მაგრამ სტუმარი მაინც უთუოდ ესწრებოდა ამ სანახაობას.

ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. მოედანი მკრთალად იყო განათებული. სამეფო ორკესტრი ნელიად იწყებდა ეროვნულ ჰიმნს, რომლის პირველი სტრიქონები უხეშად ასე ითარგმნებოდა: „მე ვარ ის, რასაც თქვენ ეძიებთ, მე ვარ წყარო სიცოცხლისა“. მერე სასახლის ფანჯრები იღებოდა და აივანზე თეთრ სამოსში გამოწყობილი მონარქი გამოჩნდებოდა. იმავე წუთს სასახლის კოშკიდან ოცნების სიმბოლოდ დასახულ ღამურებსა თუ მფრინავი თაგვების გუნდს გამოუშვებდნენ. ეს გამაოგნებელი სანახაობა ულამაზესი შთაბეჭდილებით ავსებდა მნახველს. ღამის არსებანი ბრმად დაფრინავდნენ და ფართე კამარას კრავდნენ ზუსტად დიდი მთავრის მბრწყინავი თავის ზემოთ (რონდას მთავრებს, ყველას ოქროსფერი თმა ჰქონდა), სიჩუმეს მხოლოდ აუარება პაწია ფრთის ტყლაშუნი არღვევდა. დიდი ჰერცოგი გაუნძრეველად იდგა აივანზე, რომელიც თაღისებურად იყო განათებული. ნათურები არ ჩანდა, ისინი ოსტატურად ჩაემალათ ბალუსტრადის ქვათა წყობაში. მონარქის თეთრ სამოსელზე ერთადერთი განსხვავებული ფერი წითელლენტიანი ორდენი იყო. მთავარი შორიდანაც კი მომხიბლავი ჩანდა. თვით ყველაზე უფრო გულგრილი რესპუბლიკური წყობის ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტსაც კი შეუგუბდებოდა სული მის დანახვაზე. ერთი ცნობილი საზღვარგარეთელი ჟურნალისტი წერდა. - „რონდას ჰერცოგი, გამოჩენისთანავე, ყველაზე დათრგუნულ ადამიანსაც კი განუმტკიცებს ხოლმე თავისი მხრიდან მფარველობის რწმენასო, _ და იქვე აღნიშნავდა, _ სასურველია, ეს რწმენა ამ ადამიანებისაევ უსაფრთხოების გულისათვის ჩახშობილ იქნასო“.

იმ ბედნიერ მაყურებელთათვის, რომელნიც სასახლესთან ახლოს მოკალათების ღირსნი გამხდარიყვნენ და რომელთაც

თაღიდან უხვად ეფრქვეოდათ ულამაზესი შუქის ნაკადი, ერთობ უჩვეულო იყო ის, რომ ეს ღამეული სანახაობანი ყოველთვის უდიდესი სიზუსტით სრულდებოდა და დიდი ჰერცოგიც მუდამ სასწაულებრივი სიჯაბუკით ბრწყინავდა. მართლაც, სულის შემგუბველი იყო ის გასხივოსნებული არსება, რომელიც ხმლის ვადაზე ხელებდაწყობილი მარტოდმარტო იდგა აივანზე. ზოგჯერ, შეიძლება რომელიმე მოქილიკეს გვერდით მყოფისათვის გადაეჩურჩულებინა კიდევაც, – „მონარქი უკვე ოთხმოცდაათისა მაინც არის და წლების განმავლობაში ერთნაირად იქცევა, მაშინაც ამგვარად გამოდიოდა ხოლმე, როცა ბევრი აქ მყოფი ჯერ დაბადებულიც არ იყო“, – მაგრამ ასეთ გესლიან ნათქვამს ალბათ ყურს არავინ ათხოვებდა და უპასუხოდაც დატოვებდა. აივანზე გამოსული მონარქი კი მნახველისათვის ყოველთვის იყო განსახიერება იმ სულ პირველი პრინცისა, რომელიც რონდელ ხალხს მოევლინა რონდაქვივერის წყალდიდობის შემდეგ. ეს მოხდა შუა საუკუნეებში, წყალდიდობამ წალეკა რონდას მოსახლეობის სამი მეოთხედი. როგორც მემატიანე აღნიშნავს: „ოდეს დაცხრნენ წყალნი, გარდა წყაროთა, მათთაგან ჩამომდინარეთა, მოვიდა პრინცი იგი და მოიტანა ფიალა უკვდავებისა და გამეფდა ხალხსა ზედა“.

თანამედროვე ისტორიკოსები, რა თქმა უნდა, სისულელედ მიიჩნევენ ყოველივე ამას და ცდილობენ დაამტკიცონ, სულ პირველი მონარქი სასწაულებრივად მოვლენილი ვინმე კი არა, მხოლოდ უბრალო მწყემსი იყოო. ის თურმე სტიქიური უბედურების მერე აღზევდა, რადგან შეძლო გაემხნევებინა გატანჯული და სასოწარკვეთილი ხალხი, ვინც წყალდიდობას გადაურჩა. ასეა თუ ისე, ლეგენდები არ კვდებიან და ახლაც კი, რესპუბლიკის არსებობის ამდენი წლის მანძილზე, მოხუცები ისევ სათუთად ინახავენ პატარა რელიქვიებს, რომლებიც, როგორც ისინი ჩურჩულებენ, უკანასკნელ დიდ ჰერცოგს საკუთარი ხელით უკურთხებია. ეს კი მანამდე მომხდარა, სანამ რევოლუციონერები სასახლის მოედანზე ჩამოკიდებდნენ. მაგრამ მე მოვლენებს გავუსწარი...

როგორც უკვე შეიტყვეთ, რონდა იყო ქვეყანა, სადაც

უხვად მოიპოვებოდა სიამენი ამა სოფლისანი, ჯანსაღი სული და უდიდესი სიმშვიდე. იქ პოულობდა კაცი თავის გულისსწორს. ბევრი დაწერილა რონდელ ქალებზე. ისინი არიან, უფრო სწორად, იყვნენ ციყვებივით მორცხვები, გაზელებივით ლამაზები და ეტრუსკული ქანდაკებებივით ტურფანი. არცერთ უცხოელ მამაკაცს არ რგებია წილად ბედნიერება, იქაური ქალი მოეყვანა ცოლად. ქვეყნის გარეთ ქორწინება იკრძალებოდა, მაგრამ სატრფიალო კაეშირებს არ გაურბოდნენ. ის ბედნიერი ტურისტები, რომლებიც ასეთ სარისკო სიყვარულს იგემებდნენ და გადაურჩებოდნენ ქალის განრისხებული მამის, ძმის ან ქმრისაგან სიკვდილს, თავის ცივილიზებულ ქვეყანაში დაბრუნებულნი იფიცებოდნენ, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე გაგვყვება რონდელი ქალების მკლავებში წოლისა და მათი არაჩვეულებრივად მათრობელა ალერსის განცდაო.

რელიგია, როგორც ასეთი, რონდას არ ჰქონდა. იმისი თქმა მინდა, რომ აქაურებს არ გააჩნდათ რაიმე დოგმა ან საღოცავი. რონდელები თაყვანს. სცემდნენ ამ ქვეყნის სასწაულებრივ წყაროებს და მარადიული სიჭაბუკის რეცეპტის საიდუმლოს, რომელიც მხოლოდ დიდმა ჰერცოგმა იცოდა. სხვა რამ, ადგილი თუ უმაღლესი სამღვდელოება, სათაყვანო საგნად არც არასოდეს გაუხდიათ. უფრო მეტიც, რონდულ ენაში, რომელიც ფრანგულ-ბერძნულივით ჟღერდა, ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვა საერთოდ არ არსებობდა.

ძალზე სამწუხაროა, რომ აგრერიგად შეიცვალა ყველაფერი. რონდა ახლა რესპუბლიკაა. უამრავი დასავლური სიტყვა შეიპარა ადგილობრივ მეტყველებაში, მაგალითად, როგორიცაა „უიკენდი“, „კოკა-კოლა“ და სხვ. ქორწინების შემზღუდავი ბარიერიც დაინგრა. რონდელ გოგონებს ახლა ბროდვეისა თუ პიკადილიზეც შეხვდებით და ძნელადღა გამოარჩევთ სხვა თანატოლებისაგან. ამ ქვეყნის ისეთი ძველებური წეს-ჩვეულებანი, როგორიცაა ბარჯით თევზის ჭერა, ჩანჩქერიდან ხტომა, ცეკვები თოვლში, – ჩაკვდა და აღარ არსებობს. ერთადერთი, რაც არ წამხდარა, არის მისი რელიეფი-მაღალი მთა და დაკლაკნილი მდინარე. და კიდევ, უცვლელად კიაფობს რონდას გამჭვირვალე გამონაშუქი,

რომელიც არასოდეს იბინდება, არც იღრუბლება და საოცრად ჰგავს წმინდა აქვამარინის ქვის ბზინვას. ამ შუქის დანახვა უკვე ცაში აჭრილი და ქვეყნის საზღვრიდან კარგა შორს გაფრენილი თვითმფრინავიდანაც შეიძლება. აქ ახლა აეროპორტიცაა, რევოლუციის შემდეგ მალევე ააშენეს.

მართალია, ბევრი რამ შეიცვალა რონდაში, მაგრამ უცხოელი ახლაც სინანულის გრძნობით ტოვებს ხოლმე ამ ქვეყანას, – სანამ გაემგზავრება, უკანასკნელად კიდევ იგემებს „რიცოს“, აქაურ ტკბილ ლიქიორს, უკანასკნელად დაყნოსავს როვლვულას, – მათრობელა სურნელის ყვავილს, რომლის ოქროსფერი ფურცლებიც ზაფხულის მიწურულს მორთავენ ხოლმე ქუჩებს, უკანასკნელად დაუქნევს ხელს რონდაქვიევერში მოცურავე ბრინჯაოსფერ არსებას და აეროპორტის უღიმღამო გასასვლელში მდგარი მალე მიაშურებს აღმოსავლეთსა თუ დასავლეთს. ჩვეულ საქმიანობას დაუბრუნდება, რომ რამე შესძინოს თავის ოჯახსა თუ ახლობლებს. ემშვიდობება აწ უკვე აუსრულებელი სურვილების ქვეყანას, ემშვიდობება რონდას.

დღესდღეობით, დედაქალაქში, ყველაზე გულისმომკვლელი, გარდა აწ უკვე მუზეუმად გადაქცეული სასახლისა, არის იმ სასახლის ყოფილი მკვიდრის, სამეფო ბაღის უკანასკნელი წარმომადგენლის ხილვა. მას ახლაც დიდებულ ქალბატონს ეძახიან. თუ რატომ არ დააკლეს ისიც თავის ძმას, – დიდ მთავარს, ამას ქვემოთ გაიგებთ. ის არის ერთადერთი ადამიანი, ვინც ამჟამად იცის მარადიული სიჭაბუკის საიდუმლო. ძმამ მას სიკვდილის წინ გაანდო რეცეპტის შემადგენლობა. ქალბატონს არავისთვის გაუმხელია და, ნამდვილად, საფლავშიაც თან ჩაიტანს. რევოლუციონერებმა ყოველი ღონე იხმარეს, დააპატიმრეს, აწამეს, გადაასახლეს, წამლებითაც სცადეს ზემოქმედება მის ტვინზე, მაგრამ ამაოდ, ვერანაირმა ტანჯვამ ვერ აიძულა ქალი გაეთქვა საიდუმლო.

დიდებული ქალბატონი ახლა ოთხმოცი წლისა მაინც იქნება. ერთხანს ძალზე დასუსტდა, არ ეგონათ ექიმებს ზამთარს თუ გაატანდა. მაგრამ ეს ქალი იშვიათი ჯიშისაა და ჯერ კიდევ ძალუძს უიმედოთა დამარცხება. როგორც ძველად, ახლაც ულა-

მაზესი გოგოა მთელს რესპუბლიკაში. გოგო შემთხვევით არ მითქვამს, საქმე ის არის, რომ მიუხედავად წლების სიმძიმისა, დიდებული ქალბატონი გარეგნულადაც და გულითაც ნამდვილად გოგოს ჰგავს. სრულიადაც არ შესცვლია ოქროსფერი თმა, წყლიანი თვალები, მოხდენილი და განუმეორებელი მიხრა-მოხრა, ასე ძალიან რომ ხიბლავდა აწ უკვე გარდაცვლილ, იმ ავადსახსენებელ „დიდი დანების ღამით“ დახოცილ მის თანამედროვეებს. იგი დღესაც ცეკვავს ხალხურ მეოლოდიებზე, ოღონდ, ახლა უკვე ერთი რონდიფის (ფულის ერთეულია რონდაში, დაახლოებით უთანაბრდება ერთი დოლარის ღირებულებას) ფასად. ჩვენთვის, ვინც მომსწრენი ვართ მისი ზეობის, ხალხის უსაზღვრო თაყვანისცემისა მის მიმართ (უფრო მეტსაც გეტყვით, მასაც საოცრად უყვარდა თავისი ხალხი), ვისაც გვახსოვს, თუ როგორ მფარველობდა ხელოვნებას, როგორ ეტრფოდა თავის ბიძაშვილ ენტონს, რომელმაც სერიოზული მნიშვნელობა არც კი მიანიჭა რევოლუციური ენების გამძაფრებას თავის ქვეყანაში... სწორედ ჩვენთვის, ვისაც ის ყველაფერი გვიხილავს და გაგვიგია, სანახავად საზარელია და გულსაკლავი რონდას დიდებული ქალბატონის-პაულას ცეკვა-თამაში ლუკმა-პურის საშოვნელად და ტურისტების გასართობად. წინათ კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. ჩვენს მეხსიერებას არ შორდება აივნის დღეები და მფრინავი თაგვები.

ჰოდა... თუ მეტისმეტად არ დაგღალეთ, (ისე კი, გახსოვდეთ, ქვეყნის საისტორიო წიგნებში, რომლებსაც სტუდენტები წარსულის გათვალისწინების მიზნით გადაწერენ ხოლმე მომავალი თაობებისათვის, წვრილმანი დეტალები არ არის შეტანილი), შევეცდები, რაც შეიძლება მოკლედ გიამბოთ, თუ როგორ დაეცა ევროპის უკანასკნელი სამთავრო, როგორ გახდა რონდა რესპუბლიკა და ამ მოვლენების დასაწყისში როგორ მოიცვა ხალხი მოუსვენრობამ ნაწილობრივ იმ გაუგებრობის გამო, რომ დიდებული ქალბატონი უმაღლესი კეთილდღეობიდან ასე ძირს დაეშვა და ახლა სასახლის მოედანზე დაკუნტრუშებს პატივაყრილი და განადგურებული.

2

მოდით, რონდას ისტორიას გადავხედოთ. პირველი მოსახლეობა კრეტელები და გალები იყვნენ; ერთნი ჯზოვის ზღვით შემოვიდნენ ამ მიწა-წყალზე, მეორენი-ხმელეთით. შემდგომში მათ რომაული სისხლიც შეერია. მერე კი, როგორც უკვე იცით. მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში მოვარდნილმა ღვარცოფმა აქაურ მკვიდრთა სამი მეოთხედი გადაწყვიტა. სულ პირველმა მონარქმა აღადგინა წესრიგი, თავიდან აღაშენა სატახტო ქალაქი, მიხედა მიწას, დათესა მოსავალი, დარგო ვაზი, - მოკლედ, სასოწარკვეთილ ხალხს ცხოვრების ხალისი დაუბრუნა.

ამ თავდადებულ საქმიანობაში მას დიდად ეხმარებოდა წყაროს წყლები. სწორედ მათგან მზადდებოდა მარადიული სიჭაბუკის წამალი, რომლის საიდუმლოსაც მხოლოდ დიდი ჰერცოგი ფლობდა. მაგრამ საიდუმლო რეცეპტის გარეშეც შეიცავდნენ აქაური წყლები სასწაულებრივ თვისებებს. ვინც კი დალევდა, უმალ გასაოცარი სიხალისით ივსებოდა; ისეთი შეგრძნებები ეუფლებოდა, სქესობრივად ახლადმომწიფებულ ყმაწვილს რომ ემართება ხოლმე, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს იყო აღმაფრენის ხელახალი განცდა. ბავშვს, რომელმაც არ იცის შიში მშობლებისა და მასწავლებლების წინაშე, დილაობით აღვიძებს ხოლმე დაუძლეველი სურვილი, რაც შეიძლება სწრაფად წამოხტეს საწოლიდან და მზეზე გავარდეს ფეხშიშველი, მაგრამ მალევე უნდა დაიოკოს ეს სურვილი, რადგანაც დღე, რომელიც ახლად თენდება, ხომ მისთვის თენდება! სწორედ ასეთი სიხარულის განახლებული განცდის მინიჭების უნარი შესწევდათ რონდას წყაროებს.

ასეთი შეგრძნებები არავითარ შემთხვევაში არ იყო მოჩვენებითი, როგორც ამას სკეპტიკოსები განმარტავდნენ ხოლმე ზოგჯერ. ახლა თანამედროვე მეცნიერებმა უკვე იციან, რომ ქიმიური რეაქციების საშუალებით შესაძლებელია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ბუნებრივი ნივთიერებებით გამდიდრება და სწორედ ამის გამოა, რომ ბოთლებში ჩამოსხმული აქაური

წყლების რეალიზაცია წარმოადგენს რონდას მრეწველობის ძირითად დარგს. ყოველწლიურად ოთხმოც პროცენტზე მეტ პროდუქციას ყიდულობს შეერთებული შტატები. წინათ კი, როცა მრეწველობა მარტო დიდი ჰერცოგის საკუთრებას წარმოადგენდა, ბოთლებში ჩამოსხმულ წყაროს წყლებს მხოლოდ სტუმრად ჩამოსულ უცხოელებზე ყიდნენ. დანაკარგი უსაზღვროდ დიდი უნდა ყოფილიყო, თუ წარმოვიდგენთ იმას, რომ წყარო რონდერჰოფის გამოქვაბულში იღებდა სათავეს და ცხრა ათასი ფუტის სიმაღლიდან გადმოჰქუხდა ჩანჩქერად. მაშინ, როდესაც მთელი ეს ენერგია საკვებით შეიძლებოდა გადაღლილი ამერიკელების ვენებში შეწოვილიყო, ის სრულიად უმიზნოდ გადმოედინებოდა შიშველ კლდეებზე, იფანტებოდა ჰაერში, დაბლა, გადაშლილ მინდვრებზე ეშვებოდა, აპოხიერებდა ისედაც მდიდარ დედამიწას და ამოჰყავდა ოქროსფერი როვლვუულა ყვავილები.

რონდელები, რა თქმა უნდა, დაბადებიდანვე, დედის რძესთან ერთად სვამდნენ ამ წყლებს, სწორედ ამიტომ იყვნენ ასე ლამაზები, სიცოცხლით საესენი და ხალისიანნი, სწორედ ამის გამო იყო მათთვის უცხო ცუდი ზნე და ამბიციები. ისტორიკოსთა ნაშრომებიდანაც კარგად ჩანს, თუ რა შორს იდგნენ პატივმოყვარეობისაგან ეს ადამიანები, რარიგ შეჰხაროდნენ სიცოცხლეს. ცნობილ რონდელ პოეტს _ ოლდოს ასეთი რამ აქვს ნათქვამი: „რატომ უნდა მოვკლათ ვინმე, თუკი ასე გვიყვარს ერთმანეთი? რატომ უნდა ვიტიროთ, თუკი ბედნიერები ვართ? რატომ უნდა გადალახოს რონდელმა რონდერჰოფი და გაემგზაეროს სხვა ქვეყნებში, იქ, სადაც მუდამ რაღაც ჭირი და ავადმყოფობაა გავრცელებული, სადაც ამდენი სიღარიბე და ომია? რატომ უნდა გადაცუროს რონდაქვიერი და გადავიდეს იქ, სადაც ხალხი ჯოგივით ცხოვრობს და ერთობა, სადაც ერთი სული აქვთ, როგორმე საკუთარ მეზობლებზე უკეთ მოიწყონ ცხოვრება?

რონდელებს ამგვარი რამეებისაკენ არ უქრით გონება. ამ ხალხმა უკვე გადაიტანა საშინელი წყალდიდობა, რომელმაც პირისაგან მიწისა აღგავა მისი წინაპრები. რა ვიცით, იქნებ რონდაქვიერი ისევ ადიდდეს, და მაშინ ხომ არც მათ დაეყრებათ სიკეთე! მაგრამ, სანამ ასეთი დღე დაუდგებოდეთ, ვაცალოთ ამ

ხალხს ცხოვრებით დატკბობა, ცეკვა, ოცნება, ვაცალოთ, ბარჯით დაიჭირონ მხტუნავი თევზები რონდაქვიერში, ვაცალოთ, იჭყუმპალაონ რონდერჰოფის წყლებში, შეაგროვონ ოქროსფურცლება როვლულა, დაწურონ ყურძენი, ვაცალოთ, ელოლიავონ და გაუფრთხილდნენ მარად ჭაბუკ პრინცს, რომელიც კვდება, მაგრამ ისევ იბადება ხელახლა!" – აი, უხეში თარგმანი იმისა, რაც თქვა ოლდომ. რონდული ენა ერთობ რთულია და მისი იდიომები დიდად განსხვავდება ევროპული ენებისაგან.

წყალდიდობის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, საუკუნეთა მანძილზე ბევრი არაფერი შეცვლილა რონდაში, ჰერცოგს ჰერცოგი ცვლიდა და არავინ უწყოდა, რა ასაკისა იყო მმართველი მონარქი თუ მისი მემკვიდრე. თუკი ჰერცოგი ავად გახდებოდა, ანდა რამე შეემთხვეოდა, მოსახლეობა უმალ იგებდა ამ ამბავს. ანკი რა იყო დასამალი? ადამიანებს უნდა სცოდნოდათ, რა ხდებოდა ქვეყანაში. მოსახლეობა სასახლის კარიბჭესთან გამოკრული ოფიციალური განცხადებიდან იგებდა დიდი ჰერცოგის გარდაცვალებასაც და მის ხელახალ სიცოცხლესაც, რამეთუ ახალ მონარქში გრძელდებოდა გარდაცვლილის სიცოცხლე. აი, რას შეიძლება ვუწოდოთ რელიგია. თეოსოფისტები კი თავის მხრივ ამტკიცებდნენ, თითქოსდა რელიგია იყო ის, რომ დიდი ჰერცოგი წარმოადგენდა გაზაფხულის სიმბოლოს. ასეა თუ ისე, რელიგიას დავარქმევთ თუ ტრადიციას, რონდელებისათვის ყოვლად მისაღები კი იყო. მათ უხაროდათ, რომ მარადიული სიჭაბუკის საიდუმლოს დიდი ჰერცოგი უსათუოდ გადასცემდა თავის მემკვიდრეს, აღფრთოვანებულნი იყვნენ მონარქის თვალწარმტაცი სილამაზით, მისი თეთრი სამოსით. მათ სასახლის მცველთა მოელვარე ქარქაშებიც ძლიერ მოსწონდათ.

მონარქი არასოდეს ჩარეულა თანამემამულეთა ნება-სურვილში და ბუნებრივია, არც მათ ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც მოსახლეობამ დაიწყო მიწის დამუშავება, მოსავლის აღება და საკმაო სარჩოც დააგროვა, (ხალხს ძალზე ცოტა ჰყოფნიდა, რადგან საკმარისად ჰქონდა თევზიც და ფრინველიც, ბოსტნეულიც და ხილიც, ღვინოც და ლიქიორიც), არავითარი კანონის გატარება აღარ გახდა საჭირო. ქორწინების კანონიც დაუ-

წერლად არსებობდა და არც ვინმეს უფიქრია მისი დარღვევა. აბა, ვინ იქორწინებდა უცხოელ ქალზე, ანდა რომელი რონდელი მანდილოსანი აიყვანდა ხელში ვიღაც გადამთიელისაგან გაჩენილ მოკლეკიდურებიან და დონდლო ბავშვს? ნამდვილად განსასჯელია ის ფაქტი, რომ რონდელები ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ და ერთი ციცქნა ქვეყანა, ასე, დაახლოებით კორნუოლის ხელა, ერთიანად ნათესავებით იყო დასახლებული. ამას ვერაკინ უარყოფს. მათ, ვინც წინათ კარგად იცნობდა რონდას, იცოდნენ რომ ბევრ ძმას შეურთავს საკუთარი და ცოლად, მაგრამ ამაზე ერთხელაც არ დასცდენიათ სიტყვა. ამგვარი შეუღლებების შედეგი კი ფრიად სასიკეთო იყო იმ თვალსაზრისით, რომ ასეთ აღრევას შთამომავლობისათვის ფიზიკურად თუ გონებრივად არავითარი ზიანი არ მოუტანია. რონდაში ძალზე ცოტა იდიოტი იყო. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, სწორედ შიდა ქორწინებებს მოსდევდა ის, რომ რონდელები არასოდეს ყოფილან პატივმოყვარენი, არასოდეს ჰქონიათ დიდი მოთხოვნილებები და არც ომებისადმი მიდრეკილება გამოუმჟღავნებიათ ოდესმე.

„რატომ უნდა ვიბრძოლოთ, თუკი არაფერი გვაქვს გასაყოფი? – აცხადებდა ოლდო, – რად მოვიპარო, თუკი საფულე სავსე მაქვს? რატომ მოვიტაცო უცხო ქალი, თუკი ჩემივე დაი არის ჩემი საცოლე?!“ რა თქმა უნდა, ასეთი მსჯელობა ერთობ გამაოგნებელია და არც არის გასაკვირი, რომ ამ დამათრობელი გრძნობებით სავსე და მორალის პრინციპებიდან დაცლილ ქვეყანაში ჩამოსულ ბევრ უცხოელსაც მეტად აღაშფოთებდა. მაგრამ მიუხედავად აქაური წესების განსჯა-გაკიცხვისა, სტუმარი საბოლოოდ მაინც მარცხდებოდა, რამეთუ, ფარ-ხმალს ყრიდა და მუხლს იყრიდა სილამაზის წინაშე, ხოლო თავისი შვებულების ბოლოს კი, როცა უკვე გასინჯული ჰქონდა წყაროს წყლის გემო, აზრიც ეცვლებოდა და ამ ქვეყნის რჯულზეც მოექცეოდა ხოლმე. სწორედ რონდაში ეზიარებოდა იგი სიცოცხლის ჭეშმარიტ არსს – თავგანწირვის ნიჭსა და ჰედონიზმს ანუ გონებისა და სხეულის სრულყოფილ ჰარმონიას. დასავლეთის სამყაროში მცხოვრები ადამიანისათვის ტრაგედიას წარმოადგენს ის უამრავი კანონი, რომელიც აგრერიგად ზღუდავს მას და ახარბებს

ყოველგვარ სიამოვნებას. ეს კი მეტისმეტად მიუტევებელი ცოდვაა. იმ ქვეყნებში კაცი მუდამ უნდა ისწრაფოდეს რაღაც უხილავი მიზნისაკენ, ეს მიზანი შეიძლება იყოს მატერიალური კეთილდღეობაც, უწმინდესი და უძლიერესი ღმერთიც და რაიმე საბრძოლო იარაღიც, რომელიც მას სამყაროს განმგებლად აქცევს. რაც უფრო მეტი იცის ამ პიროვნებამ, მით უფრო მოუსვენარი და მომხვეჭი ხდება, უფრო დიდ პრეტენზიებს აცხადებს იმ თბილი ტალახის მიმართ, რისგანაც შექმნილა და რადაც უნდა იქცეს. უჩნდება დაუოკებელი სურვილი, გაამწაროს და დათრგუნოს თავისივე მოძმე. სწორედ ასეთი დაუკმაყოფილებლობის შხამმა შეაღწია რონდაშიც. ამ ფაქტს კი დიდად შეუწყო ხელი როგორც უცხო ქვეყნებთან ურთიერთობამ, ასევე, რევოლუციის ორი ლიდერის - მარკოისა და გრანდოსის მეცადინეობამ, რამაც, ვაი, რომ საბოლოოდ მოწამლა ეს მშვენიერი ქვეყანა.

ალბათ იკითხავთ, რამ გაარევოლუციონერაო ეს ორი რონდელი? სხვასაც ხომ ბევრს უმოგზაურია საზღვრგარეთ, უკან კი უვნებლად დაბრუნებულა. განა რამ აიძულა მარკოი და გრანდოსი რონდას დამხობის სურვილი გასჩენოდათ, იმ რონდასი, სადაც შვიდი საუკუნის მანძილზე ფაქტიურად არაფერი შეცვლილა?

ყოველივე მოხდა მეტად მარტივი მიზეზის გამო. საქმე ის არის, რომ მარკოი ოიდიპოსივით უბედური დაიბადა. საცოდავს დაგრეხილი ფეხები დაჰყვა და საკუთარ მშობლებს ვერაფრით აპატია თავისი სიმახინჯე, სამუდამოდ შეიძულა იმის გამო, რომ ლამაზი არ გააჩინეს. ბავშვი, რომელსაც არ შეუძლია შეუნდოს მშობლებს, არც თავის სამშობლოს დაინდობს ოდესმე. მარკოი იზრდებოდა ერთადერთი სურვილით შთაგონებული, - რაც შეიძლება მეტად დაემახინჯებინა თავისი ქვეყანა. გრანდოსი ხარბი იყო დაბადებიდანვე. მასზე ამბობდნენ უცხო ჯიშისაო, - ვითომდაც დედამისს, არც კი ღირს ამისი გახსენება, მაგრამ, სასიყვარულო კავშირი ჰქონოდეს ზღვის გაღმელ მოგზაურთან, რომელიც შემდგომ თურმე მეტისმეტად ტრაბახობდა ამ ნადავლით. ასე იყო თუ ისე, გრანდოსმა მემკვიდრეობად მიიღო ანგარებიანი ბუნება და ცინცხალი გონება. სკოლაში (რონდელი ბავშვები

ერთნაირ განათლებას იღებდნენ, მხოლოდ სამეფო გვარის ყმაწვილებს ასწავლიდნენ ცალკე), გრანდოსი პირველი მოწაფე იყო, ხშირად მასწავლებლებზე მეტიც იცოდა. ამან კი საკუთარ თავზე ერთობ დიდი წარმოდგენა შეუქმნა. ბავშვი, ვინც საკუთარ მასწავლებელზე მეტი იცის, რა თქმა უნდა, თვით პრინცსაც გაეჯიბრება ცოდნაში და საბოლოოდ თავის თავს იმ საზოგადოებაზე მაღლა დააყენებს, რომლის წიაღშიაც დაიბადა.

ეს ორი ბიჭი დამეგობრდა. მათ ერთად გადალახეს რონდას საზღვარი და ევროპაში იმოგზაურეს. ექვსი თვის შემდეგ შინ დაბრუნებულებმა თან მოიტანეს დაუკმაყოფილებლობის ჯერ გაუცნობიერებელი გრძნობა. ისინი მზად იყვნენ დაენგრიათ სამყარო. გრანდოსმა თევზის დამუშავების მრეწველობას მიჰყო ხელი. ამ ფრიად განათლებულმა კაცმა განიზრახა, რონდაქვეყნის თევზი, რონდელების ძირითადი და უგემრიელესი საკვები, სხვადასხვაგვარად გამოეყენებინა. კერძოდ, თევზის სიბრტყეზე გახლეჩილ ხერხემალს, ქალის ბიუსჰალტერს რომ წააგავდა, ფორმას დაუხვეწდა და ისე გაყიდდა, ხოლო ქონისა და ოქროსფერი რეველუულასაგან დაამზადებდა მკვებავ მალამოს უხეში და მობერებული კანისათვის.

გარნდოსმა წამოიწყო საექსპორტო ბიზნესი. პროდუქციას დასავლეთის ყველა ქვეყანაში გზავნიდა. მალე მთელს რონდაში უმდიდრესი კაცი გახდა. რონდელი მანდილოსნებიც კი აცთუნა გაზეთში მის მიერ გამოქვეყნებულმა საკუთარი პროდუქციის რეკლამამ. აქაურ ქალებს, ვისაც არასოდეს სცმიათ ლიფები და არც სილამაზის მალამო უხმარიათ ოდესმე, აეკვიატათ აზრი, – ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას მხოლოდ ეს საგნები აკლდა და სხვა არაფერიო.

მარკოის იმდენად სძულდა ყველაფერი, რაც თავის მშობლებთან იყო დაკავშირებული და მათ შორის იმ მშობლების საყვარელი ვენახიც კი, რომ მეურნეობაში ბედი არც უცდია. იგი ჟურნალისტი გახდა. მალე გაზეთ „როდას უწყებებს“ მთავარი რედაქტორის ადგილსაც გამოჰკრა ხელი. დაარსების დღიდან ამ გაზეთში ძირითადად იბეჭდებოდა ყოველდღიური ახალი ამბები და ცნობები სოფლის მეურნეობისა თუ ვაჭრობის შესახებ,

ხოლო კვირაში სამჯერ ხელოვნების სიახლეებსაც იგებდა მკითხველი. ხალხს ჩვეულებად ჰქონდა, გაზეთი სადმე ბუნების წიაღში ან კაფეებში შუადღისას, დასვენების ჟამს წაეკითხა. მარკოიმ შეცვალა ეს ჩვევები. ახალ ამბებს ისევ ბეჭდავდა, მაგრამ გონებამახვილურად ახერხებდა თაჯის სასარგებლოდ გადაეკეთებინა, – დასცინოდა ძველ ტრადიციებს, ისეთებს, როგორებიცაა ყურძნის დაწურვა (ამით შურს იძიებდა საკუთარ მშობლებზე), ბარჯით თევზის ჭერა (ამას გრანდოსის სასარგებლოდ აკეთებდა, რადგან ბარჯი თევზს ხერხემალს უზიანებდა და ამით საექსპორტო ბიზნესსაც ვნებდა), მაგრამ მას უფრო სხვა აზრი აწუხებდა, – მარკოი ყოველგვარი სილამაზის განადგურების მოსურნე იყო. იგი რონდელი მოხუცების გრძნობებსაც შეურაცხყოფდა, რადგან სწორედ ხანშიშესულ ხალხს ჰქონდა საყვარელ ჩვეულად გადაქცეული გაზაფხულზე ყვავილების შეგროვება და სახლების, დედაქალაქისა და სასახლის მოკაზმვა. ამ ყოველად უცოდველ გართობასაც ვერ იტანდა მარკოი, განზრახული ჰქონდა, ბოლო მოეღო ყველაფრისათვის, რაც თვითონ არ მოსწონდა. გრანდოსი მისი თანამოაზრე იყო, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს მასაც სძულდა რონდას წეს-ჩვეულებები, უფრო იმის გამო, რომ ძველის დანგრევა მეტად გაფურჩქნიდა მის საეჭვო ბიზნესს, მეტად გაამდიდრებდა და გააბატონებდა თავის თანამემამულეებზე.

ახალგაზრდა რონდელები თანდათან ეგუებოდნენ ახალ ღირებულებებს, რასაც თითქმის ყოველდღე ეცნობოდნენ პრესაში. გაზეთი გარეგნულადაც ეშმაკურად იყო შეცვლილი. ის უკვე შუადღით კი აღარ გამოდიოდა, რომ მოსახლეობას შესვენების დროს გადაეკლო თვალი და მალევე დავიწყებოდა, არამედ საღამოს, მზის ჩასვლისას იყიდებოდა სასახლის მოედანსა და გარეუბნებში. დაბინდებისას, როცა რონდელი უდარდელად წრუპავს თავის „რიცოს“ და უფრო მგრძნობიარე ხდება, ვიდრე დღისით, ძალზე იოლია მისი მოტყუება. ასე, რომ ეფექტი ფრიად თვალსაჩინო იყო. ახალგაზრდა რონდელები, რომლებიც აქამდე მხოლოდ ზამთარ-ზაფხულ გართობასა და სიყვარულობანაზე ფიქრობდნენ, ახლა ცხოვრებისეულ პრობლემებზეც

დაფიქრდნენ.

„ხომ ვითმინეთ აბუჩად აგდება შვიდი საუკუნის მანძილზე, – წერდა მარკოი, – რონდა მხოლოდ სულელებისათვის გახდა სამოთხე. ვინც კი საზღვარგარეთ ყოფილა, დამერწმუნება, რომ ჭეშმარიტი ცხოვრება იქ, ჩვენი საზღვრების გარეთ არსებობს, სწორედ იქ არის ახლის აღმოჩენისა და პროგრესის სამყარო. რონდელებს დიდხანს კვებავდნენ ტყუილებით. ჩვენი განსაკუთრებულობა ის არის, რომ იდიოტები ვართ, მთელს განათლებულ კცობრიობას ვძულვართ“.

არ არსებობს ქვეყნად ადამიანი, ვინც შეეგუება აზრს, რომ სულელი დაუძახონ. დაცინვა სირცხვილს ბადებს მასში და ეჭვებით აღაესებს. ასე დაემართა აქაურ ახალგაზრდობასაც. ერთ დროს ბევრით ყმაწვილებს გული აუცრუვდათ იაკის საქმიანობაზე, რადგან საკუთარი ღირსებაშელახული ეჩვენათ.

ამ დროს კი მარკოი უფრო აღვიქვებდა უნდობლობას:

„ვინც ფეხით წურავს ყურძენს, იაკის თავს აჭყლეტს მიწას, ხოლო ვინც მიწას ხნავს, თავისთვის ითხრის საფლავს“-ო.

ეს კაცი წაიპოეტებდა კიდეეაც, იგი საკმაო ირონიით ახერხებდა ოლდოს ფილოსოფიის დამახინჯებას.

„ძალ-ღონით საკმე ახალგაზრდობა რატომ უნდა დავეთრგუნეთ მთავრობას ისე რომ ჩაეხშო ჩვენთვის აზრები. ნებისმიერ ჩვენთაგანს შესწევდა უნარი ემართა ქვეყანა, ამის სანაცვლოდ კი ვიღაც სხვა ბატონობდა. უკვდავებას, რომელსაც შეუძლია მსოფლიო მბრძანებლებად გვაქციოს, ტყუილებითა და ხრიკებით ფლობს მხოლოდ ერთი კაცი და ისიც იმიტომ, რომ მხოლოდ მან იცის რაღაც ქიმიური საიდუმლო“.

მარკომ ეს დაწერა საგაზაფხულო დღესასწაულის დღეებში, ხოლო როდესაც ნახა და დარწმუნდა, გაზეთის ნომრებმა რონდას ყოველ ოჯახში შეაღწიესო, ეჭვი აღარ შეეპარვია, რომ ამ ქვეყნის მცხოვრებთა პატარ-პატარა სამყაროები უთუოდ შეიცვლებოდა.

– მართალს წერს, ხომ იცი, ეუბნებოდა ერთი კაცი მეორეს, – ჩვენს საკმაოდ უდარდელად ვცხოვრობდით, საუკუნეთა მანძილზე გულხელდაკრეფილები ვისხედით და მოწყალებასავით

ვიღებდით, რასაც გადმოგვიგდებდნენ.

– ნახე, რა წერია აქ, – ეუბნებოდა ერთი ქალი მეორეს, – წყაროს წყლები სხვა ხალხებსაც უნდა გავუნაწილოთო, სწორიც არის, არავის უნდა დაბერება, წყლები ჩვენ საკმაოზე ბევრი გვაქვს.

თქმით კი ამბობდნენ, მაგრამ არავის ჰყოფნიდა იმდენი თავხედობა, პირველს შეეტია დიდი ჰერცოგისათვის. ერთი კია, მოსახლეობაში კრიტიკული განწყობილება სუფევდა, ხალხმა ირწმუნა, გვატყუებენ და გვთრგუნავენ და ამის გამო მთელი მსოფლიო დაგვცინისო. სწორედ ამ განწყობილების მიზეზით საგაზაფხულო ფესტივალს მოაკლდა ჩვეული მხიარულება.

მარკოი კი თავისას განაგრძობდა:

„ეს არაფრის მაქნისი კვირტები რონდელი მშრომელი ხალხის მიერ მხოლოდ იმიტომ იკრიფება, რომ უფროს თაობას ასიამოვნონ და პატივმოყვარეობა დაუკმაყოფილონ ერთადერთ კაცს – ჰერცოგს, მაშინ, როდესაც შეგვეძლო ყვავილის გული გამოგვეწურა, დაგვეჭყლიტა და ჩვენს სასარგებლოდ, ჩვენივე გამდიდრებისათვის გამოგვეყენებინა. რონდას რესურსები უნდა დამუშავდეს, გაიყიდოს და ჩვენც მოგვხმარდეს და მთელს კაცობრიობასაც“.

ნამდვილად დასაბუთებული ლოგიკა იყო. ხალხმა ჩუმ – ჩუმად დაიწყო ლაპარაკი, თუ როგორ ფუჭად იფლანგებოდა მთელი სიმდიდრე – ოქროსფერი კვირტები თუ გადმომქუხარი წყაროები, თუ როგორ მიცურავდნენ ლაღად რონდაქვიერიდან ზღვისაკენ დაუჭერელი თევზები, რომელთა ხერხემალიც მხოლოდ რონდელი ქალების მკერდებს ამშვენებდა, და როგორც გაზეთიდან იცოდნენ ამის გამო შეიძულებდათ და დასცინებდათ მთელი სამყარო.

იმ ღამეს, პირველად რონდა ისტორიაში, დიდი მთავრის გამოჩენისას სიჩუმე გამეფებულიყო სასახლის მოედანზე.

– რა უფლება აქვს, იმეფოს ჩვენზე, – დაიჩურჩულა იქ მყოფმა რომელიღაც ბიჭმა, – ისიც ხომ ჩვენსავით სისხლისა და ხორცისაგანაა შექმნილი. რითია ჩვენზე უკეთესი, მარადიულ სიჭაბუკეს ხომ მხოლოდ ელექსირი უნარჩუნებს?

– ამბობენ, ჩურჩულითვე თქვა იმ ბიჭის თანმხლებმა გოგომ, – სხვა საიდუმლოებსაც ფლობსო. თურმე ისეთი წამალი იცის, მარტო სიჭაბუკეს კი არა, სიყვარულსაც რომ ახანგრძლივებს“.

აი, ასე აღმოცენდა შური, რომელიც მარკოიმ და გრანდოსმა დათესეს. უცხოელმა ტურისტებმა უმალ შეიტყვეს რონდელების განწყობილება. ისინი ხედავდნენ იმ გაღიზიანებასა და ბრაზისაგან აფეთქებას, რაც სრულიად არ შეეფერებოდა აქაურთა მშვენიერ გარეგნობას. რონდელებმა, იმის მაგიერ, რომ მსოფლიოსათვის თავისი ეროვნული წეს-ჩვეულებანი პირველყოფილი მომხიბვლელობით ეჩვენებინათ, ისტორიაში პირველად დაიწყეს მობოდიშება საკუთარ „ნაკლოვანებათა“ გამო. ამ ქვეყნისათვის ისეთ უცხო სიტყვებს, როგორებიცაა „დათრგუნვა“, „ჩამორჩენა“, „არაპროგრესული“, როწდელები ერთგვარი მორიდებით წარმოთქვამდნენ, ხოლო არცთუ დიდად ალღოიანი უცხოელები ამ ხალხის მინაგული უკმაყოფილების ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ, როდესაც მათ „კოლორიტულებსა“ და „ახირებულებს“ უწოდებდნენ.

– მომეცი ერთი წელიწადი, – უთქვამს მარკოის მეგობრისათვის, – მომეცი ერთი წელიწადი და მარტო დაცინვითაც კი დავამხობ მთავრობასო.

გრანდოსს ჭკუაში დასჯდომია ეს ამბავი. ერთ წელიწადში იგი ხელშეკრულებას დაუდებდა მეთევზეებს და ისინიც რონდაქვეყანაში დაჭერილი თევზების ხერხემლითა და ქონით მოამარაგებდნენ, ხოლო იმავე წლის ბოლოს კი გაურიგდებოდა მოზარდებს, რათა მისთვის მოეკრიფათ და ჩაებარებინათ როელვულას ფურცლებგაცლილი გულები, რომლის ესენციასაც სუნამოდ გადაამუშავებდა და შეერთებულ შტატებში გაყიდდა. ამგვარად, გრანდოსი და მარკოი – მეწარმე და ჟურნალისტი შეკავშირდნენ. ახლა მათ უნდა განესაზღვრათ რონდელი ხალხის ბედი.

– დაიმახსოვრე, – უთხრა გრანდოსმა მარკოის, – ერთად თუ ვიქნებით, ვერავინ მოგვერევა, ცალ-ცალკე კი დაგვამარცხებენ. შენ თუ გაზეთიდაან დამესხმი თავს, მაშინ მთელს ჩემს საქონელს საზღვარგარეთ ძვირად გავყიდი. ამას კი ის მოჰყვება, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი უცხოელებს

მოიზიდავს, ისინი აქ დასახლდებიან, რონდა ევროპის სხვა სახელმწიფოებში გაითქვიფება და ეს შენ ყოველგვარ ავტორიტეტსა და გავლენას დაგაკარგვინებს.

– შენც ნუ დაგავიწყდება, – უპასუხა მარკოიმ, – რომ თუ ჩემს პოლიტიკას გაემიჯნები, და შენი წარმოების წილში არ შემიყვან, რესპუბლიკის მთელ ახალგაზრდობას აგიმხედრებ.

– რესპუბლიკის? – გაუკვირდა გრანდოსს და წარბი აჩიდა.

– დიახ, რესპუბლიკის, – მეტი დამაჯერებლობისათვის თავი დაუქნია მარკოიმ.

– შვიდი საუკუნეა არსებობს სამთავრო, – ფრთა გაშალა გრანდოსმა.

– მე შვიდ დღეში დავანგრევ, – თქვა მარკოიმ.

ეს საუბარი რევოლუციის არცერთ დოკუმენტურ მასალაში არ არის დაფიქსირებული, ერთი კია, ხალხმა იცის ამის შესახებ.

– დიდი ჰერცოგი? – ჩაფიქრდა გრანდოსი, – რა ვუყოთ ამ უკვდავ არსებას?

– ის, რაც ოქროსფერ ყვავილს ვუყავით, – უპასუხა მარკოიმ, – უნდა გავსრისოთ!

– რომ გაგვექცეს? – ჩაეკითხა გრანდოსი, – ხომ შეიძლება, თავისიანებთან ერთად გაგვეპაროს ქვეყნიდან იმ სულელური გემით?

– დიდი ჰერცოგი ამას არასოდეს იზამს, – დაამშვიდა მარკოიმ, – შენ გავიწყდება ჩვენი ქვეყნის ისტორია. ყოველ მარადჭაბუკ ჰერცოგს სამშობლოსათვის შესაწირ ზვარაკად მიაჩნია თავი.

– იმ სულ პირველი ჰერცოგის ამბავი მოგონილია, განმარტა გრანდოსმა.

– მართალი ხარ, – დაეთანხმა მეგობარი, – მაგრამ ყოველ მოგონილ ამბავში ხომ ჭეშმარიტების მარცვალიც ძევს.

– ასეთ შემთხვევაში, სამეფო ოჯახის წევრიც კი არ უნდა დარჩეს ცოცხალი! – დაასკვნა გრანდოსმა.

– არა, – თქვა მარკოიმ, – ერთი მათგანი უნდა გადარჩეს, მაგრამ არა როგორც კერპი, რისიც შენ ასე გეშინია, არამედ, როგორც ცოცხალი საფრთხობელა. რონდელები უნდა მივაჩეიოთ

რაღაც-რაღაცეების უარყოფას“.

მარკოიმ მეორე დღიდანვე დაიწყო თავისი ჩანაფიქრის განხორციელება. ეს კამპანია მთელ წელიწადს, საგაზაფხულო დღესასწაულებამდე გრძელდებოდა. მარკოი მიზანდასახულად ცდილობდა თავისი გაზეთის ფურცლებიდან შეელახა დიდი ჰერცოგის ავტორიტეტი და წარმატებასაც აღწევდა. რონდელები გაუცნობიერებლად იყღინთებოდნენ ამ საწამლავით. კერპი სამიზნედ იყო გადაქცეული და ყოველგვარ გაელენას ჰკარგავდა ხალხზე. შეტევა დიდებული ქალბატონით, ჰერცოგის დით დაიწყო. უმშვენიერესს ქალთა შორის, მტერი არასოდეს ჰყოლია. მას რონდას ყვავილს ეძახდნენ. მარკოიმ მიზნად დაისახა მისი ზნეობრივი და ფიზიკური დაკნინება. მიაღწია თუ არა საწადელს, ამას მოგვიანებით შეიტყობთ, თუკი კვლავ დაგაინტერესებთ ეს ამბავი.

მარკოი რა ბოროტი კაცი ყოფილა! – იტყვით თქვენ.

სისულეა, იგი ხომ მხოლოდ იდეოლოგი გახლდათ.

3.

დიდი ჰერცოგი რამდენიმე წლით უფროსი იყო თავის დაზე, ზუსტად რამდენით, ვერავინ იტყოდა. სამეფო ოჯახის ყველა საბუთი „დიდი დანების ღამეს“ დაიწვა. ასეა თუ ისე, მათ წლოვანებაში სხვაობა ოცდაათ წელზე ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო. დიდი ჰერცოგების დაბადების თარიღები სასახლის არქივში ინახებოდა, ხალხს კი სრულიადაც არ აინტერესებდა მათი გაგება. აქაურებისათვის კმაროდა იმისი ცოდნა, რომ მონარქი უკვდავი იყო, მისი სული მისსავე მემკვიდრეებში გრძელდებოდა და ცოცხლობდა. არსებითად, ყველა ჰერცოგი ერთნაირი იყო საუკუნეთა მანძილზე და დროის ფაქტორს აქ მნიშვნელობა არ ჰქონდა. შესაძლოა, დიდებული ქალბატონი პაულა სრულიადაც არ იყო ჰერცოგის და, შესაძლოა, მონარქს შვილიშვილადაც ეკუთვნოდა. მხედველობაში უნდა იქონიოთ ის გარემოებაც, რომ ეს ნათესაობა სულიერი უფრო გახლდათ. ისე კი, პაულას ძარღვებში ჭეშმარიტად მეფური სისხლი ჩქეფდა და დაბადები-

დანვე ჰერცოგის დად იწოდებოდა.

საზღვარგარეთელები ყოველთვის ერთგვარი ეჭვით უცქერდნენ რონდას სამეფო ოჯახს. ძალზე აინტერესებდათ, თუ რას საქმიანობდნენ ისინი საუკუნეთა მანძილზე სასახლის კედლებში, (ნამდვილად ერთ რამედ ღირდა, ამ საქვეყნოდ განთქმული ლამაზი გვარისათვის თვალის შევლება), როგორ ერთობოდნენ რონდერჰოფის აგარაკსა თუ რონდაქვიერის პაწია კუნძულებზე ზამთარ-ზაფხულს, რითი იყვნენ დაკავებულნი მთელ დღეს, იღლებოდნენ კი ოდესმე? მათი შიდა ქორწინებები ხომ· მთლად აოგნებდა ტურისტებს! უცხოელებს ისიც აინტერესებდათ, როგორი იყო ამ ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობები, ერთ ადგილზე ხომ არ იყო გაყინული და მხოლოდ ფუჭი ცერემონიებით ხომ არ იფარგლებოდა? ასეთ შეკითხვებზე რონდელები იღიმებოდნენ და პასუხობდნენ:

– სიმართლე გითხრათ, არაფერი ვიცით, ვიცით მხოლოდ ის, რომ სამეფო ოჯახში ჩვენსავით ბედნიერად ცხოვრობენ, ანდა, რატომ არ უნდა იყვნენ ბედნიერნი?

მართლაცდა, რატომაც არ უნდა ყოფილიყვნენ ბედნიერნი? რონდელებისაგან განსხვავებით, სხვა ხალხებს, (ვგულისხმობ ევროპისა და შეერთებული შტატების მოსახლეობას, ეგრეთ წოდებულ „ცივილიზებულ“ ერებს) არ ესმოდათ, რა იყო ბედნიერება. ისინი ვერ იგებდნენ იმას, რომ რონდელი ქალი იქნებოდა თუ კაცი, კაფეს მფლობელი თუ მევენახე, სათევზაო ნავის პატრონი, სასახლის მკვიდრი პატარა პრინცი თუ პრინცესა, რატომ იყვნენ ყოველთვის კმაყოფილი თავისი ბედით და რატომ უყვარდათ ასე სიცოცხლე. ეს კი მართლაც ასე იყო, მათ ნამდვილად საოცრად უყვარდათ სიცოცხლე. ხშირად გამიგონია უცხოელებისაგან:

– რონდელების ცხოვრება არ არის ნორმალური, მათ წარმოდგენაც არა აქვთ, როგორ ვითარდება მსოფლიო ყოველდღიურად...

აბა, ჩაუკვირდით, ხედავთ, როგორი დაუძლეველი შური გამოსჭვივის მათ ჯრებში? რონდელებს მსოფლიო განვითარებაზე არც ჰქონდათ წარმოდგენა და არც აინტერესებდათ. ისინი

უბრალოდ ბედნიერები იყვნენ, ეს იყო და ეს. თუ სხვა ქვეყნების ხალხებს ერჩივნათ ცათამბჯენებსა თუ ხელოვნულად მოწყობილ ქოხებში საცხოვრებლად მოხროვილიყვნენ და მერე თუნდაც შუახე გამსკდარიყვნენ, ეს მხოლოდ მათი საქმე იყო, როგორც უნდოდათ ისე მოქცეულიყვნენ, Tandos pisos – ამბობდნენ ასეთ დროს რონდელები და ითარგმნება როგორც ერთი მაგათაც მოსცლიათო.

დაკუბრუნდეთ სამეფო ოჯახს. ისინი ისევე ქორწინდებოდნენ ერთმანეთში, როგორც ჩვეულებრივი რონდელები. ბიძაშვილი ბიძაშვილს ირთავდა, უფრო ახლობლებიც ულლდებოდნენ. ისეთი სიფაქიზით ეპყრობოდნენ სულიერ ცხოვრებას, რომ ქვენა ინტიმურ ურთიერთობებს იშვიათად მიმართავდნენ, ისიც იმიტომ, რომ ტახტის მემკვიდრე გაეჩინათ. დიდი ხალხმრავლობა არასოდეს ყოფილა სასახლეში, რადგან სრულიადაც არ იყო ბევრი შთამომავლის ყოლის საჭიროება. რაც შეეხება ტურისტების დაინტერესებას, იღლებიან თუ არა ოდესმეო, ასე ვუპასუხებდი:

შეუძლებელია დაგღალოს რამემ, თუკი ბედნიერი ხარ!

რონდას სამეფო ოჯახის წევრები ძირითადად პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები, მოთხილამურეები, მოჯირითეები, მყვინთავები და მებაღეები იყვნენ. სწავლობდნენ ყველაფერს, რასაც შეეძლო სიამოვნება მიენიჭებინა მათთვის. მათ შორის არასოდეს ყოფილა შეჯიბრი და ამრიგად არც შური. როგორც შევიტყვე, არც ამის შესახებ არსებობს რაიმე საბუთი. ყოველ საღამოს დიდი ჰერცოგი ჩვეულებისამებრ გამობრძანდებოდა ხოლმე აივანზე, ხალხსაც მეტი არა უნდოდა რა. ჰერცოგი იყო ერთადერთი მფლობელი არამარტო ელექსირისა, რასაც საკუთარი რეცეპტით ამზადებდა, არამედ იმ წყაროებისაც, სამეფო ოჯახის კუთვნილ გამოქვაბულში რომ იღებდნენ სათავეს. დიდ მთავარს იქ დასაქმებული ჰყავდა მთიელები, რომლებიც საკუთარ მამებს ბავშვობიდანვე ჰერცოგის სამსახურად დაემოძღვრათ. აი, სწორედ ამ გამოქვაბულის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა გრანდოსის სანუკვარ მიზანს.

სამეფო ოჯახში გაუზრდელი და გაუნათლებელი არავინ

ყოფილა. სასახლის ბიბლიოთეკას (რამხელა დანაშაული იყო იმ უნიკალური წიგნების დაწვა), ყოველი პრინცი საუკუნეთა მანძილზე თავის მხრივ ახალი წიგნებით ავსებდა და ამდიდრებდა. ახალგაზრდა პრინცებისა თუ პრინცესების განათლების დონე თვით ფრანგ პროფესორსაც კი განაცვიფრებდა.

დიდებული ქალბატონი პაულა რონდას ყველა პრინცესასაგან გამოირჩეოდა ნიჭიერებით, ხუთი ენა იცოდა, უკრავდა ფორტეპიანოზე, შესანიშნავად მღეროდა. ერთხელ, თურმე ცნობილ ინგლისელ კოლექციონერს ხელთ ჩაუვარდა ბრინჯაოს ბიუსტი, რომელიც შემთხვევით გადარჩენოდა „დიდი დანების ღამის" უბედურ და დამაქცეველ მოვლენებს. იმ კოლექციონერის აზრით, ბრინჯაოს თავი გენიოსის მიერ უნდა ყოფილიყო შექმნილი. ხალხს კი სჯეროდა, ქანდაკი დიდებული ქალბატონის ნამუშევარიაო. პაულა სხვა რონდელებივით სრიალებდა თხილამურებით, მათსავით ცურავდა წყალში და ჯირითობდა, მაგრამ ამ მეფური სისხლის ასულს მაინც ჰქონდა ერთი განსაკუთრებული თვისება, შეეძლო შთაგონებით აენთო ყოველი ადამიანი და მისთვის თავი შეეყვარებინა. პაულა საოცრად უყვარდა ხალხს, ჯერ იმიტომ, რომ როგორც ამბობდნენ, ობოლი იყო, მშობლები თურმე ადრე დახოცვია, დედა მასზე მშობიარობას გადაჰყოლია, მალე მამაც გარდაცვლია, მეორეც - დიდი ჰერცოგი, მისი ძმა (თუკი ნამდვილად ძმა იყო), რომელსაც ცოლი არ ჰყავდა, განსაკუთრებულად ელოლიავებოდა პატარა გოგოს. პაულას დაბადება დიდი ჰერცოგის მონარქად კურთხევას დამთხვევია. იმ დროს სასახლეში სხვა პატარა ბავშვი არ იყო, მოზარდი თაობა უკვე წამოზრდილიყო და ოჯახსაც მოჰკიდებოდა. პაულა, დიდი ჰერცოგის წინამორბედის შთამომავალი, პირველი ბავშვი იყო, რომელიც ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში დაიბადა სასახლეში.

ხალხმა თანდათან შეიტყო მისი არსებობა: ერთხელ თურმე ძიძა დაუნახავთ ფანჯრიდან ჩვილი ბავშვით ხელში, ერთხელაც, ვიღაც ბიჭს, რომელიც სამეფო ბაღში როვლვულას აგროვებდა, საბავშვო ეტლი უნახავს იქვე. ამბავს ამბავი მოჰყვა. ბევრჯერ უხილავთ ოქროსფერთმიანი გოგონა რონდერჰოფის კალთებზე

თხილამურებით მოსრიალე, ისიც დაუნახავთ, როგორ ყვინთავდა რონდაქვიერში. უფრო ინტიმურ გარემოშიც ჰყავდათ ნანახი, აივანზე გამოსვლის წინ თურმე ხელჩაკიდებული მისდევდა დიდ ჰერცოგს პატარა გოგონა. უკვე ყველამ იცოდა, რომ დიდი მთავრის დაია, პატარა ქალბატონი სასახლეში დაბადებული ბოლო ბავშვი იყო.

რაც დრო გადიოდა და პაულა ქალდებოდა, მატულობდა ლეგენდები და მითები მასზე. მუდამ გულკეთილსა და მხიარულ ქალბატონზე უამრავ დაუჯერებელ ამბავს უამბობდნენ რონდელები ერთმანეთს. ყვებოდნენ როგორ გადმოხტა თურმე პაულა რონდერპოფის ჩანჩქერის ყველაზე საშიში ადგილიდან და რომ ასეთ ნახტომს მხოლოდ გამოცდილი სპორტსმენი თუ გაბედავდა, როგორ ჩამორეკა ერთხელ მთის ფერდობიდან ცხვარი და შეუსია ვენახებს, როგორ დაუგო მახე თევზებს რონდაქვიერის ზედა წელში, ისე, რომ ერთი მათგანიც ვერ გაუსხლტა და მერე როგორ მიმოფანტა თავისი ნადავლი სახნავ-სათეს მინდვრებზე, რითაც დიდად გააოგნა მეორე დღეს მოსავლის დასახედად მისული ფერმერები, როგორ დაწნა როვლეულა ყვავილებისაგან გვირგვინები და იმ გვირგვინებით მორთო სურათების გალერეაში მდგარი ქანდაკებები, როგორ შეიპარა ერთხელ ჰერცოგის ოთახში, თეთრი სამოსი დაუმალა და მანამდე არ გამოუჩინა, სანამ ცოტაოდენი სიჭაბუკის ელექსირი არ გამოსტყუა.

მთელს ამ ზღაპრებში შესაძლოა, ერთი სიტყვაც არ იყო მართალი, მაგრამ რონდელებს მაინც ძალზე მოსწონდათ ამისთანა ამბები. ყოველ ოჯახში ეკიდა დიდებული ქალბატონის გამოსახულებიანი მედალიონი. ცნობისმოყვარე ტურისტებს აქაურები აჩვენებდნენ ამ მედალიონს და დიდი სიამოვნებით ეუბნებოდნენ, – ეს ჩვენი დიდებული ქალბატონიაო, უბრალოდ კი არ აცნობდნენ, ქალბატონიაო, არამედ ჩვენიო.

პაულა ყოველი რონდელი ბავშვის მფარველი იყო, (ეს დაახლოებით იგივეა, რაც ქრისტიანული ნათლიდედა), იგი დაბადებისთანავე უგზავნიდა პატარებს ნაკურთხ წყალსა და კეთილ სურვილებს, ხოლო ქორწინების დრო რომ დაუდგებოდათ,

საჩუქრად მიართმევდა ხოლმე ძლიერმომქმედი ცვარ-ნამის ბროლს. ეს ჩვეულება ანგლო-საქსელ ტურისტებს სასაძაგლედ ეჩვენებოდათ, სამხრეთ ევროპელებს კი სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ.

რამდენადაც დიდ ჰერცოგსა და მის დას საკმაოდ თბილი ურთიერთობა ჰქონდათ, რონდელებს ეგონათ, ერთ მშვენიერ დღეს დაქორწინდებიან კიდევაცო. ეს ამბავი იმდენად ელდის მომგვრელი იყო უცხოელთათვის, რომ ევროპისა და ამერიკის ეკლესიების მიერ დაიწყო დიდი მოძრაობა რონდაში მოგზაურობის აკრძალვის თაობაზე. (მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს). ასეა თუ ისე, რევოლუციას რომ არ მოესწრო, პაულა უეჭველად ცოლად გაჰყვებოდა, თავის ბიძაშვილს – ენტონს, რომელიც პოეტიც იყო და ჩემპიონიც სათხილამურო სპორტში. სასახლის ერთი მსახური, ვინც სასწაულად გადარჩენოდა „დიდი დანების ღამეს", შემდეგ ხალხს უამბობდა, თუ როგორ უყვარდათ ერთმანეთი პაულასა და ენტონს წლების მანძილზე.

მარკოიმ ეს ყველაფერი კარგად იცოდა. ჟურნალისტს ყველგან ჰყავდა დაგზავნილი ჯაშუშები, თვით სასახლეშიც კი. კარგად უწყოდა, ქალბატონის ქორწინება საკუთარ ბიძაშვილთან თუ ჰერცოგთან იმის საწინდარი იქნებოდა, რომ ძალაუფლება ისევ სამეფო ოჯახს დარჩებოდა, ყოველ შემთხვევაში, მომდევნო თაობამდე მაინც. რონდელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სატრფიალო ამბებს. საოცრად რომანტიულად გამოიყურებოდა ის აზრი, რომ ჰერცოგს თავისი მარადიული სიჭაბუკე ვინმეზე ზრუნვაში დაეხარჯა. თუმცა იქნებ არც კი სურდა პაულას შერთვა. ეს უკვე მისი საქმე იყო და რონდელებს არ ეხებოდა. ასეთ შემთხვევაში ჰერცოგი დალოცავდა ქალის ქორწინებას მისსავე გულის რჩეულთან და საბოლოოდ ყველაფერი კეთილად დასრულდებოდა. მარკოიმ ოსტატურად დაიწყო მოქმედება. მან თავის პროპაგანდას მანამდე მისცა გასაქანი, ვიდრე ასეთი ქორწინების შესაძლებლობა იქნებოდა.

სამეფო ოჯახის წინააღმდეგ გაშლილი კამპანიის დაწყებისთანავე მარკოი „რონდას უწყებების" ყოველდღიური ამბების სვეტში განუწყვეტლად აქვეყნებდა წერილებს დიდებული

ქალბატონის მოღვაწეობის შესახებ. ერთი შეხედვით, სტატიაში თითქოს არაფერი იყო ისეთი, რაც სამეფო გვარს ზიანს მიაყენებდა, მაგრამ მიანიშნებდა კი, რომ პაულასთან, რონდელთა ამ კერპთან დაკაშირებით ყველაფერი მაინც არ იყო წესრიგში.

გაზეთში ნათქვამი იყო, – დიდებული ქალბატონი ჩაფიქრებული და ფერმკრთალი გახდა, სევდიანი გასცქერის სასახლის ფანჯრებიდან უზრუნველ ხალხსო.

განა შესაძლებელი იყო, რომ ერთმანეთს გაუცხოებოდნენ ის და დიდი ჰერცოგი ანდა თვითონ პაულა გამიჯნოდა იმ ურთიერთობას, რაც სასახლის კანონების მიხედვით ეკისრებოდა?

„რონდას ყვავილი, – ბედავდა და აცხადებდა მარკოი, – რონდას ხალხის საკუთრებაა, რომ შეეძლოს, უბრალო ადამიანს გაჰყვებოდა ცოლად, მაგრამ სწორედ დროოჭმული ტრადიციები უშლის ხელს. ჩვენი ქვეყნის ყველაზე ლამაზი გოგო ვერასოდეს გახდება თავისუფალი“.

სინამდვილეში, იმ საღამოს, როცა „რონდას უწყებებში“ ეს განცხადება გამოქვეყნდა, დიდებული ქალბატონი თავის ბიძაშვილ ენტონთან ერთად რონდერჰოფის პატარა აგარაკზე იმყოფებოდა. იმიტომ იყვნენ დროებით მარტონი, უკეთ რომ გაერკვიათ, რამდენად ძლიერად უყვარდათ ერთმანეთი და როგორ ეწყობოდნენ ხასიათებით. ხალხმა ეს ამბავი არ იცოდა და ამის გამო იყო, რომ დიდებული ქალბატონის ქალაქში არყოფნა (ის ყოველთვის ფანჯრიდან ესალმებოდა ხოლმე მოსახლეობას) თვალშისაცემი გახდა. რონდელები დაეჭვდნენ, – შერისხული ან უფრო მეტიც, დატყვევებული ხომ არ ჰყავთო. მარკოიმ ჭორი გაავრცელა, თითქოს პაულა დიდ ჰერცოგს დაემწყვდია, რათა თავისი სურვილისათვის დაემორჩილებინა და მეუღლედ გაეხადა. თურმე ნუ იტყვით, ეს ამაღლებული სულის ქალბატონი, რონდელების საყვარელი არსება უნდა მოედრიკათ და სულიერად გაეტეხათ. ასეთმა ვითარებამ ცხელი კამათი გამოიწვია იმ დღეებში. მარკოისა და გრანდოსის მომხრეები დაბეჯითებით ავრცელებდნენ ამ ვერსიას.

– მუდამ ასე ყოფილა და ასეც უნდა გაგრძელდეს, ამბობდნენ ძველი ყაიდის ადამიანები, ძირითადად მთისა და

სოფლის მოსახლეობა, – დიდებული ქალბატონი უნდა დადინჯდეს და კიდევ ერთი მშვენიერი უკვდავი გაუჩინოს ჩვენს ქვეყანას. შერეული ქორწინება კარგს არაფერს მოგვიტანს, აბა, ევროპელებსა და ამერიკელებს შეხედეთ!

– კი, მაგრამ, რატომ უნდა ვუკრათ ხელი ბედნიერებაზე? – პასუხობდა ქალაქელი ინტელიგენცია, – რატომ არ უნდა შეეძლოს ქალბატონს, თავისუფლად აირჩიოს საბედო ჩვენს შორის? მაშ იმის ღირსნიც არა ვართ, რომ ოდნავ მაინც გავუთანაბრდეთ მის ნათესაობას? თუკი დიდი ქალბატონი რომელიმე ჩვენთაგანს ინდომებს, მივცეთ საშუალება, ამოგვირჩიოს.

– მერედა, ვინ გითხრათ, რომ რომელიმე თქვენგანი უნდიხართ? თავის მხრივ კითხულობდა სოფლის მოსახლეობა.

– ყველაც ამბობს, – არ ეპუებოდნენ „გონებააღგზნებულები".

საღამო ხანზე შესმული „რიცო" სისხლს უჩქეფდა აქაურებს და უფრო დამაჯერებლად წარმოუსახავდა ამგვარ ჯხრებს. ახალგაზრდა კაცები ერთმანეთს დაჟინებული მზერით ათვალიერებდნენ იმის დასადგენად, თუ ვისთვის შეიძლებოდა გაემეტებინა ბედს ეს წყალობა. ვინ დაიპყრობდა „რონდელი ყვავილის" გულს. ჭორები კი თანდთან მრავლდებოდა. ამბობდნენ, თითქოს რონდერ-ჰოფის მაღალ მთაზე თოვლში ცხვირსახოცი ეპოვოთ და შიგ პატარა ბარათი ყოფილიყოს წარწერით: „მომეშველეთო". იმასაც ამბობდნენ, თითქოს სასახლის ფანჯრიდან გადმოგდებულ როვლვულა ყვავილის გულში ჩამალული ქალბატონისეული საყურე ენახათ. ერთხელ კი, ვითომდაც, დილაადრიან, არჩვზე ნადირობიდან შინ მიმავალ მონადირეთა წინაშე ჩამოვარდნილა დიდებული ქალბატონის მედალიონი, რომელზედაც ეწერა „მე შენ მიყვარხარ", მაგრამ ვერც ერთ მათგანს ვერ გაეგო, ან საიდან ჩამოვარდა, ან ვინ იგულისხმებოდა ამ წარწერაში. აქაურებს საწუხარ-საფიქრალი გაუჩნდათ, – როგორ დავიხსნათო დიდებული ქალბატონი, ნეტავ რომელ ჩვენგანზეაო შეყვარებული. გასაგებია, როგორ აელდებოდა ენებები, როგორ თანდათან ითესებოდა რევოლუციის თესლი. აივანზე გამოსულ ჰერცოგს კი მხოლოდ სიჩუმე ხვდებოდა. მოხუცებმაც კი აქციეს ზურგი.

ამის შემდეგ მარკოიმ ტაქტიკა შეცვალა. მთელი კვირის

მანძილზე აღარაფერი დაუწერია დიდებულ ქალბატონზე. მან მკითხველის ყურადღება მიაპყრო წყაროს წყლების ღირსებათა შეფასებას. გაზეთის ერთ მოწინავე სტატიაში ნათქვამი იყო: „ჩრდილო ევროპის მეცნიერებმა ამასწინათ შეამოწმეს რონდას წყაროები და აღიარეს, რომ ისინი შეიცავენ მინერალს, რომლის ჭეშმარიტი ღირებულებაც დღემდე უცნობია რონდელი ხალხისათვის. იცის თუ არა ამის შესახებ დიდმა ჰერცოგმა, დანამდვილებით თქმა არ შეგვიძლია, მაგრამ მოვლენები გვიჩვენებენ, რომ იგი საკმაოდ კარგად უნდა ერკვეოდეს წყლების შემადგენლობაში. მეცნიერების აზრით, ეს მინერალები მხოლოდ სიცოცხლეს კი არა, სიყვარულსაც ახანგრძლივებენ და იმუნიტეტსაც აძლიერებენ დაავადებათა წინააღმდეგ. მეცნიერებმა აღშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ეს ძვირფასი წყლები მხოლოდ ერთი ადამიანის საკუთრებად უნდა დარჩეს“. შემდეგ სტატიაში ლაპარაკი იყო მინერალის ტექნიკურ დეტალებზე და მიიავრდებოდა იმ აზრით, რომ სხვა ქვეყნების ხალხებსაც უნდა მისცემოდა ამ წყაროების გამოყენების საშუალება.

ხალხი საღამო ხანს, „როცოს“ წრეპვისას გაეცნო ამ სტატიას და კიდევ ერთხელ გაიყო ორად ხანში შესულებად და ახალგაზრდებად.

– ერთი რამ კია, ფრთხილად დაიწყეს წინდახედულმა შუა ხნის ფერმერებმა და მეკვანძეებმა, – დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ დიდი ჰერცოგის ხელში წყაროს წყლებს არავითარი საფრთხე არ დაემუქრება. ვინ იცის რა მოხდება, ვინმე სხვა რომ დაეპატრონოს. მინერალებთან ხუმრობა არ შეიძლება, მკვრიელი იქნება ის თუ თხევადი, ხომ შეიძლება ისეთი თვისებაც გამოავლინოს, რომ ყველანი ნაწილ-ნაწილ დაგვშალოს.

– სწორედ ეგაა, წამოიძახეს გონებააღგზნებულმა ქალაქელებმა, – ეს ამხელა ძალა ერთი კაცის ახირებასაა დამორჩილებული. რა ვიცით, ბოროტებას ემსახურება თუ სიკეთეს? დიდ ჰერცოგს შეუძლია სიკვდილამდე შეინარჩუნოს სიჭაბუკე, ხომ ასეა? ჩვენ კი გავლევთ ამ წუთისოფელს, დავნაოჭდებით და დავიხოცებით, ვერც ვერასოდეს ვეზიარებით უკვდავებას.

– დიდი პერცოგიც ჩვენსავით კვდება, შეეპასუხა მათ უფროსი თაობა, ავადმყოფობა რომ დარევს ხელს, ისიც კვდება.

– ბოლოს და ბოლოს, – არ ცხრებოდა ახალგაზრდობა, – მან ხელში ჩაიგდო ყველაფერი, რაც კი მოინდომა, თავისი დის ჩათვლით. ისე კი საკითხავია, ნამდვილად მისი და არის თუ ძმისშვილიშვილი. რატომ უნდა ვუცქიროთ დოყლაპიებივით ყოველივე ამას ასეული წლების მანძილზე?

– იმიტომ, რომ თქვენ არ იცით, როგორ უნდა მოიხმაროთ ეს ღვთითბოძებული მარადიული სიჭაბუკე, – წყნარად უპასუხა უფროსმა თაობამ.

– რატომაც არ ვიცით, – აყვირდნენ გოგო-ბიჭები, რატომაც არ ვიცით, იმან კი იცის?

გამუდმებით კამათობდნენ ამაზე, იმდენი ცუდი ითქვა და გაკეთდა ჰერცოგის საწინააღმდეგოდ, საკითხავია, კიდევ რა შეიძლებოდა დაებრალებინათ მისთვის. დიდი მთავარი საღამოობით ჩვეულებისამებრ გამოდიოდა აივანზე. რას აკეთებდა იგი მთელი დღის განმავლობაში სასახლეში, არავინ იცოდა. იქნებ ტირანიც იყო და თავის ახალგაზრდა ნათესავებს აიძულებდა მის ნება-სურვილს დამორჩილებოდნენ, ან იქნებ ეს ურჩხული კლავდა კიდევაც თავის ხანდაზმულ ახლობლებს, რათა მისი ასაკი არ გამოემჟღავნებინათ. ენახა კი ვინმეს გარდაცვლილთა საფლავები სასახლეში?! ვინ იცის, რა ბნელით მოცულ საქმეებს ჩადიოდა რონდერჰოფის ციხე-სიმაგრის სხვენსა თუ სარდაფში, ანდა რონდაქვივერის კლდეებით შემოსაზღვრულ პაწია კუნძულებზე? რამდენნაირი სიუჟეტი ითხზვებოდა, რამდენი შხამი ინთხეოდა!

ჭორს ერთი თვისება აქვს, შეუძლია ყველაზე მხდალები მამაცებად აქციოს, ხოლო ყველაზე მშვიდნი კი დიდად შეაშფოთოს. მარკოი შორიდან უცქერდა თავის მიერ აგორებულ ჭორის შედეგს. ვინმე თუ ჰკითხავდა, რას ფიქრობ ყოველივე ამაზეო, ვითომ არაფერ შუაში იყო, ისე პასუხობდა:

– მე მოვალე ვარ დავბეჭდო ხალხის ნაფიქრი, თვითონ კი არავითარი აზრი - არ გამაჩნიაო.

– „სასოწარკვეთილება გვიპყრობს“, – წერდა მეორე ლიდერი,

„როდესაც წარმოვიდგინეთ, რომ რონდას უნიკალური წყლები შესაძლოა, „შესაძლოა“-ს საგანგებოდ ვამბობთ, რადგან არა გვგონია ასეთი რამ მოხდეს, – ხალხს გვერდს ავლით გაიყიდოს უცხოეთში და საბოლოო ჯამში ხალხისავე წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. დიდმა ჰერცოგმა რომ რონდას დატოვება განიზრახოს, განა წინ რამე დაუდგება? საიდუმლო რეცეპტსაც თან წაიღებს და უცხო ძალებს გადასცემს წყაროების მთელ სიმდიდრეს. ჩვენ რაღა გვეშველება, ვის ხელში ჩავცვივდებით? რონდელები საკუთარ ბედს თვითონ არ განაგებენ. უფსკრულის პირას ვდგავართ, ყოველ წუთს შეიძლება გამოგვეცალოს ნიადაგი და დავინთქათ. დროა, თვითონ რონდელი ხალხი გახდეს ამ წყაროების პატრონი, თორემ გვიან იქნება!“

აი, ამგვარად შეუერთდა გრანდოსი ჰერცოგის საწინააღმდეგოდ წამოწყებულ კამპანიას. მან „რონდას უწყებებს“ გაუგზავნა წერილი, სადაც აღშფოთებას გამოთქვამდა თავისი ფაბრიკის ერთ-ერთი საუკეთესო მუშის დაღუპვის გამო. ის უბედური დამხრჩვალი ეპოვათ რონდაქვიერში, იმ ადგილას, სადაც თევზის ფხას ამუშავებდნენ. გვამს, რომელიც მდინარის შესართავთან გამორიყულიყო, მძიმე ქვა ჰქონდა მობმული. მატერიალურად საკმაოდ უზრუნველყოფილი ოჯახის უფროსი თავს ნამდვილად არ მოიკლავდა. ვის უნდა მოეწყო ეს ბინძური თამაში? ის უბედური თურმე წინა დღით ენახათ სასახლის ერთ-ერთ მსახურთან მოსაუბრე. სულ მალე ის მსახურიც გაქრა. იქნებ ეს ყველაფერი მოაწყო ხელისუფლებამ, (ჰერცოგის სახელს არც კი ახსენებდა), რომელსაც სურდა თვითონ ჩაეგდო ხელში ხალხისათვის ეგზომ დიდი სარგებლობის მომტანი ახლადდაწყებული თევზის მრეწველობა? რა უნდა ეღონა გრანდოსს? იქნებ მონარქს იმისი იმედი ჰქონდა, უსიტყვოდ დამითმობს მთელს მრეწველობასო, და თუკი უარს მიიღებდა, მუშას მოუკლავდა და ამით იძიებდა შურს?! მეტი რაღა უნდოდა ხელისუფლებას, წყაროები ხომ მას ეკუთვნოდა, მართალია, ეს საკმაოდ დიდი უსამართლობა იყო და სახიფათოც კი, მაგრამ განა გრანდოსი რამეში შესცილებია? მას თავისივე დაფუძნებული თევზის მრეწველობა ეხებოდა, თავისი საქმე ჰქონდა და ძველი ტრადიციები

არასოდეს გამოუყენებია რამეში. ახლა ის რჩევას ეკითხებოდა რონდელ ხალხს, როგორ მოქცეულიყო ამ შემთხვევაში, თუკი მის მუშახელს კიდევ დაემუქრებოდა რაიმე საფრთხე.

აფეიქებისთვის ერთობ ხელსაყრელი დრო გამონახა. ეს წეროს წყლები ხომ... ეჰ, რა თქმა უნდა, დიდად მნიშვნელოვანი საქმე იყო და უნდა გაგრძელებულიყო კიდევაც მათზე მსჯელობა, მაგრამ ადამიანის დაღრჩობა, შესაძლოა განზრახ მკვლელობაც, და ამასთანავე, თევზის მრეწველობისათვის საყრთხის შექმნაც არ იყო ხელწამოსაკრავი რამ. ქვეყნის ეოველი კუთხიდან მოაწყდა „რონდას უწყებებს" წერილების ნაკადი. კითხულობდნენ, – თუკი თევზის მრეწველობას საფრთხე ემუქრებოდა, მაშ როგორღა იქნება შევენახეობის საქმე? როგორღა განვითარდება ღვინით ვაჭრობა? რა ბედი ეწევათ კაფეებს? ნუთუ აქაური ხალხისათვის უსაფრთხოების იმედი აღარ არსებობდა?

გრანდოსი ყველა წერილს პასუხობდა, უმადლოდა ავტორებს იმ გულთბილი თანადგომისათვის, რაც ხელ-ფეხს უხსნიდა თავისუფალი მოქმედებისათვის და იქვე დასძენდა, რონდაქვიერზე აგებულ ფაბრიკაში უკვე მცველები ჩავაყენეთ.

მცველები თევზის ყეხის გადამამუშავებელი ფაბრიკის წინ... რონდაში სასახლის გარდა არაფერს ჰეოლია დარაჯი. მოხუცები ძალზე შეცბუნებულები იყვნენ, ახალგაზრდა თაობა კი ზეიმობდა.

– ვაჩვენებთ სეირს, – გაიძახოდნენ ისინი, – მათ აღარ შესწევთ უნარი დათრგუნონ ჩვენი უფლებები. გაუმარჯოს გრანდოსს, გაუმარჯოს ადამიანის თავისუფალ მოქმედებას თავისიეე საკეთილდღეოდ!

„მათში" რაღა თქმა უნდა, დიდ ჰერცოგს გულისხმობდნენ. „რონდას უწყებების" კითხვით ჭკუაგადაბრუნებული ხალხი ერთხელაც კი არ დაფიქრებულა, რომ მონარქი არც ვინმეს დამუქრებია ოდესმე და არც ვინმე დაუღრჩვია, ოდნავაც არასოდეს დაინტერესებულა თევზის ხერხემლის წარმოებით, მხოლოდ ზოგჯერ თუ გაიხუმრებდა პაულასთან რონდელ ქალებზე, რომლებიც თევზის ხერხემლისაგან დამზადებულ ბღლუდებს ხმარობდნენ.

მარკოიმ და გრანდოსმა მოამწიფეს სასახლეში დეპუტაციის

გაგზავნის ჟამი, თვითონ კი განზე გადგნენ. სასახლის ალაყაფს მიმდგარმა ახალგაზრდების ჯგუფმა ჰერცოგს შეუგზავნა პროტესტი, რომელსაც ხელს აწერდნენ ქალაქის თვალსაჩინო მოქალაქეთა შვილები. ისინი დიდი მთავრისაგან მოითხოვდნენ ოფიციალურ პასუხს.

პროტესტის ერთ პუნქტში ასეთი რამ იყო ნათქვამი:

„დიდმა ჰერცოგმა საჯაროდ უნდა განაცხადოს, რომ არაფერით შეზღუდავს რონდელი ხალხის უფლებებსა და თავისუფლებას და არც კი ეცდება, ოდესმე თავის ძალაუფლებას დაუქვემდებაროს თევზის მრეწველობა, რამეთუ სწორედ ამ დარგის საშუალებით მიაღწევს რონდა უდიდეს განვითარებას და ბევრად გაუსწრებს ევროპის სხვა სახელმწიფოებს“. მეორე დღეს სასახლის ალაყაფზე გამოაკრეს მოკლე განაცხადი: „თუკი ვინმე ოდესმე ეცდება თევზის მრეწველობის მითვისებას, ანდა, თუკი რამეთი შეიბღალება ქვეყნის უძველესი წეს-ჩვეულებანი და რონდელი ხალხის თავისუფლება, ეს არ იქნება ჩადენილი დიდი ჰერცოგის მხრიდან“.

ახალგაზრდობა დაიბნა. იმდენად მოკლე და ორჭოფული იყო ეს განაცხადი, რომ თითქმის შეურაცხყოფას უდრიდა. გარდა ამისა, რას ნიშნავდა ასეთი პასუხი? სხვა ვინ, თუ არა დიდი ჰერცოგი, ეცდებოდა საკუთარი მიზნებისათვის დაექვემდებარებინა მრეწველობაცა და ხალხის უფლებებიც. ის მრავალფურცლიანი საპროტესტო მოთხოვნები ნუთუ ასეთ ორსიტყვიან პასუხს იმსახურებდა? „რონდას უწყებებმა“ არ დააყოვნა და მოხერხებულად მიანიშნა მკითხველს, ასეთი პასუხი ახალგაზრდა თაობისათვის სახეში სილის გარტყმას ნიშნავსო.

გაზეთის პირველსავე გვერდზე ამგვარი რამ ეწერა:

„დიდად პრივილეგირებულნი ისე ჩაბღაუჭებიან უკვე ყველგასულ სიმბოლოებს, თითქოს ეს იყოს მათი თავდაცვის ერთადერთი საშუალება. მისტიურ მნიშვნელობას ანიჭებენ ჰერცოგის სამოსს, მის აივანზე გამობრძანებას და შიდაქორწინებების რიტუალს. ამიერიდან, რონდელ ახალგაზრდობას ვეღარ მოატყუებენ. მოქმედების თავისუფლება ახლა ამ უკანასკნელთა ხელშია. მათ კი, ვისაც სურთ შეინარჩუნონ სიჭაბუკე და მომავალი

თაობებიც აზიარონ ამ საიდუმლოს, იციან, რომ მისი პასუხი რონდერჰოფის გამოქვაბულშია, ხოლო გამოქვაბულის გასაღები კი სასახლის ლაბორატორიებში ძევს".

ეს უკვე აშკარა შეტევა იყო დიდ ბერცოგზე. მეორე დღეს ამაზე კრინტიც აღარ დაძრულა, სამაგიეროდ, ყურადღება გამახვილდა სტატიაზე ბოტანიკის შესახებ. კერძოდ, იქ საუბარი იყო როელვულაზე, რომელსაც თურმე ბრწყინვალებისა და სურნელის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა, ამის გამომწვევ მიზეზად კი ასახელებდნენ რონდერჰოფის კალთებიდან მინდვრად გადმონამქრილ თოელს, რაც, როგორც ერთ-ერთი ბოტანიკოსი ამტკიცებდა, რადიაქტიური ნაწილაკებით ყოფილა დაბინძურებული. იგი გამოჰკვეთდა იმ გარემოებას, რომ რონდერჰოფის აღმოსავლეთ კალთების გაწმენდის მიზნით თოელს დასავლეთ კალთებისაკენ ხვეტდნენ, რადგან აღმოსავლეთ კალთებს სამეფო ოჯახის წევრები სათხილამურო სპორტისა და წყალში ხტომისათვის იყენებენო.

„თოელი ჩვეულებრივ აღმოსავლეთით მოდის, – განაგრძობდა ბოტანიკოსი, – მაგრამ რადგანაც განცხრომას უშლის ძლიერთ ამა ქვეყნისა, ამიტომ მთიელ გუშაგებს ნაბრძანები აქვთ მთელი ნამქერი დასავლეთ კალთებზე გადახვეტონ და ასე გაასუფთავონ სათხილამურო გზები. ეტყობა, დიდებულთათვის არც ის ნიშნავს არაფერს, რომ ნამქერით ყვავილები ზიანდება, და არც ის, რომ რადიაქტიურად დაბინძურებული თოელი დააზარალებს რონდელ სოფლის მეურნეებს".

ამ სტატიას მაშინვე გამოეხმაურა რონდას ერთ-ერთი ცნობილი ყვავილების შემგროვებელი. მისი აზრით, სწორედ თოელი ანიჭებდა როელვულას კვირტებს არაჩვეულებრივ თვისებებს და ამ მიზეზით იყო, რომ თოელის სიუხვეს ეგზომ აფასებდნენ მამა-პაპანიც.

„რონდას უწყებებმა" რა თქმა უნდა, უმალ უპასუხა.

„სამწუხაროდ, – წერდა გაზეთი, – ამ სტრიქონების ავტორი და მისი წინაპრები ყალბ ტრადიციებზე აღიზარდნენ და ცრუ ინფორმაციას ფლობდნენ და ფლობენ ახლაც. თანამედროვე გამოკვლევები მოწმობენ, რომ თოელს ზიანი მოაქვს ყვავილის

კვირტისათვის. გრანდოსის ფაბრიკის მუშებს, რომლებიც საექ-სპორტო მალამოს ამზადებენ როვლულასაგან, ხელის მტევნები საშინლად გაღიზიანებული აქვთ და აწუხებთ ქავილი. ეშიშობთ, რომ დაავადება გამოწვეული უნდა იყოს რომელიღაც ნივთიერების შედეგად, რაც თავის მხრივ დაბინძურებულია რადიაქტიური მტვერით“.

გაზეთმა იქვე დაბეჭდა მეტად შემაშფოთებელი ფოტო ადამიანის ეგზემიანი ხელის გამოსახულებით, თანაც აღნიშნა, თითქოს რონდერჰოფის კალთებზე მოკრეფილი როვლვულას კოკრების დამუშავებისას ფაბრიკის ერთ მუშას დაავადებოდა და იმდენად დაზიანდებოდა ხელები, რომ ვეღარც კი ხმარობდა.

მალე გრანდოსმაც გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რადიაქტიური მტვრით დაბინძურებული ყვავილისაგან დაცვის მიზნით ყოველ მუშას ხელთათმანებით უზრუნველყოფო.

ამ განცხადებასთან დაკავშირებით გაზეთი წერდა:

„რონდას მოსახლეობას შეუძლია იამაყოს, რომ ბოლოს და ბოლოს ერთი კაცი მაინც აღმოჩნდა ქვეყანაში, ვინც გულით მოეკიდა უბრალო ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას. ჩვენ კი გვეძლევა საშუალება, ღირსეული პატივი მივაგოთ გრანდოსს“.

სად იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში დიდებული ქალბატონი? იქნებ აღარავის ახსოვდა მისი არსებობა? მოგვიანებით, „დიდი დანების ღამეს“ გადარჩენილი სასახლის ერთ-ერთი მსახური, ვინც თავშესაფარი დასავლეთ ევროპაში ჰპოვა, მეგობრებს უამბობდა, თუ როგორ ხვდა პატივი აგარაკზე ხლებოდა და მომსახურებოდა დიდებულ ქალბატონსა და მის ბიძაშვილ ენტონს.

– მათზე უფრო ბედნიერი წყვილი არ დაბადებულა ქვეყანაზე, – ყვებოდა იგი, – რა გულწრფელად უყვარდათ ერთმანეთი! თხილამურებით დასრიალებდნენ რონდერჰოფის კალთებზე, ცურავდნენ მთის წყლების აუზში, საღამოობით კი მე და მეორე მსახური, რომელიც იმ საბედისწერო ღამეს მოკლეს, ჯუმასპინძლდებოდით რონდაქვიერის სათავეში დაჭერილი და როვლვულას ფოთლებში მოშუშული თევზით, ხოლო სასმელად მთის ფერდობზე გაშენებული ყურძნის წვენს მივართმევდით ხოლმე. დიდმა

ჰერცოგმა საკუთარი აგარაკი დაუთმოთ. საუცხოო ოთახებს ფანჯრები და აივნები აღმოსავლეთის მხრიდანაც ჰქონდათ და დასავლეთისაც, ისე, რომ მზის ჩასვლაც შეეძლოთ ეხილათ და მზის ამოსვლაც, მაგრამ საამისოდ არც კი მოუცლიათ.

მსახურის ნაამბობი რევოლუციის შემდეგ ამერიკულ პრესაშიც დაიბეჭდა, მაგრამ მოხუცების გარდა არავინ დაიჯერა ეს ამბავი.

მარტის დასაწყისში დაბრუნდნენ სასახლეში დიდებული ქალბატონი და მისი ბიძაშვილი ენტონი და მაშინვე შეუდგნენ ქორწილისათვის მზადებას. აი, აქ შეცდა პაულა, არ უნდა წამოსულიყვნენ აგარაკიდან. მაგრამ ქალბატონს ისე მოსჭარბებოდა ბედნიერება, რომ სურდა რონდელი ხალხისათვისაც გაეზიარებინა თავისი განცდები. ფიქრადაც არ მოსვლია, რომ სულ მცირე დროში აგრერიგად შეიცვლებოდა მისი საყვარელი ხალხი. მოგვიანებით ხმებიც კი გავრცელდა, თითქოს დიდ ჰერცოგს გაეფრთხილებინოს მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე, მაგრამ ქალს ყურად არ ეღოს მისი შეგონება, – მე ყოველთვის მიყვარდა ჩემი ხალხი და ისიც სიყვარულით მპასუხობდაო, – უთქვამს მისთვის, მერე კი სიყვარულისა და ბედნიერებისაგან გრძნობამოზღვავებულს ხელი ჩაუკიდია თავისი საქმროსათვის და სასახლის ზედა ფანჯრიდან დანახვებია რონდელებს. შინ დაბრუნებული პაულა ღიმილით უქნევდა ხელს და ესალმებოდა თანამემამულეებს. სასახლის წინ თავმოყრილი რონდელებისა და ტურისტებისათვის მოულოდნელი იყო დიდებული ქალბატონის გამოჩენა, რადგან ეს მშვენიერი არსება პატივაყრილი და დატყვევებული ეგულებოდათ თავის ბიძაშვილ ენტონთან ერთად. პაულა მალევე მოსცილებია ფანჯარას და ჩრდილებში შემალულა, შესაძლოა, დიდმა ჰერცოგმაც გაიხმო. გაოცებული ხალხი აჩოჩქოლდა:

– მაშ არ დაუტყვევებიათ? – ჰკვირობდნენ ზოგიერთები, – აგერ, იქ იდგა და იღიმებოდა კიდევაც. რას ნიშნავს ყოველივე? მაშასადამე, მათ ნამდვილად ჰყვარებიათ ერთმანეთი.

ეს ამბავი უეჭველად თაეზარს დასცემდა მარკოს, რადგანაც სწორედ იმ საღამოს მეგობრებთან ერთად სასახლის სკვერში

იჯდა და „რიიეის“ ჩაის მიირთმეედა. „როცოს“ ან სხვა ალკოჰოლურ სასმელს არასოდეს გაჰკარებია. „რიიეის“ ჩაი ბალახებისაგან დამზადებული ნაყენი იყო და მეტად რგებდა ნაღვლის ბუშტს. გაქნილმა მარკოიმ არაფერი შეიმჩნია, მხოლოდ ჩაიღიმა და ესღა თქვა:

– ეს ყველაფერი მათ გეგმაში შედის, აი, ნახავთ, ხვალ განცხადებას თუ არ გამოაკრავენ სასახლის კედელზე.

მეორე დილას სასახლის კედელზე გამოკრულმა განცხადებამ მოკლედ აუწყა მოსახლეობას, რომ უახლოეს ხანში დანიშნული იყო დიდი ჰერცოგის საყვარელი დის – პაულასა და მისი ბიძაშვილის – ენტონის ქორწინება. ხოლო შუადღისათვის სასწრაფოდ გამოვიდა „რონდას უწყებების“ მორიგი ნომერი.

„რასაც ჩვენი გაზეთი წინასწარმეტყველებდა, გამართლდა“, – უზარმაზარი ასოებით დაბეჭდილი ამ წინადადებით იწყებოდა პირველ გვერდზე მოთავსებული წერილი, – „რონდას ყვავილი“ ძალდატანებით აიძულეს დამორჩილებოდა მათ სურვილს და თავისსავე სისხლით ნათესავს მისთხოვებოდა. ამდენი ხნის ტყვეობამ სულიერად საბოლოოდ გატეხა ეს ულამაზესი და უმამაცესი ახალგაზრდა ქალი. მისი სანუკვარი ოცნება – უბრალო ადამიანს მისთხოვებოდა და თავი რონდელი ხალხისათვის მიეძღვნა, შეუბრალებლად და უხეშად იქნა ფეხქვეშ გათელილი. ვინ იცის, რა საშულებებით აიძულეს პაულა დათანხმებოდა ამ ქორწინებაზე. ალბათ, სწორედ ამგვარ საშუალებებს მიმართავდნენ საუკუნეთა მანძილზე სამეფო ძალაუფლებას მიტმასნილი ფანატიკოსები საკუთარი ახალგაზრდა ნათესავების დასამორჩილებლად. ენტონი, მომავალი სასიძო, რომელიც მონარქს ბავშვობიდანვე გამორჩევით უყვარდა, ეჭვი არ არის, რომ გაურიგდა დიდ ჰერცოგს და საკუთარი საცოლის გაზიარების ფასად გაინაღდა კიდევაც მემკვიდრეობა. ასე დაკარგეს რონდელებმა დიდებული ქალბატონი, ასე მოსტაცეს პაულა უბრალო ხალხს“.

პირველად იმ ღამით ატყდა არეულობა ქალაქში. შენობებს ცეცხლი წაუკიდეს, კაფეების ფანჯრები ჩალეწეს, ხანში შესული ადამიანები, რომელნიც უწესრიგობის მომწყობთა დაოკებას ცდილობდნენ, სცემეს. მხოლოდ სასახლეზე არ მიუტანიათ იერიში,

სამეფო გუშაგებმა პოსტი არ მიატოვეს. პირველად იმ ღამეს არ აჟღერდა სამეფო ორკესტრის მიერ ეროვნული ჰიმნი, არც ჰერცოგი გამოჩენილა აივანზე.

მეორე დილას სასახლის ალაყაფთან მოჯარულმა პირქუშმა ადამიანებმა წაიკითხეს მცველების მიერ გამოკრული ცნობა, რომელიც დიდებული ქალბატონის ხელით იყო დაწერილი და იტყობინებოდა:

„მინდა რონდელმა ხალხმა იცოდეს, რომ მე მიყვარს ჩემი ბიძაშვილი ენტონი. ჩვენ უკვე გვქონდა ქორწილისწინა თაფლობის თვე, რაც, უსაზღვროდ ბედნიერი ხანა იყო ჩვენთვის, ხოლო ქორწილი, რომელსაც მალე გადავიხდით, ჩემივე სურვილით ხდება“.

ხალხი გაოგნებული მიშტერებოდა ამ ცნობას, აღარ იცოდნენ, დაეჯერებინათ თუ არა. მაგრამ მარკოისა და გრანდოსის მსტოვრებმა, ხალხში რომ მიმოფანტულიყვნენ, უმალ გაავრცელეს ახალი ტყუილები:

– წერილი მუქარით დააწერინეს პაულას. ქორწინებისწინა თაფლობის თვე არა, ჩემი ფეხები! იმ ჩემპიონია თუ რაღაცა ენტონის უუფლებო პატიმარი იყო და რა უნდა ექნა. ის მთის აგარაკი უნდა დაიწვას და მიწასთან გასწორდეს.

„რონდას უწყებების“ შემდეგი ნომერი საღამოს გამოვიდა. მასში არც კი იყო ნახსენები პაულას მიერ დაწერილი ცნობა. მხოლოდ ერთ, წვრილი შრიფტით დაბეჭდილ აბზაცში გაკვრით იყო ნათქვამი შემდეგი:

„ჰერცოგის ასულმა პაულამ თანხმობა განუცხადა ენტონს ცოლად გაყოლაზე. ენტონი დიდ მთავართან ფრიად დაახლოებული პირია. ქორწინება შედგება უახლოეს მომავალში, შეიძლება უკვე შედგა კიდეც. რონდელმა ხალხმა თავად გამოიტანოს დასკვნები“.

გაზეთის ცენტრალური ნაწილი მთლიანად ეთმობოდა ეგზემის ეპიდემიას, რომელმაც თითქოს მთელი ძალით იფეთქა გრანდოსის ფაბრიკებში და ყვავილის დამამუშავებელთა გარდა თევზის ფხის გადამამუშავებელთა შორისაც გავრცელდა, რომ თურმე ხელმძღვანელობა სერიოზულად შეშფოთდა და განკარგუ-

ლება, გასცა, ამ ვითარების შესწავლამდე დახურულიყო ორივე საწარმო. გაზეთში დაბეჭდილი იყო გრანდოსის ფოტოც, რომელზც იგი თავზე ეფერებოდა ყვავილის დამამუშავებლის ბავშვს და აწვდიდა ერთ წყვილ სამახსოვრო ხელთათმანს.

უცხოელებმა მეორე დღიდანვე აიკრეს გუდა-ნაბადი. თანდათან დაცარიელდა რონდაქვიერის პაწია კუნძულებზე გაფანტული სასტუმროები.

– გვეშინია, ეგზემა ჩვენც არ ავიკიდოთ, გაგვაფრთხილეს, შეიძლება სწრაფად გავრცელდესო, – უკმაყოფილოდ აცხადებდნენ ერთნი, – ერთმა მეთევზემ დაგვარწმუნა, რომ რონდაქვიერის თევზი უკვე დასნებოვნებულია. ამ ყველაფრის მიზეზი მთიდან ჩამონადენი თოელი ყოფილა.

– მეტად ცუდი ამბავი შეემთხვა თქვენს პაწია ქალბატონს, – ამბობდნენ მეორენი, უფრო რომანტიული სულის ტურისტები, – აიძულეს მისთხოვებოდა კაცს ვინც სასტიკად სძულდა. მართალია, თითქოს გაგიჟებით უყვარდა რომელიღაც კაფეს მეპატრონეო? აი, შეერთებულ შტატებში რომ ყოფილიყო, სრული უფლება ექნებოდა ცოლად გაჰყოლოდა თავის რჩეულს.

მარკოისა და გრანდოსის თანამოაზრენი მოედვნენ აეროპორტსა და სასაზღვრო ზონებს.

– მაშ მიემგზავრებით რონდადან? – ჩაუკრავდნენ ხოლმე სიტყვას მგზავრებს, გასაგებიცაა, აქ ათასგვარი განსაცდელი გემუქრებათ. დიდი ჰერცოგიც საშინელ გუნებაზე ყოფილა თურმე. ჩვენმა ხალხმაც თუ გამოამჟღავნა თავისი უკმაყოფილება ამ იძულებითი ქორწინების გამო, ღმერთმა უწყის, რა ამბავს დაატრიალებს მონარქი.

– კი, მაგრამ რა ამბავი უნდა დაატრიალოს? – ეპასუხებოდნენ შედარებით კეთილად განწყობილი უცხოელები, – შეიარაღებული ძალა მას არა ჰყავს და მხოლოდ საჩვენებელი გამოსვლებისათვის მორთულ-მოკაზმულ მცველებს რა შეუძლიათ?

პირქუში იერის მსტოვრები უფრო ძაბავდნენ მდგომარეობას:

– თქვენ გავიწყდებათ, რომ ის არის წყაროს წყლების მფლობელი. რომ გაბედოს და გზა მისცეს წყალს, ჩვენს ქვეყანას მთლიანად წალეკავს. ხვალ შეიძლება რონდა წყლის ქვეშაც

მოექცეს.

უცხოელებს ერთი სული ჰქონდათ სწრაფად გასცლოდნენ იქაურობას. თვითმფრინავები ველარ აუდიოდნენ მგზავრების გადაყვანას, ამიტომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ავიაკომპანიებმა შეცვალეს ფრენის ჩვეულებრივი გრაფიკი და დამატებით საგანგებო თვითმფრინავები გაგზავნეს რონდაში. შეერთებული შტატების საზღვაო ლაინერმა, რომელმაც ღუზა რონდაქვიერის სათავეში ჩაუშვა, იმ ამერიკელ მოქალაქეებს ჩამოაკითხა, რომელთაც არ მიეცათ საშუალება თვითმფრინავით გაფრენილიყვნენ შინ. თავად რონდელი ხალხი ცდილობდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა, მაგრამ ახალმა ჭორმა მოსალოდნელი წარღვნის შესახებ ელვის უსწრაფესად რომ გავრცელდა პაწია სამთავროს ერთი ბოლოდან მეორეში, თავგზა აუბნია და ააფორიაქა მოსახლეობა.

ნუთუ მართლა ჩაიდენს ამას ჰერცოგი? – ეკითხებოდნენ ერთმანეთს, – ნუთუ მართლა წაგვლეკავს?

ბარის მცხოვრებნი უსასოოდ და მდუმარედ აჰყურებდნენ ზემოთ, ათასობით ფუტის სიმაღლეზე აღმართულ რონდერპოფს, ხოლო მთიელები კი გამოდიოდნენ ქოხებიდან და აყურადებდნენ უზარმაზარი გამოქვაბულებიდან გადმომქუხარი ჩანჩქერების ხმაურს.

– ეს უბედურება მართლა რომ მოხდეს... რით ვუშველოთ თავს, ვინღა გადარჩება? – წუხდნენ ისინი.

რონდამ, სულელების ამ სამოთხემ პირველად მაშინ გაიგო, რა იყო შიში.

საჭიროა გავიაზროთ ის, რომ რევოლუციის მოხდენა უამრავმა მიზეზმა განაპირობა. მისი სულისჩამდგმელები რომ ვითომ განზე მყოფი მარკიი და გრანდოსი იყვნენ, ეს უდავოა, მაგრამ თვითონ ადამიანები, რომელთაც არანაკლები წვლილი მიუძღვოდათ, არ იდგნენ ერთ პოზიციაზე. ისინი დაყოფილნი იყვნენ ჯგუფებად საკუთარი ცხოვრების წესისა და ინტერესების შესაბამისად.

რომანტიკულად განწყობილი ყმაწვილკაცები, ძირითადად

ქალაქელები, დარწმუნებულნი იყვნენ, ჰერცოგის და პაულა ტრადიციების მსხვერპლი შეიქმნა და იძულებული გახდა დათანხმებოდა საძულველ ქორწინებასო. ისიც სჯეროდათ, რომ ქალის გული ეკუთვნოდა ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ რომელს, არავინ იცოდა. ხმები დადიოდა, თითქოს პაულას სატრფო რომელიღაც წარჩინებული მოქალაქის შვილი ყოფილიყო და ყმაწვილკაცებიდანაც არცერთი არ აპირებდა დაეთმო აზრი, რომ სწორედ თვითონ იყო დიდებული ქალბატონის რჩეული. ახალგაზრდებში მოდად იქცა იდუმალი და მწუხარე გამოხედვა, ღილკილოში როვლეულა ყვავილის ტარება, ხოლო საღამოობით კი სასახლის მოედანზე ჯდომა, „რიცოს“ წრუპვა და სევდიანი მზერით სასახლის ფანჯრებისაკენ ყურება.

უფრო პრაქტიკული ხალხი-ძირითადად მრეწველობაში დასაქმებულნი, მეტად შეშფოთებულნი იყვნენ თევზის ქარხანაში მომუშავე ოსტატის უცნაური დაღრჩობითა და საერთოდ მუშებში გავრცელებული ეგზემის ეპიდემიის გამო. ეგზემა ნამდვილად გრანდოსის ფაბრიკებში გაჩნდა პირველად. მისი გამომწვევი მიზეზი კი მეტად მარტივი იყო, – საქმე ის არის, რომ აქაურ თევზს ბასრი ფხა ჰქონდა და შეიცავდა ნივთიერებას, რომელიც აღიზიანებდა ნაზ კანს. რაც შეეხება როვლულას, დამუშავებისას ისიც გამოჰყოფდა მომწამლავ წვენს და შესაბამისად მოქმედებდა ადამიანის კანზე. გრანდოსმა, ნებსით თუ უნებლიედ სწორედ ეს ორი ბუნებრივი წყარო აირჩია თავისი მრეწველობის გასავითარებლად და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ აქაური რესურსები თავისი განსაკუთრებული თვისებების გამო ვერ დაექვემდებარებოდა ფაბრიკულ დამუშავებას. ეს ფაქტი რონდელებს დროზე რომ გაეაზრებინათ, „Tandos pisos“-ო იტყოდნენ და აღარ წავიდოდნენ სამუშაოდ იმ ფაბრიკებში. გრანდოსი გუმანით ხვდებოდა ყოველივე ამას, შესაძლოა ადრეც მშვენივრად იცოდა, მაგრამ მრეწველებს აქვთ ერთი თვისება, – ყურს წაუყრუებენ ხოლმე მოსალოდნელ სიძნელეებს, თუკი ეს სიძნე-

ლეები რაღაცით მაინც შეზღუდავს მათ ფინანსებს.

ქვეყნის განვითარების მოსურნე რონდელთა ერთ ნაწილს დიდად აწუხებდა გაზეთში ამოკითხული ცნობა, თითქოსდა მრეწველობა – რონდას განვითარების წყარო – იხურებოდა დიდი ჰერცოგის თავკერძობის გამო. მას ხომ ვითომდაც საკუთარი კონტროლისათვის ნებავდა დაექვემდებარებინა ყველაფერი. ეს „დამოუკიდებლად მოაზროვნე" ადამიანები იმ დასკვნამდე მივიდნენ (რა თქმა უნდა, ისევ და ისევ გაზეთის საშუალებით), რომ მათ თავისუფლებასაც ემუქრებოდა საფრთხე. ხოლო რაც შეეხება შედარებით მარტივად მოაზროვნე ხალხს, გამუდმებულმა პროპაგანდამ წყალდიდობაზე, მოსავლისა და ვენახის გაჩანაგებაზე, პირუტყვისა და ხალხის ამოხოცვაზე, შეუქმნა საიმისო პირობები, რომ მხარი დაეჭირათ ნებისმიერი ხროვისათვის, ვინც კი უსაფრთხოებას დაპირდებოდათ.

წყალდიდობის საფრთხემ და იმ შიშმა, რომ განრისებული დიდი ჰერცოგი წყაროს წყლებით წალეკავდა მოსახლეობას, რონდელების უფროსი თაობაც რევოლუციონერებს მიამხრო.

ახალგაზრდობის ამბოხების ძირითადი მიზეზი წყაროს წყლები იყო, ის წყლები, რომელთაც მარადიული სიჭაბუკის მინიჭების არაჩვეულებრივი თვისებები გააჩნდათ და რომლითაც მხოლოდ ერთადერთი პიროვნება, დიდი ჰერცოგი სარგებლობდა. თავისი მიზნის მიღწევის სიმბოლოდ ახალგაზრდებმა დიდებული ქალბატონი დასახეს. პაულას სახეში ხედავდნენ ისინი მშვენიერებას, რომელიც დამორჩილებული ჰყავდა მხეცს. მას მისტიროდნენ, ის წარმოადგენდა სხვადასხვა პრინციპის ადამიანთა შემაკავშირებელ ძალას. სრულიადაც არ იყო ძნელი იმის დანახვა, თუ უამრავი სხვადასხვა მრწამსი როგორ იყრიდა თავს ერთადერთ მიზანში – ჩამოეგდოთ და მოესპოთ დიდი ჰერცოგი.

საგაზაფხულო დღესასწაული კარს იყო მომდგარი. რონდელები გუმანით გრძნობდნენ, რაღაც რომ უნდა მომხდარიყო. მარტის პირველ რიცხვებში, როგორც იცოდა ხოლმე, თოვლის

საფარი რონდერჰოფზე გაქრებოდა და ალბათ ეს თოვლი თან სხვა რამესაც გაიყოლებდა. დიდი ჰერცოგი, რომელსაც თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერიც არ ხდებოდა მის ქვეყანაში, იქნებ აპირებდა უბედურება მოულოდნელად დაეტეხა თავისი ხალხისათვის?

მთელს რონდაში, მთასა თუ ბარში, რონდაქვიეერის სანაპიროსა თუ რონდერჰოფის კალთებზე, თვით დედაქალაქშიც კი იმართებოდა მიტინგები და შეკრებები. ჩურჩულებდა, სისინებდა, შფოთავდა თავშეყრილი ხალხი. სულიერი სიმშვიდე დარღვეოდათ მოხუცებს, შეშინებულები სახლებში შეყუჟულიყვნენ და იმასღა ნატრობდნენ, – რაც მოსახდენია, მალე მოხდებოდესო, არც რამის ნახვა სურდათ და არც რამის გაგონება.

საგაზაფხულო დღესასწაულები რონდელებისათვის ეროვნულ დღესასწაულს წარმოადგენდა. იმ დღეს ყოველთვის თბილი და მშვენიერი დარი იდგა ხოლმე. სოფლის მოსახლეობას დედაქალაქში ჩამოჰქონდა საადრეო როელეულა ყვავილები და ქუჩებსა და სასახლეს რეავდა. შუადღისას კი დედაქალაქიდან რამდენიმე მილით დაშორებულ სტადიონზე ათასგვარ ასპარეზობას აწყობდნენ.

საოცარია, ამქვეყნიურ წვრილმანებსა და მოუსვენრობას როგორ ძალუძთ შექმნან კრიზისული ვითარება.

წინასადღესასწაულო დღეებში უჩვეულოდ აცივდა, ხოლო ზეიმის წინა საღამოს გათოვდა კიდეც. მთელი ღამე თოვდა და დილითაც არ შეჩერებულა. ახლადგაღვიძებულ რონდელებს არემარე თეთრად გადაპენტილი დაუხვდათ. მზე არსად ჩანდა, ზეცა სველი საფარველივით გადაჭიმულიყო. უზარმაზარი, ადამიანის ხელისგულისოდენა ფიფქები ეფინებოდა სახეზე ცისკენ მზირალ ხალხს. თითქოს საკუთარი ავი განზრახვის დამალვა უნდაო, ისე გაეხვია თოვლს რონდა თავის თეთრ საბურველში.

– საგაზაფხულო დღესასწაულზე ამისთანა ამინდს არც მოვსწრებივართ და არც გვსმენია, – უკვირდათ მოხუცებს, –

ნუთუ ახალგაზრდების ნათქვამი გამართლდა და დიდ ჰერცოგს ისევე ძალუძს განაგოს ამინდი, როგორც წყაროს წყლებს განაგებს? იქნებ სწორედ ეს უჩვეულო თოვაა ჩვენი დაღუპვის მაუწყებელი?

იმ დღეს არც ყვავილები მოკრეფილა, არც ასპარეზობანი ჩატარებულა და არც ცეკვები გამართულა მთის ფერდობებსა თუ სასახლის მოედანზე. მერე იყო და, რონდერჰოფის მაღალ კალთებზე დაკარგული ცხვრის საძებნელად წასულმა რომელიღაც მწყემსმა ძლივს ჩამოაღწია თოვლში სოფელში და ამბავი ჩამოიტანა:

– ზვავი აპირებს ჩამოწოლას, მართალია, მე თვითონ არ დამინახავს, ისე მაბრმავებდა ფანტელები, მაგრამ მისი გრუხუნი კი გავიგონე, დროის დაკარგვა აღარ შეიძლება, თავს უნდა ეუშველოთ.

საუკუნეთა განმავლობაში რონდერჰოფზე უთვალავჯერ ჩამოწოლილა ზამთრობით ზვავი, მაგრამ იმ წელიწადს კი განსაკუთრებული იყო ეს სტიქიური მოვლენა, რადგან მას პროპაგანდის სიმძიმე უფრო საშიშს ხდიდა. სოფლელები გამოექცნენ დაძრულ თოვლს და უსაფრთხოებისათვის დედაქალაქს მიაშურეს. მათ თან გამოიყოლეს უამრავი ჭორი და გზადაგზა სულ უფრო მეტად გაეხვიენდნენ სიყალბის საბურველში. რონდას მთელი მოსახლეობა უცქერდა სველ ცას, ჩაშლილ ეროვნულ დღესასწაულს და კიდეე უფრო იხლართებოდა ჭორის ბადეში.

– დიდმა ჰერცოგმა გზა მისცა წყალს, დიდმა ჰერცოგმა მთები შესძრა! სოფლელთა ეს პრიმიტიული შიში ქალაქელებსაც გადაედოთ:

– დიდი ჰერცოგი გაპარულა, იმიტომაც მოიყვანა თოვლი, რომ ამხელა ფანტელებში ვერაფერი გაგვერჩია და ვერ დაგვენახა, როგორ მოკურცხლავდა სამეფო ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ. სამშვიდობოს რომ გაიგულებენ თავს, მერე დაიტბორება რონდა!

ყველაზე მეტად შეშინებულიყვნენ გრანდოსის ფაბრიკების მუშები.

– არ შეეხოთ, არ გაეკაროთ თოვლს, დასნებოვნებულია, მოწამლულია, – გაიძახოდნენ ისინი. არ წყდებოდა დედაქალაქისაკენ დაძრულ სოფლელთა ნაკადი, – გვიშველეთ, გადაგვარჩინეთ, თოვლი მოწამლული ყოფილა, – იმუდარებოდნენ.

მარკოი კი ამ დროს თავის სამყოფელში, „რონდას უწყებების“ რედაქციაში თანამზრახველებს დიდ დანებს ურიგებდა. ასეთ დანებს რონდელები ვენახის სასხლავად იყენებდნენ. ბაშვობაში მასაც ბევრჯერ სჭერია ხელში ეს იარაღი და მშვენივრად უწყოდა, როგორი მჭრელიც იყო. რამდენიმე კვირა მოანდომა მარკოიმ ვენახ-ვენახ სიარულს და მათ შეგროვებას.

– დღეს „რონდას უწყებები“ არ გამოვა, უთხრა იმ საბედისწერო დღეს თანამზრახველებს, – ყველანი ქუჩებში გადით.

მერე თავს ძალა დაატანა, შენობის უკანა მხარეს მიყუჟულ ერთ პატარა ოთახში ჩაიკეტა და არავითარი მონაწილეობა აღარ მიუღია იმ მოვლენებში, რაც შემდგომ განვითარდა. იმ დღეს ლუკმა არ ჩაუდვია პირში, ყველა ტელეფონი გამორთო, დაჯდა და თოვლს დაუწყო ცქერა. მარკოი ხომ უბრალო იყო ამ საქმეში.

გრანდოსიც განზე გადგა, მაგრამ დიდის ამბით კი შეიფარა მთებიდან ჩამოხიზნული ლტოლვილები. კარგი მასპინძლობაც გაუწია, არ აკლებდა წენიანსა და ღვინოს, ამარაგებდა თბილი ტანსაცმლით. როგორც შემდგომში აღნიშნავდნენ ლტოლვილები, ერთობ უცნაური კი იყო გრანდოსის ასეთი მზადყოფნა უბედური დღისათვის. ის არაჩვეულებრივი საზრიანობით განაგებდა სიტუაციას, მიზანმიმართულად უწევდა დახმარებას ადამიანებს, მზად ჰქონდა მათთვის წამლები და სახვევები, შეშინებულებს სათითაოდ ანუგეშებდა:

– შეინარჩუნეთ სიმშვიდე, მართალია, აღმაშფოთებლად გექცეოდნენ და საშინლად გიბნევდნენ თავგზას, მაგრამ გპირ-

დებით, ყველაფერს მოვაგვარებთ. – ერთხელაც კი არ უხსენებია სასახლე ან დიდი ჰერცოგი. ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ დაურეკა მარკოის, სანამ ეს უკანასკნელი ყველა ტელეფონს გამორთავდა და ასეთი რამ უთხრა:

– ხალხს უნდა შთავაგონოთ, რომ სასახლეში შემავალი წყალსადენი რადიაქტიური წყლით არის სავსე და ვითომ დიდი ჰერცოგის ნიშანზე ჭავლს მიუშვებენ სასახლის მოედანზე მდგომთ, და რომ წყლის პირველივე ნაკადი დათუთქავს, დააბრმავებს, დასწვავს ყველას, ვისაც კი მიეშხეფება.

მერე დაკიდა ყურმილი და უფრო დიდი მონდომებით შეუდგა საკვებისა და ტანსაცმლის დარიგებას დაზაფრული ლტოლვილებისათვის.

ასე იყო ეს ამბავი. ვერავინ იტყვის, – რევოლუცია რომელიმე კერძო პირის მოწყობილიაო, თუმცაღა, მარკოისა და გრანდოსს უზარმაზარი წვლილი მიუძღოდათ. მათის მეცადინეობით რონდელებს გაუღვივდათ საუკუნეთა მანძილზე გულის სიღრმეში დაბუდებული შიშის თესლი. მათ ეშინოდათ დიდთოვლობის, წყალდიდობის, ამოწყვეტისა და სწორედ ამ მიზეზებმა განაპირობა დიდი ჰერცოგისადმი სიძულვილი, იმ ჰერცოგისადმი, რომელიც თითქოსდა ყველაფრის ბატონ-პატრონი იყო. არანაკლებ მიზეზს წარმოადგენდა შურის ფაქტორიც. ეს შური მონარქის მარადიული სიჭაბუკით იყო გამოწვეული.

ალბათ გგონიათ, რონდელები ბოროტები იყვნენ? რა თქმა უნდა არა! ის, რასაც ეს ხალხი განიცდიდა, სრულიად ბუნებრივი გრძნობა იყო. აბა, რატომ უნდა ყოფილიყო ყველაფრის განმგებელი მხოლოდ ერთი პიროვნება? მხოლოდ მისი კუთვნილება რატომ უნდა ყოფილიყო მარადიული სიჭაბუკის ღვთითბოძებული მადლი? რატომ არ უნდა გაეზიარებინა ეს საუნჯე სხვებისათვისაც? საერთოდ, როდესაც ერთ რომელიმე პიროვნებას ნდობით ეპყრობიან, განა ამ უკანასკნელს კი არ უნდა ახლდეს იმ სხვების მიმართ ასეთივე ნდობა, რომელსაც თუნდაც ვერც კი

ამართლებდეს? ბოლოს და ბოლოს დიდი ჰერცოგის საკუთრება იყო წყაროს წყლები. არ ვიცი, მონარქი აბორგებდა თუ არა ზვავებს, ის კი ნამდვილი იყო, რომ სათხილამურო ბილიკები რონდერჰოფის აღმოსავლეთ კალთებზე გაეჭრათ, ხოლო ზვავები ყოველთვის დასავლეთით წვებოდა. მაგრამ ეს იმის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო, რომ უბრალოდ, ჭკვიანურად ჰქონდა ამორჩეული სათხილამუროდ ვარგისი ადგილები. არავითარი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ თოვლს განზრახ უცვლიდა მიმართულებას, არ არსებობდა, თუმცა, ალბათ არც ეს იყო გამორიცხული.

საქმე ის არის, რომ როცა ადამიანი ერთხელ დაეჭვდება, მერე ამ ეჭვს ბოლო აღარ უჩანს და თანდათან ისე იზრდება, რომ სახეცვლილებასაც კი განიცდის. არავინაა მისგან დაზღვეული. როცა კაცი რაღაცის რწმენას დაკარგავს, საკუთარი თავისადმი რწმენასაც ჰკარგავს მასთან ერთად. კი... კი... კი... ვიცი, რისი თქმაც გსურთ. იგივე უთქვამს უამრავ უცხოელსაც რევოლუციის მოხდენის დღიდან. დიახ, რონდელებს არასოდეს ჰქონიათ ცხოვრებისათვის დაწესებული ზნეობრივი კანონი, რაიმე დოგმა ან ეთიკური ნორმა და ამის გამო უცებ მოექცნენ შიშისა და ეჭვის კლანჭებში. მე კი მორჩილად გიხრით თავს და გეუბნებით, – სისულელეა, რასაც თქვენ ფიქრობთ, იმიტომ, რომ საუკუნეთა მანძილზე რონდელების ასეთი სრულყოფილი ჰარმონიით აღსავსე ცხოვრებას სწორედ კანონებისადმი თავისუფალი მიდგომა, დოგმებისა და ეთიკური ნორმების უგულებელყოფა განაპირობებდა. ამ ხალხს მხოლოდ ერთი რამ უნდოდა, თავისი წილი სიცოცხლითა და ამ სიცოცხლიდან გადმომჩქეფარი ბედნიერებით ტკბობა. რონდელების უბედურება დაიწყო იქიდან, როცა ერთი მათგანი – მარკოი ხეიბარი დაიბადა, ხოლო მეორე – გრანდოსი კი – ხარბი. მაგრამ ამას აბა რაღა ეშველებოდა! ამ ორმა ნაკლმა, (ისინი კი ნამდვილად იყვნენ ნაკლოვანი, რადგან სიხარბე შიმშილის ექსცესია, ხეიბრობა კი ბუნების შეცდომის გამოაშკარავება), დააავადა ორივე პიროვნება, ხოლო მათ თავის მხრივ

სხვებიც დაწამლეს. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ შიმშილის ექსცესი და ბუნების შეცდომის გამოაშკარავება ერთი და იგივეა და ქმნიან ძლიერ ძალას, რომელსაც ძალუძს აღგავოს პირისაგან მიწისა ყოველივე, რაც კი წინ გადაეღობება, ისევე, როგორც რონდაქვიერის წყალდიდობამ აღგავა პირისაგან მიწისა ეს ქვეყანა ერთხელ. ასე რომ...

საინტერესოა, რა ხდებოდა სასახლეში იმ დროს, როცა გარეთ ასე გადაუღებლად თოვდა, მოკლე დღე მწუხრით იმოსებოდა, ხოლო ლტოლვილი რონდელები დედაქალაქისაკენ მოემართებოდნენ?

ასეთ დროს ხშირია ხოლმე აზრთა სხვადასხვაობა და არცთუ დამაჯერებელი მოსაზრებანი. მაგალითად, „ტვინაღგზნებული" რევოლუციონერები აცხადებდნენ, თითქოსდა სწორედ იმ დღეს დიდი ჰერცოგი ლაბორატორიაში იმყოფებოდა და აპირებდა აემუშავებინა დანადგარი, რომელიც რონდერჰოფიდან წამოსული დიდი ძალის რადიაქტიური წყლით დატბორავდა მთა-ბარსა და დაფუფქავდა, დაასახიჩრებდა და დააავადებდა რონდელ მოსახლეობას. იმასაც ირწმუნებოდნენ, თითქოს ჰერცოგსა და ენტონს სარდაფში ჰყოლოდეთ გამომწყვდეული დიდებული ქალბატონი და სასტიკად ეწამებინოთ იმის გამო, რომ ქალი თავისი ხალხის გადარჩენას ეევედრებოდა მათ. მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც კატეგორიულად უარყოფენ ყოველივე ამას, უფრო მეტიც, იმასაც აცხადებენ, ვითომ იმ ღამით ვიოლინოზე უკრავდა დიდი ჰერცოგი (ის ხომ შესანიშნავი მუსიკოსი იყო), პაულა და მისი დანიშნული კი სასიყვარულო საქმით ყოფილან გართულნი. არსებობს სხვა აზრიც, თითქოს იმ ღამეს სასახლე პანიკას მოუცავს და მისი ბინადარნი გასაქცევად მზადებას შესდგომიან.

სრულიად შესაძლებელია, ყველა ეს ვერსია სარწმუნოც იყოს. სასახლის ჩხრეკვისას იპოვეს მიწისქვეშა წყალსადენი, რომელიც რონდერჰოფის გამოქვაბულთან იყო მიერთებული. სწორედ ამ მილიდან იღებდა სასახლე წყალს. ხალხს დიდის

ამბით უჩვენეს მუსიკისათვის განკუთვნილი ოთახი და საძილე აპარტამენტები, როგორც უტყუარი ფაქტი ხელისუფალთა გაქცევის მცდელობისა. ოთახებში მართლაც ეწყო ჩალაგებული ბარგი, მაგრამ საესებით შესაძლოა სამეფო ოჯახი უბრალოდ აგარაკზე წასასვლელად ემზადებოდა და სხვა რამ განზრახვა არც ჰქონია. რაც შეეხება წამებას, მისი არავითარი კვალი იქ არ აღმოჩნდა. ერთი კია, როდესაც დიდებული ქალბატონი იხილეს, შეამჩნიეს, რომ მას თვალები შეშუპებოდა დაღლილობისა თუ ტირილის გამო. ეს ფაქტი უკვე რაღაცას ნიშნავდა.

პირადად მე სხვას ვერას მოგახსენებთ, გარდა იმისა, რომ შემიძლია გადმოგცეთ, რაც სასახლეში ჯაშუშად შეპარულმა მსახურმა ფიციოთაც კი დაადასტურა. სწორედ მან გაუღო შუაღამისას კარი რევოლუციონერებს და სასახლეში შეაპარა. (თვითონ როგორ მოხვდა იქ, წარმოდგენა არა მაქვს. ისე, ხომ იცით, ყოველ რევოლუციას ჰყავს ხოლმე თავისი ჯაშუში მსახური). აი, მისი განაცხადიც:

„საგაზაფხულო დღესასწაულის დღეს, დილით მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა სასახლეში. მთელი ღამის გადაუღებელი თოვა ჩაშლას უქადდა ზეიმს. და მართლაც, ათ საათს გადასული იქნებოდა, მსახურებს რომ გამოგვიცხადეს, როვლვულას შეგროვება და ასპარეზობანი გადაიდოო. არც მე და არც ხელზე მოსამსახურეებმა ვიცოდით რამე აგარაკზე მათი გამგზავრებისათვის მზადების შესახებ.

თერთმეტი საათისათვის დიდმა ჰერცოგმა სათათბიროდ თავი მოუყარა მთელს სამეფო ოჯახს. დანამდვილებით არც კი ვიცი, სულ რამდენნი იყვნენ. სასახლეში ჩემი სამსახურის სამი თვის მანძილზე ვერაფრით დავადგინე, რამდენი პრინცი ან პრინცესა ბინადრობდა იქ. ენტონი არავისში ამერეოდა, ის და პაულა რომ ოთახში იმყოფებოდნენ, ამისი თქმა დანამდვილებით შემიძლია, მათ გარდა კიდევ სამი თუ ოთხი ადამიანი ესწრებოდა თათბირს. გარეგნულად ყოველ მათგანს ვიცნობდი, სახელები კი

არცერთისა ვიცი. ჩემი თვალით ვნახე, როგორ გამოვიდნენ თავ-თავიანთი აპარტამენტებიდან, კიბეები ჩამოიარეს და შეეიდნენ აიენიან ოთახში, რომელიც მოედანზე გადის და რომელსაც ჩვენ, მსახურები თეთრ ოთახს ვეძახდით. მე ამ დროს კიბის ბოლოში, პოსტზე ვიდექი და კარგად დავინახე, რომ ნამდვილად შეეიდნენ ოთახში... ენტონი მშვენიერ გუნებაზე იყო, ხუმრობდა და იცინოდა. მისი ნათქვამიდან ვერაფერი გავიგონე, და საერთოდ, ამ სამეფო ოჯახის მაღალფარდოვანი და ძველ-რონდული საუბრები ჩემთვის გაუგებარი იყო. დიდებული ქალბატონი ფერდაკარგული ჩანდა. მერე ჩაიკეტნენ და მთელი საათი აღარ გამოსულან.

თორმეტი რომ შესრულდა, კარი გაიღო. დიდი ჰერცოგისა და პაულას გარდა ყველამ დატოვა ოთახი. ამ დროისათვის მე უკვე აღარ ვიდექი პოსტზე, ისე, რომ მათი ოთახიდან გამოსვლა არ დამინახავს, ეს ერთი მსახურისაგან შევიტყვე და არავითარი საფუძველი არა მაქვს, ეჭვი შეეიტანო მის ნათქვამში. პირველი საათიდან გადასული იქნებოდა, როცა საოცარი რამ მოხდა, – მსახურებს გვაუწყეს, რომ დიდ ჰერცოგს სურდა ჩვენი ნახვა და სათითაოდ უნდა შევსულიყავით მასთან. შიშმა შემიპყრო, რამე ცუდს ხომ არ გვიპირებს მეთქი. სასახლიდან ვერ გამოვიქცეოდი, რადგან იმ წუთას არ ვმორიგეობდი და კართან მისვლა მეკრძალებოდა. გარდა ამისა, რევოლუციის ლიდერებისაგან ნაბრძანები მქონდა შენობაში ვყოფილიყავი, რათა დათქმულ დროს სასახლეში შემეშვა ისინი. თავს ძალა დავატანე, რათა შეშფოთება არ შემტყობოდა და დაველოდე, როდის გამომიძახებდნენ თეთრ ოთახში.

შევდგი თუ არა ფეხი, პირველი, ვინც დავინახე, თეთრ სამოსში გამოწყობილი ჰერცოგი იყო. მას მკერდზე წითელ-ბაფთიანი „სამართლიანობის ორდენი“ ებნია. ამ სამოსს იგი მხოლოდ საღამოობით, აივანზე გაბრძანებისას ანდა ისეთ საზეიმო დღეებში იცვამდა, როგორიც, მაგალითად, საგაზაფხულო

დღესასწაულია. მაშინვე მიეჩქარა, მიუხედავად იმისა, რომ ზეიმი ჩაიშალა, ისევ თოვდა და ხალხიც მის მიმართ მტრულად იყო განწყობილი, ის მაინც აპირებდა აივანზე გასვლას. გულში გამკრა, – ალბათ წყლის ჭაელი უკვე მომზადებული აქვს და ოთახში, სადმე, მოფარებულ ადგილას ონკანიც ექნება-მეთქი დაეენებული. იმის დრო არ იყო, იქაურობა კარგად დამეზვერა. მივჩერებოდი დიდებულ ქალბატონს, რომელიც ფანჯრის ახლოს, სკამზე იჯდა და რაღაცას კითხულობდა. მას ჩემი შესვლა არ [illegible]ია. რამდენადაც შევნიშნე, წამების არანაირი კვალი არ ეტყობოდა. ერთი კია, ფერმიხდილი ჩანდა. ოთახში მათ გარდა კაცის ჭაჭანება არ იყო.

დიდი ჰერცოგი ჩემსკენ წამოვიდა და ხელი გამომიწოდა.

– მშვიდობით, – მითხრა მან, – ბედნიერებას გისურვებთ.

„აჰა, – გამკრა გულში, ნეტავ რას უნდა ნიშნაედეს ყოველივე? ეს ან ამაღამ აპირებს გაქცევას, ანდა მისი ასეთი საქციელი უბრალოდ უსინდისობისა და ბოროტების გამოვლინებაა, რადგანაც იცის, რომ ცოტა ხანში წალეკავს ქალაქსა და მოსრავს ყოველ ჩვენთაგანს“ [illegible]ერთი სიტყვით, ჩავთვალე, თვალთმაქცობს მეთქი.

– რა მოხდა, ბატონო? – ვკითხე და სახეზე შეშფოთება აღვიბეჭდე.

– ეს თქვენ უნდა გკითხოთ, – მიპასუხა და იმდენად მოთოკა გრძნობები, რომ გამიღიმა კიდევაც, – ბოლოსდაბოლოს, ჩვენი ბედი თქვენს ხელთაა. მე გემშვიდობებით, რადგან ველარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს.

დავიძაბე, გავბედე და კვლავ შევეკითხე:

– სადმე მიბრძანდებით, ბატონო?

ვიდექი იქ და თან მეშინოდა, სანამ მე აქ ლაპარაკს ვუნდებოდი, შეიძლებოდა ჩემთვის დასნებოვნებული წყალი შემოესხა

– არა, არსადაც არ მივდივარ, – მიპასუხა მან, – ერთმანეთს

აღარასოდეს შეეხვდებით.

დარწმუნებული ვარ, მას ნამდვილად განზრახული ჰქონდა ჩვენი დაღუპვა. ხმაც კი არ ათრთოლებია. ხერხემალში მწყავე ტკივილი ვიგრძენი, ერთი სული მქონდა, დროზე გამომეღწია იმ ოთახიდან.

– დიდებულ ქალბატონსაც სურს თქვენთან გამომშვიდობება, – მითხრა ჰერცოგმა და ქალისაკენ შებრუნდა. ვერ წარმოიდგენთ, რა მშვიდად და დინჯად ეჭირა თავი, პაულა, მინდა წარმოგიდგინო მსახური.

მე ისევ იმ ადგილზე ვიდექი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. დიდებულმა ქალბატონმა მიატოვა იმ რაღაცის კითხვა, სკამიდან წამოდგა, ჩემსკენ გამოემართა და ხელი ჩამომართვა.

– ბედნიერებას გისურვებთ, – მითხრა მან, ის სულაც არ ლაპარაკობდა მაღალფარდოვანი სიტყვებით, ისევე მეტყველებდა, როგორც ჩვენ, ქალაქელები.

ჩემი აზრით, ქალბატონი ან მოჯადოებული იყო, ან რაიმე წამალი ჰქონდა დალეული, შესაძლოა სულაც იმ დიდი დემონის – თავისი ძმის გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა, რადგან თვალები უსაზღვრო სევდით ავსებოდა. ასეთი არასოდეს მინახავს. კარგად მახსოვს, როგორ დაჯირითობდა ხოლმე მხიარული და ცქრიალა „რონდას ყვავილი“ რონდერ.ბოყის ტყეებში. პაულა ჩემი ღვიძლი დის მფარველი იყო. ეპ, ყველაფერი ეს დიდი ხნის წინ ხდებოდა, მანამდე, სანამ ენტონითან ქორწინებას აიძულებდნენ. იქ, თეთრ ოთახში ხელი რომ ჩამომართვა, თვალი ვეღარ გავუსწორე, რაღაც წავილულლულე მხოლოდ. ისე კი, ძალზე მინდოდა მენუგეშებინა, – დამშვიდდით, ნუ იდარდებთ, ჩვენ გადაგარჩენთ მეთქი, – მაგრამ რა თქმა უნდა, ვერ გავბედე.

– საკმარისია, – თქვა დიდმა ჰერცოგმა.

ავიხედე და დავინახე, მე მიყურებდა, რაღაც უცნაურად მიმზერდა. მართალი გითხრათ, არაფრად ჩავაგდე. ისეთი გრძნობა

მქონდა, თითქოს ჩემს ფიქრებს კითხულობდა და ამჩნევდა იმ უხერხულობას, რასაც მე განვიცდიდი. ერთ რამეში ნამდვილად დაერწმუნდი, დიდი ჰერცოგი ჭეშმარიტად სატანა იყო... მერე შევბრუნდი და თეთრი ოთახიდან გამოვედი.

ჰერცოგი მართალი აღმოჩნდა. აღარასოდეს შეეხვედრივარ ცოცხალს... მე, როგორც ჭეშმარიტმა რევოლუციონერმა, საკადრისი მივუზღე უკვე შემდეგ, როცა სასახლის მოედანზე ჩამოაკონწიალეს.

იმ დღეს სხვა რამ მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა. მე კართან მდგარ მსახურებს შევერიე. არცერთ ჩვენთაგანს სიტყვაც არ დასცდენია თოელსა თუ სასახლესთან მოჯარულ ხალხზე. ერთი ხანობა მუსიკის ხმებიც გვესმოდა სასახლის რომელიღაც დარბაზიდან. ვინ უკრავდა, ამაზე არაფრის თქმა არ შემძლია. ლანჩიცა და სადილიც ჩვეულ დროს გავაწყვეთ. ვცდილობდი, თვალში არავის მოვხვედროდი, რათა უნებური მოქმედებით რამე არ მეკნო ჩვენი გეგმისათვის. დარწმუნებული ვიყავი, დიდი ჰერცოგი ხვდებოდა ჩემს განზრახვას და ამიტომ ყოველ წუთს ველოდი დაპატიმრებას. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.

შუაღამეს ათი წუთი აკლდა, ჩემი პოსტი რომ დავიკავე ეზოში გამავალ კართან. ხელმძღვანელობისაგან გაფრთხილებული ვიყავი, სამჯერ დაკაკუნებაზე უნდა გამეღო. ვინ შემოვიდოდა ანდა როგორ გამოუსხლტებოდა გარეთ მდგარ საშეფო გუშაგებს, ჩემი საქმე არ იყო. წუთი წუთს მისდევდა, ვღელავდი და მეშინოდა, გეგმა არ ჩაგეშლოდა. მუსიკის ხმა, რომელიღაც დარბაზიდან რომ გამოდიოდა, შეწყდა და უეცარმა სიჩუმემ დაისადგურა მთელს შენობაში. როგორც ვიცოდი, დიდი ჰერცოგი ისევ თეთრ ოთახში იმყოფებოდა. მაგრამ ხომ შეიძლებოდა შევმცდარიყავი და ის ან ლაბორატორიაში ან სარდაფში ყოფილიყო. ანდა იქნებ სულაც რონდერპოფის მაღალ მთებში გახიზნულიყო მალულად. მე არც შეკითხვები მევალებოდა და

არც დასკვნების გამოტანა, მხოლოდ კარი უნდა გამელო რევოლუციონერებისათვის.

შუაღამეს სამი წუთი აკლდა, როცა წინასწარი გაფრთხილების გარეშე სამჯერ დააკაკუნეს კარზე. ზუსტად იმავ წამს კიბის თავზე მდგარმა მორიგე მსახურმა კარი გამოაღო და დაიძახა:

– დიდი ჰერცოგი აივანზე გაბრძანებას აპირებს!

მაშინვე ის გავიფიქრე, წყლის ჭავლი უკვე მზად ექნება და სადაც არის ხალხზე მიუშვებს-მეთქი. გვერდითა კარი სასწრაფოდ გამოვაღე, დიდდანიანებს არ დაუყოვნებიათ, უმალ შემოცვივდნენ. მე იქ უკვე აღარაფერი მესაქმებოდა, დავალება შესრულებული მქონდა“.

აქ მთავრდებოდა მსახურის პატაკი. ეს საბუთი ახლა მუზეუმში, დოკუმენტური მასალისათვის განკუთვნილ ოთახში შუშის ქვეშ ინახება და მსურველებს იქ შეუძლიათ იხილონ. ეს სწორედ ის თეთრი ოთახია, მსახურმა რომ მოიხსენია თავის პატაკში. დღესდღეობით იგი სულ სხვაგვარად გამოიყურება.

ალბათ იკითხავთ, რა გზით დაუსხლტნენ რევოლუციონერები სამეფო გუშაგებსო. საქმე ისაა, რომ დიდ ჰერცოგს არასოდეს უბრძანებია სასახლის მცველებისათვის დაეკავებინათ ან არ შეეშვათ ვინმე სასახლეში. ასეთი ბრძანება ერთხელაც არ გაცემულა შვიდი საუკუნის განმავლობაში, სამაგიეროდ, არც ამ შენობის აღება ან შიგნით შეჭრა უცდია ვინმეს. სასახლეში დატრიალებული უბედურება მოულოდნელი და თავზარდამცემი სრულიადაც არ ყოფილა სამეფო ოჯახის წევრებისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავი არაფრით დაუცავთ, არ გასძალიანებიან და ზეარაკებივით დანებდნენ მკვლელებს, რომელთაც დედაბუდიანად ამოჟლიტეს მთელი გვარი, ამოხოცეს სასახლის ყველა ბინადარი, ყოველი სულიერი, ვინც კი ხელში ჩაუვარდათ. დაინდეს მხოლოდ დიდებული ქალბატონი, რომლის შემდგომ ოავგადასავალსაც ახლავე გიამბობთ.

რეკოლუციონერები გვერდითა კარიდან შეიჭრნენ შენობაში. შვიდას კაცამდე იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ასეა ცნობილი. ასეთი რაოდენობაც მარკოს მოფიქრებული იყო და სიმბოლურად შვიდ საუკუნეს განასახიერებდა. როგორც თვითონ რეკოლუციონერებმა აღიარეს შემდგომში, მეტისმეტად გაოცებულიათ სასახლის მკვიდრთა ამოყლეტა, ეს იმიტომ, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევია მათთვის. ერთი სიტყვით, ეჯის გასხელაზე უფრო მარტივი აღმოჩნდა ამ საქმის მოგვარება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თქვენივესაც ნათელი გახდა, რომ მართლაც ზვარაკებივით შესწირვიან თავის ხალხს ის უბედურები. კიდევ ერთ მეტად უსიამოვნო გარემოებაზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. ამ ამბის შემდეგ ახალგაზრდებს დიდი სვა-ბაასი ჰქონდათ გამართული იმის თაობაზე, რომ თურმე დანის ხორცში შერჭობას და სისხლის დანახვას ისევე გაუბრუებია ისინი, „რიცოს“ დალევის დროს რომ მოსდიოდათ ხოლმე. საყასბოს ხილვას იმდენად გაუხელებია ყმაწვილები, რომ მხოლოდ ერთადერთი მიზნითღა მოქმედებდნენ, ჩეხდნენ ყველას, ვინც კი ხელში მოხვდებოდათ, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მსახური იყო ის, მცველი, პრინცი, ნაფერები ძაღლები, მგალობელი ჩიტები, თვით ხვლიკიც კი თუ სხვა რამ სულიერი. ვისაც სასახლეში წააწყდნენ, ყველა ამოხოცეს.

ხოლო დიდი ჰერცოგი... დიახ, ის მაინც გაბრძანდა აივანზე. არავითარი წყლის ჭავლი არ გაუშვია, არც უკვდავების მიმნიჭებელი წყარო უნახავს ვისმე. იდგა თეთრ სამოსში გამოწყობილი მონარქი აივანზე, მკერდს წითელლენტიანი „სამართლიანობის ორდენი“ უმშვენებდა და მორჩილად ელოდა რისხვას იმ აზვირთებული ადამიანებისა, რომელნიც ერთმანეთზე გადადიოდნენ, რათა როგორმე აივანზე აეღწიათ. მშვიდად იდგა დიდი ჰერცოგი, ელოდა, როდის შეაღწევდა გამხეცებული ბრბო სასახლეში და შეუერთდებოდა უკვე შიგნით მყოფ დიდი დანებით შეიარაღებულ ძალებს. სახლებში უსაფრთხოების მიზნით შეკე-

ტილი მოხუცებისაგან მოგვიანებით ასეთი რამ შეეიტყვეთ, როცა რევოლუციონერები დიდ ჰერცოგს თავს დაესხნენ, თურმე სიძულვილისა და შურისაგან (დიახ, ყველაზე უფრო შურისაგან) ისე ღრიალებდნენ, მათი ხორხებიდან ამომავალი არაადამიანური ხმები ზემოთ რონდერჰოფის მწვერვალს სწვდებოდა და ძირს კი რონდაქვივერის სანაპიროებსო. თოვლი კი მდუმარედ ეფინებოდა მიდამოს, დიახ, ისევ ხვავრიელად თოვდა.

როცა სასახლეში ცოცხალი აღარავინ დატოვეს, ხოლო კიბეებსა და დერეფნებში სისხლის გუბეები დააყენეს, ახალგაზრდა რევოლუციონერებმა რედაქციაში მომლოდინე მარკოს პატაკი გაუგზავნეს. მასში ნაოქვამი იყო: „სამართლიანობა აღსრულდა!“-ო.

მარკოიმ მაშინვე დატოვა თავისი სამეფოფელი, „რონდას უწყებების“ შენობიდან გამოვიდა და სასახლისაკენ გაემართა. იგი მხლებლებთან ერთად, კუდში რომ მიჰყებოდნენ, დიდებული ქალბატონის კარს მიადგა და წარმოიდგინეთ, დაუკაკუნა კიდევაც. ოთახში მხოლოდ მას შემდეგ შედგა ფეხი, ქალისაგან ნებართვა რომ მიიღო. დიდებული ქალბატონი მარტოდმარტო იდგა ღია ფანჯარასთან. მარკოი პირდაპირ მასთან მივიდა და უთხრა:

– ნულარაფრის შეგეშინდებათ, ქალბატონო, ჩვენ დაგიხსენით, თავისუფალი ბრძანდებით.

ამრიგად... არ ვიცი, რას ელოდნენ ქალისგან მარკოი ან სხვა რევოლუციონერები, იქნებ მადლიერების ანდა სულაც მწუხარების ცრემლებს, იქნებ სასოწარკვეთილ ანდა შიშით სავსე გამომეტყველებას, ან იქნებ კეთილმოსურნე ღიმილსაც კი. ამაზე ვერავინ გიპასუხებთ, რადგან არ მეგულება ადამიანი, რომელიც შეძლებდა გამოეცნო დიდებული ქალბატონის განცდები. ერთადერთი ცვლილება, რაც დასტყდებოდა, ის იყო, რომ გამოეცვალა ეროვნული კაბა, დილით რომ ეცვა (მისი ეს ჩვეულებაც ჯაშუში მსახურისაგან იყო ცნობილი), და შემოსილიყო თეთრი სამოსელით. მკერდზე ებნია წითელბაფთიანი „სამართლიანობის ორდენი“,

ხოლო წელზე ხმალი შემოერტყა. მან მარკო

მოთხოვნილებები, რასაც ასეთი მიზანდასახული შეუპოვრობით ესწრაფოდნენ გულგრილ საუკუნეთა მანძილზე, – მათ სური თვითონ მართონ მსოფლიო.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც საკმაოდ საგულისხმო, საქმენი ხორციელდება ქვეყანაში. აქ ეროვნული განწყობილებაც კი სუფევს და ნათლადაც არის გამოკვეთილი პროგრესული მოძრაობა – აქტიურად ავითარებენ პრინციპს „რონდა რონდეელებს!“, ანდა „რასაც ჩვენ ვამბობთ დღეს, თქვენ გაიმეორებთ ხვალ!“. მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, ხალხმა მაინც ვერ მოიპოვა მარადიული სიჭაბუკის საიდუმლო, არადა, სწორედ ამისთვის მოხდა მთელი ეს რევოლუცია.

ბოთლებში ჩამოსხმულ აქაურ წყლებს, – ალბათ გემახსოვრებათ, ამ საქმეს დიდი მონდომებით რომ შეუდგა გრანდისი, – ახლა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეიძენთ საკმაოდ ძვირად. მაგრამ ეს უბრალო წყლებია და არავითარი სიჭაბუკის შემანარჩუნებელი ღირსება არ გააჩნია. კვლავაც მხოლოდ დიდებულმა ქალბატონმა იცის საიდუმლო რეცეპტის შემადგენლობა. როგორც მოგახსენეთ, რაღა არ სცადეს ქალის გამოსატეხად. ჯერ შეეცადნენ მოფერებით ეთქმევინებინათ, მერე ძალადობაზე გადავიდნენ, აწამეს, დაატყვევეს, აშიმშილეს, ათასგვარი სნეულებაც კი შეჰყარეს საწადელის მისაღწევად, მაგრამ ამაოდ, არაფერი გამოუვიდათ. ზემოთაც მოგახსენეთ, უბედურებას, რაც პაულამ გადაიტანა, სადღაც, რაღაცაში მაინც უნდა დაეჩნია მასზე კვალი, მაგრამ ეტყობა, სრულყოფილი მშვენიერების განადგურება არავითარ დამცირებას არ ძალუძს, რადგან უკვე ოთხმოც წელს მიღწეული ქალბატონი დღესაც გოგოსავით გამოიყურება და როვლეულა ყვავილივით აქვს გაცისკროვნებული სახე. ერთი კია, თუკი აწ უკვე მუზეუმად გადაქცეულ სასახლეში თუ მოედანზე მოცეკვაევს ახლოდან იხილავთ და თვალებში ჩახედავთ, თურმე მათ სიღრმეში, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, დაინახავთ უძირო სევდასაც და უსაზღვრო თანაგრძნობასაც.

არავინ უწყის, რა მოხდება მისი სიკვდილის შემდეგ. ეს დღე კი ალბათ მალე დადგება. სამეფო გვარიდან აღარავინ

გადარჩა ცოცხალი, რომ რომელიმესთვის მაინც გაემხილა სიჭაბუკის საიდუმლო. ისე კი, ერთი წუთით დაეფიქრდეთ, განა ღირს ამ რეცეპტის ცოდნა? იმისი თქმა მინდა, რომ ამ საიდუმლოს ტკივილის მეტი არაფერი მოუტანია დიდებული ქალბატონისათვის. ცოტა სასაცილოდ კი ჟღერს, მაგრამ ის ორნი, რომლებიც ასე ძლიერ ლამობდნენ რეცეპტის ხელში ჩაგდებას, ახლა მიწაში წვანან. გრანდოსი წლების მანძილზე ერთობ გასუქდა და ბოლოს, შეერთებულ შტატებში ყოფნისას კუჭმა იმსხვერპლა. ხოლო მარკოს რაღაც უბედური სენი შეეყარა და თანდათან ისე ჩამოდნა საკუთარი მეგობრების თვალწინ, რომ ლანდს დაემსგავსა. მხცოვანი რონდელები, რომელთაც არც არასოდეს ყვარებიათ იგი, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შურმა შეჭამა ეს კაცი, დიდებული ქალბატონისადმი შურმა და კიდევ იმან, რომ ვერაფრით აისრულა საწადელი – რამენაირად ქვეყნის სასაცილო და სამასხარაო გაეხადა პაული. მაგრამ ასე მხოლოდ მოხუცები ფიქრობდნენ.

როდესაც დიდებული ქალბატონი აღესრულება, მარადიული სიჭაბუკის საიდუმლოსაც თან გაიყოლებს. ერთი უკვდავიც ალარ იარსებებს არც რონდაში და არც დედამიწის ზურგზე. დამიჯერეთ, ნამდვილად ღირს, ერთხელ მაინც ეწვიოთ რონდას (ბილეთების შეძენა ნებისმიერ ტურისტულ სააგენტოში შეგიძლიათ), რადგან როგორც აქაური დაუდევარი ახალგაზრდობა იტყოდა, – რა იცი, რა ხდება! და მართლაც, დღეს იქნება თუ ხვალ, მომავალ კვირას თუ მომავალ წელს, დიდებული ქალბატონი შეიძლება დაჩაჩანაკდეს კიდეც. და თუკი ასეთი რამ ნამდვილად მოხდა, ჭეშმარიტად, ერთ რამედ ეღირება მისი ნახვა, მაგრამ თუ სიბერე არ უწერია და უბრალოდ მოკვდება, ვთქვათ, თუნდაც ცეკვის დროს, ეს იმისი მაუწყებელი იქნება, რომ ამქვეყნიდან გაქრება რაღაც ისეთი, რასაც ვერავინ ვეღარასოდეს იხილავს ჩვენს დროში, მით უფრო მომავალში. შესაძლოა, დღესაც უკვე დაგვიანებული იყოს ყოველივე.

ალიბი

კვირა დილით ფენტონები ჩვეულებისამებრ სანაპიროზე სეირნობდნენ. ალბერტ ბრიჯთან მისულები როგორც ყოველთვის, ახლაც შეჩერდნენ, უნდა გადაეწყვიტათ, ხიდით გადასულიყვნენ ბაღებისაკენ, თუ საცხოვრებლად გამოყენებული ნავების გასწვრივ გაეგრძელებინათ გზა. საკუთარ ფიქრებში გართულმა ფენტონის ცოლმა უეცრად თქვა:

– შინ რომ მივალთ გამახსენე ალუსონებს დავურეკო და დავპატიჟო სასმელზე, დღეს მათი მოსვლის ჯერია.

ფენტონი უგულისყურად უცქერდა მოძრავ ტრანსპორტს. ხიდზე სწრაფად გასრიალდა სატვირთო მანქანა, იქვე სპორტულმა მანქანამაც ჩაიქროლა ხმაურითა და ბღუილით. ნაცრისფერ ფორმაში გამოწყობილმა ძიძამ ღილის თოჯინებივით მრგვალსახიანი, ზუსტად ერთნაირი ტყუპი საბავშო ეტლით ჩამოატარა, ხიდიდან მარცხნივ გაუხვია და ბეტერსისაკენ აიღო გეზი.

– საით წავიდეთ? - ჰკითხა ცოლმა ფენტონს.

კაცმა ისე შეხედა, თითქოს ვერ იცნო და უცებ საოცრად დაუძლეველი და შემაძრწუნებელი შთაბეჭდილებით შეიბოჭა, წარმოიდგინა, თითქოს მისი ცოლიცა და სანაპიროზე თუ ხიდზე მოსეირნე ხალხიც სრულიად უაზრო, სიმებით სამართავი თოჯინები იყვნენ, ბორძიკით მიაბიჯებდნენ და მათი ყოველი მოძრაობა ნამდვილის დამახინჯებულ იმიტაციას წარმოადგენდა. მისი ცოლის სახე კი – მოგრძო, ლურჯი თვალები, მეტისმეტად შეღებილი ტუჩები, ახალთახალი მოდური საგაზაფხულო ქუდი სხვა არა იყო რა, თუ არა ნაჩქარევად დახატული ნიღაბი იმ ოსტატის მიერ, რომელსაც ხელთ ეპყრა ეს თოჯინები, უსიცოცხლო, ხისაგან გამოჩორკნილი მარიონეტები.

კაცმა სწრაფად მოაცილა მზერა ცოლს და ძირს დაიხედა. თავისი სასეირნო ჯოხით ქვაფენილზე ნაჩქარევად მოხაზა კვადრატი და ამავე ჯოხით ზუსტად მონახა კვადრატის

ცენტრი. მერე საკუთარი ხმაც გაიგონა:

- ველარ წამოვალ!

_ რა მოხდა? - ჰკითხა ცოლმა, - ხომ არაფერი გტკივა?

კაცმა იცოდა, ფრთხილად უნდა ყოფილიყო, თორემ ყოველგვარი ახსნა-განმარტება ამ დიდი თვალების შეშფოთებულ მზერას გამოიწვევდა, შეშფოთებულსა და შეკითხვებით აღსავსეს, მერე კი შემობრუნდებოდნენ და გამოელილ გზას ისევ უკან, საძულველი სანაპიროსაკენ გაუყვებოდნენ. ქარი ამჯერად კეთილს ინებებდა, ზურგიდან მოექცეოდა და ისევე უმოწყალოდ სწრაფად გააქანებდა სიკვდილთან შესახვედრად როგორც მათ წინ გაწოლილი მდინარის დინება მიაქანებდა მგორავ მორებსა და ცარიელ ყუთებს დოკების ქვეშით, აშმორებული ტალახისაკენ.

ქალისათვის ყოველგვარი ეჭვი რომ გაეფანტა, ქმარმა ეშმაკურად განუმარტა თავისი ნათქვამი:

- იმისი თქმა მინდოდა, რომ ამ ნავ-სახლების იქეთ ველარ წავალთ, იქ ჩიხია, გარდა ამისა, შენი ქუსლებიც... მან ცოლის ფეხსაცმელებს დახედა... შენი ქუსლები ბეთერსის გრძელ გზაზე სასიარულოდ არ გამოდგება. მე ვარჯიში მჭირდება, შენ კი ვერ ამყვები. რატომ არ წახვალ შინ? ჯერ ხომ შუადღეც არ დამდგარა?!

ქალმა და ჩამობნელებულ ცას ახედა. კაცის სასარგებლოდ ქარმა მის ცოლს ძალიან თხელი პალტო აუფრიალა და ქალს ხელი რომ არ შეეშველებინა, საგაზაფხულო ქუდსაც მოხდიდა.

- ვფიქრობ რომ წავალ, - უთხრა ცოლმა და მერე დაეჭვებით დაუმატა, _ დარწმუნებული ხარ, რომ არაფერი გაწუხებს? ფერი გაქვს დაკარგული.

_ არა, კარგად ვარ, უპასუხა კაცმა, მარტო უფრო სწრაფად ვივლი.

უცებ დაინახა, ალამაღმართული ტაქსი უახლოვდებოდათ, კაცმა ჯოხის აწევით დაუძახა და ცოლს მიუბრუნდა:

_ ჩახტი, არავითარი აზრი არა აქვს გაციებას.

ცოლის უარს აღარ დაელოდა, კარი გამოაღო და მძღოლს მისამართი უთხრა. წინააღმდეგობის დრო აღარ იყო. კაცმა ძა-

ლით შეაგდო ქალი მანქანაში და უკვე დაძრულ ტაქსში დაინახა, როგორ დაეჯაჯგურა მისი ცოლი დაკეტილ ფანჯარას, ალბათ უნდოდა დაეძახა, – არ დაიგვიანოო, ანდა ალუსონებზე ეთქვა რამე. კაცი ხედავდა, როგორ ეფარებოდა თვალს მანქანა, რომელიც ქვემოთ, სანაპიროსაკენ მიმავალი ისე ჩანდა, როგორც სამუდამოდ განვლილი ცხოვრების მონაკვეთი.

კაცმა ზურგი აქცია მდინარესა და სანაპიროს, უკან მოიტოვა ტრანსპორტიცა და მისი ხმაურიც და გადაეშვა ვიწრო ქუჩებისა და მოედნების ლაბირინთში, რომელიც მასსა და ფულჰემ როუდს შორის მიყუჟულიყო. იგი უმიზნოდ მიაბიჯებდა, თან ცდილობდა, სინამდვილის აღქმის გრძნობა დაეკარგა და კვირა დღის რიტუალი, რომელსაც აგრერიგად შეებოჭა იგი, თავისი ფიქრებიდან ამოეშალა.

თავის დაღწევა ადრე არასოდეს უცდია. ცოლმა რომ უთხრა, – გამახსენე, შინ მისვლისას ალუსონებს დავურეკო, ახლა მათი მოსვლის ჯერიაო, – თითქოს რაღაც გაუტკაცუნდა ტვინში.

დასახრჩობად განწირული ადამიანივით გადააკლო გონების თვალი განვლილ ცხოვრებას და სანამ ამ მსხვერპლივით ზღვა საბოლოოდ შთანთქავდა მასაც, ახლაღა მიხვდა, რა უაზროდ და ერთფეროვნად ეცხოვრა ამდენ ხანს: წინკარში ზარის წკარუნი, ალუსონების ხალისიანი ხმები, სერვანტზე გაწყობილი სასმელი, ცოტა ხანს ფეხზე დგომა, მერე დაჯდომა, – ყოველივე ეს იმ მთლიანი გობელენის ნაწილები იყო, მისი ტყვედქმნილი ცხოვრება რომ ერქვა და ყოველდღე ერთნაირად რომ იწყებოდა, – ფარდების გადაწევითა და დილის ჩაით, მერე გაზის ცისფერი შუქით განათებულ სასადილო ოთახში საუზმის მოლოდინში გაზეთს გადაშლიდა, (გაზი საკმაოდ ჩაწეული იყო, რომ დანახარჯი ნაკლები გადაეხადათ), შემდეგ მეტროთი გაემგზავრებოდა სიტისაკენ, ყოველდღიურ სამსახურეობრივ საქმიანობაში გადიოდა საათები, შინ ისევ მეტროთი ბრუნდებოდა, იდგა ბრბოში და საღამოს გაზეთს ათვალიერებდა, შინ შესული ქუდსა და ჯოხს მიუჩენდა ადგილს, ამ დროს კი სასტუმრო ოთახიდან ძლივს ისმოდა ტელევიზორის ხმა, ანდა მისი ცოლის საუბარი ტელეფონით.

სეზონის ყოველი შეცვლილისას, ზამთარი იყო თუ ზაფხული, გაზაფხული თუ შემოდგომა, სასტუმრო ოთახის სკამებსა და დიანას შალითებს უცვლილდნენ, ხეებიც შესაბამისად, გარეთ, სკვერში ხან ფოთლებით იყვნენ შემოსილნი, ხანაც შიშველები იდგნენ ხოლმე.

„ახლა მათი მოსვლის ჯერია“ – და ალუსონებიც ღმეჭითა და ხტუნვა-ხტუნვით მოძრაობდნენ თავიანთ თოკებზე, მოდიოდნენ, თავს უკრავდნენ და უჩინარდებოდნენ. შემდეგ ახლანდელი მასპინძლების სტუმრობის ჯერიც დგებოდა. მერე ისინი იგრიხებოდნენ და იმანჭებოდნენ, წყვილ-წყვილად, ძველმოდურად შეზლუდულები ცეკვავდნენ ერთმანეთთან.

ახლა კი, უეცრად, ალბერტ ბრიჯზე შესვენებისას ედნას ნაოქვამის გამო დრო თითქოს შეჩერდა. უფრო სწორად, ქალისათვის ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა, – ისევ ისაუბრებოდა ალუსონებთან ტელეფონით, ცეკვისას ისევ გამოიცვლიდა პარტნიორებს; კაცისათვის კი ყოველივე შეიცვალა, შინაგანი ძალის მოზღვავება იგრძნო, ახლა უკვე თვითონ მართავდა ყოველივეს, სწორედ ის ოსტატი იყო, თოჯინები რომ მოჰყავდა მოძრაობაში. ედნა, საცოდავი ედნა, როგორ იჩქაროდა ტაქსით შინისაკენ თავისი ნამეცადინები როლის შესასრულებლად: სასმელებს გამოიღებდა, ბალიშებს ააფუმფულებდა, თუნუქის ყუთიდან დამარილებულ ნუშს გადმოყრიდა ლამბაქზე... მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, როგორ გადმოაბიჯა მისმა ქმარმა მონობიდან თავისუფალ სივრცეში.

ქუჩებში კვირა დღის ხალვათობა იწვა. სახლები ჩახურულ-ჩაგმანულიყვნენ.

„მათ არ იციან, – ფიქრობდა კაცი, ამ სახლების ბინადრებმა, როგორ შეუძლია ჩემს ერთ მოქმედებას შეცვალოს მათი ცხოვრება. საკმარისია, დავაკაკუნო რომელიმე კარზე და მაშინვე გამოეხმაურებიან, კარს ან ქალი გააღებს მთქნარებით, ან ქეჩის ფოსტლებიანი ბერიკაცი, ან ბავშვი, რომელმაც ალბათ თავი მოაბეზრა მშობლებს თავისი საქციელით. არცერთს არა აქვს წარმოდგენა, რომ მთელი მათი მომავალი იმაზე იქნება დამოკიდებული, რასაც მე ვისურვებ, რასაც მე გადავწყვეტ. სახის

დასახიჩრება იქნება, უეცარი მკვლელობა, ქურდობა თუ ხანძარი-
რა ადვილი ჩასადენია ყოველიეე".

კაცმა საათს დახედა. ოთხის ნახევარი იყო. გადაწყვეტა ციფრების სისტემით ემოქმედა, გაეკლო კიდევ სამი ქუჩა, მერე იმის მიხედვით, თუ რა ერქმეოდა იმ მესამე ქუჩას, რომელზედაც აღმოჩნდებოდა და რამდენი ასოსაგანაც იქნებოდა შედგენილი მისი სახელი, ის ციფრი, სახლის ის ნომერი ამოერჩია თავისი დანიშნულების ადგილად.

კაცი გამოცოცხლებული მიაბიჯებდა, გრძნობდა, თანდათან ემატებოდა აზარტი, თავს ირწმუნებდა, რომ მის საქციელში არავითარი თვალთმაქცობა არ იყო. საცხოვრებელი სახლების მასივები იქნებოდა თუ რძის ნაწარმის გაერთიანება, ეგ სულერთი იყო. მესამე ქუჩა გრძელი გამოდგა. ორივე მხარეს განლაგებულიყო ერთფეროვანი ვიქტორიანული სტილის ვილები. ამ ოდესღაც პრეტენზიულ შენობებს ახლა პირვანდელი პეწი დაეკარგათ, ისინი ცალკეულ ბინებად ანდა ოთახებად გაექირავებინათ. ქუჩას ბაულთინგ სტრიტი ერქვა. ეს სახელი რვა ასოსაგან შედგებოდა, ე.ი. ციფრ რვიანს წარმოადგენდა. კაცმა გაბედულად გადაჭრა ქუჩა ამ ნომრისაკენ, თან მზერით საპარადო შესასვლელს ეძებდა. არად აგდებდა ამ ვილების ქვის საფეხურიან კიბეებს, შეულებავ ჭიშკრებს, ჩაშავებულ, ნახევრად სარდაფების საროულებს. სიღარიბისა და ლპობის ეს ატმოსფერო უდიდეს კონტრასტს წარმოადგენდა იმ ფართე სადარბაზოებიან და ნათელ ფანჯრებიან ბინებთან შედარებით, პატარა მოედან რეჯენსიზე რომ მდებარეობდა და თვითონ რომ ცხოვრობდა.

რვა ნომერი ვილა დიდად არ განსხვავდებოდა დანარჩენებისაგან. ჭიშკარი მეტად ღარიბული ჰქონდა. პირველი სართულის გრძელ, უშნო ფანჯრებზე უფერული ფარდები ჩამოკონწიალებულიყო. კიბის სულ ზედა საფეხურზე ბავშვი იჯდა, ასე, სამიოდე წლის ბიჭი, გადამტკნარებული სახითა და დაბნეული გამომეტყველებით. იგი უცნაურად მიებათ ტალახის საფხეკზე, ისე, რომ არ განძრეულიყო. კარი ნახევრად იყო გამოღებული.

ჯეიმს ფენტონი კიბეზე ავიდა და ზარს დაუწყო ძებნა. კედელზე ქაღალდის ნაფლეთი მიეწებებინათ წარწერით: „არ

მუშაობს“. მის ქვემოთ კი ძველებური ჩამოსაწევი ზარი ეკიდა, რომელზედაც თოკი იყო მიბმული. კაცს შეეძლო წამში გაეხსნა განასკვული თასმა, რომლითაც ბავშვი იყო დაბმული, მერე ხელში აყვანილი ჩამოეყვანა კიბეებზე ეს პაწია არსება და ისე მოქცეოდა, როგორც მოეპრიანებოდა. მაგრამ ასეთი სიჩქარე ნაადრევი ეჩვენა. ეს ის არ იყო, რაც მას სურდა, რადგან შინაგანი ძალა, რომელსაც ფენტონი გრძნობდა თავისუფალი მოქმედების გრძელ პერიოდს მოითხოვდა.

კაცმა ზარი ჩამოქაჩა. ჩაბნელებულ ჰოლში სუსტი წკარუნი გაისმა. ბავშვი არ განძრეულა, მხოლოდ ამოხედა ქვემოდან. ფენტონმა კარს ზურგი შეაქცია და ქუჩა მოათვალიერა. ქვაფენილის პირას ახლადშეფოთლილი ყავისფერქერქიანი, სიყვითლეშეპარული ჭადრის ხე იდგა. იქვე შავი კატა მოკალათებულიყო და დაშავებულ თათს ილოკავდა. კაცი ამ მოლოდინის წუთის მშვენიერებითა და გაურკვევლობით ტკბებოდა.

ზურგს უკან კარი გაიღო და ქალის ხმაც გაიგონა, უცხოური აქცენტით რომ ჰკითხა, – რით შემიძლია გემსახუროთო.

ფენტონმა ქუდი მოუხადა, თანაც საშინლად მოუნდა ეთქვა: „იცით, მე თქვენს დასახრჩობად მოვედი, თქვენი და თქვენი შვილის დასახრჩობად. ავკაცური ზრახვა არა მაქვს, მე უბრალოდ, მხოლოდ ბედისწერის იარაღი ვარ, ამ მიზნით გამოგზავნილიო“. მაგრამ ამის მაგიერ გაუღიმა. ქალი ისეთივე მკვდრისფერი იყო, როგორც კიბეებზე მჯდარი ბავშვი, მასავით უმეტყველო თვალები და გადაგლესილი თმა ჰქონდა. ასაკით ოცდან ოცდათხუთმეტ წლამდე იქნებოდა. საკმაოდ დიდი შალის ჯემპრი ეცვა, მუქი, კოჭებამდე გრძელი ქვედაბოლო კარგა ჩაფსკვნილს აჩენდა.

– ბინას ხომ არ აქირავებთ? – ჰკითხა ფენტონმა.

ქალს გამოცარიელებულ თვალებში იმედის რაღაცნაირი სხივი გაუკრთა, თითქოს დიდი ხანი ელოდა ამ შეკითხვას, მაგრამ იმედი კი გადაწურული ჰქონდაო. ეს წამიერი სხივი უმალ ჩაუქრა და ისევ გამოცარიელებული მზერა დაუბრუნდა.

– სახლი მე არ მეკუთვნის, – თქვა მან, – პატრონი ადრე აქირავებდა ყველა ოთახს, მაგრამ ამბობენ, ბინების გაფართო-

ების მიზნით უნდა ორივე მხრიდან დაინგრესო.

– თქვენ ამბობთ, რომ, – ჩაეძია კაცი, – სახლის პატრონი აღარ აქირავებს ოთახებს?

– არა, – უპასუხა ქალმა, – მან მითხრა, აღარ ღირსო. ყოველდღე ველით დანგრევის განკარგულებას. მე მცირე თანხას მიხდის, დანგრევამდე რომ მიეხედო აქაურობას. თვითონაც სარდაფში ვცხოვრობ.

– გასაგებია! – თქვა ფენტონმა.

საუბარი თითქოს უკვე დაამთავრეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფენტონი წასვლას მაინც არ აპირებდა.

– კარგი კი იქნებოდა, – გააგრძელა ფენტონმა, – ერთი ოთახი მაინც რომ მოგექირავებინათ, თუნდაც სარდაფში, სანამ აქ იქნებით, მანამდე. ეს გარიგება ჩვენს შორის დარჩება. სახლის პატრონი, ვგონებ, უარს არ იტყვის! ის უცქერდა ქალს, რომელიც ძალზე ცდილობდა, რამე მოეფიქრებინა. ამ გარეგნობის კაცის ასეთი უჩვეულო, საოცარი შეთავაზება მეტად აფიქრებდა ქალს, ვერაფერი გაგვგო. რამდენადაც, გაოცება შეტევისათვის საუკეთესო საშუალებაა, კაცმაც უპირატესობა უცებ ჩაიგდო ხელში.

– მე მხოლოდ ერთი ოთახი მინდა, – თქვა მან სწრაფად, – დღეში რამდენიმე საათით, აქ არ დავიძინებ.

ამ მამაკაცის ამოცნობა ქალის ძალებს აღემატებოდა. კაცს ლონდონისა და მისთანა ადგილების შესაფერისი ტვიდის კოსტუმი ეცვა, ფეტის რბილი ქუდი ეხურა და ხელჯოხი ეჭირა, სახის ჯანსაღი იერის მიხედვით ორმოცდახუთიდან ორმოცდაათ წლამდე თუ იქნებოდა. ფენტონმა დაინახა, როგორ გაუფართოვდა და უფრო გამოუცარიელდა ქალს თვალები იმის მცდელობაში, რომ როგორმე დაეკავშირებინა ერთმანეთთან ამ კაცის გარეგნობა და მისი ასეთი მოულოდნელი თხოვნა.

- რისთვის გინდათ ოთახი?- ჰკითხა დაეჭვებულმა.

ისევ დაბრკოლება გაჩნდა: „შენ და შენი შვილი რომ დაგხოცოთ, ჩემო კარგო, მერე ამოვთხარო იატაკი და ფიცრების ქვეშ ჩაგფლათ. მაგრამ ჯერ არა“. ხმამაღლა კი ცოცხლად მიუგო:

– ძნელია ამის ახსნა. მე სპეციფიური სამუშაო მაქვს. დროც ბევრი მაქვს. ბოლო ხანებში რაღაც ცვლილებები მოხდა. მჭირდება ოთახი, სადაც ყოველ დღე, რამოდენიმე საათს გავატარებ სრულიად მარტო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია ასეთი ადგილის მონახვა. აქაურობა კი ამ მიზნისათვის იდეალურია. მან ცარიელი სახლიდან მზერა ქვევით, ბაღშისაკენ გადაიტანა და გაიღიმა, – აი, თქვენი პატარა ბიჭიც კარგ ასაკშია, არ შემაწუხებს.

ქალს ღიმილის მაგვარი გაუკრთა სახეზე.

– ო, ჯონი საკმაოდ წყნარი ბავშვია, – თქვა მან, – საათობით ზის ხოლმე აქ, ხელს არ შეგიშლით, – მერე ქალს ის ღიმილნაირი ისევ წაეშალა სახიდან და კვლავ დაეჭვდა, – არ ვიცი, რა გითხრათ... ჩვენც სამზარეულოში ვცხოვრობთ, მის გვერდით კი საწოლი ოთახი გვაქვს. კიდევ არის ერთი ოთახი უკან, დამტვრეული ავეჯი მაქვს შენახული, მაგრამ არა მგონია, მოგეწონოთ. იცით, გააჩნია რისთვის გჭირდებათ?..

ესეც გამოსაცდელად იყო ნათქვამი. ისე კი, ქალის ასეთი აპათია აწყობდა კიდევაც ფენტონს. კაცს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ეს ქალი ან ღრმა ძილიდან იყო ახლად გამოფხიზლებული, ანდა, რაღაც წამლებს გაებრუებინა, ამაზე მეტყველებდა თვალების ირგვლივ გაჩენილი მუქი ჩრდილები. ძალიანაც კარგი! ეტყობა უცხოელიც იყო. ძალზე ბევრი უცხოელი ბინადრობდა ქალაქში.

– ოთახს თუ მაჩვენებთ, მეცოდინება, გამომადგება თუ არა, – უთხრა კაცმა.

ფენტონის გასაოცრად ქალი შეტრიალდა და გაუძღვა ვიწრო, ბნელი ჰოლისაკენ. სარდაფში ჩასასვლელი კიბის თავზე შუქი აანთო და თან რაღაც ბოდიშისმაგვარის ბუტბუტით ქვევით ჩაუძღვა. ეს იყო ვიქტორიანული ვილისათვის დამახასიათებელი მსახურთა ტიპიური სადგომი. ადრინდელი სამზარეულო, ჭურჭლის სამრეცხაო და საკუჭნაო ამჟამად ქალის საცხოვრებელ ოთახს, პაწაწინა სამზარეულოსა და საძილე ოთახს წარმოადგენდა. ეს გადაკეთებული ოთახები ახლა უფრო მეტად აჩენდა სიღატაკესა და სიბინძურეს. დახლართული მილები და გამოუ-

ყენებელი ბოილერი ძველად ალბათ უკეთ გამოიყურებოდა, თეთრად როცა იყო შეღებილი და გაკრიალებული. ჭურჭლის კარადა ჯერ ისევ ვარგოდა, მთელი ერთი კედელი ეკავა, ეტყობოდა, ორმოცდაათი წლის წინათაც ამ ადგილზე იდგა, მაგრამ მაშინ შიგნით გაპრალებული სპილენძის ქვაბები და შაბლონურად დალაგებული სადილის სერვიზი ეწყო ალბათ, ხოლო ჩასუქებული მზარეული კი ფქვილში ამოგანგლული ხელებით ფაციფუცობდა იქ და თან ბრძანებებს აძლევდა თანაშემწეებს ჭურჭლის სამრეცხაოში. წინათ კრმისფრად შეღებილი კედლები ახლა ჭუჭყით დაფიფქულიყო, გაცვეთილი ლინოლეუმიც დახეულიყო. ჭურჭლის კარადა ახლა ცარიელი და გამოუყენებელი, ყოვლად უმიზნოდ იდგა და აღარაფერი ჰქონდა საერთო თავის პირველდელ დანიშნულებასთან, – შიგ ეყარა გატეხილი რადიომიმღები, მომძვრალი ანტენით, ძველი ჟურნალ-გაზეთების გროვა, დაუმთავრებელი საქსოვი, დამტვრეული სათამაშოები, ნამცხვრის ნარჩენები, კბილის ჯაგრისი, ცალ-ცალი ფეხსაცმელი. ქალი უმწეოდ იყურებოდა ირგვლივ.

– ძალიან ძნელია ბავშვიანისთვის აქაურობის ყოველდღე დალაგება, – თქვა მან.

ისედაც ნათელი იყო, რომ იგი საერთოდ არ ალაგებდა იქაურობას, ქალი უკვე თანახმა იყო ოთახის გაქირავებაზე. ეს საყასბო, რომელსაც კაცი ათვალიერებდა, პასუხი იყო ამ საცოდავი ქალის ცხოვრებისეულ პრობლემებზე. ფენტონმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ზრდილობიანად დაუქნია თავი და გაუღიმა. უცებ, კაცმა ოდნავ შეღებული კარიდან მეორე ოთახში თვალი მოჰკრა აულაგებელ ლოგინს და დარწმუნდა თავისი ფიქრის სისწორეში, – რომ ქალს ღრმა ძილი უყვარდა და მისმა ზარმა ალბათ შეაწუხა კიდევაც. ქალმა შენიშნა ეს მზერა და სასწრაფოდ მოხურა კარი, მერე ეითარება გაიზიარა და შეეცადა წესრიგში მოეყვანა თავი, ჯემპრი შეიკრა და თმა ხელით გადაივარცხა.

– ის ოთახი რომელია, თქვენ რომ არ იყენებთ? – იკითხა ფენტონმა.

– ჰო, მართლა, ჰო, რა თქმა უნდა, – გაეპასუხა ქალი

ყალბი შეცბუნებით, თითქოს აღარც კი ახსოვდა, რისთვის ჩამოიყვანა ეს კაცი სარდაფში. გასასველელისაკენ გაუძღვა. როცა გრილი, გამოუყენებელი სარდაფი გაიარეს, – გამომადგებაო, გაიფიქრა კაცმა. საპირფარეშოს რომ ჩაუარეს, ფენტონმა ბავშვის ღამის ქოთანსა და იქვე, კედელზე გაკრულ გაზეთ „დეილი მირორის“ ნახევს მოჰკრა თვალი. როგორც იქნა, დაკეტილი ოთახის კარს მიადგნენ.

– არა მგონია გამოგადგეთ, – ამოიოხრა ქალმა, რომელიც აშკარად ფარმხალდაყრილი ჩანდა.

ნამდვილად არავის გამოადგებოდა ეს ოთახი ფენტონის გარდა, რომელიც აღსავსე იყო შინაგანი ძალითა და მიზნით. ქალმა გააღო ჭრიალა კარი და მაშინვე ფანჯრისაკენ გაემართა, რომ გრძელი, ნაჭრებად ჩამოკონწიალებული ფარდა გადაეწია. ამ ნაჭრებს ომის დროს ალბათ შუქშენიღბვისთვის იყენებდნენ, საშინელი ნესტი ოთახში რომ იდგა, ფენტონს მდინარეზე ჩამოწოლილი ბურუსივით ხელშესახები მოეჩვენა, თანაც ეჭვი არ იყო, გაპარული გაზის სუნიც იგრძნობოდა. ისინი შეთანხმებულებივით ერთად ისუნთქავდნენ მაგრ აირს.

– ჰო, ეს ცუდია, – თქვა ქალმა, – ხელოსანი უნდა გამომეძახა, მაგრამ აზრი არა აქვს, მაინც არავინ მოვა.

ქალმა ჰაერის შემოსაშვებად გადაწია თუ არა ფარდა, სამაგრი ფიცარი მაშინვე გადატყდა და ფარდის ნაჭერი ჩამოვარდა. უცებ, ფანჯრის გადატეხილი რაფადან ის კატა გადმოხტა, თათი რომ ჰქონდა დაშავებული და ქვემოთ, სახლის წინ, ხის ძირას რომ შენიშნა ფენტონმა. ქალმა სუსტად დაუცაცხანა. კატა თავისი სამფლობელოდან ოთახის შორეული კუთხისაკენ გაიძურწა, იქ ყუთზე მოიკალათა და საძილედ გაემზადა. ფენტონმა და ქალმა ირგვლივ მიმოიხედეს.

– ეს მე ძალიან მაწყობს, – თქვა კაცმა, ძლივს ხედავდა ბნელ კედლებსა და ცარიელ, მოგრძო ოთახს დაბალი ჭერით, – ბაღიც გქონიათ! – იგი ფანჯარასთან მივიდა და გახედა ქვითა და მიწით დაფარულ ნაკვეთს, რომელიც ზუსტად მისი თავის გასწვრივ ჩანდა ამ ჯურღმულიდან და რომელიც ერთ დროს ბაღის მოკირწყლულ ბილიკს წარმოადგენდა.

– კი, – თქვა ქალმა, – კი, ეს ბაღია, – და ფენტონისაკენ წამოვიდა, რომ მასაც გაეხედა ამ გავერანებული ადგილისაკენ, რომელსაც ორივემ ბაღი უწოდა. მერე მხრების აჩეჩვით განაგრძო, – როგორც ხედავთ, აქ სიმშვიდეა, მაგრამ მზე კარგად არ უდგება, ჩრდილოეთის მხარეა.

– მე მიყვარს ოთახები ჩრდილოეთით, – უთხრა ფენტონმა დაბნეულად, თან გონების თვალით უკვე ხედავდა ვიწრო თხრილს, რომელსაც ამ არსების გვამისათვის ამოთხრიდა. ძალიან ღრმა არც იყო საჭირო. მომავალი მსხვერპლისაკენ შებრუნებული ფენტონი თვალით ზომავდა და ანგარიშობდა მის სიმაღლესა და სიგანეს. უეცრად მოეჩვენა, ქალი რაღაცას მიხვდაო, მან სწრაფად გაულიმა, რომ ყოველგვარი ეჭვი გაეფანტა.

– მხატვარი ხართ? – მოულოდნელად ჰკითხა ქალმა, – მათ უყვართ ასეთი რამეები, ჩრდილოეთის ციალი თუ რაღაცა, არა?

ფენტონმა უდიდესი შვება იგრძნო. მხატვარია! ეს რა კარგი აზრი მიაწოდა! სწორედ ეს მშვენიერი მოტივი იქნებოდა ყველა დაბრკოლებიდან თავდასაღწევი გზა.

– ჩემი საიდუმლო გამოიცანით, – უპასუხა კაცმა ცბიერად და ისე ბუნებრივად გაიცინა, რომ თავადაც გაუკვირდა, – მერე უფრო მკვირცხლად განაგრძო, – მხოლოდ ნახევარი დღე დამჭირდება, სამუშაოდან თავის დაღწევა გამიჭირდება და იმიტომ. დილაობით სამსახურით ვარ დაკავებული, მერე კი სრულიად თავისუფალი ვარ ხოლმე. მერე იწყება ჩემი ნამდვილი სამუშაო. ეს სულაც არ არის დროებითი გატაცება, ეს ჩემი ნამდვილი მოწოდებაა. განზრახული მაქვს მოვაწყო გამოფენა წლის ბოლოსათვის. ახლა ხომ ხედებით, რაოდენ არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის იმას, რომ ვიპოვო სადმე... ასეთი... მან ხელი ირგვლივ მიმოატარა და ამ ჟესტმა კატის მეტი ვერავინ გამოაფხიზლა. მისი დამაჯერებელი კილო გადამდები აღმოჩნდა და ქალის დაეჭვებული და გაოცებული, შეკითხვებით აღსავსე თვალებიც უცებ განაიარაღა.

– ჩელსი საკუთარ მხატვრებით, არა? – იკითხა ქალმა, – ასე კი ამბობენ და! მე არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, სახელოსნო მაღალი უნდა იყოს, რომ მეტი შუქი შემოვიდეს.

– არ არის აუცილებელი, უპასუხა კაცმა, – ჩემთვის მაგას მნიშვნელობა არა აქვს, საღამოობით დიდი შუქი მაინც არ არის ხოლმე. ელექტრონი ხომ გაქვთ?

– კი, – ქალი კარისაკენ გაემართა და შუქი ჩართო. გაშიშვლებულმა, ჭერიდან ჩამოკონწიალებულმა ნათურამ მტვრის სქელი ფენიდან გამოანათა.

– შესანიშნავია, უთხრა ფენტონმა, – აი, სწორედ ეს მჭირდება.

მან გაულიმა გაფითრებულ, უბედურ სახეს. საცოდაკს ალბათ რა ტკბილად ეძინა, სწორედ ისე, როგორც წეღან კატას. ნამდვილად დიდი მადლი იქნებოდა ამ ქალის ასეთი სიღატაკიდან დახსნა.

– შეიძლება ხვალვე გადმოვიდე? – ჰკითხა ფენტონმა.

ქალს ისეთივე იმედი აესახა სახეზე, სულ პირველად რომ შენიშნა ფენტონმა, აი, მაშინ, წინკარში რომ სთხოვა, ოთახი მომაქირავეთო. მერე კი ისევ დაბნეულობა და უხერხულობის სუსტი ნაკვალევი გაუკრთა გამოხედვაში.

– თქვენ ფასზე არაფერი გიკითხავთ... ოთახის საფასურზე, – უპასუხა ქალმა.

– რამდენსაც დააფასებთ, – უპასუხა ფენტონმა და ხელით ისეთი ჟესტი გააკეთა თითქოს ფული არფერს ნიშნავდა მისთვის.

ქალმა დაბნეულობისაგან ნერწყვი გადაყლაპა, არ იცოდა, რამდენად დაეფასებინა, მერე გადამტკნარებულ სახეზე სიწითლე შეეპარა და გარისკა:

– მოდი, არ გავაგებინებ სახლის პატრონს, ვეტყვი, რომ ჩემი ამხანაგი ხართ, თქვენ კი ერთ ან ორ პაუნდს გადამიხდით კვირაში, რას იტყვით ასეთ გარიგებაზე?

ქალი აღელვებით უცქერდა ფენტონს. რა თქმა უნდა, ჯობდა მესამე პირი არ ჩარეულიყო ასეთ შეთანხმებაში, რადგან, შესაძლოა მას ფენტონის გეგმები ჩაეშალა.

– მე ყოველ კვირა გადაგიხდით ხუთ პაუნდს ბანკნოტით, დღეის ჩათვლით, – უპასუხა კაცმა.

მერე საფულიდან ახალთახალი ბანკნოტები ამოიღო. ქალმა მორცხვად გაუწოდა ხელი და სანამ ფენტონი ითვლიდა, თვალი

არ მოუცილებია ფულისათვის.

– სიტყვა არ წამოგცდეთ მეპატრონესთან თუ რამეს გკითხავთ, უთხარით, რომ ბიძაშვილი ვარ, მხატვარი და სტუმრად გეწვიეთ.

ქალმა ახედა მას და პირველად ახლაღა გაიღიმა, თითქოს ფენტონის ხუმრობამ და ბანკნოტებმა რამდენადმე განამტკიცეს მათი შეთანხმება.

სულაც არ გავხართ ჩემს ბიძაშვილს, არც მხატვარს, რომელიც კი ოდესმე მინახავს. რა გქვიათ?

– სიმზი, – სწრაფად მიუგო კაცმა, – მარკუს სიმზი, – თანაც გაუკვირდა, რატომ წარმოთქვა ინსტინქტურად თავისი სიმამრის, ფირმის ყოფილი აგენტის სახელი, იმისი, დიდი ხნის წინ რომ გარდაიცვალა და რომელიც ფენტონს მოელი არსებით სძულდა.

– გმადლობთ, მისტერ სიმზ, – უთხრა ქალმა, – დილისათვის დასუფთავებულს დაგახვედრებთ ოთახს, – და თითქოს პირველი მოქმედება ამ განზრახვის შესასრულებლად ის იყო, რომ კატა აითრია ყუთიდან და ფანჯრიდან გააძევა.

– თქვენს ნივთებს ხვალ შუადღით მოიტანთ? – ჰკითხა.

– ჩემს ნივთებს? – გაიმეორა კაცმა.

– სამუშაოდ რაც დაგჭირდებათ, საღებავები და ასე შემდეგ.

– ოჰ, დიახ... რა თქმა უნდა, ჩემი იარაღები უნდა მოვიტანო.

მან ერთხელ კიდევ მოათვალიერა ოთახი. სასაკლაოზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, უსისხლოდ, არეულობის გარეშე უნდა მოეყვანა სასურველში განზრახვა. ქალიცა და ბავშვიც უნდა დაეღრჩო, ეს იქნებოდა ყველაზე კარგი საშუალება.

– საღებავებისათვის შორს წასვლა არ დაგჭირდებათ, – უთხრა ქალმა, – კინგს როუდზე არის მაღაზიები მხატვრებისათვის. საყიდლებზე რომ მივდივარ, მათ ჩავუვლი ხოლმე. ვიტრინებში უწყვიათ დაფები და მოლბერტები.

ფენტონმა პირზე ხელი მიიფარა, ღიმილი რომ დაემალა. ნამდვილად ამაღელვებელი იყო ის, თუ როგორ დაუჯერა ქალმა, რა გულწრფელად ენდო.

მერე ქალი შემობრუნდა და წელან გამოკლილი გზით უკან გაუძღვა, შემოსასვლელიდან სარდაფის კიბეებზე და ზემოთა ჰ ოლისაკენ.

– ისეთი კმაყოფილი ვარ, რომ შეეთანხმდით. სიმართლე რომ გითხრათ, ლამის სასოწარკვეთილებამდე ვიყავი მისული.

ქალმა თავი შემოაბრუნა და გაულიმა.

– მეც კმაყოფილი ვარ, – უპასუხა კაცმა, – თქვენ რომ არ გამოჩენილიყავით, არ ვიცი, რა მეშველებოდა.

ისინი სარდაფში ასასვლელი კიბის თავზე იდგნენ.

რა საოცარი იყო, ნამდვილად ღმერთის ხელი ერია ფენტონის აქ შემთხვევით მოსვლაში.

კაცი გაოგნებული უცქერდა ქალს.

– ალბათ რამე გიჭირთ? – ჰკითხა.

– მიჭირს? – ხელები უმწეოდ გაიქნია და გულგრილობა და სასოწარკვეთა ისევ აღებეჭდა სახეზე, – ამაზე მეტი გაჭირვება რა იქნება, უცხო ქვეყანაში რომ ვარ. ასე უკაპიკოდ რომ მიგვატოვა ამ ბაშვის მამამ და რომ არ ვიცი, რა გზას დავადგე. წელანაც გითხარით, მისტერ სიმზ, თქვენ რომ დღეს არ მოსულიყავით,.. წინადადება აღარ დაამთავრა, ფეხსაცმლის საფხეკზე მიბმულ ბაშვს დახედა და მხრები აიჩეჩა.

– საწყალი ჯონი..., – გააგრძელა ქალმა, – შენი ბრალი არ არის...

– მართლაც საწყალი ჯონი, – გაეპასუხა ფენტონი, – და თქვენც მეცოდებით, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ბოლო მოვუღო თქვენს გაჭირვებას, გარწმუნებთ!

– ძალიან კეთილი ბრძანდებით, ნამდვილად, დიდი მადლობა.

– პირიქით, მე ვარ მადლობელი, – ფენტონმა ოდნავ მოუდრეკია თავი ქალს, მერე დაიხარა და ბაშვს თავზე შეეხო:

– ნახვამდის, ჯონი, ხვალამდე.

მსხვერპლმა უაზროდ ამოხედა კაცს.

– ნახვამდის, მისის... მისის

– კაუფმანი ვარ, ანა კაუფმანი.

ქალმა თვალი გააყოლა კაცს, რომელიც კიბეზე ჩავიდა და ჭიშკრისაკენ გაეშურა. გაძეებული კატა ფეხებში გაუსხლტა

ფენტონს და კელავ გატეხილ ფანჯარას მიაშურა. ფენტონმა ქუდი დიდის ამბით დაუქნია ქალს, ბავშვს, კატას და მთელ ამ ერთფეროვან და გამოყრუებულ ვილას.

– ხვალამდე, – დაუძახა და დიდებული თავგადასავლის დაწყებით შთაგონებული ხალისიანად დაეშვა ბაულთინგ სტრიტზე. ამაღლებულ განწყობილებას არც მაშინ მიუტოვებია, საკუთარ კარიბჭეს რომ მიადგა. ამერიკული საკეტი გააღო და ოცდაათიოდე წლის წინანდელი სიმღერის ღიღინით კიბეებს აუყვა. ედნა, როგორც ყოველთვის, ახლაც ტელეფონს უჯდა. ფენტონს ესმოდა ქალების გაუთავებელი დიალოგი. სასტუმრო ოთახში, პატარა მაგიდაზე სასმელი უკვე გაწყობილი იყო, კოქტეილი ჭიქებში ესხა, დამარილებული ნუში ლამბაქზე ეყარა. განსაკუთრებული სასმისები იმაზე მეტყველებდა, რომ სტუმრებს ელოდნენ. ედნამ ყურმილის მიკროფონს ხელი დააფარა და უთხრა:

– ალუსონები მოვლენ. ვთხოვე, – ვახშამადაც ჩვენთან დარჩნენ.

ქმარმა გაუღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ადრე, ჩვეულებისამებრ ერთ ყლუპ შერის დაისხამდა და თავის ჭიქაში ჩაიძირებოდა ხოლმე, რომ როგორმე გაეყვანა სტუმრობის დრო. ტელეფონზე საუბარი შეწყდა.

– კარგად გამოიყურები, – უთხრა ედნამ, – სეირნობა მოგხდომია.

ცოლის გულუბრყვილობამ ისე გაართო ფენტონი, რომ სუნთქვაც კი შეეკრა.

2.

კიდევ კარგი, ქალმა მხატვრისათვის საჭირო ნივთები რომ უხსენა, თორემ ალბათ რა სულელური სანახავი იქნებოდა მეორე დღეს, შუადღისას, ხელცარიელი რომ მისდგომოდა. მაშასადამე, ყოველივე ამის გამო სამსახურიდან ადრე უნდა გამოსულიყო და სასწრაფოდ აღჭურვილიყო საჭირო საგნებით. ფენტონმა დაიწყო მოქმედება. მოლბერტი, ტილოები, სხვადასხვა ფერი

საღებავების ტუბები, ფუნჯები, საღებავის გასახსნელი ზეთი, რომლებიც ეგონა პატარა ფუთა იქნებოდა, საკმაოდ მოზრდილი შეკვრა გამოვიდა. მას მხოლოდ ტაქსით თუ წაიღებდა. ყოველივე ამას ემატებოდა მღელვარებაც. თავისი როლი ზედმიწევნით უნდა ეთამაშა. ასეთი მონდომებული მყიდველით წაქეზებულმა მაღაზიის გამყიდველმა თავისი ინიციატივითაც დაუმატა საღებავები; ფენტონმა ეს შეთავაზებული ფერადი ტუბებიც შეიძინა, ხოლო მათი სახელწოდებები რომ წაიკითხა, დიდად კმაყოფილი დარჩა თავისი ნავაჭრით და მხნედაც კი იგრძნო თავი. ყვითელი, ლურჯი და მომწვანო საღებავები ღვინოსავით ათრობდა. ბოლოს ფენტონმა, როგორც იქნა, თავი დააღწია ცთუნებას და თავისი რამე-რუმეებით ტაქსში ჩაჯდა. ბაულთინგ სტრიტი №8, ეს შეუჩვეველი მისამართი ნაცვლად თავისი საკუთარისა, რაღაც იდუმალ სახეს აძლევდა ამ თავგადასავალს.

საოცარი იყო, მაგრამ ტაქსი თავისი დანიშნულების ადგილზე რომ მივიდა, ვილების მწკრივი ერთფეროვანი და მოსაწყენი აღარ მოეჩვენა. მართალია, გუშინდელი ქარი ჩამდგარიყო, მზეც სასიამოვნოდ ანათებდა, ჰაერშიც აპრილის სურნელი იდგა და დღეც დიდდებოდა, მაგრამ მთავარი ეს არ იყო ფენტონისათვის, მთავარი იყო ის, რომ ამ ქუჩის №8 სახლი რაღაცის მოლოდინში გარინდულიყო. მძღოლს ფული გადაუხადა და როგორც კი გადმოიღო ბარგი ტაქსიდან, მაშინვე მოჰკრა თვალი სარდაფის ფანჯრებს, რომლებისთვისაც მუქი ფარდები ჩამოეხსნათ და სანაცვლოდ თვალისმომჭრელი მანდარინისფერი ფარდები დაეკიდათ. შენიშნა თუ არა ეს, ფარდები მაშინვე გადაიწია და გამოჩნდა ქალი ბავშვით ხელში. ბავშვს პირი მურაბით ჰქონდა მოთხუპნული. ქალმა ხელი დაუქნია. კატა ფანჯრის რაფადან ჩამოხტა, ფენტონთან მივიდა და ამოზნექილი ზურგით კრუტუნით მიეგლასუნა ფეხზე. ტაქსი დაიძრა, ქალი კიბეებზე ჩამოვიდა მის შესაგებებლად.

– მე და ჯონი მთელი შუადღეა გელოდებით, – უთხრა მან, – სულ ეს არის თქვენი ნივთები?

– განა საკმარისი არ არის? – გაეცინა კაცს.

ქალი მიეხმარა ბარგის სარდაფში ჩატანაში, ფენტონმა

სამზარეულოში რომ შეიხედა, მიხედა, ქალს მისი დასუფთავებაც ეცადა, და ფარდებიც გამოეცვალა. ფეხსაცმელების მწკრივი ბავშვის სათამაშოებთან ერთად ჭურჭლის კარადიდან გამქრალიყო. მაგიდაზე სუფრისმაგვარიც გადაეფარებინა ჩაისათვის.

– ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ჭუჭყი იყო თქვენს ოთახში, თითქმის შუადღემდე ვასუფთავებდი, – უთხრა ქალმა.

– რატომ შეწუხდით, არც კი ღირდა, – უპასუხა ფენტონმა.

ქალი კარის წინ შეჩერდა და კაცს შეხედა. მზერა ისევ უაზრო გაუხადა.

– მაშ დიდი ხნით არ გინდათ ოთახი? – ბორძიკით იკითხა, – გუშინ ისე ლაპარაკობდით, რატომღაც ვიფიქრე, რამდენიმე კვირას მაინც დაჰყოფდით აქ.

– მე ეს არ მიგულისხმია, – სწრაფად მიუგო ფენტონმა, – უბრალოდ ვიფიქრე, რომ ამ საღებავებით მაინც საშინლად დაკვრიდი აქაურობას და ამიტომ აღარ იყო საჭირო დასუფთავება.

ქალმა აშკარად შვება იგრძნო. სახეზე ღიმილი გამოესახა, კარი გააღო და ფენტონი შეიპატიჟა:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მისტერ სიმზ.

კაცმა ვალდებულება იგრძნო, სამაგიერო მიეგო ქალისათვის, რომელმაც ამდენი შრომა გასწია. ოთახი ახლა სულ სხვანაირი ჩანდა, სუნიც კი სხვანაირი იდგა, – კარბოლისა თუ გუდრონის, გაზისა კი გამქრალიყო. ალბათ დეზინფექცია გააკეთა. შუქშესანიღბი ფარდის ნაჭრები ფანჯრიდან გამქრალიყო, გატეხილი შუშა გამოეცვალა, კატის საწოლი-ძველი ყუთი გაეტანა. კედელთან ახლა მაგიდა იდგა, ორი პატარა მოყანყალებული სკამი და სავარძელიც დაედგა, რომლისთვისაც ისეთივე საშინელი მანდარინისფერი ქსოვილი გადაეფარებინა, წელან სამზარეულოს ფანჯარაში რომ დაინახა. ბუხრის თავზე, წინა დღით ცარიელ კედელზე, მოზრდილი, ჭყეტელაფერებიანი რეპროდუქცია – მადონა ყრმით – ჩამოეკიდა, რომელსაც ქვემოთ კალენდარი ჰქონდა. მადონას თვალები თვალთმაქცურად, ყალბად ულიმოდნენ ფენტონს.

- ო... ღმერთო ჩემო, – თქვა კაცმა და თავისი გრძნობა რომ დაემალა, (მართლაც გულშიჩამწვდომი იყო ასეთი გარჯა

ამ გასაცოდავებული ქალისა, რომლისთვისაც შესაძლოა ეს დღეც უკანასკნელი ყოფილიყო,) კაცი შებრუნდა და ბარგის გახსნა დაიწყო.

– ნება მომეცით, მოგეხმაროთ, მისტერ სიმზ! - უთხრა ქალმა და სანამ კაცი რამეს იტყოდა, იგი მუხლებზე დაეშვა და თოკებს დაეჯაჯგურა, შეკვრას ქაღალდი შემოხსნა, მოლბერტი გაამზადა. მერე მათ ერთად დაცალეს საღებავების ყუთები და მაგიდაზე ჩაამწკრივეს, სახატავად გამზადებული ტილოები კი კედელთან ააყუდეს. საკმაოდ თავშესაქცევი იყო ყოველივე, რაღაც უაზრო თამაშს ჰგავდა და საოცარი ის იყო, რომ ქალიც ჩაება ამ თამაშში, თუმცაღა, სერიოზულობას მაინც ინარჩუნებდა.

– პირველად რას დახატავთ? – ჰკითხა, როცა ყველაფერი გაამზადეს და ტილოც დადეს მოლბერტზე, – ეგონებ, უკვე მოფიქრებული გაქვთ.

– ო, დიახ, – უპასუხა კაცმა, – რაღაც უკვე მაქვს მოფიქრებული, – მან გაიღიმა.

ქალს საოცრად სჯეროდა მისი და უცებ მანაც გაიღიმა:

– მგონი ვხვდები თქვენს ჩანაფიქრს.

ფენტონმა იგრძნო, როგორ გაფითრდა. რა გზით უნდა მიმხვდარიყო ეს ქალი? რაზე მიანიშნებდა?

– რას გულისხმობთ, რას მიმიხვდით? – ჰკითხა უხეშად.

– რას და, ჯონი ჩაიფიქრეთ, ხომ ასეა?

ფენტონი დედაზე ადრე ბავშვს ვერ მოკლავდა. რა საშინელი აზრი მიაწოდა ამ ქალმა, რატომ უბიძგებდა საამისოდ? დრო ჯერ ბევრი იყო, გარდა ამისა, გეგმა ბოლომდე არ ჰქონდა შემუშავებული.

ქალი მიხვედრილივით აქნევდა თავს. ფენტონი ძლივს დაუბრუნდა სინამდვილეს, ის ხომ დახატვას გულისხმობდა, რა თქმა უნდა, დახატვას!

– თქვენ ჭკვიანი ქალი ხართ, – უთხრა მან, – კი, ჯონიზე ვიფიქრე.

– წყნარად იჯდება, არც გაინძრევა, – უპასუხა ქალმა, თუ დავაბამ, საათობით იჯდება ასე. ახლავე მოვიყვანო?

– არა, არა! – წამოიძახა აცახცახებულმა ფენტონმა, სულაც

არ მეჩქარება, ჯერ უნდა გაეიაზრო.

ქალს სახე მოეღუშა, იმედი გაუცრუედა, ერთხელ კიდევ მიმოიხედა ირგვლივ. ასე უცებ და საოცრად გარდაქმნილი ოთახი მხატვრის ნამდვილ სახელოსნოს ჰგავდა.

– მაშინ ნება მომეცით, ჩაი მოგართვათ, – და ნათქვამის შესასრულებლად სამზარეულოსაკენ გაუძღვა. კაცი ქალის შეთავაზებულ სკამზე დაჯდა. სვამდა ჩაის და აყოლებდა ხორციან სენდვიჩებს, თან პატარა ბინძური ბიჭის შიშისაგან დაცლილ თვალებს უცქერდა.

– მა ...წაილუღლუღა ბავშვმა და ხელები აიქნია.

– კაცებს ყველას ასე ეძახის, – განმარტა დედამ, თუმცა მამამისი ზედაც არ უყურებდა ბავშვს. ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მისტერ სიმზ! ჯონი!

ფენტონმა თავს ძალა დაატანა, რომ ზრდილობის გამო გაეღიმა. ბავშვები მას აღიზიანებდნენ. მერე ისევ სენდვიჩის ჭამა და ჩაის წრუპვა განაგრძო.

ქალი დაჯდა და დაეწვია. უაზროდ ურევდა კოვზს ჩაიში მანამდე, სანამ სულ არ გააცივა და გააუგემურა.

– რა კარგია, როცა ხმის გამცემი გყავს ვინმე, – თქვა ქალმა, – იცით, მისტერ სიმზ, სანამ თქვენ მოხვიდოდით, ისე მარტო ვიყავი... ზემოთ ცარიელია სახლი, შემთხვევითაც არავინ ჩაიელის, არც მეზობლები ვარგანან, ამხანაგიც არავინ მყავს.

მით უკეთესიო, გაიფიქრა კაცმა. არავინ მოისაკლისებს ამ ქალს, როცა აღარ იქნება. კიდევ კარგი, სხვა, ხალხმრავალ სახლს არ გადააწყდა. ასე რომ, განზრახვის შესრულება დღის ყოველ მონაკვეთში შეეძლო, ვერც ვინმე გაიგებდა რამეს. საცოდავი ბავშვი, ოცდაექვსი ან ოცდაშვიდი წლის თუ იქნებოდა, რა ცხოვრება უნდა ენახა.

– სიტყვაც კი არ უთქვამს, ისე წავიდა, - განაგრძობდა ქალი, - მხოლოდ სამი წელია, რაც ამ ქვეყანაში ვართ. სად არ ვიარეთ, მუდმივი სამუშაო ვერსად ვიშოვეთ. ერთი ხანობა მანჩესტერშიც ვიყავით, ჯონი იქ დაიბადა.

– საშინელი ადგილია, – თანაუგრძნო კაცმა, – გამუდმებით წვიმს.

– მე მას ვუთხარი, – უნდა იშოვო სამუშაო – მეთქი, – ისევ განაგრძობდა ქალი და დაროდადრო მაგიდაზე მუშტს აბრაგუნებდა, – ვუთხარი, – ასე ვერ ვიცხოვრებთ-მეთქი ვერც მე და ვერც შენი შვილი. და მისტერ სიმზ, ბინის ქირისათვისაც არ გვქონდა ფული. რა უნდა მეთქვა მეპატრონისათვის, გადახდას რომ მომთხოვდა? მერე კიდევ უცხოელებს ხომ იცით, ყოველთვის რამე უსიამოვნება ხვდებათ ხოლმე პოლიციასთან.

– პოლიცია? – შეშინდა ფენტონი.

– საბუთები, – აუხსნა ქალმა, – ისე ძნელია ჩვენი საბუთების აღება. იცით, როგორ ხდება ეს? რეგისტრაციაში უნდა გაგვატარონ. მისტერ სიმზ, ბედნიერი ცხოვრება არასოდეს მქონია. ავსტრიაში ერთ ხანს მსახურად ვედექი ცუდ კაცს, გამოვექეცი. მხოლოდ თექვსმეტი წლის ვიყავი, ჩემს ქმარს რომ შევხვდი. მაშინ ჯერ არ იყო ჩემი ქმარი. ვფიქრობდი, ინგლისში თუ წამოვიდოდით, ბედს ვეწეოდით...

ასე ზუზუნებდა ქალი, კაცს უცქერდა და ისევ ურევდა ჩაიში კოვზს. წყნარი, გერმანული აქცენტით ლაპარაკობდა, ყურს ესალბუნებოდა ეს ხმა და ერთგვარად სასიამოვნო აკომპანემენტად მისდევდა კაცის ფიქრებს. ყოველივე ამას ერწყმოდა მაგიდაზე მდგარი მაღვიძარა საათის ტიკტიკი და ბავშვის მიერ თეფშზე კოვზის კაკუნი. რა შესანიშნავი იყო იმაზე ფიქრი, რომ ახლა ფენტონი არც სამსახურში იყო და არც სახლში, რომ ის იყო მარკუს სიმზი, მხატვარი, რაღა თქმა უნდა, დიდი მხატვარი, ბოლოს და ბოლოს ხომ არაფერში ამჟღავნებდა წინასწარგანზრახულს. აქ იყო მისი მსხვერპლიც, რომელიც ხელში აჩეჩებდა თავის სიცოცხლეს, ეჭვი არაფერში ეპარებოდა, უფრო მეტიც, ფენტონს მხსნელადაც კი თელიდა.

– საოცარია, – თქვა ქალმა წყნარად, – გუშინ არც კი გიცნობდით, დღეს კი ჩემს ცხოვრებაზე გიყვებით. თქვენ ჩემი მეგობარი ხართ.

– თქვენი ერთგული მეგობარი, – უთხრა კაცმა და ხელზე მიეფერა, – გარწმუნებთ, ნამდვილად ასეა, – მან გაუღიმა და ასადგომად სკამი უკან გასწია. ქალმა აიღო მისი ჭიქა და ლამბაქი და ნიჟარაში ჩააწყო, მერე თავისი ჯემპრის სახელოთი მოწმინდა

ბავშვს პირი.

– ახლა კი, მისტერ სიმზ, – თქვა მან, – ჯერ რა გავაკეთოთ, საწოლში წავიდეთ თუ ჯონის დახატავთ?

კაცი გაოცებით მიაშტერდა. „საწოლში წავიდეთო?!“ სწორად გაიგონა?

– მაპატიეთ, რა თქვით? – იკითხა მან.

ქალი მოთმინებით ელოდა კაცის მოქმედებას.

– თქვენ გეუბნებით, მისტერ სიმზ, ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, მე თქვენს განკარგულებაში ვარ.

კაცმა იგრძნო, როგორ გაუწითლდა ყელი და როგორ გადაუარა ამ სიწითლემ ჯერ სახესა და მერე შუბლზე. ეჭვი არ იყო, არავითარ გაუგებრობას არ ჰქონდა ადგილი. ნაძალადევად გაღიმებული ქალი თავის გადაქნევით ანიშნებდა საწოლი ოთახისაკენ. საცოდავი, გაუბედურებული გოგო თავს სთავაზობდა, ალბათ დარწმუნებული იყო, რომ კაცს ნამდვილად სურდა იგი... უნდოდა... საშინელება იყო.

– ჩემო ძვირფასო მადამ კაუფმან, – დაიწყო კაცმა, – ეს მიმართვა – მადამ! უკეთ ჟღერდა, ვიდრე მისის და თანაც ხაზს უსვამდა იმას რომ ქალი უცხოელი იყო – ვფიქრობ აქ რაღაც შეცდომაა, თქვენ სწორად ვერ გამიგეთ.

– როგორ? – იკითხა შეცბუნებულმა ქალმა, მაგრამ მალე სახეზე ისევ გადაურბინა ღიმილმა, – ნუ შეგეშინდებათ, არავინ მოვა, ჯონისაც დავაბამ.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. პატარა ბიჭი დავაბაო... ისეთი ხომ არაფერი უთქვამს ამ ქალისათვის, რომ ამგვარად გაეგო ყველაფერი. ახლა რომ გაბრაზებულიყო და იქაურობა დაეტოვებინა, ეს ნიშნავდა დაემსხვრია ასე კარგად მოფიქრებული გეგმები და იძულებული გამხდარიყო თავიდან მოეძებნა მათი განსახორციელებელი ადგილი.

– ეს ეს დიდად მავალებს, მადამ კაუფმან. – უთხრა კაცმა, – მე ნამდვილად ვაფასებ თქვენს შემოთავაზებას, მეტად კეთილი ბრძანდებით. საქმე ისაა, რომ საუბედუროდ, უკვე მრავალი წელია დაუძლურებული ვარ... ძველი, ომისდროინდელი ნაჭრილობევის გამო... დიდი ხანია, ასეთი რამეები ამოვაგდე

ჩემი ცხოვრებიდან. მთელს ჩემს შესაძლებლობებს ხელოვნებაში, მხატვრობაში ვაქსოვ, მთლიანად მასზე ვარ კონცენტრირებული. ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნება ამ მცირე განმარტოების ძიებაა, რომელიც რაიმე ცვლილებას შემოიტანს ჩემს სამყაროში. და თუ ჩვენ მეგობრები უნდა ვიყოთ...

ფენტონმა სიტყვებს დაუწყო ძებნა, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსულიყო. ქალმა მხრები აიჩეჩა. სახეზე არც შვება დატყობია, არც იმედგაცრუება. მისთვის სულერთი იყო, რაც მოხდებოდა.

– როგორც გენებოთ, მისტერ სიმზ, – უთხრა მან, – ვიფიქრე, იქნებ მარტოა მეთქი. მე ვიცი, რა არის მარტოობა. თქვენ ისეთი კეთილი ხართ, თუკი იგრძნობთ, რომ გინდათ...

– ო, მაშინვე გეტყვით, – სწრაფად გააწყვეტინა კაცმა, – ამას არც უნდა ლაპარაკი. მაგრამ, ვაი, რომ, ეშიშობ... აბა, ახლა ვიმუშაოთ, ვიმუშაოთ! და გაიღიმა, მერე მოჩვენებითად დაფაცურდა და სამზარეულოს კარი გამოაღო. მადლობა ღმერთს, ქალმა ისევ შეიკრა შალის ჯემპრი, რომლის გახსნაც ასე საბედისწეროდ დაიწყო წეღან. ბაეშვი ხელში აიყვანა და მოემზადა რომ კაცს გაპყოლოდა.

- ყოველთვის მინდოდა მენახა როგორ მუშაობს ნამდვილი მხატვარი, - უთხრა ფენტონს, - და აი, ახლა მომეცა საშუალება. ჯონი რომ გაიზრდება, მერე დააფასებს ამას. როგორ და სად გსურთ რომ დავსვა მისტერ სიმზ? უნდა იდგეს თუ იჯდეს? როგორ პოზაში უკეთესია?

უკვე მეტისმეტი იყო. ვაის გაეყარა და უის შეეყარა. ფენტონი გაღიზიანდა. ქალმა საშინლად მოაბეზრა თავი. სულაც არ უნდოდა მისი ასე აკიდება. იქნებ რაიმე მოეხერხებინა ამ საძაგელი პატარა ბიჭისათვის, რომ დედამისის აქტიურობაც შენელებულიყო.

– პოზას მნიშვნელობა არა აქვს, – თქვა ფენტონმა გაღიზიანებით, – მე ფოტოგრაფი არა ვარ. და ყველაზე მეტად ვერ ვიტან, მუშაობისას რომ მიყურებენ. დასვით ჯონი სკამზე, იმედი მაქვს, წყნარად იჯდება.

– დასაბმელს მოვიტან, – თქვა ქალმა და სანამ სამზარეულოდან დაბრუნდებოდა, ფენტონი შეწუხებული სახით უმზერდა

მოლბერტზე დამაგრებულ ტილოს. რაღაც უნდა მოემოქმედა, ეს ცხადი იყო, ტილოს ცარიელი დატოვება დამღუპველი იქნებოდა. ქალი ან ცუდზე დაეჭვდებოდა, ანდა იმ საშინელებას შესთავაზებდა, ხუთი წუთის წინ რომ დაუპირა...

კაცმა აიღო რამოდენიმე ტუბი, ხელი მოუჭირა და იქიდან გადმოყონილი საღებავები პალიტრაზე დააღვენთა. მოყავისფრო, სიენა, ნეაპოლური ყვითელი... მშვენიერ სახელებს არქმევენ ამ საღებავებს. თვითონ და ედნა იყვნენ სიენაში წლების წინ, რომ დაქორწინდნენ მაშინ. კაცს გაახსენდა მოვარდისფრო - ჟანგისფერი აგურის კედელი და მოედანი, რა ერქვა იმ მოედანს? ცნობილი დოღი ეწყობა ხოლმე იქ. ნეაპოლური ყვითელი!... ისინი ნეაპოლს იქით აღარ წასულან. ჯერ ნეაპოლი უნდა ნახო და მერე მოკვდე! სამწუხაროა, რომ მას შემდეგ აღარ უმოგზაურიათ. ისინი ყოველ წელს შოტლანდიაში ისვენებდნენ, მაგრამ ედნას არ ბეზრდებოდა იქ გამგზავრება. ცისფერი... უნებურად დაფიქრდებოდით მუქი ცისფერი იყო თუ ღია? სამხრეთის ზღვების ლაგუნები და მხტუნავი თევზები მოგაგონდებოდათ. რა მხიარულად გამოიყურებოდნენ ეს საღებავები პალიტრაზე!

- აბა, ჯონი ჭკვიანად იყავი, - ფენტონმა აიხედა. ქალს უკვე „დაემაგრებინა" ბავშვი სკამზე და ახლა თავზე უსვამდა ხელს. - თუ კი რამე დაგჭირდებათ, მხოლოდ დამიძახეთ, მისტერ სიმზ.

- გმადლობთ, მადამ კაუფმან!

ქალი ოთახიდან გაიძურწა და ფრთხილად გაიხურა კარი. არ უნდოდა მხატვარი შეეწუხებინა. ხელოვანი თავის ქმნილებასთან უნდა განმარტოებულიყო.

მა!.. თქვა უეცრად ჯონიმ.

გაჩუმდი, - დაუცაცხანა ფენტონმა. იგი ნახშირის ნაჭერს შუაზე ტეხდა. სადღაც წაეკითხა, რომ მხატვრები ხატვას ნახშირით იწყებენ. მან მოხერხებულად დაიჭირა თითებით ნახშირის ნატეხი და ტუჩებმოპრუწულმა შემოხაზა წრე, რომელიც საოცრად ჰგავდა საკუთ მთვარეს. შემდეგ უკან დაიწია და ნახევრად მოჭუტული თვალებით შეხედა. საოცარი ის იყო, რომ დახატული მართლა ჰგავდა სახეს მხოლოდ უნაკვთებოს... ჯონი

გაფართოებული თვალებით უცქერდა კაცს. ფენტონმა იფიქრა, – უფრო დიდი ტილო მჭირდებაო, რადგანაც ის რომელიც მოლბერტზე იდო, მხოლოდ ბავშვის თავს დაიტევდა. უფრო შთამბეჭდავი კი იქნებოდა თავის გარდა მხრებიც რომ დატეულიყო, საშუალება ექნებოდა ცისფერი გამოეყენებინა ბავშვის ნაქსოვი ლურჯი კოფთის გამოსახატავად.

ეს ტილო სხვა უფრო დიდით შეცვალა. კი, ეს უკეთესი ზომისა იყო. ახლა ისევ სახის მოყვანილობა... თვალები... ორი წერტილი ცხვირის ადგილას და პატარა ხაზი პირის მაგიერ... მერე ორი ხაზი კისრისთვის და მერე კიდე ორი კუთხოვანი საკიდივით მხრები. სახეს არა უშავდა, ადამიანისას ჰგავდა, მართალია არა მთლად ჯონისას, მაგრამ მოცემულ მომენტში მთავარი იყო ტილოზე ყოფილიყო ნახატი, თუნდაც სულ უბრალო რამ. აღგზნებულმა ამოარჩია ფუნჯი, ჩააწო გამხსნელში... მერე ოდნავ შეეხო ცისფერსა და ქათქათა თეთრს, რომ ერთმანეთში აერია. ამის შემდეგ მიღებული მასა ტილოზე დაათხაპნა. ღია ფერი ზედმეტი ზეთისაგან ლაპლაპებდა, საღებავი დამატებას ითხოვდა. ეს არ იყო ჯონის კოფთის ფერი ლურჯი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა.

გამხნევებულმა ფენტონმა ისევ დაათხაპნა დამატებით საღებავი და ახლა ტილოს მთელი ქვედა ნაწილი ლურჯი ჭყეტელა ხაზებით აჭრელდა, რაც საოცრად ამაღელვებელ კონტრასტს ქმნიდა ნახშირით დახატულ სახესთან. სახე უკვე ნამდვილივით გამოიყურებოდა. ბავშვის თავის უკან კედლის ნაწილსაც, ერთი შეხედვით უბრალო კედელი რომ იყო მხოლოდ, ხომ, ჰქონდა რაღაც ფერი, ბოლოს და ბოლოს, – მოვარდისფრო – მომწვანო იყო. კაცი ხან ერთ საღებავს ადებდა პალიტრაზე ხან მეორეს. მერე სხვა ფუნჯი აიღო, რომ ლურჯ საღებავიანი არ გაეჭუჭყიანებინა... დალახვროს ეშმაკმა, ეს დასაწვავი სიენა სულაც არ ჰგავდა იმ სიენას, ფენტონი რომ ეწვია ერთხელ, მთლად ტალახივით იყო. უნდა გაწმინდოს. ამისათვის ქსოვილის ნაჭერი დასჭირდება. სწრაფად გაემართა კარისაკენ.

– მადამ კაუფმან, – დაუძახა, – მადამ კაუფმან! რაიმე ჩვარი ხომ არ გექნებათ?

– ქალი იმავ წუთს მოვიდა, თან რაღაც საცვალს ხევდა ნაჭრებად. კაცმა ხელიდან გამოსტაცა ეს ნახევები და გაბრაზებით დაიწყო ფუნჯის წმენდა საღებავებისაგან. უცებ შეტრიალდა და დაინახა, ქალი უჭვრეტდა ტილოს.

– ნუ იზამთ ამას, – დაუყვირა, არ შეიძლება მხატვრის ნამუშევრის ნახვა დაუმთავრებელ სტადიაში.

ქალი გაეცალა, მოსცილდა.

– მაპატიეთ, – თქვა მან და მერე მცირეოდენი ყოყმანით დაუმატა, – ძალიან თანამედროვეა, არა?

კაცი მას მიაჩერდა, მერე მზერა ტილოზე გადაიტანა, იქიდან ჯონიზე.

– თანამედროვე? – იკითხა, – რა თქმა უნდა, თანამედროვეა, აბა რა გეგონათ? ასეთს მოელოდით? – მან ფუნჯი ბუხრის თავზე დაკიდული ყალბღიმილიანი მადონასკენ გაიშვირა, – მე თანამედროვე ვარ, მე ასე ვხედავ, ახლა მომეცით საშუალება განვაგრძო.

პალიტრაზე უკვე აღარ იყო ადგილი ფერებისათვის. კიდევ კარგი, მეორეც იყიდა. ფენტონმა ახლა მეორე პალიტრაზე დაიწყო ფერების დასხმა და არევა. ყველაფერი დომხალივით აირია– დაუდგომელი მზის ჩასვლები და გაუთენებელი განთიადები, ვენეციური წითელი აღარ აგონებდა დოჟების სასახლეს, ეს იყო სისხლის პაწაწინა წვეთები, რომლებიც ტვინში ჩნდებოდა და არ კი ᲘᲚᲕᲔᲜᲗᲔᲑᲝᲓᲐ, თუთიის ფერი თეთრი სიწმინდე იყო და არა სიკვდილი. ყვითელი ოხრა ყვითელი ოხრა იყო ხვავრიელი სიცოცხლე, იყო განახლება, იყო გაზაფხული, იყო აპრილი სულ სხვა დროში და სხვა გარემოში.

აღარ აქცევდა ყურადღებას იმას, რომ ბნელდებოდა და შუქის ანთება იყო საჭირო. ბავშვს ჩასძინებოდა, ის კი კვლავ განაგრძობდა ხატვას. მალე ქალი მოვიდა და აუწყა, რომ უკვე რვა საათი შესრულებულიყო, თან ჰკითხა, – ვახშამს ხომ არ ინებებდა, და დაუმატა, – ამით მე სულაც არ შემაწუხებთო.

ფენტონმა უცებ გაიაზრა, სად იმყოფებოდა. რვა საათი გამხდარიყო. რვას რომ თხუთმეტი აკლდა ყოველთვის შინ სადილობდა ხოლმე. ედნა ალბათ ელოდა, შეწუხებული იქნებოდა, –

რამე ხომ არ შეემთხვა ჩემს ქმარსო. მან დააწყო პალიტრა და ფუნჯები. საღებავებით მოთხუპნოდა ხელები და პალტო.

-რა მეშველება? - იკითხა შეშფოთებულმა.

ქალი მიუხვდა. ჩვარი საღებავების გამხსნელში დაასველა და პალტო გაუწმინდა. ფენტონი სამზარეულოში გაჰყვა მას და ხელები პირსაბანში გაიხეხა.

- სხვა დროს ყოველთვის შვიდი საათისათვის წაველ ხოლმე, - უთხრა ქალს.

-კარგი, _ უპასუხა ქალმა, - დავიმახსოვრებ და შეგახსენებთ ხოლმე. ხვალ მოხვალთ?

- რა თქმა უნდა, - უპასუხა კაცმა მოუთმენლად, - რა თქმა უნდა. ჩემსას ხელი არაფერს ახლოთ.

- არა, მისტერ სიმზ.

ფენტონმა აირბინა სარდაფის კიბეები, სწრაფად გავიდა სახლიდან და სირბილით გაეშურა შინისაკენ. გზაში ედნასათვის სათქმელი ამბავი შეთხზა: ვითომ კლუბში შეირბინა და იქ ძალით ათამაშეს ბრიჯი, რომ თამაში ველარ შეწყვიტა და დროც შეუმჩნეველად გაეპარა. ეს კარგი მოიგონა. ხვალაც ასე ეტყვის. ედნა უნდა შეეგუოს იმას, რომ სამსახურის მერე ქმარი კლუბში შეივლის ხოლმე. ფენტონი უკეთეს მიზეზს ვერც მოიგონებდა თავისი მშვენიერი, ორსახოვანი, საიდუმლო ცხოვრების შესანიღბავად.

3.

საოცარი იყო, როგორ გარბოდნენ დღეები, ის დღეები ძლივს რომ გადაათრევდა და ასე აუტანლად რომ ეჩვენებოდა ხოლმე. ეს რა თქმა უნდა, იმისი ბრალი იყო, რომ მათი შინაარსი შეიცვალა. ფენტონი მარტო ედნას კი არ ატყუებდა, სამსახურშიც ტყუოდა. მან გამოიგონა რაღაც იძულებითი საქმიანობა, რომელიც ვითომდა შუადღის შემდგომ დროს მოითხოვდა და რომლისთვისაც საჭირო იყო ახალი ნაცნობობანი და ურთიერთობანი მოგონილი საოჯახო ფირმის შესაქმნელად. დროებით მხოლოდ ნახევარ დღეს შემიძლიაო მუშაობა სამსახურში, _ ამბობდა

ფენტონი. რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ფინანსური საკითხები უნდა მოეგვარებინა, ამას საკმაოდ კარგად ხედებოდა. ამასობაში თუ მთავარი პარტნიორი შესაძლოდ ჩათვლიდა... და ა.შ. განსაცვიფრებელი ის იყო, რომ ყველამ დაიჯერა, ედნამაც კი ირწმუნა კლუბის შესახებ, თუმცა, ზოგჯერ კლუბის მაგიერ სხვა საქმესაც მოიმიზეზებდა ხოლმე სიტიში, მერე კი ვითომ საიდუმლოდ, ლაპარაკობდა რაღაც საქმოსნურ შეთანხმებაზე, რომელიც საკმაოდ დელიკატური და რთული გადასაწყვეტი იყო, მაგრამ წარმატებით კი ართმევდა თავს. ედნა კმაყოფილი იყო. მისი ცხოვრება ძველებურად მიდიოდა. მხოლოდ ფენტონის სამყარო შეიცვალა. ყოველ შუადღით, რეგულარულად, დაახლოებით ოთხის ნახევრისათვის იგი № 8 ჭიშკარში შვდიოდა და როგორც კი გაიხედავდა სარდაფისაკენ, მაშინვე დაინახავდა ხოლმე მადამ კაუფმანის სახეს, რომელიც მანდარინისფერი ფარდებიდან იჭყიტებოდა. მერე ქალი გაძვრებოდა უკანა კარისაკენ, გავერანებულ ბაღში რომ გადიოდა და იქიდან შემოჰ-ყავდა კაცი. ისინი შეთანხმდნენ, რომ უკანა კარიდან ივლიდა ფენტონი. აქედან უფრო უსაფრთხო და ნაკლებად თვალში საცემი იყო.

– გამარჯობათ, მისტერ სიმზ.

– გამარჯობათ, მადამ კაუფამან.

არ უნდოდა ანა დაეძახა ქალისათვის, რამე არ ეფიქრა... რაღაც ეგონებოდა... მიმართვა „მადამ" მათ შორის გარკვეულ წონასწორობას იცავდა. ისე კი, ქალი ნამდვილად გამოსადეგი იყო, ის ასუფთავებდა სტუდიას (ასე დარქვეს ოთახს) მის სახატავ ფუნჯებს, უმზადებდა ჩვრებს, ყოველ დღე ახალ-ახალს, ფენტონის მოსვლისათვის ყოველთვის მზად ჰქონდა ცხელი ჩაი, ისეთი კი არა, სამსახურში რომ ხარშავდნენ ხოლმე, არამედ ქაფქაფა და მოშშინე. ხოლო ბიჭი... პატარა ბიჭი უკვე მოსწონდა კიდევაც. როგორც კი დაასრულა მისი პირველი პორტრეტი, ფენტონი უფრო გულისხმიერი გახდა მის მიმართ, თითქოსდა ეს ბავშვი ახლად აღმოაჩინაო. იგი ახლა ფენტონის ქმნილება იყო.

შუა ზაფხული იდგა. ფენტონს უკვე ბევრჯერ დაეხატა მისი პორტრეტი. ბავშვი მას ისევ „მა"-ს ეძახდა. მაგრამ ეს ბავშვი არ იყო ფენტონის ერთადერთი მოდელი. მან ბიჭის დე-

დაც დახატა და დიდი კმაყოფილებაც მოჰგვარა ამ ნახატმა. უზარმაზარი შესაძლებლობების რწმენა მოუტანა ფენტონს ქალის სახის ტილოზე გადატანამ. არც თვალები უგავდა, არც ნაკეთები, არც ფერი (ზეცის მადლით ცოტა ფერი კი ჰქონდა ქალს), მაგრამ გამოსახულება ხომ იყო, ცოცხალი ადამიანის ზომისა და ისიც ქალისა, განსხვეულებული ცარიელ ტილოზე. რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ არავითარი მსგავსება არ იყო მის ნახატსა და იმ ქალს შორის, რომელიც ავსტრიელი იყო და სახელად ანა კაუფმანი ერქვა. მთავარი ეს არ იყო. ეს სულელი არსება ეტყობა შოკოლადით საკვე ყუთს თუ ელოდა ჯილდოთ იმისათვის, რომ მოდელად დაუჯდა მხატვარს. თუმცა კი მალე მოაკეტინა ფენტონმა.

- თქვენ რა, ნამდვილად ასეთს მხედავთ? - ჰკითხა ქალმა საცოდავად.

- რა არის, რაშია საქმე? - შეუბრუნა კითხვა კაცმა.

- ეს.... ეს არის, რომ... თევზივით დიდი პირი გამიკეთეთ, თითქოს უნდა ჩაგყლაპოთო, მისტერ სიმზ.

თევზივით? რა სისულელეს ამბობთ, - ეტყობა ეს ქალი თან თაყვანისცემას მოითხოვდა, - თქვენთან ძნელია მუშაობა იმიტომ, რომ სულ უკმაყოფილო ხართ. სხვა ქალებისაგან არაფ-რით განსხვავდებით.

ფენტონმა გაბრაზებით დაიწყო საღებავების არევა. ქალს არ ჰქონდა უფლება დაეწუნებინა მისი ნამუშევარი.

- ამას ნუ იტყვით, მისტერ სიმზ, მე ძალიან კმაყოფილი ვარ იმ ხუთი პაუნდისა, რასაც კვირაში მიხდით.

- მე ფულზე არ მითქვამს, _ უპასუხა ფენტონმა.

- აბა რაზე მითხარით?

- კაცი ტილოს მიუბრუნდა და ღია ვარდისფერი საღებავი ოდნავ მოსცხო დახატულ მკლავს.

- რაზე გითხარით? - იკითხა მან, - აღარც კი მახსოვს. მგონი ქალებზე, არა? ნამდვილად აღარ მახსოვს და ხელს ნუ მიშლით.

- მაპატიეთ, მისტერ სიმზ.

„ძალიან კარგი“, - გაიფიქრა კაცმა, - „ეგრე იყავი, არ

გაინძრე.“ ყველაზე მეტად ვერ იტანდა მსჯელობის მოყვარულ ქალებს, ისეთებს, უფლებებს რომ იცავდნენ, ჩაციება რომ იცოდნენ და საკუთარ სურვილებს რომ არაფრით ზღუდავდნენ. იმიტომ ვერ იტანდა, რომ მისი აზრით ქალები ამგვარი თავისუფლებისათვის სულაც არ იყვნენ გაჩენილნი. ისინი ღმერთმა შექმნა იმისათვის, რომ დამთმობნი თავაზიანები, წყნარები და მორჩილები ყოფილიყვნენ. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ იშვიათად შეხვდებოდი ასეთ ქალებს ცხოვრებაში. ქალს მხოლოდ ოცნებაში უნდა ეარსება, ან ფანჯარასთან უნდა გამკრთალიყო, ან აივანზე გადმომდგარიყო, ან სურათზე უნდა ყოფილიყო, ანდა ტილოზე, აი, ასე, მის წინ რომ იყო ახლა, – კაცი ფუნჯებს ხშირად იცვლიდა, ამაში მარჯვე იყო), მხოლოდ ეს აზრი ჰქონდა ქალის არსებობას. ეს კიდევ მოვიდა და თევზის ნაირი პირი დამიხატეო, ეუბნება.

– მე რომ ახალგაზრდა ვიყავი, – წარმოთქვა ხმამაღლა, – დიდი მიხანი მქონდა.

– რომ დიდი მხატვარი გამოსულიყავით? – ჰკითხა ქალმა.

– არა, რატომ... მთლად ასე არ არის, – უპასუხა, – მინდოდა ცნობილი, სახელგანთქმული ვყოფილიყავი, მიმეღწია რაღაც საქვეყნო აღიარებისათვის.

– ჯერ გვიან არ არის, მისტერ სიმზ, – უთხრა ქალმა.

– შესაძლოა... შესაძლოა... — კანი ვარდისფერი არ უნდა იყოს. უფრო ხორბლისფერი. ედნას მამა ნამდვილად ძნელი ასატანი იყო თავისი გამუდმებული საყვედურებით მათი ცხოვრების წესზე. მუდამ ეგონა, რომ ფენტონი, ქორწინების პირველივე დღეებიდან წესიერად ვერაფერს აკეთებდა: მოხუცი კაცი სულ მიზეზს ეძებდა და სიძეს ადანაშაულიბდა ყველაფერში... „წახვიდე და სახლვარგარეთ იცხოვრო?“ - წამოიყვირებდა ხოლმე, შენ იქაც ვერ მოიწყობ ცხოვრებას წესიერად. გარდა ამისა, ედნა იქ ვერ გაძლებს, მეგობრებისგან და ყველაფერ იმისგან შორს, რასაც შეჩვეულია. აღარ გამაგონოთ ამაზე რამე“.

ჰოდა მოკვდა და თან ჩაიტანა თავისი „ტკბილი დარიგებანი“. თავიდანვე ეკალივით იყო ცოლ-ქმარს შორის. მარკუზ სიმზი... მარკუზ სიმზი-მხატვარი, სულ სხვა ვინმე იყო, ის

სიურეალისტი იყო, თანამედროვე. ბებერი ალბათ საფლავში გადაბრუნდებოდა ეს რომ გაეგო.

– შვიდს თხუთმეტი აკლია, – წაილულღლულა ქალმა.

– დალახვროს... – ამოიოხრა მან და მოსცილდა მოლბერტს, აღმაშფოთებელია ასე შეწყვეტა მუშაობის. ახლა ნათელი საღამოებია. ერთი საათს ან კიდევ მეტ ხანს ვიმუშავებდი კიდეც.

– მერედა, რა გიშლით ხელს?

ეჰ, ოჯახის ბორკილები. ჩემს საწყალ მოხუც დედას გული შეუწუხდება.

ეს მოხუცი, საწოლს მიჯაჭვული დედა უკანასკნელი კვირების მანძილზე გამოიგონა. ვითომდა, პირობა ჰქონდა მიცემული მოხუცებულისათვის, რომ ყოველ საღამოს რვას რომ თხუთმეტი წუთი დააკლდებოდა, შინ იქნებოდა. დროზე თუ არ მივიდოდა, ექიმები პასუხისმგებლობას მოიხსნიდნენ. ის კარგი შვილი იყო.

– ნეტავ, დედათქვენი აქ გადმოგეყვანათ საცხოვრებლად, – უთხრა მოდელმა, – საღამოობით თქვენი წასვლის შემდეგ ისეთი მარტოობა დაისადგურებს ხოლმე! იცით, ხმები დადის, თითქოს ამ სახლს აღარ ანგრევენო. თუ ეს სიმართლე გამოდგა, თქვენ შეგიძლიათ ბინა დაიქირაოთ პირველ სართულზე და დედაც გადმოიყვანოთ.

– ის ვეღარ ინძრევა, – თქვა ფენტონმა, – ოთხმოცს გადაბიჯა უკვე, სრულიად ვერ იძვრის. ფენტონს გულში გაეღიმა, წარმოიდგინა, რა სახე ექნებოდა ედნას, ქმარს რომ შეეთავაზებინა, უფრო კომფორტულად ვიცხოვრებთ, თუ გავყიდით სახლს, რომელშიც აი, უკვე ოცი წელია ვცხოვრობთ და დავიქირავებთ ბინას ბაულთინგ სტრიტის რვა ნომერშიო. წარმოიდგინა ის აყალმაყალი, და კვირაობით ვახშმად მოსული ალუსონების გაოგნება რომელიც ამ წინადადებას მოჰყვებოდა.

– გარდა ამისა, – განაგრძო ფიქრი ხმამაღლა, – მთელი აზრი დაიკარგ.

– რისი აზრი?

კაცმა საღებავებით დათხაპნილი ტილოდან, ასე ბევრს რომ ნიშნავდა მისთვის, მზერა მოდელზე გადაიტანა, გაზინთული თმითა

და არაფრისმთქმელი თვალებით რომ იჯდა. კაცი ცდილობდა გაეხსენებინა, რამ გადააწყვეტინა რამდენიმე თვის წინათ ამ ჩაკამებულ ვილას მისდგომოდა და ოთახი ეთხოვა. ალბათ ედნასაგან რაღაცით გაღიზიანებამ, ქარიანმა ნაცრისფერმა დღემ სანაპიროზე, ან ალუსონების სტუმრობამ. მაგრამ ჩანაფიქრები იმ კვირადღისა უკვე გამქრალიყო, დავიწყებას მისცემოდა. ახლა მან მხოლოდ ერთი რამ იცოდა, მისი ცხოვრება შეიცვალა იმით, რომ სარდაფის ეს პატარა, ვიწრო ოთახი მის ნუგეშად გადაიქცა, ხოლო ანა კაუფმანი და ჯონი მისი ანონიმურობისა და სიმშვიდის სიმბოლოები გახდნენ. მართალია, ქალის საქმიანობა მხოლოდ ჩაის მომხადებითა და ფუნჯის წმენდით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ფენტონის ამგვარი ცხოვრების ნაწილს ხომ წარმოადგენდა ისევე, როგორც კატა, რომელიც მის მიახლოებაზე კრუტუნს იწყებდა და ფანჯრის რაფას გაერთხმებოდა ხოლმე და რომელიც ერთხელაც კი არ დაუპურებია.

– არაფერია, მადამ კაუფმან, – თქვა მან, – ერთ მშვენიერ დღეს გამოფენას მოვაწყობთ და თქვენი და ჯონის სახეებზე ქალაქი ილაპარაკებს.

– ამ წელს... მომავალ წელს... ოდესმე... არასოდეს... ფუჭი სიტყვები ხომ არ არის მხოლოდ? – იკითხა ქალმა.

– რწმენა არ გაგაჩნიათ, – უთხრა ფენტონმა, – მე გავიმარჯვებ, ცოტა მაცალეთ და ნახავთ.

ქალმა თავიდან დაიწყო მოსაბეზრებელი ამბის თხრობა კაცზე, რომელსაც ავსტრიიდან გამოექცა და ქმარზე, რომელმაც ლონდონში მიატოვა. ფენტონს სულაც არ აღელვებდა ეს ამბავი, ისე კარგად იცოდა მისი თავგადასავალი, რომ შეეძლო თვითონ გაეხსენებინა, თუკი ქალს რამე გამორჩებოდა. კაცი არ წუხდებოდა ამ ყბედობით, ესეც ნაწილი იყო დალოცვილი ანონიმურობისა. ფენტონმა არ შეაწყვეტინა და გაიფიქრა, – ეს ლაქლაქი ქალს აწყნარებსო. ის თავის მოდელს ვეღარც კი ამჩნევდა, გულმოდგინედ ხატავდა ფორთოხალს, რომელსაც ქალი თვითონაც წუწნიდა და პაწაწინა ნაჭრებად დაქუცმაცებულს კალთაში ჩასმულ ჯონისაც აჭმევდა. ეს ფორთოხალი ახლა თვით სიცოცხლესაც აღემატებოდა მისთვის, სიცოცხლეზე უფრო

მრავალფეროვანი იყო, უფრო საკვე, დიდი და ნათელი.

საღამოს, შინისაკენ მიმავალი ფენტონი სანაპიროს რომ გაუყვებოდა, (ეს გზა უკვე აღარ იყო წარსული კვირადღის ბნელი ფიქრებით დაბინდული, ახლა იგი ახალი ცხოვრებით იყო გასხივოსნებული), იგი მდინარეში გადაუძახებდა ხოლმე ნახშირით შესრულებულ ესკიზებსა და უვარგის ნახატებს, მერე მათ მიაყოლებდა საღებავების დაცლილ ტუბებს, გამოყენებულ ძონძებს და ზეთისაგან გაპოხილ ფუნჯების. კაცი ალბერტ ბრიჯიდან გადაყრიდა ხოლმე ყველაფერ ამას და მერე უცქერდა, როგორ ატივტივდებოდა ეს ნივთები, ისინი ან ნელ-ნელა ჩაეშვებოდა სიღრმეში, ან ზანტად გაჰყვებოდა დინებას, როგორც გაზინთული, ბინძური სატყუარა თოლიებისათვის. ყველა მისი წუხილი და ტკივილი ამ გადაყრილ, გამოუსადეგარ ნივთებს მიჰყვებოდა.

4.

ფენტონი მოელაპარაკა ედნას გადაედოთ ყოველწლიური დასვენება სექტემბრის შუა რიცხვებისათვის. ეს მას მისცემდა საკმაო დროს, რომ დაემთავრებინა ავტოპორტრეტი, რომელზედაც იმჟამად მუშაობდა და როგორც თვითონ ფიქრობდა, ამითი დაასრულებდა უკვე შექმნილი პორტრეტების სერიას. შოტლანდიაში დასვენება ამდენი წლის მანძილზე, პირველად იქნებოდა სასიამოვნო, რადგან მისთვის უკვე არსებობდა რაღაც ისეთი, რისი მოლოდინიც ექნებოდა ლონდონში დაბრუნებისას.

სამსახურში გატარებული ხანმოკლე დილის საათები თითებზე ჩამოსათვლელი იყო. იგი როგორც შეეძლო თავს არიდებდა სამუშაოს და მეორე საუზმის შემდეგ აღარ ბრუნდებოდა უკან. თავის კოლეგებს ეუბნებოდა, რომ სამსახურეობრივი ვალდებულებები მეტად ზღუდავდნენ და რომ გადაწყვეტილი ჰქონდა შემოდგომაზე სულაც გაეწყვიტა კავშირი ახლანდელ სამუშაოსთან.

– თქვენ რომ არ გაგეფრთხილებინეთ, ჩვენ ვაპირებდით იგივეს, – უთხრა მთავარმა პარტნიორმა პირქუშად.

ფენტონმა მხრები აიჩეჩა, თუკი ისინი უკმაყოფილოები იყვნენ მისით, მაშინ, რაც უფრო მალე წავიდოდა იქედან, მით უკეთესი იქნებოდა. მას შეეძლო შოტლანდიიდანაც კი მოეწერა, რომ გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან. სამაგიეროდ მთელს შემოდგომასა და ზამთარს მხატვრობას მიუძღვნიდა. დაიქირავებდა შესაფერის სახელოსნოს. რვა ნომერი ბინა ხომ დროებითი სადგომი იყო, ხოლო დიდი სახელოსნო კარგი ზამთრისათვისაც გამოადგებოდა. იქ რამდენიმე ქუჩის იქეთ რომ შენდებოდა, ზამთრისთვისაც გამოადგებოდა. იქ უკვე სერიოზულად იმუშავებდა, შექმნიდა რაღაც ახალს და თავს უბრალო მოყვარულად აღარ იგრძნობოდა.

ავტოპორტრეტმა მეტისმეტად გაიტაცა. მადამ კაუფმანმა სარკე უშოვა და კედელზე დაუკიდა. ასე, რომ დაწყებით იოლად დაიწყო, მაგრამ მალე აღმოაჩინა რომ საკუთარ თვალებს ვერ ხატავდა. ძალაუნებურად ხრიდა ხატვისას და მძინარე და ავადმყოფი კაცის შთაბეჭდილებას ქმნიდა. საკმაოდ მოხერხებული იყო ასე ხატვა.

– აბა, როგორ მოგწონთ? – შეეკითხა ფენტონი მადამ კაუფმანს, როცა ქალი დროის შესახსენებლად შემოვიდა მასთან.

ქალმა თავი გაიქნია:

– თქვენ რომ ამბობთ ხოლმე, – ეკალმა დამაყარაო, ისე მომივიდა, არა, მისტერ სიმზ, ეს თქვენ არა ხართ.

– ეს ნახატი თქვენს გემოვნებას ცოტა არ იყოს წინ უსწრებს, – უპასუხა ფენტონმა მხიარულად, – ავანგარდიზმი, ჩემი აზრით, გამოსახვის საუკეთესო საშუალებაა.

თავად მეტად კმაყოფილს იყო. ავტოპორტრეტი ნამდვილ ხელოვნების ნიმუშად მიაჩნდა, – ამას დრო აჩვენებს, – განაგრძო მან, – მომავალ კვირას დასასვენებლად მივდივარ.

– მიდიხართ? ქალის ხმაში ისეთი შეშფოთება გაისმა, რომ ფენტონი შემოტრიალდა და მიაცქერდა.

კი, – უპასუხა, – ჩემი მოხუცებული დედა მიმყავს შოტლანდიაში, რა მოხდა?

ქალის ტანჯვით აღსავსე მზერამ სრულიად შეცვალა მისი გარეგნობა. ვინმე იფიქრებდა, ფენტონმა რაღაც უსაშველო

ტკივილი მიაყენაო.

– მე თქვენს მეტი არავინ მყავს, – თქვა ქალმა, – მთლად მარტო დავრჩები.

– საკმაო თანხას დაგიტოვებთ, – სწრაფად უპასუხა კაცმა, – წინასწარ გადაგიხდით. მხოლოდ სამი კვირით წავალ.

ქალი მას უცქერდა. უცებ სრულიად მოულოდნელად თვალები ცრემლებით აევსო და ატირდა:

– არ ვიცი, რა მეშველება, რა გზას დაეადგე!

ცოტა არ იყოს უცნაური იყო. რას გულისხმობდა ეს ქალი? რა უნდა ეშველოს ან რომელ გზას დაადგესო? კაცი მას ფულს შეპირდა. ქალი ისევე უნდა მოქცეულიყო, როგორც ადრე იქცეოდა. თუკი ასეთ სცენებს გაუმართავდა ფენტონს, მაშინ ნამდვილად, რაც უფრო მალე იშოვიდა ახალ სახელოსნოს, მით უფრო აჯობებდა. ყველაზე მეტად მადამ კაუფმანის ტვირთად აკიდება ზარავდა კაცს.

– ძვირფასო მადამ კაუფმან, მე აქ სამუდამოდ დარჩენას არ ვაპირებ, – უთხრა მან გადაჭრით, – ერთ მშვენიერ დღეს სულ გადავალ, შესაძლოა ამ შემოდგომაზეც. მე მეტი ფართი მჭირდება. რა თქმა უნდა, ამის შესახებ წინასწარ გაგაფრთხილებთ. კარგს იზამთ, თუ ჯონის ბაგაში მიაბარებთ, თქვენ კი რამე დღიურ სამუშაოს მაინც იშოვით. საბოლოოდ ნამდვილად გამოგადგებათ.

ფენტონის სიტყვები ქალს მათრახივით მოხვდა. ის გაოგნებული, გამშრალი და განადგურებული ჩანდა.

– რა მეშველება? – უაზროდ გაიმეორა და მერე თითქოს არ სჯერაო, ჰკითხა, – როდის მიდიხართ?

– ორშაბათს, – უპასუხა კაცმა, – შოტლანდიაში სამი კვირით. ბოლო სიტყვები ისე მტკიცედ თქვა, წყალი არ გაუვიდოდა. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ეს ქალი მეტად უბრალო იყო, – ასე დაასკვნა, როცა ხელებს იბანდა სამზარეულოში. მართალია,. კარგ ჩაისაც ამზადებდა, ფუნჯების გაწმენდაც კარგი იცოდა, მაგრამ ეს იყო და ეს.

– თქვენც შეგიძლიათ დაისვენოთ, – უთხრა ხალისიანად, – გაემგზავრეთ თქვენ და ჯონი სადმე მდინარის პირას ან

სამხრეთისაკენ.

პასუხი არ იყო, მხოლოდ მწუხარე მზერა და მხრების უსასო აჩეჩვა.

მეორე დღე პარასკევი იყო და ფენტონის სამუშაო კვირა მთავრდებოდა. მან დილით ჩეკი გაანაღდა და ახლა შეეძლო სამი კვირის გადასახადი წინასწარ მიეცა ქალისათვის, თანაც ხუთი პაუნდი ზედმეტიც დაეტოვებინა, რომ დაემშვიდებინა.

ბაულთინგ სტრიტის რვა ნომერში მისულს, ჯონი კიბის თავზე, ძველ ადგილზე, ფეხსაცმელის საფხეკზე დახვდა მიბმული. დიდი ხანი იყო, ასეთი რამ აღარ გაეკეთებინა დედამისს. ხოლო როცა ფენტონი უკანა კარიდან შეევიდა, არც რადიოს ხმა შემოესმა და კარიც დახურული დაუხვდა... გააღო და შეიხედა. საწოლი ოთახის კარიც მიხურული იყო.

– მადამ კაუფმან! – დაუძახა, – მადამ კაუფმან!

მოგუდული, მისუსტებული ხმა მოესმა:

– რა გნებავთ?

– მოხდა რამე?

ისევ სიჩუმე ჩამოდგა და უცებ:

– კარგად არა ვარ!

– მაპატიეთ, – უთხრა ფენტონმა, შემიძლია რამეში დაგეხმაროთ?

– არა.

ეტყობა რაღაცას ტყუოდა. კარგად არც არასოდეს გამოიყურებოდა, მაგრამ ასეთი რამ მაინც არ უქნია. არც ჩაი გაემზადებინა, გუშინდელი ჭურჭელიც ხელუხლებელი იყო. ფენტონმა ფულიანი კონვერტი მაგიდაზე დადო.

– თქვენი ფული მოგიტანეთ, – გასძახა მან, – ოცი პაუნდი ერთად. იქნებ გასულიყავით გარეთ და რამე გეყიდათ. მშვენიერი დღეა. ჰაერი მოგიხდებათ.

კაცი ხალისიანად პასუხობდა ქალის მწუხარებას. სულაც არ სურდა, ვინმეს ბოროტად გამოეყენებინა მისი კარგი დამოკიდებულება.

თავდაჯერებული სტვენით გაემართა სახელოსნოსაკენ. თავისდა გასაოცრად დაინახა, რომ ყველაფერი ისევე იყო

სახელოსნოში, წინა საღამოს რომ დატოვა: ფუნჯები გაუწმენდავი, დასვრილი ეყარა არეულ პალიტრაზე, არც ოთახს აჩნდა დალაგების კვალი. ეს უკვე მეტისმეტი იყო. უცებ აზრად მოუვიდა, უკან წაეღო კონვერტი, სამზარეულო მაგიდაზე რომ დადო წელან. არა, არ უნდა გაემხილა ქალისათვის, დასასვენებლად რომ მიდიოდა. ფოსტით უნდა გამოეგზავნა მისთვის ფული კვირის ბოლოს და პატარა ბარათით ეცნობებინა, რომ შოტლანდიაში წავიდა. იმის მაგიერ, რომ... მადლობის სანაცვლოდ ქალის გაცოფებული შემოტევა და მცირე მომსახურებაზე უარი მიიღო. რაღა თქმა უნდა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ქალი უცხოელი იყო. არ უნდა ენდო კაცი ამ უცხოელებს. ბოლოს მაინც გაგაცურებენ.

ფენტონი სამზარეულოსაკენ წავიდა, თან ფუნჯები, პალიტრა, ზეთი და ჭუჭყიანი ქსოვილის ნაჭრები წაიღო. რამდენადაც შეეძლო ხმაურობდა: წყალი მოუშვა, აქეთ-იქეთ დააბრაგუნებდა, უნდოდა ქალს გაეგო, რომ მის გასაკეთებელ ჭუჭყიან საქმეს თვითონ აკეთებდა. ჩაის ჭიქით აკაკუნებდა, აბრახუნებდა თუნუქის ყუთს, სადაც ქალი შაქარს ინახავდა. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად საწოლიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. „დასწყევლოს ღმერთმა, - გაიფიქრა, - ჯანდაბას მისი თავი“...

ისევ სახელოსნოში შებრუნდა. უხალისოდ შეუდგა ავტოპორტრეტის დამთავრებას, მაგრამ გული ვერ დაუდო, გაუძნელდა. ველარ მუშაობდა, ნახატს სიცოცხლე აკლდა. ამ ქალმა მთელი დღე გაუფუჭა. შინ წასვლა ჩვეულებრივზე რამდენიმე საათით ადრე გადაწყვიტა. მას აღარ სჯეროდა, რომ ქალი ისევ მოემსახურებოდა, ამას ის აფიქრებინებდა, წინა ღამეს რომ არ დაულაგა ოთახი. ამ ქალს შეეძლო სამი კვირის მანძილზე ხელი არაფრისათვის ეხლო.

სანამ ნახატებს ერთმანეთზე დააწყობდა, ჯერ კედელთან ჩაამწკრივა და შეეცადა წარმოედგინა, როგორები იქნებოდნენ ისინი გამოფენაზე. ეჭვი არ იყო, ნამდვილად თვალში მოგეჭვდებოდა, გვერდს ვერ აუვლიდი. მათში რაღაც იყო... რაღაც ისეთი, რაც აერთიანებდა მთელ კოლექციას. ფენტონმა არ იცოდა, რა იყო ეს. მას არ შეეძლო საკუთარი ნამუშევრებისათვის კრიტი-

კული თვალით შეეხედა. მაგრამ... თუნდაც მადამ კაუფმანის პორტრეტს, როგორც თვითონ ქალმა უთხრა მაშინ, მართლაც რაღაც ჰქონდა თეეზისებური, შესაძლოა პირის ჭრილი... ან იქნებ თვალები იყო საკმაოდ ფართოდ გახელილი. ისე კი, შესანიშნავი რამ იყო. კაცს ეჭვი არ ეპარებოდა ამაში. და კიდევ, თუმცა მძინარეს დამგვანებული ავტოპორტრეტი ჯერ არ დაემთავრებინა, მაინც ფრიად მნიშვნელოვან ნამუშევარს წარმოადგენდა.

ფენტონი თავის ოცნებას ულიმოდა, ხედავდა ედნას და თავისთავს, როგორ შედიოდნენ ბონდ სტრიტის ერთ-ერთ პატარა სურათების გალერეაში, როგორ ეუბნებოდა ცოლს, რომ ერთი მეტად საკამათო ახალბედა მხატვრის ნამუშევრები უნდა ეჩვენებინა მისთვის, რომ კრიტიკოსები ახლა გაარკვევდნენ, გენიოსი იყო ის თუ გიჟი. ედნა კი ეტყოდა, – „პირველად გხედავ გამოფენაზეო". ფენტონი იგრძნობდა საკუთარ ღირსებასა და ტრიუმფს. მერე კი, როცა გამოუტყდებოდა ცოლს ყველაფერში, განახლებულ პატივისცემას დაინახავდა მის თვალებში. ამდენი წლის შემდეგ, მისი ქმრის მიერ შექმნილი ნაწარმოებები დიდ სახელს მოუტანდათ. სწორედ ეს მოულოდნელი სიხარული, და ამ სიხარულისაგან განცვიფრება იყო ის, რისკენაც კაცი ასე ილტვოდა.

ფენტონმა, უკანასკნელი მზერა მოავლო ნაცნობ ოთახს. ტილოები უკვე ერთად შეეკრა, მოლბერტი დაეშალა, ფუნჯები და პალიტრა გასუფთავებული, გამშრალი და შეფუთული ჰქონდა. შოტლანდიიდან დაბრუნებული სხვაგან გადასვლას თუ გადაწყვეტდა, – და ამაში უკვე დარწმუნებული იყო, რამეთუ ეს იქნებოდა პასუხი მადამ კაუფმანის იდიოტურ საქციელზე, – ყველაფერი უკვე მზად ექნებოდა გადასატანად. მხოლოდ ტაქსის დაჭერა დასჭირდებოდა, ჩააწყობდა თავის კუთვნილებას და გაემგზავრებოდა.

კაცმა ფანჯარა დახურა, კარი დაკეტა და ამოიიღლიავა თავისი ყოველკვირეული ფუთა, რაშიც გადასაყრელად გამიზნული ნივთები ჰქონდა: ესენი იყო უვარგისი ნახატები, ესკიზები, და სხვა ნაგავი. ერთხელ კიდევ შეეიდა სამზარეულოში და საწოლი

ოთახის დახურული კარიდან დაუძახა ქალს:

– მე მივდივარ, იმედი მაქვს, ხვალ უკეთ იქნებით. კარგად მენახეთ სამი კვირის შემდეგ.

ფენტონმა შეამჩნია, რომ კონვერტი სამზარეულო მაგიდიდან გამქრალიყო. ქალი ეტყობა არც ისე ცუდად იყო, როგორც თავს აჩვენებდა.

კაცს მოესმა, როგორ ამოძრავდა ანა კაუფმანი საძილე ოთახში; ერთი თუ ორი წამის შემდეგ კარი ოდნავ გაიღო და ქალიც გამოჩნდა. ფენტონი გაოგნდა. მადამ კაუფმანი საშინლად გამოიყურებოდა, გაწეწილი იყო და მოუვლელი. წელს ქვეეით შალის პლედი შემოეხვია და მიუხედავად ცხელი, შეხუთული დღისა და სარდაფის უჰაერობისა, სქელი შალის ჯემპრი ჩაეცვა.

– ექიმს თუ ეჩვენეთ? – ჰკითხა კაცმა, ცოტა არ იყოს შეწუხებულმა.

ქალმა თავი გააქნია.

– თქვენი რომ ვიყო, ვეჩვენებოდი, – გააგრძელა კაცმა, – კარგად არ გამოყურებით. უცებ ბავშვი გაახსენდა, ზემოთ, ფეხსაცმელების საფხეკზე რომ იყო მიბმული.

– ხომ არ ჩამოგიყვანოთ ჯონი? – შესთავაზა.

– თუ შეიძლება, – უპასუხა ქალმა.

ქალის თვალებმა ცხოველის ტკივილიანი თვალები გაახსენა და სული აუფორიაქა. საკმაოდ საშიში იყო წასვლა და ქალის ამ მდგომარეობაში დატოვება, მაგრამ რა უნდა ექნა? სარდაფის კიბეები აიარა, ცარიელ შემოსასვლელში ავიდა და წინკარი გამოაღო. ბავშვი ისევ იქ იჯდა, წელში მოხრილი. ფენტონის მოსვლის შემდეგ არც განძრეულიყო.

– მოდი, ჯონი, დედაშენთან ჩაგიყვან.

ბავშვმა აახსნევინა თავი. ისეთივე გულმიუვალი იყო, როგორც დედამისი. „რა უმწეონი არიან“, – გაიფიქრა ფენტონმა. მათ ნამდვილად სჭირდებათ ვიღაცის ზრუნვა სადმე, თავშესაფარში. უნდა არსებობდეს სახლები, სადაც ამნაირ ხალხს მოუვლიდნენ. მან ბავშვი დაბლა ჩაიყვანა და მისთვის მიჩენილ სკამზე დასვა, სამზარეულო მაგიდასთან რომ იდგა.

– ჩაი არ უნდა? – ჰკითხა ფენტონმა.

– ახლა გავუკეთებ, – უპასუხა მადამ კაუფმანმა.

ქალმა ფეხები ძლივს გამოათრია საწოლი ოთახიდან. ისევ პლედში იყო გახვეული, ხელში რაღაც შეფუთული ეჭირა, ამანათივით ქაღალდი შემოეხვია და თოკით შეეკრა.

– რა არის ეს? – იკითხა კაცმა.

– ცოტაოდენი ნაგავია, – უპასუხა ქალმა, – იქნებ თქვენს ნაგავთან ერთად გადააგდოთ. მენაგვე მომავალ კვირამდე არ გამოჩნდება.

კაცმა შეკვრა ხელში აიღო, მერე ცოტა ხანს შეყოვნდა, იქნებ რამეში კიდევ დავეხმაროო ამ ქალს.

– კარგი, – თქვა უხერხულად, – რაღაც არ მომწონს ეს ამბავი. დარწმუნებული ხართ, რომ მეტი არაფერი გჭირდებათ?

– არაფერი, – თქვა ქალმა ისე, რომ სახელითაც და კი არ მიმართა, არც გაულიმა, არც ხელი გაუწოდა გამოსამშვიდობებლად. თვალებითაც არ გამოუმჟღავნებია რაიმე პროტესტი. უტყვი მზერა ჰქონდა.

– შოტლანდიიდან ღია ბარათს გამოგიგზავნით, – უთხრა ქალს და ჯონის თავზე მიეფერა, – აბა, კარგად იყავით, – დაუმატა იმ სულელური გამომეტყველებით, ზოგჯერ რომ ჰქონდა ხოლმე, მერე გაბრუნდა უკანა კარისაკენ, სახლის კუთხეს გასცდა, ჭიშკრიდან გავიდა და ბაულთინგ სტრიტს გაუყვა გალდამძიმებული, რაღაცნაირი დანაშაულის გრძნობა დაუფლებოდა, ცოტა არ იყოს, შეეცოდა ქალი, ნამდვილად, უნდა აეძულებინა, ექიმს ჩვენებოდა.

სექტემბრის ცა ღრუბლებს დაეფარა, სანაპირო მტვრიანი და მოწყენილი იყო. მდინარის გასწვრივ ბეტერსის ბაღები გასაცოდავებული და მინავლული ჩანდა, ზაფხულის ბოლოს რომ იცის ხოლმე, ისე უხალისო და ყავისფერი იყო ყოველივე. შოტლანდიაში წასვლა სწორედ ახლა იყო კარგი, რა შეედრებოდა, სუფთა, ცივი ჰაერით სუნთქვას.

ფენტონმა გახსნა თავისი შეკვრა და მდინარეში დაიწყო უვარგისი რამეების გადაყრა. ჯონის პორტრეტი ნამდვილად ცუდი ნამუშევარი იყო, არც დახატული კატა ვარგოდა. დასვრილ სახატავ ტილოებსაც ვერაფერში გამოიყენებდა. ხიდიდან გადაყრილი ნახატები ასანთის კოლოფებივით ტივტივებდნენ

თეთრად და დინებას მიჰყვებოდნენ. საკმაოდ სევდიანი სანახავი იყო, ის, თუ ნელ-ნელა როგორ ქრებოდნენ ხედვის არედან.

ფენტონი შინისაკენ გაუყვა სანაპიროს და ვიდრე ქუჩას გადაჭრიდა, შეამჩნია, მადამ კაუფმანის მიცემული ფუთა ისევ ხელში რომ ეჭირა. სულ დავიწყებოდა მისი გადაგდება, იმდენად იყო გართული მდინარეში გადაყრილი ნივთების ყურებით.

ფენტონს, ის იყო, ფუთაც უნდა გადაეგდო, რომ უცებ შენიშნა, მოპირდაპირე მხრიდან პოლიციელი უთვალთვალებდა. უსიამოვნო გრძნობამ შებოჭა, ნაგვის ასეთი გზით მოცილება კანონსაწინააღმდეგო საქციელი იყო. შეცბუნებულმა გააგრძელა გზა. ასიოდე იარდის გავლის შემდეგ მხარუკუღმა გახედა. პოლიციელი ისევ მას უცქერდა. სისულელე იყო, მაგრამ ისევ მაინც დამნაშავედ გრძნობდა, კანონის ძლიერი ხელის წინაშე. ფუთას გულგრილად აქანავებდა და თან რაღაც მელოდიას ღიღინებდა. ჯანდაბას წაუღია მდინარე, ამ შეკვრას ჩელსის ბაღებში რომელიმე ნაგვის ყუთში ჩააგდებდა.

მან ბაღებისაკენ გადაუხვია და პირველივე ურნაში, იქ სადაც გაზეთები და ფორთოხლის ნაფცქვენები ეყარა, ჩაუძახა ფუთას. ამაში არავითარი დანაშაული არ იყო. ღობის მიღმა დაინახა ისევ ის ოხერი, ტუტუცი პოლიციელი, მაგრამ ფენტონმა ჭკუა იხმარა და არ აგრძნობინა, რომ შეამჩნია იგი. ვითომ ბომბი ჩაედოს ურნაში. ისე სწრაფად გაეშურა შინისაკენ და კიბეზე ამავალსღა გაახსენდა, ალუსონებს რომ ელოდნენ სადილად, – სავალდებულო სადილზე ჰყავდათ დაპატიჟებული დასასვენებლად ამგვარ სადილზე ფიქრი ახლა წინანდებურად აღარ ტანჯავდა. ფენტონს უკვე შეეძლო გულღიად ესაუბრა მათთან შოტლანდიაზე და იმის შეგრძნება აღარ ექნებოდა, რომ ვიღაც მახეს უგებდა ან ახრჩობდა. რა შესახედავი იქნებოდა ჯეკ ალუსონი, რომ გაეგო, როგორ ატარებდა ფენტონი დღეებს. ყურებს არ დაუჯერებდა.

– ჰელო, რა ადრე მოხვედი! – უთხრა ედნამ, რომელიც მისაღებ ოთახში ყვავილებს აწყობდა.

– ჰო, – უპასუხა ქმარმა, სამსახურში ყველაფერი მოვაგვარე კარგა ხნით. ვფიქრობ, უნდა დავიწყო მარშრუტის შედგენა.

ერთი სული მაქვს, როდის გავემგზავრებით ჩრდილოეთში.

– როგორ მიხარია, – უპასუხა ედნამ, – მეშინოდა, არ მოგწყენოდა შოტლანდია, ყოველ წელს რომ იქ დავდივართ.

ცოლმა ლოყაზე აკოცა, ქმარმაც დაუბრუნა კოცნა. ორივე კმაყოფილი იყო. კაცი ღიმილით გაეშურა თავისი რუკების მოსაძებნად. ქალმა არ იცოდა, რამე გრძნობა თუ გააჩნდა ქმრის მიმართ.

ალუსონები უკვე მოსულიყვნენ და სადილსაც მისხდომოდნენ, როცა წინკარში ზარის ხმა გაისმა.

– ვინ უნდა იყოს? წამოიძახა ედნამ, ხომ არავინ დავპატიჟეთ და დაგვავიწყდა?

– ელექტრონის ქირა არ გადამიხდია, – თქვა ფენტონმა, – ალბათ შუქის გადასაჭრელად გამოგზავნეს ვინმე და ჩვენც უშუქობის გამო სუფლეს ველარ მოგვიმზადებს მზარეული.

ფენტონმა შეწყვიტა წიწილის დაჭრა, ალუსონებმა გაიცინეს.

– მე გავაღებ, – თქვა ედნამ, არ მინდა მსახური შევაწუხო. გადასახადის გადაუხდელობა სუფლეს ფასად დაგვიჯდა.

ქალი მალე დაბრუნდა უკან, ნახევრად მხიარული და ნახევრად შეცბუნებული გამომეტყველებით.

– ეს შუქის კაცი არ არის, – თქვა მან, – პოლიციაა.

– პოლიცია? – გაიმეორა ფენტონმა.

ჯეკ ალუსონმა თითი დაუქნია ხუმრობით:

– ვიცოდი, რომ ეს დღეც დადგებოდა, ძველო!

ფენტონმა ხორცის საჭრელი დანა დადო:

– მართლა, ედნა? რა უნდათ?

– წარმოდგენა არა მაქვს, – უპასუხა ცოლმა, – ერთი ჩვეულებრივი პოლიციელია, მე მგონი მეორეც, ოღონდ სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია. სახლის პატრონთან გვინდაო საუბარი.

ფენტონმა მხრები აიჩეჩა. – შენ აქ მიხედე, – უთხრა ცოლს, – მე მოვიცილებ მაგათ, შეცდომით თუ მოგვადგნენ.

სასადილო ოთახიდან ჰოლში გავიდა, მაგრამ როგორც კი დაინახა პოლიციელი მაშინვე შეეცვალა სახე: ის კაცი იცნო, სანაპიროზე რომ უთვალთვალებდა.

– საღამო მშვიდობისა, – მიესალმა, – რით შემიძლია გემსა-

ხუროთ?

სამოქალაქო სამოსიანმა კაცმა აიღო ინიციატივა:

– დღეს, შუადღით, ჩელსის სააუდმყოფოს ბაღში თქვენ გაიარეთ, სერ? – ჩაეძია იგი. ორივე მამაკაცი დაყინებით უმზერდა და ფენტონი მიხვდა, უარს აზრი არ ჰქონდა.

– დიახ, – თქვა მან, – დიახ, მე გავიარე.

– ხელში ფუთა გეჭირათ?

– ვფიქრობ, რომ კი.

– და ეს ფუთა სანაპიროს შესასვლელთან ნაგვის კალათში ჩადეთ, სერ?

– დიახ.

– უარს ამბობთ იმის თქმაზე, რა იყო შიგ?

– წარმოდგენა არა მაქვს.

– მაშინ ასე დაგისვამთ კითხვას, სერ, შეგიძლიათ გვითხრათ, საიდან გქონდათ ეს ფუთა?

ფენტონი შეყოყმანდა. რას გულისხმობდნენ? სულაც არ აინტერესებდა მათი დაკითხვის მეთოდი.

– ვერ გამიგია, რა გესაქმებათ ამასთან, – უთხრა მან, – რა დიდი დანაშაულია ნაგვის სანაგვე კალათში ჩაგდება?

– ეს ჩვეულებრივი ნაგავი არ არის, – უთხრა სამოქალაქო ტანსაცმელიანმა კაცმა.

ფენტონი ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს, ისინი სერიოზული სახეებით იდგნენ.

– შეიძლება ერთი რამ გკითხოთ? – მიმართა ფენტონმა.

– ბრძანეთ.

– თქვენ იცით, რა იყო იმ ფუთაში?

– დიახ.

– თქვენ ამბობთ, რომ ეს პოლიციელი, წელან რომ ჩავუარე და შემოვლაზე რომ იყო, მე .გამომყვა და ნაგვის კალათიდან ამოიღო ჩემი ჩაგდებული ფუთა?

– ნამდვილად ასეა.

– რა უჩვეულო საქმიანობა ჰქონია. ვფიქრობ უკეთესი იქნებოდა, თავისი ჩვეულებრივი საქმე ეკეთებინა.

– სწორედ ეს არის მისი ჩვეულებრივი საქმიანობა, – თვალი

ადეკნოს მათ, ვინც საეჭვოდ იქცევა.

ფენტონს თანდათან ეკიდებოდა ბრაზი.

– ჩემს საქციელში საეჭვო არაფერი იყო, – განაცხადა მან, – მოხდა ისე, რომ სამსახურში შუადღით რაღაცეები მივალაგე და რაც გადასაყრელი დაგროვდა, უბრალო ახირების გამო, შინ წამოსულმა, ნაგავი მდინარეში გადავყარე. ხშირად თოლიებსაც ვაპურებ ხოლმე. დღესაც, ის იყო, ამ ნაგვის შეკვრის მდინარეში გადაგდებას ვაპირებდი, რომ შევნიშნე ოფიცერი, რომელიც ჩემსკენ იხედებოდა. ვიფიქრე, შესაძლოა აკრძალულია მეთქი მდინარეში ნაგვის გადაყრა და მეც გადაკწყვიტე მდინარის მაგიერ ნაგავი კალათში ჩამეგდო.

ორივე კაცი დაყინებით უცქერდა.

– თქვენ ჯერ განაცხადეთ, – თქვა სამოქალაქო ტანსაცმლიანმა, – რომ არ იცოდით რა იყო იმ შეკვრაში, ახლა გვეუბნებით, ნარჩენები იყოო. რომელი ნათქვამი ვირწმუნოთ?

ფენტონმა თავი საფრთხეში იგრძნო.

– ორივე განცხადება სწორია, – უხეშად უთხრა ფენტონმა. – სამსახურში შეკრეს ის ფუთა დღეს და არ ვიცი, შიგ რა ჩადეს. ზოგჯერ ძველ ნამცხვრებსაც ახვევენ ხოლმე თოლიებისათვის, მეც შინ მიმავალი გავხსნი და ნამცეცებით ვაპურებ ჩიტებს, ეს ხომ უკვე გითხარით.

ეს ვერსია ვერ უშველიდა. ამაზე მეტყველებდა მათი გაქვავებული სახეები და თავადაც მიხვდა, მისი ნათქვამი რომ ზღაპარს ჰგავდა, – შუახნის კაცი აგროვებს ნაგავს, რომ სამსახურიდან წამოსულმა გზად მდინარეში გადაუძახოს იმ პატარა ბიჭივით, მდინარეში რომ ჩაყრის ტოტებს და მერე უცქერს, როგორ მიტივტივდებიან ისინი მეორე ნაპირთან. ალბათ აჯობებდა, ამ ვითარების გავლენით უფრო დამაჯერებელი რამ მოეფიქრებინა და თავი გაეტანა. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ დანაშაულებრივი ქმედება არ იყო, ბევრი-ბევრი, ექსცენტრიულ ადამიანად ჩაეთვალათ.

სამოქალაქო ტანსაცმლიანმა პოლიციელმა მხოლოდ ეს თქვა:

– სერჟანტო, წაიკითხეთ თქვენი ჩანაწერი!

ფორმიანმა რვეული ამოიღო და ხმამაღლა შეუდგა კითხვას:

„დღეს, შვიდის ხუთ წუთზე სანაპიროზე ვმორიგეობდი. მოპირდაპირე ტროტუარზე შევნიშნე მამაკაცი, რომელიც მდინარეში ცდილობდა ფუთის გადაგდებას. მან დამინახა, რომ ვუყურებდი და სწრაფად მოსცილდა იქაურობას. მიმავალმა მხარეკულმა გამომხედა, შეამოწმა, ისევ ვუყურებდი თუ არა. საეჭვოდ მეჩვენა. მერე გადაჭრა სანაპირო ჩელსის ს

ხმობ და სხვა არაფერს. ხატვის სურვილით ვიყავი შეპყრობილი... ვერ აგიხსნით. ვერ შეეძლებ. მთლად შთამნთქა ამან. სწორედ ამ სურვილის მოზღვავებამ მიმიყვანა ბაულთინგ სტრიტის რვა ნომერში. კარებში ქალი გამოჩნდა და მე ვკითხე, – ოთახს ხომ არ მომაქირავებთ – მეთქი. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ მითხრა, რომ ჰქონდა ერთი ოთახი სარდაფში, სახლის პატრონთან არ დავიჭირეთ საქმე და შევთანხმდით, მისთვის არაფერი გაგვეგებინებინა. ჰოდა, ვიქირავე ეს ოთახი. ექვსი თვის მანძილზე ყოველ შუადღით მივდიოდი იქ. ჩემს ცოლს ამის შესახებ არ გავუმხილე... ვიფიქრე, ვერ გამიგებს-მეთქი.

კაცი სასოწარკვეთილი შებრუნდა ედნასაკენ. ქალი ისევ იჯდა და მას უცქერდა.

– კი, მე ვტყუოდი, – განაგრძობდა ფენტონი, – ყველას ვატყუებდი, ვტყუოდი შინაც, სამსახურშიც. სამსახურში ვეუბნებოდი, – სხვა ფირმასთან ვთანამშრომლობ მეთქი, იმიტომ, რომ შუადღით უკვე მოვდიოდი იქედან, ცოლს ვეუბნებოდი, – ედნა, დამიდასტურე, – ხან ვეუბნებოდი, სამსახურში დავყოვნდი-მეთქი გვიანობამდე ხან-ბრიჯს ვთამაშობდი-მეთქი კლუბში. სიმართლე მხოლოდ ის იყო, რომ ყოველ დღე ბაულთინგ სტრიტის რვა ნომერში დავდიოდი, ყ ო ვ ე ლ დ ღ ე!

მას ცუდი არფერი ჩაუდენია. ასე რატომ უყურებდნენ ყველანი? რატომ იყო ედნა ასე ჩაბღაუჭებული სკამის სახელურს?

– რა ასაკისაა მადამ კაუფმანი? არ ვიცი. დაახლოებით ოცდაშვიდის... შეიძლება ოცდაათისაც, ასაკი არ ეტყობა... და ჰყავს ბიჭი, ჯონი... ავსტრიელია. მძიმე ცხოვრება ჰქონდა, ქმარმაც მიატოვა. ...არა, სხვა არავინ მინახავს იმ სახლში, სხვა კაცი არავინ... მე არ ვიცი, ხომ გითხარით... არ ვიცი. მე იქ სახატავად მივდიოდი. სხვა რამისთვის არ მიესულვარ. ის ქალიც გეტყვით ამას. ის გეტყვით სიმართლეს. დარწმუნებული ვარ, ძალიან შემეჩვია. არა, სხვა რამეს არ ვგულისხმობ; რომ ვამბობ შემეჩვია-მეთქი, იმას ვგულისხმობ, რომ ფულს ვუხდი და ამით მეტად მადლობელია... ბინის ქირას ვუხდი ოთახისათვის. ჩვენს შორის სხვა რამ არ ყოფილა, არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს

გამორიცხულია... არც კი ვიცოდი, ორსულად თუ იყო. ცოტა არ იყოს, დაუკვირვებელი ვარ... ეს ისეთი რამ არ იყო, რაც მე შეიძლებოდა შემემჩნია. მერე კიდევ სიტყვაც არ დაუძრავს ამაზე, ერთი სიტყვაც კი.

ისევ ედნასკენ შეტრიალდა:

– შენ ხომ გჯერა ჩემი?

ქალმა უპასუხა:

– ჩემთვის არასოდეს გითქვამს, ხატვა მინდაო. არასოდეს გიხსენებია მხატვრობა ან მხატვარი მთელი ჩვენი ცოლ-ქმრობის მანძილზე.

ცოლის თვალების სწორედ ასეთი ცივი სილურჯის ატანა არ შეეძლო ფენტონს.

მერე ინსპექტორს მიმართა:

– არ შეიძლება ახლავე წავიდეთ ბაულთინგ სტრიტზე? ის საცოდავი ქალი მეტად მწუხარე იქნება ახლა. ექიმი ესაჭიროება, ან მომვლელი. ხომ შეიძლება ყველანი წავიდეთ, ჩემი ცოლიც, რომ მადამ კაუფმანმა აგიხსნათ ყველაფერი.

და მადლობა ღმერთს, დათანხმდნენ და გაპყვნენ. ფენტონი, ედნა და ორი ოფიცერი პოლიციის სირენიან მანქანაში ჩასხდნენ, ალუსონები კი თავისი მანქანით მიპყვნენ უკან. ფენტონმა გაიგონა, როგორ ეუბნებოდნენ ინსპექტორს ისინი, რომ არ უნდოდათ მისის ფენტონის მარტო დატოვება, რადგან ქალი თავზარდაცემული იყო. მეტად კეთილშობილური ჩანდა მათგან ასეთი საქციელი, მაგრამ ეს ელდა გაუვლიდა ედნას, როდესაც შინ დაბრუნდებოდნენ და ქმარი წყნარად, დინჯად აუხსნიდა ყველაფერს. პოლიციის განყოფილების ატმოსფერო იყო, ასე რომ აშინებდა ქალს და ფენტონსაც დამნაშავისა და ბოროტმოქმედის გრძნობით ავსებდა.

მანქანა ნაცნობი სახლის წინ გაჩერდა და ყველანი გადმოვიდნენ. ფენტონი შეუძღვა ჭიშკარში, სახლის უკანა შესასვლელისაკენ გაემართა და კარი გააღო. დერეფენში შესვლისთანავე ეცათ გაზის სუნი.

– ისევ ჟონავს, – განმარტა ფენტონმა, – დროდადრო ასე ემართება. ეს ქალი იძახებს ხელოსანს, მაგრამ არავინ მოდის.

პასუხი არავის გაუცია. სწრაფად გაემარია სამზარეულოსაკენ. კარი ჩაკეტილი დახვდათ. აქ უფრო მძაფრი იყო გაზის სუნი.

ინსპექტორმა რაღაც გადაულაპარაკა ქვეშევრდომებს.

– ჯობია, მისის ფენტონმა გარეთ დაიცადოს, თავისი მეგობრების მანქანაში.

– არა, – იუარა ფენტონმა, – არა, მე მინდა ჩემმა ცოლმა სიმართლე გაიგოს.

მაგრამ ედნა უკვე უკან, გასასვლელისაკენ გაემართა ერთი ოფიცრის თანხლებით. ალუსონები მას პირქუში სახეებით ელოდნენ. მერე ყველამ მადამ კაუფმანის საწოლ ოთახში მოინდომა შესვლა. მათ ფარდა გადასწიეს და ჰაერი შემოუშვეს ოთახში, მაგრამ გაზის სუნი მაინც მძლავრდებოდა. საწოლისაკენ დაიხარნენ ქალს ეძინა, გვერდით ბავშვი ეწვა. ორივეს ეძინა. კონვერტი ოცი პაუნდით იატაკზე ეგდო.

– რატომ არ აღვიძებთ? – იკითხა ფენტონმა, რატომ არ აღვიძებთ და არ ეუბნებით, რომ მისტერ სიმზია აქ? მისტერ სიმზი!

ერთმა პოლიციელმა მკლავში ხელი მოჰკიდა და ოთახიდან გაიყვანა.

როცა მას უთხრეს, მადამ კაუფმანიც მკვდარია და ჯონიცო, მან თავი გააქნია და თქვა:

– საშინელებაა... საშინელება... ნეტავ ეთქვა ჩემთვის, რითი შემეძლო დაეხმარებოდი. მაგრამ პირველი ელდა, პოლიციელი რომ მიადგა სახლში და შემაძრწუნებელ ფუთაზე ამცნო, იმდენად ძლიერი იყო, რომ ამ უბედურების დასასრულმა უკვე იმ ძალით ველარ შეძრა. თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო.

– იქნებ უკეთესიც არის, – თქვა მან, – მარტოდმარტო იყო მთელს ქვეყანაზე, მხოლოდ ორნი იყვნენ, სრულიად მარტონი.

ფენტონს ვერ გაეგო, რაღას უცდიდნენ აქ. იქნებ სასწრაფო დახმარება ან რამე ამის მსგავსი გამოეძახათ და მადამ კაუფმანი და ჯონი წაეყვანათ?! მერე იკითხა:

– შეგვიძლია მე და ჩემს ცოლს შინ წასვლა?

ინსპექტორმა და სამოქალაქო სამოსიანმა კაცმა ერთმანეთს

შეხედეს:

– ვშიშობ, რომ არა, მისტერ ფენტონ. განყოფილებაში უნდა წამოგყვეთ.

კი მაგრამ, მე სრული სიმართლე გითხარით, – თქვა ფენტონმა დაღლილი ხმით, მეტს ვერაფერს გეტყვით. მე არაფერი მაქვს საერთო ამ უბედურებასთან, სრულიად არაფერი. - მერე უცებ თავისი ნახატები გაახსენდა, – თქვენ არ გინახავთ ჩემი ნამუშევრები. ისინი აქ არის, მეორე ოთახში. ძალიან გთხოვთ, დაუძახეთ ჩემს ცოლს და ჩვენს მეგობრებსაც. მე მინდა, ნახონ ჩემი ნამუშევრები. გარდა ამისა, იმის გამო, რაც აქ მოხდა, მინდა ჩემი ნიეთები წავიღო აქედან.

ჩვენ ამაზე ვიზრუნებთ, – უთხრა ინსპექტორმა დამთმობი ტონით, მაგრამ მტკიცედ, ფენტონს მოეჩვენა, ცოტა უდიერადაც კი. ეს იყო კანონის ოფიციალური დაცვა.

ყველაფერი ეს ძალიან კარგი, - თქვა ფენტონმა, - მაგრამ ესენი ჩემი კუთვნილებაა და ამასთანავე, ჩემთვის მეტად ღირებული. არა მგონია გქონდეთ უფლება მათ შეეხოთ.

მან ინსპექტორიდან მზერა სამოქალაქო ტანსაცმლიანზე და მის კოლეგებზე გადაიტანა, სამედიცინო ექსპერტი და მეორე პოლიციელი ისევ საძილე ოთახში იყვნენ. ოფიციალურ პირთა უმეტყველო გამოხედვაზე ფენტონი მიხვდა, რომ მისი ნამუშევრები არავის აინტერესებდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს მხოლოდ დანაშაულის დაფარვის ცდა, ალიბი იყო. მათ მხოლოდ ერთი მიზანი ამოქმედებდათ: პოლიციის განყოფილებაში წაეყვანათ და დაწერილებით დაეკითხათ საძილე ოთახში მწოლიარე, ამ საზიზღარი დ ამავე დროს საცოდავი მიცვალებულის ფაობაზე, ნაადრევად დაბადებული ბავშვის გვამზე.

მზად ვარ გამოგყვეთ, ინსპექტორო, - თქვა მან წყნარად, - მაგრამ ერთი თხოვნა მაქვს, ნება უნდა დამრთოთ, ვაჩვენო ჩემი ნამუშევრები ჩემს ცოლსა და მეგობრებს.

ისპექტორმა თანხმობის ნიშნად თავით ანიშნა ხელქვეითს, რომელიც სამზარეულოდან მაშინვე გავიდა და ცოტა ხანში ადამიანთა პატარა ჯგუფი სახელოსნოსაკენ გაემართა. ფენტონმა მათ კარი გაუღო და შიგნით შეიპატიჟა.

– რა თქმა უნდა, - თქვა ფენტონმა, – მე ცუდ პირობებში ვმუშაობდი. როგორც ხედავთ, განათებაც არ ვარგა. არავითარი სამუშაო პირობები აქ არ არის. არც კი ვიცი, როგორ ეჩერდებოდი აქ. ფაქტიურად, დასვენებიდან რომ დაბრუნდებოდი, განზრახული მქონდა სხვაგან გადავსულიყავი. ასეც ვუთხარი საცოდავ გოგოს და ეტყობა, ამანაც ჩააგდო სასოწარკვეთილებაში.

ფენტონმა შუქი აანთო და სანამ დანარჩენები იდგნენ და ათვალიერებდნენ დაშლილ მოლბერტს, კედელთან აკურატულად ჩამწკრივებულ ტილოებს, კაცს ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ აქედან წასასვლელად ასეთი მომზადება თავისთავად საეჭვო იყო და ბადებდა აზრს, რომ მან იცოდა საძილე ოთახში მომხდარის თაობაზე და ამის გამო გაქცევა განეზრახა.

რა თქმა ედნა, ეს დროებითი იყო, – თქვა მან, ისევ ბოდიშობდა ამ პაწია ოთახის გამო, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო მხატვრის სახელოსნოსთან, – მაგრამ გამომადგა კი. მთელს სახლში სრულიად არავინ იყო, არავინ მაწუხებდა კითხვებით. ვერავის ვნახულობდი მადამ კაუფმანისა და ბიჭის გარდა.

შეამჩნია, უნდა შემოსულიყო ოთახში. ალუსონები და დანარჩენი პოლიციელებიც იქ იყვნენ და უმოძრაო სახეებით უცქერდნენ. მაგრამ ედნა ან ალუსონები რაღად უყურებდნენ ასე? იქნებ კედელთან ჩამწკრივებულმა ტილოებმა მოახდინეს შთაბეჭდილება? ისინი უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ ბოლო ხუთნახევარი თვის მანძილზე შექმნილი უამრავი ნამუშევარი ახლა აქ, ამ ოთახში იყო დაგროვილი და მხოლოდ გამოფენასღა ელოდა. ფენტონმა ნაბიჯი გადადგა, ხელი წამოავლო უახლოეს ტილოს და ასწია, რომ მათთვის დაენახვებინა. ეს იყო მადამ კაუფმანის პორტრეტი, თვითონ რომ მოსწონდა ყველაზე მეტად, სწორედ ის, საცოდავი რომ ეუბნებოდა თევზს ჰგავსო.

- მე მესმის, ასეთი რამ უცხოა თქვენთვის, - თქვა მან, - საბავშო წიგნის ნახატს არ ჰგავს, მაგრამ გაბედული ნახატებია, ორიგინალობა იგრძნობა მათში. ახლა მეორეს წამოავლო ხელი. ისევ მადამ კაუფმანი იყო დახატული, ოღონდ ამჯერად ჯონი ეჯდა კალთაში. „დედა და ბავშვი“, თქვა ოდნავ მომღიმარი სახით,

ნამდვილად პრიმიტივისტულია. დავუბრუნდეთ ჩვენს პირველსაწყისს, პირველ დედას, პირველ შვილს.

ფენტონმა კისერი წაიგრძელა და შეეცადა იმ თვალით დაენახა ნახატები, როგორც სხვები დაინახავდნენ პირველად. ედნას მოწიწებით აპხედა, ეგონა, მომიწონებსო, მაგრამ მისდა განსაცვიფრებლად, გაუგებრობის გაქვავებულ-გაყინულ მზერას წააწყდა. მერე მოღუშული ქალი ალუსონებს მიუბრუნდა და უთხრა:

– ეს არ არის ნამდვილი მხატვრობა. რაღაც დაუჩხაპნია – ცრემლებით მზერადაბინდულმა ინსპექტორს ახედა და უთხრა:

– ხომ გითხარით, მან არ იცის ხატვა. ცხოვრებაში არაფერი დაუხატავს. ეს მხოლოდ ალიბი იყო, რომ ამ ქალთან სახლში მისულიყო.

ფენტონმა დაინახა, როგორ გაიყვანეს ალუსონებმა ედნა. ისიც გაიგონა, როგორ გავიდნენ უკანა კარიდან ბაღის გავლით სახლის შემოსასვლელისაკენ.

„ეს არ არის ნამდვილი მხატვრობა, რაღაც დაუჩხაპნია“,- ჩაესმოდა ფენტონს ისევ. მან ტილო ძირს დადო, პირით კედლისაკენ მიაბრუნა და ინსპექტორს მიმართა:

– მე მზად ვარ, წამოგყვეთ.

ისინი პოლიციის მანქანაში ჩასხდნენ. ფენტონი პოლიციელსა და სამოქალაქო ტანსაცმლიან კაცს შორის იჯდა. მანქანამ უკან მოიტოვა ბაულთინგ სტრიტი. ორი ქუჩა კიდევ გაიარა და ოუქლი სტრიტით სანაპიროს გაუყვა. შუქნიშანზე ყვითელი შუქი წითლით შეიცვალა. ფენტონი თავისთვის ჩურჩულებდა:

– მას ჩემი არ სჯერა, არც არასოდეს სჯეროდა.

მერე წითელი შუქი რომ ჩაქრა და მწვანე აინთო, მანქანა ადგილს მოსწყდა და ფენტონმა უცებ წამოიძახა:

-კარგი, ყველაფერს ვაღიარებ. მე მისი საყვარელი ვიყავი, რა თქმა უნდა, ის ბავშვიც ჩემი იყო. ამ საღამოს, სანამ მისი სახლიდან წამოვიდოდი, გაზი გავაღე. ყველანი მე დავხოცე. ჩემი ცოლის მოკვლასაც ვაპირებდი, შოტლანდიაში რომ წავიდოდით, მერე. მე მინდა ვაღიარო, რომ ეს მე ჩავიდინე. ...მე ჩავიდინე... მე ჩავიდინე!

ს ა რ ჩ ე ვ ი

ლურჯი ლინზები ---------- *3*
დიდებული ქალბატონი ---------- *50*
ალიბი ---------- *108*

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა
და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის სტამბა.
თბილისი. 380062, ილია ჭავჭავაძის გამზირი, 45.